ნანა დევდარიანი

ლერწმის სტრატეგია

ნანა დევდარიანი

ლერწმის სტრატეგია

© ნანა დევდარიანი, 2008

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-047-4

www.diogene.ge

ვუძღვნი სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა
და უნეტარესის, დავით V-ის ნათელ ხსოვნას

სარჩევი

რედაქტორის წინათქმა 7

შესავალი 9

თავი I

რევოლუცია ტვინებში 14

თავი II

ობიექტები, რომლებსაც სარკეში ვხედავთ,
სინამდვილეში უფრო ახლოსაა, ვიდრე გვეჩვენება 40

თავი III

პირობითი ენა და გლობალიზატორები 61

თავი IV

ღირებულებები და ფასეულობები 100

თავი V

დემოკრატია და ადამიანის უფლებები 154

თავი VI

სტრატეგიული პარტნიორი 172

თავი VII

„შევთანხმდეთ, რომ ლიბერალები ვართ!" 201

თავი VIII

„საქართველო პრეზიდენტის გარეშე!" 211

თავი IX

ნეიტრალიტეტი და ინტეგრაცია 219

თავი X

„ვინ ჰკითხავს გორბაჩოვს?" 239

თავი XI

გვეშველება? 262

საძიებელი 293

რედაქტორის წინათქმა

„ლერწმის სტრატეგია“, ნანა დევდარიანის სამეცნიერო-პოპულარული წიგნის სათაური, გლობალიზაციის პირობებში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების გზების ძიებაა. ეს არის პასუხი კითხვაზე „რა გვეშველება?“, რომელიც ქართულ საზოგადოებას ბოლო წლებში უდიდესი სიმწვავით აწუხებს.

ამ კითხვაზე ავტორის პასუხი ბელეტრისტიკის ჟანრს სცილდება. ეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნამდვილი ისტორიაა, ექსპერტებისა და მეცნიერების აზრებით გაჯერებული და თანამედროვე ქართული პოლიტიკის სუბიექტთა პოზიციების ანალიზით შეკავშირებული. ერთი სიტყვით, ესაა სამგანზომილებიან სამყაროში მიმდინარე პროცესების წერილობითი გამოხატულება, რომელშიც თითოეული ჩვენგანი მოვლენათა მონაწილე ხდება და დიალოგში შედის თანამედროვე რეალობასთან. დიახ, დიალოგში, რადგან მუდმივი არაფერია, სიტუაციები უსწრაფესად იცვლება. ასეთი ცვლილებები კი მწვავე განსჯისა და კამათის საფუძველი ხდება. ალბათ ვერც ეს ნაშრომი ასცდება შეფასებათა მრავალფეროვნებას, მაგრამ ერთი ცხადია, ძნელია, მსოფლიოში სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის პოვნა, რომელიც სტერეოფილმის იმგვარ ეფექტს მოახდენს, როგორსაც „ლერწმის სტრატეგია“.

ნანა დევდარიანი – ჟურნალისტი, პარლამენტარი, სახალხო დამცველი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე – ეს მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რამდენიმე ეტაპია. არავის უკვირს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში განათლებულ ადამიანად ითვლება, რადგან მან კარგად იცის, როგორ და საიდან მოიპოვოს საჭირო ცოდნა და როგორ აქციოს იგი მოქმედების მკაფიო გეგმად. პოლიტიკაში პირადად მქონია შეხება და ვიცი, რომ სახელმწიფო მოღვაწე უფრაა, ვიდრე პოლიტიკოსი, რომელიც არჩევნებზე იმდენად ფიქრობს, რამდენადაც ეს სამართლიანი იქნება მომავალი თაობის წინაშე და თუ სამართლიანობა გაქრება, აღარაფერი რჩება ისეთი, რამაც შეიძლება ღირებულება შესძინოს ადამიანის სიცოცხლეს.

გლობალიზმის პირობითი ენის წყალობით გეოპოლიტიკის სამიზნეში მოქცეული საქართველო ვირტუალური თამაშის წესის მონაწილეა. ამიტომ ნანა დევდარიანისათვის მნიშვნელოვანია გ. ვიდალი, ჰ. პინტერი, ნ. ხომსკი, ნ. კლაინი, ზ.სარდარი, მ. დევისი, პ. ბიუკენენი, და სხვები, ხოლო ტრანსნაციონალური კორპორაციების ამერიკას კი იგი ნამდვილად ემიჯნება.

რატომ?

არ არსებობს იდეალური იდეოლოგიები, არსებობს ამოცანები, რომლებიც შედეგზე ორიენტირებულ ნაბიჯებს გულისხმობს – ასეთია

ავტორის აზრი, რომელიც გაფიქრებს, ისწავლო არსებობა ამა თუ იმ იდეოლოგიის ბატონობისას, რადგან ზემოდან ან გარედან ზეწოლით იგი ორგანული ვერ გახდება.

ვიდრე ეს წინასიტყვაობა იწერებოდა, აგვისტოს ომი მოილია. რუსეთისათვის ესაა საქართველოს „იძულება მშვიდობისათვის", ქართველებისათვის ესაა „აგრესია და საქართველოს ოკუპაციის მცდელობა". ამ ფაქტის საერთაშორისო შეფასებები, რა თქმა უნდა, მწვავე იქნება, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოსათვის – დაგვიანებული. ისევ სისხლისღვრა, დევნილები, ეკონომიკური კოლაფსი... აქ უკვე ამერიკის „წამყვანი პოზიციების გამოყენება მსოფლიო საქმეებში კაცობრიობის სასიკეთოდ ჩარევისათვის" ან რუსეთისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება „მართლმადიდებლობის საზღვრის გასწვრივ წესრიგის შენარჩუნებისათვის" გამორიცხულია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირის „ბირთვი" ქვეყნებიდან სულ უფრო ხშირად გაისმის პროტესტი (მათი ეროვნული ინტერესები ეწირება პოლიტიკურ მიზნებს, რომელთა გამოც კავშირში ახალი ღარიბი წევრების რაოდენობა ერთბაშად გაიზარდა), მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ახალი, უფრო რთული გამოწვევაა და „ლერწმის სტრატეგია" სწორედ ამგვარად ხედვისა და კამათის კარგი საშუალებაა.

შეუძლებელია, თუნდაც ასეთ რთულ ვითარებაში, არ დაეთანხმო ნანა დევდარიანს: დღეს საქართველოშიც და რუსეთშიც ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ურთიერთობების აღდგენა უკიდურესად რთულია; თუმცა ნებისმიერი კონფლიქტი რთული მოსაგვარებელია სწორედ იმიტომ, რომ ურთიერთწყენა და შეცდომებისა თუ დანაშაულის შეხსენება მას კიდევ უფრო ამწვავებს. და მაინც, არის საკითხები, რომელთა ხმამაღლა განსჯისა და დასკვნების გამოტანის გარეშე ურთიერთობების აღდგენა ვერ მოხერხდება.

რა გვეშველება?

უმეცრების ძალაუფლება თუ ძალაუფლების უმეცრება ბალახს თივად აქცევს, ხეს – შეშად და ადამიანს – გვამად.

რა გვეშველება?

„ლერწმის სტრატეგიაში" იკითხება ყოფიერად აქტიური, გრძნობიერად აქტიური, გონიერად აქტიური ქალბატონის – ნანა დევდარიანის ფორმულა კავკასიაში ამერიკის, რუსეთის, ევროპის ინტერესთა შეთანასწორების ისეთი ბუნებრივი პროცესისა, რომელიც საქართველოში საზოგადოებრივი წონასწორობის აუცილებელი პირობაა.

მარიამ ცაცანაშვილი
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

შესავალი

ეს წიგნი დასრულებული იყო, როდესაც საომარი მოქმედებები დაიწყო. მიუხედავად ამისა, შინაარსი (ორიოდე ჩამატების გარდა, რომელიც მითითებულია) არ შეცვლილა, რადგან ამ ხანმოკლე ომმა უარყოფის ნაცვლად დაადასტურა საქართველოს საშინაო და საგარეო პრიორიტეტების ხელახალი გააზრების აუცილებლობა. ყურადღებით გადაკითხვის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ომის გამო მასში არაფერს შევცვლიდი, იქნებ პირიქითაც: ომმა გააშიშვლა სწორედ ის პრობლემები, რომლებზეც ვწერდი და რომელთა გადაწყვეტაც ჯერ კიდევ გუშინ იყო საშური. ეს მოსაზრება კიდევ უფრო განმიმტკიცა რუსეთის საპატრიარქოს გადაწყვეტილებამ, არ მიეღო (კიდევ ერთხელ) სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ეპარქიები თავის შემადგენლობაში. ცხადია, ომი ყველაფერს ვერ „ჩამოწერს", მაგრამ ომს ბევრი რამის გადასინჯვა მოჰყვება ხოლმე. საუბედუროდ, ოპოზიციის მორატორიუმი, რომელიც ომის დღეებში გამოცხადდა, ფაქტობრივად არც დღეს მოხსნილა – ხელისუფლების მიმართ იგივე შეკითხვები ისმის, რაც ერთი წლის წინ. ოღონდ ეგ არის, რომ იმავე შეკითხვებს უკვე ის პოლიტიკოსებიც სვამენ, ვინც თვითონაც არის ამ შეკითხვების ადრესატი, ხოლო ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ლაპარაკს პოლიტიკური სპექტრი დღესაც უფრთხის.

იმ მკითხველს, რომელსაც 2003 წლის არჩევნების კულისების გამომზეურება აინტერესებს, გული უნდა დავწყვიტო; ამ წიგნის მიზანი არ გახლავთ თავის მართლება იმის გამო, რაც არ ყოფილა. მაშინაც და ახლაც მიმაჩნია, რომ ვერავინ დაანახვებს ხალხს უკეთ იმას, რაც მოხდა „ვარდების რევოლუციის" სახელით, ვიდრე მისი შემოქმედნი და შემსრულებელნი. ბევრ კითხვას უკვე გაეცა პასუხი, ბევრსაც კიდევ გაეცემა, თანაც ამას სწორედ ის ადამიანები გააკეთებენ, ვინც მაშინაც და ახლაც შეკითხვებს სვამს

და პასუხს ყოველთვის სხვისგან მოელის. თუმცა „რევოლუციური" არჩევნების დროინდელი ცალკეული მაგალითები, რომლებიც სიტუაციაში გარკვევის საშუალებას იძლევა, წიგნში მოხმობილია, მაგრამ მხოლოდ ილუსტრირების ან ხაზგასმის მიზნით.

არასოდეს დამისახავს მიზნად პოლიტიკოსობა, მით უფრო, რომ ჟურნალისტიკაში წარმატებული ვიყავი. 80-იანი წლების მეორე ნახევარმა ბევრი ისეთი ადამიანი მოიხმო პოლიტიკაში, რომელთაც მანამდე ამაზე არც უფიქრიათ. მაშინ ახალი ტალღის პოლიტიკოსების უმეტესობას მიაჩნდა, რომ საკმარისია რწმენა და პრინციპები, გამოცდილება არ არის საჭირო, რადგან გამოცდილება მხოლოდ იმ რეჟიმთან იყო ასოცირებული, რომელიც, როგორც იქნა, დაემხო. დრომ აჩვენა, რომ ეს მცდარი შეხედულება ყოფილა. ახლაც, რევოლუციური ტალღის პოლიტიკოსებს ჰგონიათ, რომ გამოცდილება გამოუსადეგარია, მაგრამ მათ შორისაც არიან ადამიანები, რომლებმაც კარგად უნდა იცოდნენ მისი ფასი. რას იზამ, ზოგჯერ ადამიანებს სჯერათ, რომ საკუთარი გამოცდილება, რომელიც „გადააგდეს", სხვებსაც მიავიწყდათ. ამიტომაც ხშირად ისეთ „მარგალიტებს" მოისმენ, იფიქრებ, რომ რომელიღაც სხვა ქვეყანაზე გელაპარაკებიან, რომელშიც თითქოს არც ყოფილხარ. ხუთი წლის განმავლობაში არ გამოვპასუხებივარ არც ერთ სიცრუეს, რომელსაც სიმართლის სახელით წამოროშავდა ესა თუ ის პოლიტიკოსი, ამიტომ მიიღეთ ეს წიგნი, როგორც აგული ერისთავის დეპეშა, რომელიც მკვდარი ეგონათ, რაკი „ომის შემდეგ არც ერთ გამოფენაში არ მიუღია მონაწილეობა".

ყველა პოლიტიკოსის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა მან უნდა გადაწყვიტოს, რის ფასად ულირს პოლიტიკაში დარჩენა. ეს მომენტი განსაზღვრავს იმასაც, თუ რაზე წახვალ ან არ წახვალ. ჩემთვის მეტისმეტად მაღალი აღმოჩნდა – ღირსებისა და თავმოყვარეობის ფასი. იქნებ, ხელისუფლებაში სწორედ ის ხალხი იმსახურებს ყოფნას, რომელსაც ყველაფერზე წასვლა შეუძლია ხელისუფლებაში (ან ხელისუფლებასთან) ყოფნისათვის? დრო და ისტორია გვიჩვენებს, რომ ეს ასე არ არის, თუმცა ეს ჩემი სუბი-

ექტური აზრია; მწამს, რომ უთავმოყვარო და უღირსი ადამიანები სახელმწიფოს ვერ ააშენებენ. და ამ შემთხვევაში სულერთია, ეს ადამიანები შევარდნაძის ხელისუფლებაში იქნებიან თუ სააკაშვილის, ან ვინმე სხვისაში. არც იმასა აქვს მნიშვნელობა, ოპოზიციაში იქნებიან თუ არა.

როდესაც ჩვენს პოლიტიკოსებს უსმენ, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში არაფერი შეცვლილა; იგივე რიტორიკა, იგივე მოთხოვნები, იგივე ოპოზიციური „არსენალი". არადა, ამ ორმა ათეულმა წელიწადმა სამყარო შეცვალა, საქართველოს ძველ პრობლემებს კი ახალიც დაემატა. თუ გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევს ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს მოქალაქეებს ეგონათ, რომ კაპიტალისტური სიმდიდრის (უფრო სწორად, მისი ილუზიის – „ამერიკული ოცნების") დამყნობა შესაძლებელი იყო ელემენტარული ადამიანური ცხოვრების სოციალისტურ გარანტიებზე, დღეს უკვე ასეთი მიამიტობა შეუწყნარებელია; თუ მაშინ იმის იმედი გვქონდა, რომ რუსეთისაგან თავის დაღწევა იყო მთავარი, დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები თვალნათლივ გვიჩვენებს ამგვარი გულუბრყვილობის დამღუპველობას; თუ 5 წლის წინ სიტყვის თავისუფლება უკვე მოპოვებული და გარანტირებული გვეგონა, დღეს აშკარა გახდა, რომ ამ გზაზე სხვა მიმართულებითაც ყოფილა შესაძლებელი სიარული.

ამ წიგნში მოტანილი მოსაზრებები „თბილისის პოლიტიკური სკოლის" სემინარებზე სხვადასხვა დროს კამათის საგანი გამხდარა, მაგრამ ჩემთვის ყველაზე საყურადღებო არასამთავრობო სექტორის ერთი ცნობილი წარმომადგენლის შეკითხვა აღმოჩნდა: „ამ ყველაფერს ახლა გვეუბნებითო?" მართლაც, შესაძლოა, იმგვარი შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ მე ეს ყველაფერი ადრევე ვიცოდი, მაგრამ საზოგადოებას ვუმალავდი, რაც, ცხადია, ასე არ არის; ბევრი რამ სახელმწიფო სამსახურიდან წასვლის შემდეგ გავიცნობიერე, ბევრი რამ მანამდეც მაწუხებდა, მაგრამ ყოველდღიურობა და მუდმივად დაძაბული სამუშაო რიტმი ხშირად

საკუთარ თავთან განმარტოების საშუალებასაც კი არ მაძლევდა. ასეც რომ არ იყოს, ზოგჯერ აუცილებელია დრო და მანძილი, იმისათვის, რომ მოვლენების ანალიზი გახდეს შესაძლებელი.

ზოგადად, ყველაზე მეტად იმ ადამიანების ნდობა არ შეიძლება, რომლებსაც ნებისმიერ შეკითხვაზე აქვთ გამზადებული პასუხი და რომელთაც ძალიან უჭირთ იმის თქმა, რომ რაღაც არ იციან. პარადოქსია, მაგრამ ამგვარი ადამიანები ყველაზე მრავლად პოლიტიკაში არიან წარმოდგენილი, ანუ საქმიანობის იმ სფეროში, რომელშიც არაკომპეტენტურობა, როგორც წესი, უამრავი ხალხის, ზოგჯერ კი ხალხების, კისერზეც კი გადადის. არ მაშინებს იმის აღიარება, რომ დღესაც ბევრი რამ არ ვიცი. არც ეს წიგნი იწერებოდა იმის პრეტენზიით, რომ ვინმესთვის რამე მესწავლებინა. ყველა ის საკითხი, რომელიც დღეს ქართველებს გვაწუხებს, ჩემი აზრით, სწორედ იმიტომ არის ასე მტკივნეული, რომ გვიჭირს არაპოპულარული მოსაზრების გამოთქმა, განსაკუთრებით პოლიტიკოსებს. დღეს მე ამ ტვირთისაგან თავისუფალი ვარ და, იქნებ ამანაც გამაბედვინა იმის თქმა, რის უფლებასაც საკუთარ თავს რამდენიმე წლის წინ ვერ მივცემდი. თუმცა... ვინ იცის?

გულისყურიანი მკითხველისათვის:

1. წიგნში ციტატების სიუხვე მხოლოდ იმით არის განპირობებული, რათა დარწმუნდეთ, რომ ბევრი ავტორისეული მოსაზრება სულაც არ არის ერთი ადამიანის, ერთი ერის, ან ერთი სახელმწიფოსთვის ნიშანდობლივი. საკუთარი შეხედულებების წარმოჩენას ავტორმა სწორედ სხვათა მოსაზრებების მოხმობა არჩია, რათა აეცილებინა სუბიექტურობაში ბრალდება და დაენახვებინა, რომ საქართველოშიც, როგორც მის გარეთ სამყაროში, მეტად მსგავსი კანონზომიერებები მოქმედებს.

2. ვინაიდან თანამედროვე პოლიტოლოგიური ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ქართულ ენაზე თარგმნილი არ არის, ციტატები ავტორის თარგმანით არის წარმოდგენილი. თუკი ისინი საკმარისად დახვეწილად არ მოგეჩვენებათ, თავი იმით შეგვიძლია ვინუგეშოთ, რომ შინაარსი ყველა შემთხვევაში შენარჩუნებულია.
3. ავტორის არცთუ ხანმოკლე ურთიერთობამ პოლიტიკოსებთან და ჟურნალისტებთან იგი დაარწმუნა, რომ მათი დიდი ნაწილი არ იცნობს არა მარტო მსოფლიო ისტორიულ მემკვიდრეობას, არამედ საკუთარი ქვეყნის წარსულსა და აწმყოსაც, ვერ ფლობს საკმარის ცოდნას თუნდაც იმ მოვლენების ანალიზისათვის, რომელთა მოწმეც ხდება და, რაც მთავარია, არც ამ დეფიციტის შევსების წყურვილი კლავს. ამიტომ, თუკი მათ ხელი წაუცდათ და წიგნი მაინც წაიკითხეს (თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთი მათგანი მასში ნახსენებია), ბევრ საინტერესოს გაიგებენ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მომზადებულ მკითხველს ბოდიშს მოვუხდით იმ გამარტივებული ადგილებისათვის, რომელთაც აშკარად საგანმანათლებლო ფუნქცია ეკისრება.
4. ჩარჩოებში ჩასმულ ტერმინთა განმარტებანი არ არის მოცემული ენციკლოპედიური ან ამომწურავი ვერსიის პრეტენზიით; პოლიტიკაში საქმიანობის წლების ანალიზმა ავტორი დაარწმუნა იმაში, რომ ბევრი გაუგებრობა სწორედ ტერმინთა განსხვავებული გაგებით ან სუბიექტური ვარაუდებით არის განპირობებული. თავი „პირობითი ენა" მხოლოდ ზოგიერთ აშკარა მაგალითს მოიცავს, მაგრამ სამწუხაროდ, ამგვარი „სხვადასხვაგვარად" გაგებული ტერმინები ხშირად გაისმის საინფორმაციო სივრცეში. არადა, მათ მართებულ გამოყენებაზე მეტისმეტად ბევრი რამ არის დამოკიდებული.
5. დასასრულ, თუ იუმორის გრძნობა გღალატობთ, მხედველობაში იქონიეთ, რომ წიგნში მოყვანილი ყველა მოსაზრება თუ შეფასება უტყუარობის პრეტენზიით არ უნდა აღიქმებოდეს; ისევე, როგორც ჩვენი ქართული გარემო, ეს წიგნიც პარადოქსულობისა და ულოგიკობის დემონსტრირებას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ერთადერთი ჭეშმარიტებისას.

თავი I. რევოლუცია ტვინებში

საბჭოთა კავშირის რღვევამ მხოლოდ მსოფლიო რუკა როდი შეცვალა; მან სერიოზულად იმოქმედა ფასეულობათა სისტემაზე. ნათქვამია, ფარა რომ შებრუნდება, კოჭლი ცხვარი სათავეში მოექცევაო. სისტემის ნგრევამაც ასე „შეაბრუნა" ფასეულობები: რაც კარგი იყო იმ სისტემაში, ცუდი აღმოჩნდა, რაც მიუღებელი იყო მაშინ, მისასალმებელია დღეს. მართლაც ასეა? შეიძლება საბჭოთა სკოლიდან ტელევიზორის მოპარვის გამართლება იმით, რომ ის სკოლა საბჭოთა იყო? მისასამებელია ზღვარგადასული სიმდიდრე, როცა იგი სხვების შიმშილის ხარჯზე იქმნება?

საბჭოთა პერიოდშიც კი ჩვენ ყველანი ვიზრდებოდით იმ შეგნებით, რომ სუსტის დაჩაგვრა, ფიზიკურ თუ გონებრივ ნაკლზე ყურადღების გამახვილება, ადამიანების გამორჩევა ეროვნებისა და აღმსარებლობის მიხედვით უზნეობაა, რომ აღარაფერი ვთქვათ ათ მცნებაზე, რომლებმაც ნათლად შემოფარგლა აკრძალვათა სივრცე. მორწმუნეა ადამიანი თუ ათეისტი, მიუღებლისა და დაუშვებლის ნორმები თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუ არ ჩავთვლით ყოფით დეტალებსა და წმინდა გარეგნულ გამოვლინებებს. ერთნი ამას რწმენას უკავშირებენ, სხვები – მორალს, მაგრამ ქცევის შინაარსი ყოველთვის რეგლამენტირებულია.

ყველა ეპოქაში ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის საკითხი იყო. ვართ თუ არა თავისუფალი? ვცხოვრობთ თუ არა თავისუფალ ქვეყანაში? იყო თუ არა საბჭოთა კავშირიდან თავის დაღწევა თავისუფლების მომტანი?

დღევანდელ მსოფლიოში ქვეყნების თავისუფლებას ციფრული კოეფიციენტებით აფასებენ. ეს კატეგორია აბსოლუტურ ხასიათს აღარ ატარებს. შეიძლება იყო ნაწილობრივ თავისუფალი, არათავისუფალი ან სრულიად თავისუფალი. ჩვენ ყველანი შევთან-

ხმდით, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ჩვენ სრულიად არათავისუფალი ვიყავით. ვართ თუ არა თავისუფალი დღეს, ან მივდივართ მაინც კია თავისუფლებისკენ?

თავისუფლების შეგრძნება სუბიექტურია ისევე, როგორც დისკრიმინირებულობისა. თუ ადამიანი რაიმე ნიშნით თავს დაჩაგრულად გრძნობს, მას ვერანაირად ვერ აუხსნი, რომ ეს ასე არ არის; ასე გრძნობს თავს და მორჩა. ერთი დილეგშიც თავისუფალია, მეორეს კი ბუნებაშიც ტყვეობის შეგრძნება აქვს. ზოგი სულ უფრო მეტ თავისუფლებას ეძიებს, ზოგიც გაურბის მას. ერთნი თანამდებობისკენ ისწრაფვიან თავისუფლების მოსაპოვებლად, მეორენი კი თავისუფლების იმ შეზღუდვას გაურბიან, რომელიც თანამდებობას ახლავს თან. რაშია ჩემი თავისუფლება? როდის არის ქვეყანა თავისუფალი? რა უფლებები აქვს თავისუფალ ადამიანს? თავისუფალ ქვეყანას? რის დათმობა შეიძლება და სად არის ის ზღვარი, რომლის იქით თავისუფლება იმდენად იზღუდება, რომ იგი განყენებული ცნების დონეზეღა რჩება?

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 17 წელი გავიდა. ისტორიისათვის ეს მეტად ხანმოკლე პერიოდია, ადამიანისთვის კი საკმაო ხანი. განსაკუთრებით მათთვის, ვინც ახლა 50 წლის ან მეტისაა. ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი წლები სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა. ჩინური წყევლა, დიდი ცვლილებების ხანაში გეცხოვროსო, სწორედ ამ თაობამ იწვნია ყველაზე მწარედ. მოხუცები კი იმგვარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როცა საკუთარ თავზე გამოცდი, რომ ყოველივე ამაოა.

2007 წლის ნოემბრის სახალხო გამოსვლების დროს იმის მოლოდინი გაჩნდა, რომ ახალი რევოლუცია მოხდებოდა. „როგორც მოვათრიეთ, ისე წავათრევთ!“ – ისმოდა ხელისუფლების მისამართით. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ შევარდნაძის 1995 წლის გამონათქვამი, როცა მას მობეზრდა ჯაბა იოსელიანის განცხადებები იმის შესახებ, რომ შევარდნაძე მან ჩამოიყვანა მოსკოვიდან. მაშინ მან განაცხადა: „არავის ჩამო-

საყვანი არაფერი მჭირდაო!" ასეა ვარდისფერი ხელისუფლების შემთხვევაშიც; თუ იმ მოვლენების მონაწილეებმა მართლაც დაიჯერეს, რომ ხელისუფლება მათი მოყვანილია, მაშინ ახლის მოყვანის პრეტენზიაც რატომ არ უნდა გაუჩნდეთ?

გია ნოდია „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ჯერ კიდევ არასამთავრობო სექტორში ყოფნისას, რადიო „თავისუფლებისათვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობდა: *„ზოგჯერ, სრულყოფილი დემოკრატიის მისაღებად რამდენიმე რევოლუციაა საჭირო... იყვნენ ვილაც ადამიანები, რაღაც ორგანიზაციები, იგივე „კმარა", სტუდენტური ორგანიზაციები, რომლებიც სპეციალურად სწავლობდნენ, როგორ ჩაეტარებინათ საპროტესტო ღონისძიებები... მეტნაკლებად ნათელია, რის იმპორტია საჭირო. უფრო მნიშვნელოვანია, როგორ, რა თანმიმდევრობით უნდა მოხდეს ამ ინსტიტუტების იმპორტირება. მეჩვენება, რომ ამ მთავრობის კურსია... პირველ რიგში მოხდეს ეკონომიკური პოლიტიკისა და ეფექტური სახელმწიფო აპარატის იმპორტი. ხოლო წმინდა დემოკრატიული ინსტიტუტები, როგორიცაა ადგილობრივი თვითმმართველობა, – მოიცდის."*[1]

„ვილაც ადამიანები", „რაღაც ორგანიზაციები"... თითქოს გია ნოდია სადღაც შორიდან ადევნებდა იმ მოვლენებს თვალს და კარგად არც კი იცნობდეს მათ! დღესაც ოლიმპიდან მაცქერალი მზერით იმგვარ სურათს გვთავაზობს, თითქოს დემოკრატიის მთავარი პრობლემა საქართველოში ოდენ ადგილობრივი თვითმმართველობა იყოს. იმავე ინტერვიუში ნაფიცი მსაჯულების შესახებ კონსტიტუციური შესწორება ნოდიას სასამართლოს დამოუკიდებლობის რწმენას აძლევს, რაც მეტად სადავოა. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის ყოფილა, რომ „ძლიერი ოპოზიცია არ არსებობს". მის გარეშე ნოდიას ***„შეკავებისა და წონასწორობის"*** სისტემა განუხორციელებლად მიაჩნია. თუმცა, როგორც კი ოპოზიცია მოძლიერდა, ხელისუფლებამ და ნოდიამ ერთბაშად დაივიწყეს „შეკავებაცა" და „ბალანსიც".

1. http://www.svoboda.org/programs/tw/2005/tw.060905.asp.

შეკავება და წონასწორობა *– ხელისუფლების გაყოფის ამერიკული მოდელი, რომლის თანახმადაც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება მარტო გაყოფილი კი არ არის, არამედ სრულიად დამოუკიდებელია. ყოველ მათგანს აქვს უფლებამოსილება, რომ აკონტროლოს და შეზღუდოს ხელისუფლების სხვა შტოები. როდესაც ახალგაზრდა გლობალიზატორებისგან კეკლუცად ნათქვამ „Check and Balance"-ს მოისმენთ, იცოდეთ, რომ სწორედ ამ მოდელზეა ლაპარაკი.*

რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა შემოღებას, ეს მეტად სადავო საკითხია. ჯერ ერთი, 12 ადამიანის სუბიექტურობა არ უდრის ერთის ობიექტურობას (არც პირიქით). და მეორეც, რამდენად შეიძლება ამ სისტემაზე დაყრდნობა პატარა ქვეყანაში, სადაც დღესაც, როგორც ყოველთვის, ძალზე ძლიერია ოჯახური, ნათესაური, სამეზობლო, სამსახურებრივი და სხვა სახის არაფორმალური ურთიერთობები? ჯუჯა სახელმწიფო სან-მარინოში საერთოდ უარი თქვეს ადგილობრივ მოსამართლეებზე და მათ იტალიიდან იწვევენ. *„ჩვენ ყველა ნათესავები, მეზობლები ან მეგობრები ვართ და ერთმანეთს ვერ გავასამართლებთ!"* – გვითხრეს ღიმილით. ნაფიც მსაჯულთა ავ-კარგზე დავა შეიძლება, ოღონდ ეს სასამართლოს დამოუკიდებლობას ვერ განაპირობებს; იგი პირდაპირ კავშირშია პოლიტიკურ ნებასთან. ასეა თუ ისე, გია ნოდიას გამინისტრება ეგზიტპოლების ჩატარებაზე მეტად სწორედ იმან განაპირობა, რომ დასავლური ორიენტაციის ინტელექტუალი, რომელიც კარგად ფლობს თანამედროვე გლობალიზატორების „პირობით ენას", იმავე ორიენტაციის ოპოზიციის სამსახურში არ უნდა ჩამდგარიყო და „რამდენიმე რევოლუციაზე" აღარ ეფიქრა. ეგზიტპოლები ამ შემთხვევაში მხოლოდ იმის ავანსი იყო, რის გაკეთებაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ნოდიას ბევრჯერ მოუწევს.

რევოლუციის შემდეგ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მასობრივი „გადაბარგება" ხელისუფლებაში თვალ-

საჩინო გახდა. რა საფანელიც არ უნდა მოუძებნონ ამას, ფაქტები მეტყველებს, რომ ისინი, ვინც წლების განმავლობაში უპარტიო და მიუკერძოებელ ექსპერტებად ასაღებდა თავს, სინამდვილეში ასეთებს სულაც არ წარმოადგენდნენ. უბრალოდ მაშინ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის ასე სჭირდებოდათ. სწორედ ამიტომაა, რომ დღეს ხელისუფლება მეტად ეჭვიანად უყურებს ექსპერტებს, რომლებიც მისთვის არასასურველ შეფასებებს აკეთებენ; ერთ-ერთ სატელევიზიო ტოკ-შოუში ექსპერტის გამოსვლით აღშფოთებულმა გენერალური პროკურორის მოადგილემ ნიკა გვარამიამ კითხვა დასვა: „რატომ უნდა ვენდო მას, – იმიტომ, რომ რომელიღაც ტელევიზიამ გამოიყვანა და ექსპერტი დააწერა?“ არადა, თავის დროზე სწორედ ამ რეცეპტით „გამოჩეკა“ რევოლუციური ექსპერტების მთელი წყება „რუსთავი-2-მა“! ექსპერტების, როგორც რომელიმე დარგის მცოდნე სპეციალისტების პოლიტიკური მიზნებით გამოყენებამ უკანასკნელ წლებში მათი სრული დისკრედიტაცია გამოიწვია. ამ ვითარებაში მართლაც მიუკერძოებელი და ობიექტური ექსპერტი არც ერთ დაპირისპირებულ მხარეს აღარ სჭირდება; მთავარია, ექსპერტის მოსაზრებამ მათი პოლიტიკური პოზიციები განამტკიცოს. ამიტომაც არის, რომ ხშირად ექსპერტებიც, პოლიტიკოსებივით, კომპეტენტური დასკვნის ნაცვლად, პოლიტიკურ პოზიციებს აფრქვევენ. სიტყვამ მოიტანა და ბულგაკოვის ვოლანდი სხვას არაფერს სთავაზობდა ბერლიოზს: „კონსულტანტი დამიძახეთო!“ – ასე მოკრძალებულად წარუდგა სატანა ათეისტს.

ბოლოს და ბოლოს რა ვიცით ჩვენ ან საკუთარ თავზე, ან იმ სამყაროზე, რომელშიც ვარსებობთ? საიდან მოვედით და სად მივდივართ? ამ კითხვებზე ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხს იმ ტიპის გონებრივი ვარჯიშები, როგორიცაა: *„არც წარსული არსებობს და არც მომავალი, – ჟეშმარიტია მხოლოდ ეს წამი“*, ან – *„ჩემთვის სიკვდილი არ არსებობს, რადგან სანამ მე ცოცხალი ვარ, იგი არ არის, როცა ის მოვა, მე აღარ ვიარსებებ“* და სხვა მრავალი. ეს ყოველივე მხოლოდ იმ ტელედებატებს ემსგავსება, რომელშიც

მონაწილეს დასმულ შეკითხვაზე პასუხი არა აქვს და მხოლოდ იუმორისა და სახალისო პარადოქსების ხარჯზე გადის ფონს.

ადამიანის გონების გაღმერთებამ ვერ გადაჭრა კაცობრიობის მარადიული პრობლემები. არც „პროგრესის" პანაცეა გამართლდა. არსებითად ჩვენ დღესაც არა გვაქვს პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც უძველესი დროიდან უჩნდებოდა ადამიანს. უბრალოდ, ჩვენ შეთანხმებული ვართ, რომ გარკვეულ კითხვებზე გარკვეული პასუხები უნდა ჩავთვალოთ მართებულად, რადგან ჩვენი ყოფა ამ პასუხების პირობით უტყუარობაზეა დაფუძნებული, თორემ ჩვენ ისიც ვერ გაგვირკვევია, მზე საიდან უნდა ამოდიოდეს. აქ პოლიტიკურ „მზეზე" არ მოგახსენებთ (თუმცა „ჩრდილოეთის მზის" ქვეშ მოსიარულეთათვისაც ერთ დროს მზე „დასავლეთიდან ამოდიოდა", ხოლო გამოთქმა „საქართველოსთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის", რომელიც შევარდნაძეს არ აპატიეს, სინამდვილეში 100 წლის წინანდელია და სულ სხვა ქართველს ეკუთვნის); უკანასკნელი გამოკვლევებით ირკვევა, რომ ანტიკური საბერძნეთის დროინდელი მითი იმის შესახებ, რომ მზე ადრე დასავლეთიდან ამოდიოდა და მხოლოდ ზევსის ჩარევის შემდეგ შეიცვალა ტრაექტორია, სულაც არ ყოფილა ზღაპარი. ამაზე აცტეკების კალენდარშიც არის ცნობები, რომლის თანახმადაც 2012 წელს „მეხუთე მზე" დამთავრდება და სერიოზული ცვლილებები მოხდება[2]. სამხრეთ და აღმოსავლეთ ციმბირის ხალხების თქმულებებშიც მზე დასავლეთიდან ამოდის. ეგვიპტური მითოლოგიით, ტოტმა 5-ჯერ ნახა, როგორ ამოდიოდა მზე დასავლეთიდან, შემდეგ კი – აღმოსავლეთიდან. ჯერ კიდევ კოლუმბის დროს მეზღვაურებმა ყურადღება მიაქციეს, რომ კომპასის ისარი ზუსტად კი არ მიუთითებდა ჩრდილოეთს, არამედ ოდნავ გადახრილი იყო[3]. 1970 წლამდე ჩრდილოეთ პოლუსის დრეიფი 10 კმ-ს არ აღემატებოდა, უკანასკნელ წლებში ამ სხვაობამ 40 კმ შეადგინა, ხოლო უახლესი კვლევებით დედამიწის გეომაგნიტურმა

2. http://apinews.ru/2012/6259925050.
3. http://www.islam.ru/science/west_sunrize.

პოლუსმა ერთბაშად 200 კილომეტრით გადაინაცვლა. კანადის გარემოს დაცვის სამინისტროს გეომაგნიტური ლაბორატორიის ხელმძღვანელის ინფორმაციით 2005 წლის ივნისისათვის ჩრდილოეთის მაგნიტურმა პოლუსმა კანადის ტერიტორია უკვე დატოვა[4]. ამ დინამიკით მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ მალე მზე მართლაც დასავლეთიდან შეიძლება ამოვიდეს. სხვათა შორის, ამაზე ინფორმაციას რამდენიმე ჰადისი და სუნა შეიცავს. ჰადისში იმაზეც არის მინიშნება, რომ დედამიწის ბრუნვა აჩქარდება. მზის დასავლეთიდან ამოსვლა კი „აღდგომის დღის" მოახლოებას და „სინანულის კარის" დაკეტვას მოასწავებს, რის შემდეგაც ცოდვათა მონანიება დაგვიანებულია[5]. სხვათა შორის, მუჰამედიც ადასტურებს, რომ უკანასკნელ სამსჯავრომდე ისა (იესო) მეორედ მოვა[6]. არ ვაპირებ ესქატოლოგიური შიშების დანერგვას, უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი ქედმაღლობისა და თვითდაჯერებულობის მიუხედავად ჯერაც ბევრი არაფერი ვიცით.

ჩვენ დროის მდინარების შესახებაც არა გვაქვს ზუსტი წარმოდგენა. ადამიანთა უმეტესობისათვის ბიბლიური მოსე „უხსოვარ" დროში მოიაზრება, სინამდვილეში კი მოსესა და ქრისტეს სულ 1100 წელი აშორებთ, ანუ იმ დროის ნახევარი, რომელიც ჩვენსა

4. http://www.islam.ru/science/west_sunrize.

5. იქვე.

6. Л. И. Климович, «Книга о коране» М. 1988. გვ.155. „საშინელი არსება დაჯალი, რელიგიური სნავლების თანახმად ოკეანით გარემოცულ უკაცრიელ კუნძულზე, კლდეზეა მიჯაჭვული. მას ჯინები კვებავენ და იცავენ. სამყაროს დასასრულის წინ დაჯალი დაამყარებს საკუთარ მცირეხნიან, მაგრამ გამანადგურებელ სასტიკ მეფობას დედამინაზე. მხოლოდ მეოთხე ციდან ჩამოსული ისა იბნ მარიამი (იესო) შეძლებს მარტო ან მაჰდის (ალაჰის მიერ მოვლენილი კიდევ ერთი კეთილი არსების) დახმარებით ბოლო მოუღოს დაჯალის ავაზაკურ სამეფოს და აღადგენს დედამიწაზე სიწმინდესა და ისლამის ძალას." „ისლამი" ენციკლოპედიური ცნობარი, თბ. 1999. გვ. 51: „დაჯალის მეფობა გაგრძელდება 40 დღე (ან წელი), ვიდრე მას წმინდა მიწაზე პალესტინაში თავისი შუბით არ მოკლავს ალაჰის მიერ დედამიწაზე გამოგზავნილი ისა (იესო), ანდა მაჰდი. დაჯალის მოკვლის შემდეგ ისა სალოცავად წავა იერუსალიმში და მომდევნო 40 წელი, ვიდრე აღესრულება, იქნება საყოველთაო სიყვარულისა და ბედნიერების ხანა." იქვე, გვ. 89: „ისა იქნება „ნიშანი" მოახლოებული ჟამისა, განკითხვის დღისა (43:61), ე. ი. ხელახლა გამოჩნდება სამყაროს აღსასრულის წინ, განკითხვის დღეს კი მოწმედ დაუდგება ურწმუნოებს."

და ქრისტეს დაბადებას შორისაა. ჩვენ ხშირად ზღაპრებად აღვიქვამთ ისტორიულ მოვლენებს, ხოლო პერსონაჟებსა და მოვლენებს შორის თანადროულობას ვერ ვხედავთ. ბიბლიური დავითისა და სოლომონის ეპოქა არის ჰომეროსის ეპოქა ძველ საბერძნეთში, მოციქულ ეზრას ეპოქა კი გაუტამა ბუდას ეპოქაა[7]. ათეიზმის ეპოქამ ჩვენი საზოგადოება მიაჩვია იმ აზრს, რომ ყველაფერი, რაც რელიგიის სფეროს ეხება, მითებისა და ზღაპრების სამყაროს განეკუთვნება. არადა, ეს ყოველივე ბევრად უფრო რეალურია, ვიდრე ის **ვირტუალური** სამყარო, რომელშიც ამოვყავით თავი.

> აქაც და შემდეგაც ტერმინი **„ვირტუალური"** იხმარება, როგორც უფრო „ხელოვნურად შექმნილის" შესატყვისი, ვიდრე „არარსებულისა". მართლაც, დღეს ვირტუალური სინამდვილე ეჭვს აღარ იწვევს, მისი გავლენა ადამიანისა და კაცობრიობის ცხოვრებაზე ყოველწამიერია; მეტიც, დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკა სწორედ ვირტუალურია და, ამდენად, „ნამდვილიც". ეს ტერმინი ცალკე კვლევას იმსახურებს, რამდენადაც ძირეულად ცვლის ადამიანის მსოფლმხედველობასა და მსოფლაღქმას. ჩვენ თვალწინ სასწაულებრივად გაცოცხლდა ლაო ძის იგავი პეპელაზე, რომელსაც ვერ გაურკვევია, სძინავს და სიზმარში ხედავს, რომ იგი პეპელაა, თუ ლაოა, რომელსაც დაესიზმრა, რომ იგი პეპელაა და სიზმარს ხედავს.

დღემდე ვერავინ მოიპოვა იმის მტკიცებულება, რომ ცოცხალი ორგანიზმების სახეობანი ერთიმეორისაგან წარმოიშვა, მაგრამ დარვინის თეორია, რომელიც თავის დროზე რელიგიურ დოგმატებზე ადამიანის გონების გამარჯვების სიმბოლოდ იქცა, დღესაც ეჭვგარეშეა (სხვათა შორის, დარვინს ბიოლოგიური განათლება არ ჰქონდა, დაამთავრა კემბრიჯის თეოლოგიური ფაკულტეტი, ანუ პროტესტანტული სასულიერო სემინარია და „ჩან-

7. В. Л. Теуш, «О духовной истории еврейского народа». изд. «Присцельс».1998. გვ. 15, 39, 58, 128.

ყობით" მოხვდა ნატურალისტის ადგილზე ხომალდ „ბიგლზე", რომელიც მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ გადიოდა). ამ საკითხზე სკოლის მოწაფეობისას საკმაოდ უსიამოვნო ინციდენტი შემემთხვა, როცა ბიოლოგიის მასწავლებელს ვკითხე, რომ, თუ ადამიანთა რასების წარმოშობა კლიმატურმა პირობებმა განაპირობა, მაშინ რატომ არ არიან ცხოველები აფრიკაში შავკანიანი, ან მონღოლეთის ქარიან სტეპებში ვიწროთვალებიანი? მაშინ, ალბათ, პირველად, არა ოჯახის წევრებმა, არამედ გარეშე ადამიანებმა საკმაოდ მკაცრად და გასაგებად ამიხსნეს, რომ არსებობს შეკითხვები, რომლებიც არ უნდა დასვა, არამედ ზეპირად უნდა იცოდე რეკომენდებული პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში სერიოზული პრობლემების გარანტია მომცეს. ამ პრობლემების ყველაზე უმტკივნეულო ვარიანტია ფსიქიკურ ჯანმრთელობაში ეჭვის შეტანა, რომელიც მაშინაც და დღესაც განაჩენს წარმოადგენს. ერთ-ერთ ქართულ ფილმში მეტად საგულისხმო დიალოგია გაკოჭილ გიჟსა და ფილმის გმირს შორის:
– *„ეგენი საგიჟეთში გვაგდებენ მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ უმრავლესობა არიან, ჩვენ კი უმცირესობა. აბა, პირიქით იყოს, დაინახავდნენ, ვინ არის გიჟი!"* უმრავლესობისა და უმცირესობის საკითხი, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია იმ მსოფლწესრიგში, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ. მართავს უმრავლესობა, რომელიც, მისი ერთ-ერთი ლიდერის სიტყვებით, *„რასაც უნდა, იმას გადაწყვეტს. თქვენ რომ იქნებით უმრავლესობაში, მერე რაც გენდომებათ, ის გააკეთეთ!"*. თუმცა უმრავლესობის წინააღმდეგ არათუ უმცირესობა, არამედ ზოგჯერ ერთადერთი ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს მართალი. ამის მშვენიერი მაგალითია ერთი ტესტი, რომელსაც საჯარო ლექციებისას ვიყენებ ხოლმე. მაგალითად, 50-კაციან დარბაზში შეკითხვაზე, თუ როგორ მოკლა ოტელომ დეზდემონა, თითქმის ყველა პასუხობს, რომ დაახრჩო. ჩაძიებისას რამდენიმე, 6-7 ადამიანი აზრს იცვლის და ამბობს, რომ შექსპირს ეს საკითხი ღიად აქვს დატოვებული, მთელი აუდიტორიიდან მხოლოდ ერთი ადამიანი დგას იმ აზრზე,

რომ ოტელომ ხანჯლით მოკლა მეუღლე. სტერეოტიპი ღრმადაა ფესვგადგმული, რადგან თითქმის მთელი ბოლო ასწლეულის მანძილზე სცენაზე დეზდემონას ახრჩობენ და ამ თემაზე უამრავი ანეკდოტიც კი არსებობს. სინამდვილეში, XX საუკუნის დასაწყისამდე სცენაზე შექსპირისეულ ვერსიას წარმოადგენდნენ, სანამ ერთმა, თანამედროვე გაგებით „მეგავარსკვლავმა" არ მიიჩნია, რომ ავტორისეულმა ვერსიამ დრო მოჭამა და ახალი, ნოვატორული გადაწყვეტა შესთავაზა მაყურებელს. შექსპირს რომ მსგავსი რამ ეჩვენებინა იმდროინდელ თეატრში, მაყურებელი, ალბათ, ლაყე კვერცხებით გაუმასპინძლდებოდა; სად გაგონილა, დამხრჩვალი ქალი ლაპარაკობდეს! დაჭრილი კი სიკვდილამდე ბევრის თქმას ასწრებს. თეატრის იმგვარი პირობითობა, რომელიც ახლა ჩვენთვის ორგანულია, იმ დროს სრულიად წარმოუდგენელი იყო. მართლაც, შექსპირს ის დროც კი ზუსტადა აქვს გამოთვლილი, რომელიც ცხენოსან რომეოს დასჭირდებოდა ვერონაში დასაბრუნებლად, რომ მძინარე ჯულიეტასთვის მიესწრო! ასე რომ, 50-კაციან აუდიტორიაში სწორ პასუხს მხოლოდ ერთი ადამიანი (ისიც საუკეთესო შემთხვევაში!) იძლევა. ამ მაგალითს სწორედ იმიტომ ვიყენებ ხოლმე, რომ მონაწილეებმა კარგად გაიაზრონ უმრავლესობისა და მისი გადაწყვეტილებების მართებულობის საკითხი. უნდა გითხრათ, რომ ამ მაგალითის ძალა ბევრად აღემატება ნებისმიერ მეცნიერულ პარალელს, ციტატასა თუ ლოგიკურ მსჯელობას.

არანაკლებ ჭკუის სასწავლებელია თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის გენიალური ფილმის „მაგდანას ლურჯას" მაგალითიც; თაობები გაიზარდა მაგდანას მიმართ ჩადენილ უსამართლობაზე ტირილით, მაგრამ ეკატერინე გაბაშვილის ეს მოთხრობა სულაც არ მთავრდება ისე, როგორც ფილმში: იმპერიულმა სასამართლომ სახედარი სწორედ მაგდანას მიაკუთვნა და არა ჩარჩს, რომელმაც ის შარაზე მიაგდო. საბჭოთა ცენზურამ მიიჩნია, რომ მეფის სასამართლოს არ შე-

ეძლო სამართლიანი განაჩენის გამოტანა და ამიტომ იქცა ამ მოთხრობის კინოვერსია, ტრაგედიად თუ არა, დრამად მაინც. ასე ხდებოდა სტერეოტიპების ჩამოყალიბება (ისევე, როგორც დღეს), თორემ „ღვინია გადაიჩეხას" და „თინას ლეკურის" ავტორს ვერაფერი შეუშლიდა ხელს, მაგდანა უსახედროდ დაეტოვებინა.

უმრავლესობა ძალიან ხშირად სტაბილურია, იცვლება მხოლოდ მისი „წარმმართველი ძალა". ეს ელემენტარული არითმეტიკაა; ადამიანების უდიდესი წილი რომ პრინციპულად ინარჩუნებდეს ამა თუ იმ შეხედულებას, არც ერთ უმცირესობას არასოდეს ექნებოდა შანსი, მმართველი ძალა გამხდარიყო. ეს ასეა და არა მარტო საქართველოში, არამედ ყველგან. მთავარია, ის უდიდესი წილი, ვინც ახალი უმრავლესობის „ჯარისკაცი" უნდა გახდეს, დაიყოლიო, დაარწმუნო, მოატყუო ან აიძულო. ყველა რევოლუცია ეფუძნება ამ მარტივ წესს. ბორის ბერეზოვსკის არ დაუმალავს თავის ინტერვიუში „დროებასთან", როცა ვარდების რევოლუციაზე საუბრობდა, რომ ხალხის უმრავლესობა ინერტულია, კონსერვატორი და არ სურს ცვლილებები. არსებობს აგრესიული უმცირესობა, რომელიც ამ ცვლილებებისკენ ისწრაფვის და ახორციელებს მათ. ახალი, შეცვლილი ვითარება კი კვლავ ინერტულ და კონსერვატორულ უმრავლესობას ეფუძნება. ამავე აზრს სხვადასხვა ფორმით შეხვდებით თანამედროვე დასავლეთის მეცნიერთა შრომებშიც, თუმცა, ჩვენ ჩვენიანი მოვიხმოთ. გია ნოდია სტატიაში „ნაციონალიზმი და დემოკრატია" წერდა: *„ლიბერალიზმის სოციალურ ბაზას ყოველთვის არისტოკრატთა ელიტები წარმოადგენდნენ (თუ მემკვიდრეობითი არა, სინდისისა და სულის არისტოკრატები მაინც). ლიბერალებს ყოველთვის ეშინოდათ დემოსისა, როგორც ძალის, რომელიც საფრთხეს ატარებდა თავისუფლებისათვის (მაგ., რიჩარდ ჰოფსტადტერს მიაჩნია, რომ, „მამა-დამფუძნებლების აზრით, თავისუფლებას, რომელზეც ყველაზე მეტად ზრუნავდნენ, დემოკრატია ემუქრებოდა"). უმრავლესობის ტირანია, – ხოლო უმრავლესობა ყოველთვის საშუალოთა უმრავლესობაა, – საში-*

ნელი საფრთხეა დემოკრატიისთვის. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ლიბერალებმა შეიძულეს სისხლის ტირანია სულზე და კიდევ უფრო მეტად – დინასტიურ მმართველთა თვითნებობა და ამიტომ მიიღეს დემოკრატია. ამასთანავე მათ მოუწიათ, პატივი ეცათ და გარკვეულწილად დაჰყოლოდნენ საერთო ნებას"[8]. როგორც ვხედავთ, უმრავლესობა უნიჭო, ტირანული და თავისუფლების მოწინააღმდეგე ყოფილა, ხოლო „სულის არისტოკრატები" თავისუფლების „ხათრით" უმრავლესობის ნებას პატივს სცემს, მაგრამ სინამდვილეში ეს უმრავლესობა „თავისუფლებისთვის ბრძოლის" მასალაა მხოლოდ.

> თუ ყურადღებით გადავხედავთ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, თვალნათლივ დავინახავთ, რომ პროცესები სწორედ „აგრესიული უმცირესობის" შეხედულებისამებრ იმართება. მაშინ გასაკვირი აღარც ის უნდა იყოს, რომ დასავლური ლიბერალური დემოკრატია რევოლუციური გზით იმკვიდრებს თავს იმ ქვეყნებში, რომლებიც თავისი ისტორიითა და ტრადიციებით ამ მოდელისაგან საკმაოდ შორს დგას. რევოლუცია ხომ სწორედ აგრესიული უმცირესობის დიქტატურაა და არა მუშათა კლასის ან საშუალო ფენისა. მათ შეუძლიათ თავს „სინდისის ან სულის არისტოკრატია" უწოდონ, მაგრამ ტენდენციის შინაარსს ეს არ ცვლის.

ასე რომ, როცა ქუჩაში გამოსულ ადამიანებთან დაკავშირებით 2003 და 2007 წელსაც ხელისუფლება (სხვადასხვა) ამტკიცებდა, რომ „ეს ხომ არ არის მთელი ხალხი", ეს სრული ჭეშმარიტება იყო და არის, ოღონდ მთავარია, „მთელი ხალხი" დაარწმუნო, რომ შენ სწორედ მისი სახელით და მისი სიკეთისათვის მოქმედებ. პოლიტტექნოლოგთა ოსტატობა სწორედ ამაშია და არა იმის ცოდნაში, თუ როგორ მოკლა ოტელომ დეზდემონა.

8. გ. ნოდია, „ნაციონალიზმი და დემოკრატია", http://www.politnauka.org/library/dem/nodia/.php.

მზა ფორმულები, მზა შეფასებები, მზა რეცეპტები – ეს სწორედ ის ინსტრუმენტებია, რომლებიც უკიდურესად აადვილებს ადამიანთა მართვას. სტანდარტიზაცია შორს გასცდა სავაჭრო საქონლისა და მომსახურების სფეროს. იგი ყოვლისმომცველი გახდა და უკვე აღარავის უკვირს, რომ სრულიად განსხვავებული წარსულისა და აწმყოს ქვეყნებში ერთნაირი „ფერადი რევოლუციები" ხდება. მეტიც, საბაბიც კი ერთი და იგივე აქვთ! სტანდარტული რევოლუციების გამარჯვებამ ადამიანთა იმ ნაწილში, ვინც რევოლუციონერებს ედგა მხარში, იმის ილუზია გაუჩინა, რომ იმავე მზა ფორმულირებების გამოყენებით კვლავაც იქნებოდა შესაძლებელი ახალი რევოლუცია. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ეს ფორმულები მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როცა მათ ოკეანისგაღმელ ავტორებს (და არა გამხმოვანებლებს) სჭირდებათ. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის კი შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა ის, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის განმავლობაში თვალნათლივ დაიწყო ჩამოყალიბება ადამიანთა კასტამ, რომელიც ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში საკუთარ თავს უფლებას აძლევს, ყველას მაგივრად გადაწყვიტოს, თუ როგორ ქვეყანაში უნდა იცხოვროს ყველა დანარჩენმა. დენი დიდრო ოცნებობდა იმ დროზე, როცა უკანასკნელ მეფეს უკანასკნელი მღვდლის ანაფორით ჩამოახრჩობდნენ. თანამედროვე ქართველი დიდროები ასე გაბედულად ვეღარ აცხადებენ საკუთარი სურვილების შესახებ; ამომრჩევლის რისხვას ერიდებიან. რაც შეეხება ახალი რევოლუციების მცდელობას, ნოდარ დუმბაძის დიდროიასავით, მათაც მეტისმეტმა ტვირთმა მოსწყვიტა წელი. ახლა ამ ტრაგიკომედიას ფინალიღა აკლია, რომ ხმამაღლა შეჰღაღადონ გამჩენს: „რას შვრები, ღმერთო, გაგიჟდი? ახლა, ყველაფერი რომ გაანათე და გამართე, ყველაფერს თავისი ადგილი რომ მიუჩინე, ახლა მართმევ სულს?"[9]

2007 წლის პოლიტიკური კრიზისი, როგორც მას ზოგიერთი ექსპერტი უწოდებს, შორს სცდება პოლიტიკურ მოედანს. ეს უფრო

9. ნ. დუმბაძე, რჩეული ნაწერები სამ ტომად, „დიდროია" ტ. III, გვ. 185.

ფასეულობათა შეჯახებაა. სწორედ ამიტომ დაიწყო პოლიტიკური სუბიექტების მიერ რელიგიური და ნაციონალისტური თემატიკით სპეკულაცია. ხოლო კონფლიქტი ქართული საზოგადოების შიგნით, რომელსაც ხშირად სრულიად უმართებულოდ თაობათა კონფლიქტს უწოდებენ, სინამდვილეში ელიტათა კონფლიქტს წარმოადგენს. თუ ჩვეულ ტერმინოლოგიას დავუბრუნდებით, მაშინ „ინტელიგენციათა კონფლიქტზე" უნდა ვისაუბროთ. ახალი ელიტა თავს ინტელიგენციას აღარ უწოდებს, რადგან თავად ეს ტერმინი საბჭოური გადმონაშთი ჰგონია.

ცრუობენ ჩვენი ლიბერალი ინტელექტუალები, როცა ინტელიგენციის, როგორც ფენის შექმნას კომუნისტებს აბრალებენ. ჯერ კიდევ თომა აკვინელი ღმერთს აბსოლუტურ ინტელიგენტად მიიჩნევდა, ინტელიგიბელურობას კი საგნად ან მოვლენად, რომელიც მხოლოდ გონით, ან ინტელექტუალური ინტუიციით შეიმეცნება. სხვა სიტყვებით, ინტელიგენტი „გონით შემმეცნებელს", „ინტელექტუალური ინტუიციით მოქმედს" ნიშნავს. რაც შეეხება კომუნისტებს, ისინი ინტელიგენციას იმ ფენად მიიჩნევდნენ, რომელიც გონებრივი შრომითაა დაკავებული. თუმცა არც ეს იყო ახალი; ადამიანები გონებრივი და ფიზიკური შრომის მიხედვით უძველესი დროიდან იყოფოდნენ. ყველა რევოლუციისათვის დამახასიათებელია გამარჯვებამდე არსებული ინტელიგენციის მიმხრობა, ხოლო შემდგომ – ახალი, საკუთარი ინტელიგენციის შექმნა. „ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი ყოველი ჯგუფისა, რომელიც გაბატონებული მდგომარეობისაკენ ისწრაფვის, არის მისი ბრძოლა ტრადიციული ინტელიგენციის ასიმილაციისა და „იდეოლოგიური" დაპყრობისათვის. ასიმილაცია და დაპყრობა მით უფრო სწრაფად და ქმედითად ხორციელდება, რაც უფრო ენერგიულად ახერხებს მოცემული ჯგუფი საკუთარი, ორგანული ინტელიგენციის ჩამოყალიბებას"[10]. შორს არც ჩვენი რევოლუცია წასულა; ინტელიგენციის ნაწილი მიიმხრო, ნაწილი კი „ჩარეცხა".

10. А. Грамши, «Тюремные тетради». http://www.hrono.info/libris/lib_g/gr-14.html.

ამაოდ როდია ნათქვამი – „ჟამი ქვების შეგროვებისა და ჟამი გაბნევისა". ახლა, რევოლუციიდან თითქმის 5 წლის შემდეგ, ჟამი შეიცვალა და ინტელიგენციის „ახალი ნაკადი" ისევ იძულებულია, „ძველების" მხოლოდ არსებობას კი არა, მის წარმოჩენასაც შეეგუოს (ოღონდ, საბედნიეროდ, „საკუთარი, ორგანული ინტელიგენციის" ჩამოყალიბება ისე სწრაფად ვერ მოხერხდა, რომ არსებული ინტელიგენციის სრული ასიმილირება მომხდარიყო).

1996 წელს ჩემი კოლეგა ტელეჟურნალისტი შემხვდა, რომლის ნათქვამიც სამუდამოდ დამამახსოვრდა: „სამი რამის ატანა აღარა მაქვს: შევარდნაძის – ხელისუფლებაში, ნანი ბრეგვაძის – ესტრადაზე და ჯულიეტა ვაშაყმაძის – ტელეეკრანზეო". შემზარავი და დაუნდობელი ფრაზაა, რომ არა ერთი დეტალი: ჩვენი, XX საუკუნის 60-იან წლებში დაბადებული თაობა ალბათ, ყველაზე მეტად „გაიჭყლიტა" ორ ეპოქას შორის; მიხრწნილ საბჭოთა კავშირში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არავის სჭირდებოდა ახალგაზრდა კადრები. **„თქვენი დრო ჯერ არ მოსულა!"** – გაიგონებდი ხშირად. ახლა, როცა თაობამ 50 წელს მიუკაკუნა, აღმოჩნდა, რომ ისინი **აღარავის** სჭირდება. სინამდვილეში ეს ყოველივე ხელოვნურია: ყველა ასაკს თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები აქვს. ვერც ვერავინ შეწყვეტს არსებობას მხოლოდ იმიტომ, რომ შენ მათი ყურება მოგბეზრდა. სხვა საკითხია, ვინ სად, როდის და როგორ არის საჭირო საზოგადოებისათვის. საერთოდაც, ქართველები არც იმდენი ვართ, რომ ასაკით, ან სხვა ნიშნით გამოვარჩიოთ ერთმანეთი.

„მე ჩემი გუნდით მოვედი!" – გაიგონებ ახლად გამომცხვარი სახელმწიფო მოხელისაგან, თითქოს ფეხბურთის სათამაშოდ იყოს მისული!

23 წლის მინისტრები და გუბერნატორები რევოლუციის „აღმოჩენა" არ გახლავთ; პირველად ამ ნოუჰაუს აპრობაცია შევარდნაძის ხელისუფლებაში მოხდა (იმავე „რეფორმატორთა გუნდის" დაჟინებით, რომელმაც შემდგომ „დემოკრატებში" და „ნაციონალებში" გადაინაცვლა). დღეს არც ის ახალგაზრდები არიან

დასაქმებული. საქმე ასაკში სულაც არ ყოფილა. სინამდვილეში ეს ყოველივე სწორედ „საკუთარი ინტელიგენციის გამოყვანის“ მცდელობა იყო მხოლოდ. „პერესტროიკის“ დროს სხვა ახალ ტერმინებთან ერთად ხშირად ახსენებდნენ „მენეჯერებს“. ეს ახალი სახელი ზუსტად იმას ნიშნავდა, რასაც ადრე საბჭოთა პირობით ენაზე „პარტიულ ნომენკლატურას“ უწოდებდნენ. ეს იყო ხალხი, რომლის დანიშვნა ნებისმიერ თანამდებობაზე შეიძლებოდა, რადგან მათ „კომკავშირული და პარტიული სკოლა“ ჰქონდათ გავლილი. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა: დღევანდელი სამთავრობო კარუსელები სწორედ ამ ახალ „მენეჯერებს“ ატრიალებენ.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ორი უკიდურესობა ჭარბობდა ჩვენს თვითშეფასებაში: ან „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“, ან – „ჩვენ ხომ ხალხი და საზოგადოება არა ვართ და არც არაფერს ვიმსახურებთ“. არაერთხელ დასმულა საკითხი იმის შესახებ, რომ ქართველები ის ხალხია, ვინც 90%-ით აირჩია გამსახურდია, შემდეგ ამდენივეთი – შევარდნაძე, ახლა იმავე რაოდენობით – სააკაშვილი. ამ ჩამონათვალის გავრცობა შეიძლება; ეროვნული მოძრაობის აღმავლობისას საბჭოთა საქართველოში უმრავლესობა უცებ „ეროვნული“ აღმოჩნდა (ასეთი კურიოზიც მოხდა; 1989 წლის მიწურულს განცხადებაში ერთ-ერთი მოქალაქე წერდა: „ბავშვობიდან ეროვნულ მოძრაობაში ვარ ჩაბმულიო“!), გადატრიალების შემდეგ ახალგაზრდების დიდ ნაწილს ჯიბეში „მხედრიონის“ „ქსივა“ აღმოაჩნდა, ახლა კი ნაციონალებს სახის გამომეტყველებითა და ქცევითაც გამოარჩევ. მაინც ვინა ვართ ქართველები? კონფორმისტები? ყველაფერთან შემგუებელნი? ყოველთვის გამარჯვებულის მხარეს მყოფი?

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ გვეუბნება: „ხოლო *კაცნი ამისა ქუეყნისანი არიან სარწმუნოებით ქრისტიანენი, რომელთა მიიღეს ჰრომით ჟამსა დიდის კონსტანტინესასა და სილიბისტროსსა წესნი და რიგნი ძუელნი ბერძენთა ბასილის კაბადუკიელისათა და შვიდის კრებისა უპყრავთ მტკიცედ, არამედ მძლავრებით უკეთუ ვინმე მიიქცის, ოდეს იცის ჟამი, კუ-*

ალად ეგების ქრისტიანედ შემნანე... მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი... სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყუარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქუეყანასა და მეფესა თვისსა, სტუმართა და უცხოთ მოყუარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაი შეიჭირვიან; უხვნი, არცა თვისსა და არცა სხვისას კრძალვენ; საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმხდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყუარენი. არამედ არს ჟამი რაოდენიმე, არღარა ისახელების ცოდნა, თვინიერ წიგნისა კითხვისა და წერისა, გალობა-სიმღერისა და სამხედროსაგან კიდე, და ჰგონებენ დიდ-მცოდინარობად. ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთისა დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი, თავხედნი, დიდების მოყუარენი, თუალმგებნი და მოთაკილენი."[11]

ამ დახასიათებიდან დღეს ყველაზე საყურადღებოდ ის ნაწილი გამოიყურება, რომლის მიხედვითაც ქართველები გონიერნი, სახელის მაძიებელნი, არა მომხვეჭელნი, არამედ უხვნი, წამბაძველნი და პატივმოყვარენიც ყოფილან. მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნას ამ სტრიქონების ავტორი განათლებად არ მიიჩნევს, – დღევანდელივით, განათლების დაქვეითებას უსვამს ხაზს. როგორც ჩანს, იმჟამინდელი ქართველები დიდად არ განსხვავდებოდნენ ხასიათით დღევანდელებისაგან. და მაინც, რანი ვიყავით და რამდენად შეესაბამება ჩვენი წარმოდგენა ჩვენს ისტორიასა და საკუთარ თავზე სინამდვილეს?

სულ ცოტა ხნის წინ სასწავლო პროგრამებში ჰაგიოგრაფიის ყოფნა-არყოფნის გამო ქართულ საზოგადოებაში დიდი პოლემიკა გაიმართა. „რეფორმატორები" მიიჩნევენ, რომ ჰაგიოგრაფიის სწავლება სულაც არ არის აუცილებელი. საზოგადოების სხვა ნაწილი აღშფოთებულია იმის გამო, რომ წმინდანთა ცხოვრების სწავლებაზე უარის თქმა სწორედ მაშინ ხდება, როცა საქართველო

11. „ქართლის ცხოვრება", „აღნერა სამეფოსა საქართველოსა", ტ. IV. თბ. 1973. გვ. 44.

დამოუკიდებელია და სარწმუნოებაც აღარ იდევნება. ვფიქრობ, საკითხი სხვაგვარად უნდა განვიხილოთ. საბჭოთა სასკოლო პროგრამამ გამოტოვა ჰაგიოგრაფიიდან ყოველივე, რაც ღმერთს, რწმენას, ღვთისმეტყველების სფეროს, თუნდაც იმჟამინდელ პოლიტიკას განეკუთვნებოდა და დატოვა სიუჟეტი, მისი ოდენ ლიტერატურული ღირებულება. დღეს, ნაცვლად იმისა, რომ „ათეისტურად" მოწოდებული ჰაგიოგრაფიის სიღრმისეულ ანალიზს მივუბრუნდეთ, მის პროგრამაში დატოვებაზე გვიწევს საუბარი. „საბჭოთა-მატერიალისტური" იყო ისტორიაც, რომელსაც საბჭოთა სკოლაში ასწავლიდნენ. არადა, ისტორიაში ბევრია მისტიკური, რაც მხოლოდ მატერიალისტური მიზეზებით არ აიხსნება. თუმცა, როგორც დრომ გვიჩვენა, ეს არ იყო მხოლოდ საბჭოთა სენი. თანამედროვე დასავლეთში არამც თუ ისტორია ან ლიტერატურა, თვით რელიგიაც **მატერიალისტურ** ხასიათს იძენს, დემისტიზებულია. მისტიკამ ახლა ჰოლივუდსა და ტელეარხ „დისკავერიზე" გადაინაცვლა. სამაგიეროდ, ყოველდღიურობაში მისტიკის ადგილი **მისტიფიკაციამ** დაიკავა.

ფილოსოფიური თვალსაზრისით **მატერიალიზმი** იმის რწმენაა, რომ რეალურია მხოლოდ მატერია, ხოლო ისტორიული პროცესების საფუძველს ეკონომიკური ფაქტორები ქმნის.

მისტიფიკაცია – განზრახ შეცდომაში შეყვანა. ამ მოვლენას დღეს საქართველოში მასობრივად „პიარს" უწოდებენ, რადგან მასების შეცდომაში შეყვანა სწორედ PR-ტექნოლოგიების გამოყენებით ხერხდება.

მატერიალისტურად ნასწავლ „შუშანიკის წამებაში" შუშანიკი ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გამოდის, სინამდვილეში კი მაზდეანობაზე გადასული ვარსქენი რჯულს არამცთუ ხალხს, საკუთარ ცოლსაც კი ვერ აცვლევინებს. ეს არ არის ერთი პიროვნების, თუნდაც „დედუფლის" ისტორია. ეს არის ხალხის ისტორია, რომელიც V საუკუნეშიც კი არ ცნობს ფორმულას: „ვისიცაა ძალაუფლება, მისია რჯულიც". არადა, ევროპელი მმართველები ამ ფორმულით

წყვეტდნენ თავიანთი ქვეშევრდომების აღმსარებლობის საკითხს XV საუკუნის ჩათვლით.

საბჭოთა სკოლაში ნასწავლი „აბოს წამება" ისე გამოიყურება, თითქოს ერთი არაბი მენელსაცხებლე ვაჟის გარდა ყველა უარყოფდა ქრისტიანობას. იოვანე საბანისძის ეს ციტატა, ალბათ, ყველაზე ხშირად არის გამოყენებული: *„მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულარძნეს – რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვრებით. და სხვანი, რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქვეშე დამონებულნი და ნაკლულოვანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა"*.[12]

ვერაფერი სახარბიელო სურათია, ხომ? და აი, ამ საერთო შიშის ფონზე გამოანათებს წმინდანი, ამ შემთხვევაში ახლად მოქცეული და სულაც არაქართველი აბო. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ქართველებს რჯულის გამო თავის გაწირვა არ გვინდოდა? მაგრამ ისტორია ხომ საპირისპიროს გვიდასტურებს? მაშინ, საბჭოთა პერიოდში არავინ გვასწავლიდა, რომ მთელი მოსახლეობის რჯულის შეცვლით არაბთა მიერ ქვეყნის დაპყრობას ეკონომიკური მომხიბლაობა ეკარგებოდა: ქრისტიანები ორჯერ მეტ გადასახადს იხდიდნენ, ვიდრე მაჰმადიანები[13]. გაცილებით

12. იოვანე საბანისძე, „ჰაბოს წამება", ქართული პროზა, წიგნი I, გვ. 120.

13. ხუთი ისლამური გადასახადიდან ერთ-ერთი – ხარაჯა – თავდაპირველად ყველა გადასახადს აღნიშნავდა, ხარკს არამუსლიმთაგან. არაბთა სახალიფოს შექმნის პირველ ათწლეულებში ითვლებოდა, რომ ხარაჯა უნდა ეხადათ მხოლოდ სხვა სარწმუნოების აღმსარებლებს, ხოლო მუსლიმები უშრს იხდიდნენ. ისლამზე მოქცეულთა რაოდენობის ზრდამ ხარაჯისა და, შესაბამისად, სახელმწიფო შემოსავლების შემცირება გამოიწვია. ამის შემდეგ ხარაჯის მიწების სტატუსი უცვლელი რჩებოდა და იგი არ იყო დამოკიდებული მიწისმფლობელის ან მოსარგებლის აღმსარებლობაზე. VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე ხარაჯა და ჯიზია ერთმანეთს გაემიჯნა. ხარაჯს უკვე განმარტავდნენ, როგორც საფასურს, რომელსაც სახელმწიფო იღებდა დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობისაგან მიწებით სარგებლობისათვის. ხარაჯა, როგორც მიწით სარგებლობის გადასახადი, გამოიყენებოდა თბილისის საამიროში. ჯიზია სულადი გადასახადი იყო, რომელსაც მუსლიმურ

უფრო მნიშვნელოვანია თავად აბოს საქციელის იდეოლოგიური დატვირთვა: საქართველოში არაბების ბატონობისას არაბი ყმაწვილი დაპყრობილი ხალხის რჯულზე გადადის. ეს დარტყმა საკმაოდ მძიმე იყო, ამიტომაც გაუსწორდნენ მას ასე სასტიკად. ამავე მიზეზით ეთმობა ნაწარმოების ერთი ნაწილი ორი რჯულის დოგმატების შედარებას (ზოგადად, თეოლოგიურ საკითხებზე პოლემიკა ძველი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ღირებული ნაწილია, რომელსაც ფართო საზოგადოება თითქმის არ იცნობს).[14] თავად „აბოს წამება" რომ იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებს, ამას მისი დასაწყისიც მეტყველებს:

ქართლის კათალიკოსმა სამოელმა ხსართან მღვდლის ხელით გაუგზავნა აბოს მეგობარს, იოვანე საბანისძეს, წერილი, რომელშიც სთხოვს: „ხელყავ სრულიად გამოთქუმად ჭეშმარიტად ვითარ იყო და ვითარ შენ თვით უწყი და აღწერე მარტვირობაი წმიდისა მოწამისა ჰაბოისი და აღწერილი ჩვენ მოგვიძღვანე". დავალება კათალიკოს სამოელს ამგვარად აქვს დასაბუთებული: „მნებავს, რათა დაიწეროს სანატრელისა ამისცა, ვითარცა პირველთა მათ ქრისტეს მოწამეითა, და დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსახსენებლად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩვენსა".

ჩვენ ხშირად დღევანდელი საზომით ვაფასებთ წარსულს და იმ დროს მცხოვრებ ადამიანებს, არ ვითვალისწინებთ იმ გარემოს, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. ზოგჯერ ჩვენეული მოტივაციითაც „ვაჯილდოებთ" და ნაკლებად ვფიქრობთ იმაზე,

---

სახელმწიფოში არამუსლიმები იხდიდნენ, როგორც გამოსასყიდს სიცოცხლის შესანარჩუნებლად და მფარველობისათვის. ჯიზიას გადახდა სავალდებულო იყო ყველა მოწიფული მამაკაცისათვის, გარდა მიხრწნილი მოხუცების, ინვალიდების, მათხოვრებისა და მონებისა. ჯიზია გადამხდელის ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით განისაზღვრებოდა. (ენციკლოპედიურ ცნობარ „ისლამის" მიხედვით. თბ. 1999, გამომც. „ნეკერი", გვ. 215; 225)

14. ეს პოლემიკა მაზდეანური, იუდაისტური, მაჰმადიანური აღმსარებლობის გარდა ქრისტიანობაში ნესტორიანობას, აგვისტინიზმს, მონოფელიტიზმს, კათოლიციზმს, მონოფიზიტიზმს მოიცავს. იხ. კ. კეკელიძე „ქართული ლიტერატურის ისტორია", 1960, ტ. I, გვ. 474-496.

რომ დღეს უდავოდ აღიარებული ჭეშმარიტებები საკმაოდ რთულად იმკვიდრებდა ადგილს. თუ იმას გავიხსენებთ, რომ VIII საუკუნეში აბო ახალგაზრდა, ენერგიით სავსე რელიგიის მქონე ხალხის წარმომადგენელია და პრესტიჟულ პროფესიასაც ფლობს, მის მიერ ქრისტიანობის მიღება სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება. სხვათა შორის, „აბოს წამება" იმითაც არის საინტერესო, რომ იგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის არა მარტო მაშინდელ მსოფლმხედველობათა ჭიდილზე, არამედ მართლმსაჯულებასა და პატიმრის უფლებებზეც. თბილისის ამირას თავშიც არ მოსვლია დაპატიმრებული აბოსთვის არცთუ მცირე ქონების ჩამორთმევა; პატიმარმა აბომ ყველაფერი გაყიდა და ფული გლახაკებს დაურიგა.

ფაქტობრივად, ორივე ჰაგიოგრაფიული ძეგლი სახელმწიფოებრივი აზროვნების ნათელ მაგალითს წარმოადგენს, მეტიც, ისინი ქართული სახელმწიფოებრიობის დოქტრინის ელემენტებს შეიცავს, რის ხაზგასმაც საბჭოთა სასკოლო განათლებას არაფერში არგებდა, მაგრამ თავად მისი სწავლება უკვე იძლეოდა საშუალებას, რომ ამის გააზრება მოგეხერხებინა.

ერთ-ერთ რუსულ ფორუმზე საინტერესო პაექრობას გადავაწყდი რუს და ქართველ ახალგაზრდებს შორის. ქართველის განცხადებაზე მართლმადიდებლობის რუსებზე ბევრად ადრე მიღების შესახებ რუსმა იქვე ჩამოუთვალა საქართველოს მაჰმადიანი მეფეები: როსტომი (1633-1658). ვახტანგ V შაჰნავაზი (1658-1675), დავით იმამ-ყულიხანი (1703-1722). კონსტანტინე II მუჰამედ-ყულიხანი. იესე ალი-ყულიხანი (1714-1716; 1724-1727). ერეკლე I ნაზარ-ალიხანი (1688-1703). ჩამოთვალა და დასკვნაც გამოიტანა, რომ ქართველები ისტორიულად მხოლოდ კარგ ცხოვრებას ეძებდნენ და მას ხან ერთი დამპყრობლის, ხან მეორის უღელქვეშ პოულობდნენ. ნუთუ მართლაც ასე გამოვიყურებით სხვის თვალში? რა ასეთი „კარგი ცხოვრება" ჰქონდათ ქართველ მეფეებს, მით უფრო გარემოებათა გამო სარწმუნოებაშეცვლილებს?

როდესაც აკაკი ბაქრაძე ქართულ ხასიათზე წერდა (გურამ

ასათიანის ნარკვევზე „სათავეებთან" დაწერილ რეცენზიაში), იგი საგანგებოდ შეეხო ნაცარქექიას სახეს.

„სიზარმაცე და ბაქიობა მისტიფიკაციაა, მომარჯვებული იმისათვის, რომ მტერმა ნაცარქექიას ნამდვილი თვისება ვერ ამოიცნოს. ახლა უფრო შორს წავიდეთ: განა ნაცარქექიასა და დევის ურთიერთობაში საქართველოს ისტორიული ცხოვრების მოდელი არა ჩანს? საქართველოს მთელი მისი გრძელი ისტორიის მანძილზე არასოდეს ჰქონია ურთიერთობა მის ტოლ სახელმწიფოსთან. იგი ყოველთვის მსოფლიო გოლიათებს ედგა პირისპირ:

საქართველო და რომის იმპერია,
საქართველო და ბიზანტიის საკეისრო,
საქართველო და არაბთა ხალიფატი,
საქართველო და სპარსეთის შაჰინშატი,
საქართველო და მონღოლთა ულუსი,
საქართველო და ოსმალთა სულთანატი,
საქართველო და რუსეთის ცარიზმი.

ამ უთანასწორო ბრძოლაში რა უშველიდა საქართველოს, თუ არა ჭკუა, გამჭრიახობა, მოქნილობა და ეშმაკობა. ქართველმა ხალხმაც ნაცარქექიას სახით ამგვარი იდეალი შექმნა. მტრის მოსატყუებლად ზარმაცისა და ბაქიას ნიღაბი აიფარა. თუ ეს არ დავინახეთ ნაცარქექიაში, მაშინ მას ცალმხრივად წარმოვიდგენთ და ნიღაბს არსად მივიჩნევთ".[15]

ამ ანალიზის კიდევ უფრო გავრცობაც შეიძლება. ისტორიული წყაროები გვიჩვენებს, რომ ა. ბაქრაძის თვალით დანახული ეს წახნაგი ქართული ხასიათისა არაერთხელ ყოფილა საქართველოსათვის ყველაზე მძიმე მომენტებში განმსაზღვრელი და გადამრჩენი.

მაჰმადიან მეფეებს რაც შეეხება, ნიკო ბერძენიშვილი, ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია მიუთითებენ:

„როსტომის მეფობით ირანისა და ქართლის ურთიერთობაში ახალი ხანა იწყება. ამიერიდან ვიდრე 1744 წლამდე ქართლს მაჰ-

15. ა. ბაქრაძე, „სულის ზრდა", თბ. 1986, გვ. 28.

მადიანი მეფეები განაგებდნენ, რომელთაც ქართლის „ვალი", ე. ი. შაჰის „მოადგილე" ეწოდებოდათ... როსტომი პირველი მაჰმადიანი მეფე იყო, რომელმაც ქართლში მტკიცედ ფეხის მოკიდება შეძლო. ასეთი მდგომარეობის მისაღწევად როსტომმა ხანგრძლივი ბრძოლა გადაიტანა... როსტომმა სწორედ იმიტომ გაიმარჯვა, რომ ქართველობას შეურიგებელი ბრძოლა არ გამოუცხადა. როსტომის ღონისძიებები ქართულ საზოგადოებრივსა და სამეურნეო წყობას არ შეხებია. აქ ყველაფერი უცვლელად დარჩა. არც ქრისტიანობა განიცდიდა მის დროს ქართლში აშკარა დევნას, გამაჰმადიანება უმთავრესად ფეოდალ მოხელეთა უმაღლეს წრეებს ეხებოდა".[16]

როსტომიცა და მისი მეუღლე მარიამიც ქონებას სწირავდნენ ქართულ ეკლესია-მონასტრებს, მარიამ დედოფალი აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-კულტურულ საქმიანობაში.

რუსულ ფორუმში მოყვანილი ნუსხა მხოლოდ ირანის **პროტექტორატს** ეხება. ამ პერიოდში ივ. სურგულაძის[17] ცნობით:

1. *ქართლის მეფეს ამტკიცებს შაჰი;*
2. *ქართლის მეფე მაჰმადიანია, მაგრამ ბაგრატიონების დინასტიიდან;*
3. *ქართლის მეფეს ირანშიც აქვს თანამდებობა;*
4. *ქართლის მეფე შაჰის „ვალია", ის შაჰისგან ხელფასს ღებულობს;*
5. *ირანი ქართლიდან ღებულობს ხარკს, რომელიც ზუსტად არ არის განსაზღვრული და აგრეთვე საჩუქრებს;*
6. *ქართლის მეფე ვალდებულია, შაჰის მოთხოვნისთანავე ჯარი გამოიყვანოს;*
7. *ქართლის მეფე საგარეო ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან ირანის გარეშე არ აწარმოებს.*

მეორე მხრივ, ირანი არ ერევა ქართლის სამეფოს შინაურ საქმეებში, არ დევნის ქრისტიანობას და ბაგრატიონთა დინასტიის ტახტის მემკვიდრეობას არ არღვევს.

16. ივ. სურგულაძე, „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის", თბ. 1952, ტ. I, გვ. 117.

17. იქვე, გვ. 118.

პროტექტორატი – ნახევრად კოლონიური დამოკიდებულების ფორმა. პროტექტორი სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს საგარეო ურთიერთობებს, სამხედრო ძალების ხელმძღვანელობას, მართლმსაჯულებას, ზოგიერთი გადასახადის ამოღებას.

მოყვანილი დახასიათება თანაბრად ეხება რუსულ ფორუმზე ჩამოთვლილ ყველა მეფეს. ნუსხაში შორსმჭვრეტელურად არ არის ნახსენები ვახტანგ VI, რომელიც ირანმა მანამ არ აუშვა ტახტზე, სანამ მაჰმადიანობა არ მიაღებინა, მაგრამ იგი რუსეთთან მოლაპარაკებებს იწყებს და ჩვენს რუს მეისტორიეს ამიტომაც „ავიწყდება" მისი ხსენება. რუსეთს რომ ირანის გამოცდილება გაეთვალისწინებინა და ბაგრატიონების დინასტიის ტახტი არ გაეუქმებინა, ბევრ გაუგებრობას აიცილებდა თავიდან, მაგრამ იყო ის, რაც იყო.

ამ გამოცდილების გათვალისწინება თავის დროზე არც ოსმალებს, დღევანდელ ჩვენს „ისტორიულ მეგობრებს" – თურქებს აწყენდათ, მაგრამ იყო ის, რაც იყო; იმავე ვახტანგ VI-ის რუსეთში გადახვეწის შემდგომ საქართველოში ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმი მყარდება (1723-1735).

ოსმალები ცდილობენ საკუთარი წყობილების შემოღებას, *„რის გამოც ქართლ-კახეთი ოსმალეთის წინააღმდეგ ნადირ-შაჰს მიემხრო, რადგან ირანის ბატონობა უფრო ნაკლებ ბოროტებად მიიჩნიეს საქართველოში. ირანმა ოსმალეთი განდევნა ქართლ-კახეთიდან, მაგრამ ოსმალობა არანაკლებ ყიზილბაშობამ შეცვალა... ნადირ-შაჰმა ქართლ-კახეთში ირანული გადასახადები და ყიზილბაშური წყობილება შემოიღო... მაშინვე ქართლსა და კახეთში აჯანყებები დაიწყო... აჯანყებულთა მხნე ბრძოლამ ნადირ-შაჰი აიძულა, საქართველოს გათათრებაზე საბოლოოდ ხელი აეღო და აქ თანდათან ძველი, ქართული წესწყობილება აღედგინა".* [18]

18. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 374-375.

ერთი სიტყვით, სანამ დამპყრობლები ქართულ ეროვნულ ინსტიტუტებს, – მეფესა და სარწმუნოებას, მის ყოველდღიურ ცხოვრების წესს არ ეხებოდნენ, თანაარსებობა ასე თუ ისე ასატანი იყო. როგორც კი ეს დაუწერელი კანონი ირღვეოდა, ხალხის რეაქციაც არ აყოვნებდა. რუსმა მეისტორიემ, და არა მარტო მან, კარგად უნდა გაითვითცნობიერონ ეს ქართული კანონზომიერება. თუმცა, რუსს რას ვემართლებით, როცა დღეს იმავე შეცდომას ქართული პროდასავლური ხელისუფლებაც უშვებს.

დღეს ხშირად მოისმენ მოწოდებას ერთიანობის შესახებ, წუწუნს იმის გამო, რომ ისტორიულად ამ ერთიანობის დეფიციტმა დაღუპა საქართველო. დაღუპა თუ გადაარჩინა? არაერთხელ ყოფილა ვითარება, როცა გაერთიანება ერთად დაღუპვას ნიშნავდა. გამოსავალი იყო ნანილში მაინც გადარჩენა, თუ, რა თქმა უნდა, იმ დიდი ერების ბედი არ გვინდოდა გაგვეზიარებინა, რომლებიც ისტორიის კატაკლიზმებმა შთანთქა და ახლა მათ მდიდარ ისტორიულ მემკვიდრეობას სხვები ათვალიერებენ მუზეუმებში.

აკაკი ბაქრაძე საგანგებოდ მიუთითებს ამ ერთიანობაზე: *„ჩემი აზრით, პოლივალენტური მთლიანობის შექმნის ცდა სამჯერ მოხდა საქართველოში. პირველად მაშინ, როცა ფარნავაზ მეფემ ერთიანობის საფუძვლად ქართული ენა გამოაცხადა და „არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“... მეორედ მაშინ, როცა ქრისტიანობა გამოცხადდა საერთო ქართულ რელიგიად და შეიქმნა იდეოლოგიური ფორმულა – „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართული ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. მესამედ მაშინ, როცა თერგდალეულებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშის ქვეშ შეკრიბეს ქართველობა... ყოველი ხალხის ეროვნული ხასიათისა და ენერგიის სრულად გამოსავლენად აუცილებელია – ტერიტორიული მთლიანობა, იდეოლოგიური ერთიანობა და თავისუფლება.“* [19]

19. ა. ბაქრაძე, „სულის ზრდა“, თბ. 1986, გვ 61.

მკითხველი უთუოდ მიაქცევს ყურადღებას, რომ ილიასეულ ტრიადას – „მამული, ენა, სარწმუნოება“ ცვლის ახალი, – ტერიტორიული მთლიანობა (რომლის პრობლემაც დღეს სრული სიგრძე-სიგანით დგას საქართველოს წინაშე), იდეოლოგია (რომელშიც სარწმუნოებას გულისხმობს ა.ბაქრაძე) და თავისუფლება (რომელიც ენის საპირწონე კი არ არის, არამედ ქვეყნის დამოუკიდებლობას აღნიშნავს, რასაც თავისთავად ცხადი მიზეზების გამო აკაკი ბაქრაძე ვერ გაშიფრავდა 1980 წელს. ამიტომ იგი ზოგად ტერმინს – თავისუფლებას იყენებს, რომლის გაგებაც მეტად ფართოა). პრობლემა ის გახლავთ, რომ ამ კატეგორიებით ოპერირება მაშინ შეიძლება, როცა ერი ფიზიკურად არსებობს, არ გადაშენებულა, ხოლო საქართველოს ისტორიის უმეტესი ხანი სწორედ ფიზიკური გადარჩენისთვის ბრძოლას წარმოადგენდა! ჩვენში ხშირად წუხან იმაზე, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა, ერთად შეკრებილი, 500-ოდე წელინადს თუ ითვლის. მერედა, რაო? განა ეს ცოტაა? ზოგიერთი დღევანდელი ზესახელმწიფო სულაც 200 წლისაა, დანარჩენებს კი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ნაკლები სტაჟიცა აქვთ, მაგრამ სულაც არ წუხან ამის გამო.

ზოგადად ქართველებს ხშირად გვემართება, რომ ნაკლად ვითვლით იმას, რაც სულაც არ არის ნაკლი, მით უფრო – დღევანდელ ცინიკურ მსოფლიოში. დიახ, საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ „ირხეოდა, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. როცა ამას სკოლაში გვასწავლიდნენ, იგულისხმებოდა, რომ ეს არ არის საკადრისი საქციელი. მაგრამ ძლიერ ქარს მუხის ფესვიანად მოგლეჯა შეუძლია და მოუგლეჯია კიდეც ჩვენზე დიდი და მრავალრიცხოვანი ერები. ლერწამი კი წვება, ქარიშხალს გადაატარებს და კვლავ ფეხზე დგება.

თავი II. „ობიექტები, რომლებსაც სარკეში ვხედავთ, სინამდვილეში უფრო ახლოსაა, ვიდრე გვეჩვენება“[20]

ყველაფერი, რაც ჩვენ გარშემო ხდება და რაც ასე გვაღიზიანებს, სულაც არ არის „ჯერ არნახული“. უბრალოდ ხშირად ჩვენ შედეგებს ვებრძვით, რადგან ისინი ჩვენთვის მიუღებელია და ნაკლებად ვირჯით თავს იმის ანალიზით, თუ რატომ ხდება ასე და არა სხვაგვარად. მიგვაჩნია, რომ თუ მოქმედი გმირები შეიცვლებიან, ეს უსათუოდ შეაჩერებს მოვლენათა არასასურველ განვითარებას. ასე არ არის, თუმცა არც ყველაფრის „უსულო“ გლობალიზაციაზე გადაბრალება ივარგებს, რადგან მას „სულიერი“ აქტორების გარეშე უშუალო მოქმედების ძალა არა აქვს. იმის გარჩევას, თუ ვინ არის პოლიტიკური ძალებიდან ამ დასის აქტორი ან მისი რეზერვი, საქართველოს მიღმა მიმდინარე მოვლენების ცოდნა და სერიოზული განსჯა სჭირდება, რითაც ჩვენი მედია მაინცდამაინც არ გვანებივრებს. არც გასაკვირია, რადგან ცოდნა და გამოცდილება კარგა ხანია, ქართულ მედიას აღარ „აწუხებს“.

გაოცებას იწვევს ერთი ქართული სენი; ჩვენში ხშირად მოისმენ აგდებულად ნათქვამს რომელიმე ქვეყანაზე და იმის ხაზგასმას, რომ ჩვენ ისე არ უნდა გვექცეოდნენ, როგორც მათ (ქვეყნებს შეგნებულად არ ვასახელებ). 70-80-მილიონიანი მოსახლეობის სახელმწიფოებს ისე იოლად აუკრავენ ხოლმე ხელს, თითქოს მათ მიმართ დაშვებული უსამართლობა ან უკანონობა ქართველებს „ვერ უნდა აკადრონ“. ამ დამოკიდებულების გამო ჩვენ ხშირად ვერ ვგრძნობთ საფრთხეებს, რომლებიც გვემუქრება, ვერ ვხედავთ აშკარა პარალელებს და ისეთი განცდა გვეუფლება, თითქოს ჩვენს თავს სრულიად განსაკუთრებული ამბები ხდება. არადა, საქართველო, ისევე, როგორც ნებისმიერი ქვეყანა,

20. OBJECTS IN MIRROR ARE CLOZER THEN THEY APPEAR (გამაფრთხილებელი წარწერა „მერსედესის“ ავტომობილების სარკეზე).

დამოკიდებულია იმ მოვლენებზე და მათ დინამიკაზე, რომლებიც მსოფლიოში მიმდინარეობს. შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი უახლესი ისტორიის მხოლოდ სამი ეპიზოდი გავიხსენოთ: 1991 წელს ზვიად გამსახურდია დაამხეს, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერაყში „ქარიშხალი უდაბნოში“ განახორციელეს; 1993 წელს სოხუმი დაეცა, როცა ელცინმა რუსეთის პარლამენტს არტილერია მიაყენა; 2003 წელს ვარდების რევოლუცია მოხდა სულ მალე აშშ-ის მიერ ერაყში მეორე კამპანიის დაწყებიდან. როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში რაიმე ექსტრაორდინარული ხდება, მზად უნდა იყო, რომ იგი შენს ქვეყანაზეც ასე თუ ისე აისახება. არ არის აუცილებელი, ეს მაინც და მაინც ომი, ან გადატრიალება იყოს, – პარალელები და ანალოგიები ზოგჯერ ყოველდღიურში, არაფრით გამორჩეულშიც უნდა დავინახოთ, რათა ხვალინდელი საფრთხებისათვის მზად ვიყოთ და ჩვენი სახელმწიფოებრივი ყოფა დავგეგმოთ.

ამგვარ ვითარებაში ხშირად მოისმენ გამონათქვამს: „ახლა კრიზისია (არჩევნებია, ცუნამია და ა. შ.) და ჩვენთვის არავის სცალია.“ სამწუხაროდ, ამ „ხალხურობის“ იქით თანამედროვე ტენდენციათა ანალიზი აღარ მიდის ხოლმე. 2008 წლის აგვისტოს ომმა თვალნათლივ აჩვენა, რომ მეზობელ საქართველოში მიმდინარე პროცესების გაანალიზება აზერბაიჯანმა და სომხეთმა მყისიერად მოახერხეს და ყარაბაღის პრობლემის მოგვარების საკითხის მკვდარი წერტილიდან დაძვრაც რეალურად შეძლეს. საქართველოც ასე მყისიერად რომ ახერხებდეს სამეზობლოში მომხდარის ანალიზს, იმ უმძიმესი ვითარების აცილებასაც შევძლებდით, რომელშიც აღმოვჩნდით.

გლობალიზაციის კომპეტენტური მკვლევარები, ჯეიმს დეივისონ ჰანტერი და ჯოშუა იეიტსი აღნიშნავენ: *„ორი ყველაზე საოცარი მომენტი, რომელშიც გლობალიზატორთა ყველა ჯგუფი თანხმდება, ეს ჯერ ერთი, ის არის, რომ აუცილებელია*

ადაპტირება იმ მოთხოვნებთან, რომელთაც გლობალიზაცია გვიყენებს, და მეორე – მის სიმბოლურ წარმოდგენაში სადგურიდან გასული მატარებლის, ან ნაპირიდან დაძრული გემის სახით. მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყვნენ ეს გლობალიზატორები – ბიზნესის წარმომადგენლები, არასამთავრობო სექტორის თანამშრომლები თუ მთავრობათა წევრები, – მათ ერთი და იგივე გრძნობა ეუფლებოდათ: „თუ ვინმემ მატარებელზე (ან გემზე) ამოსვლა ვერ მოასწრო, იგი სამუდამოდ დარჩება უკან".[21] ხომ არაფერს მოგაგონებთ ეს სიმბოლური სურათი? თქვენ შორის არიან ისეთები, ვისაც „მიშას მატარებელზე" ბილეთის აღება დაუგვიანდა? მაშინ გაითვალეთ „უკან დარჩენილებსა" და „ჩარეცხილებზე".

ყველაფერი, რაც ჩვენში ბოლო წლებში ხდება და რაც ხშირად მოსახლეობის აღშფოთებას იწვევს, ხელისუფლების მხრიდან 4 წლის განმავლობაში ჯერ დაუფარავი ცინიზმით და იმის ხაზგასმით კეთდებოდა, რომ მხოლოდ მათ იციან, როგორ უნდა „წავიდეს ქვეყანა წინ", ხოლო 2007 წლის შემოდგომის მასობრივი საპროტესტო გამოსვლების შემდეგ ხელისუფლებამ თავი მოიკატუნა; თურმე, მთავარი პრობლემა ის ყოფილა, რომ „ხალხს დროულად არ აუხსნეს რეფორმების შინაარსი". მოდი ჩვენ თვითონ ვცადოთ ახსნა, მით უფრო, რომ ხელისუფლებას არც მას მერე შეუწუხებია რაიმეს ახსნით თავი.

ესპანელი მწერალი და პუბლიცისტი არტურო პერეს რევერტე 1999 წელს წერდა: *„ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ დღევანდელ ესპანეთში, სადაც პოლიტიკოსები და მაგნატები ხელების ფშვნეტით უამბობენ უბრალო ადამიანებს, თუ რა შესანიშნავად ვცხოვრობთ, როგორი არაჩვეულებრივი ეკონომიკური მაჩვენებლები გვაქვს და როგორი აწყვეტილი ტემპით ვითარდება წარმოება და ვაჭრობა... ვიცი, რა დღეშიც ხარ, მეგობარო. გეშინია გასაუბრებაზე გასვლა, რადგან 50 წლისა ხარ და სულ*

21. Дж. Девисон Хантер и Дж. Йейтс «Мир американских глобализаторов», «Многоликая глобализация» М. 2004. გვ. 367.

გაჭაღარავდი. მათ, ვის ზეც შენი ბედია დამოკიდებული, ეჩვენებათ, რომ მუდამ ახალგაზრდები, ჯანმრთელები და წარმატებულები იქნებიან და ამიტომ თავს უფლებას აძლევენ, ეზიზღებოდეთ მოხუცები. მათ მიუფურთხებიათ შენს გამოცდილებაზე და შენ ეს იცი. მათ ურჩევნიათ ოცი წლისანი, ოჯახი რომ არ აწუხებთ, ინგლისური იციან და არც დაბერებას აპირებენ, არც სიკვდილს...“[22]

ამ ესპანელისთვის „ჩარეცხილი“ არავის უწოდებია, მაგრამ განა დიდად განსხვავდება მისი მდგომარეობა ჩვენისგან? ესპანეთი ევროკავშირის წევრიც არის და ნატოსიც, მაგრამ იქაც ისევე ექცევიან ხალხს, როგორც აქ. ეს სტანდარტია და, რაც მთავარია, დროებითი სტანდარტი როდია. თუ გაიხსენებთ ფილმს „ახალი ესპანელები“, რომელშიც ამერიკული კორპორაცია ყიდულობს ესპანურ სადაზღვევო ფირმას, მიხვდებით, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში ადამიანების მიმართ დამოკიდებულების ეს სტანდარტი არ შეცვლილა.

ყველას კარგად გვახსოვს, როგორი აღშფოთება გამოიწვია კანონპროექტმა „თბილისის ისტორიული უბნების“ შესახებ. ძველი უბნების მცხოვრებლები მაშინვე მიხვდნენ, თუ რას უქადდა ეს კანონი. ახლა ვნახოთ, სხვაგანაც ხომ არ ყოფილა ამგვარი მცდელობები. ამერიკელი მკვლევარი, მ.პარენტი წერს: *„უძრავი ქონების სპეკულაციის, ჯენტრიფიკაციის, ბინების შესყიდვის, უმუშევრობის, დაბალი ხელფასების, აგრეთვე ბინის ქირის და იჯარის საკითხების რეგულირების არარსებობით დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანებს გამოდევნიან საბინაო ბაზრიდან“*[23]. გასაგებია, რომ ღარიბი თბილისელების მსგავსად, რომელთაც ადრე თუ გვიან „ისტორიულ უბანში ცხოვრების გადასახადი“ საცხოვრებელს გააყიდვინებდა და უფრო „იაფ

22. А. Перес-Реверте «С намерением оскорбить» М. 2005. გვ. 119 და 128. ჩვენი მკითხველი არტურო პერეს-რევერტეს იცნობს როგორც მხოლოდ პოპულარული ისტორიული დეტექტივების ავტორს. იგი ცნობილი პუბლიცისტი და ესპანეთში ყველაზე პოპულარული ჟურნალის „სემანალეს“ მუდმივი ავტორია. მისი ესეები თანამედროვე ესპანური ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. ზემოთ ნახსენებ წიგნში მისი 1998-2001 წლების ესეებია თავმოყრილი.

23. М. Паренти «Демократия для избранных» М. 2006. გვ. 40.

უბნებში" გადაასახლებდა, ამერიკელებიც იძულებული ხდებიან, დატოვონ სხვისთვის სასურველი ტერიტორია, მაგრამ რას ნიშნავს ჯენტრიფიკაცია? ეს გახლავთ ***აშშ დასავლეთის ქალაქების ცენტრალური უბნების აღდგენის პროცესი. იგი ითვალისწინებს ისტორიული თუ ეკოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო კვარტალების რეკონსტრუქციას, შემდგომ მათში მდიდარი ადამიანების ჩასახლებით***[24]. ეს არის ჯენტრიფიკაციის განმარტება და, როგორც ვხედავთ, იგი ქართული რევოლუციური აზრის მონაპოვარი სულაც არ ყოფილა. ჯერჯერობით თბილისში პროექტი შეაჩერეს, მაგრამ არავინ იცის, რამდენი ხნით.

რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისში ჯერ ტროლეიბუსების, შემდეგ კი ტრამვაის ხაზები საბოლოდ განადგურდა. რას ერჩოდნენ ამ ყველაზე იაფ და ეკოლოგიურად მომგებიან ტრანსპორტს? ევროპაში, მაგალითად, სტრასბურგში, სადაც ჩვენი რეფორმატორები ხშირ-ხშირად დაიარებიან, ტრამვაი ძირითადი საზოგადოებრივი ტრანსპორტია და მას არათუ აუქმებენ, მუდმივად ანახლებენ. პასუხს ამ კითხვაზე ისევ ოკეანის გაღმა ვპოულობთ; ურბანისტიკის აღიარებული ექსპერტი ჯეინ ჯეკობსი წერს: *„კონსერვატორები ამტკიცებენ, რომ ამერიკელებმა, როცა თავისუფალი ბაზარი შექმნეს, აღიარეს ავტომობილისა და მისი როლის პირველადობა, რამაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაცემა გამოიწვია. ეს მოსაზრება მხოლოდ მაშინ შეიძლება ირწმუნო, თუ დაივიწყებ, როგორი დაჟინებით უტევდნენ საზოგადოებრივ ტრანსპორტს კორპორაციები, რათა მეტი ბენზინი, საბურავები და შიგაწვისძრავიანი მანქანები გაეყიდათ. ეს სტრატეგია პირველად „ჯენერალ მოტორსის" ავტობუსების ქვედანაყოფმა მოსინჯა 1920-იან წლებში მიჩიგანის ორ პატარა და ოჰაიოს ერთ ქალაქში. კონსორციუმმა შეისყიდა ქალაქების ტრამვაის ხაზები, აყარა ისინი და მათ ადგილზე ავტობუსის მარშრუტები დანიშნა. შემდეგ ეს მარშრუტებიც გაყიდა და ეს ავტობუსების, ბენზინისა და საბურავების მომავალი მიყიდვის*

24. М. Паренти «Демократия для избранных» М. 2006. გვ. 40.

კონტრაქტებს დაუკავშირა. 1930-იან წლებში ეს ტაქტიკა კიდევ უფრო დაიხვეწა. „ჯენერალ მოტორსის" შვილობილმა კომპანიამ, სახელად „ნაციონალური საქალაქო მარშრუტები" ათეულობით ტრანზიტული ხაზი შეისყიდა. ქალაქებმა, რომლებიც დიდი დეპრესიის გამო მძიმე დარტყმა მიიღეს, უარი ვერ თქვეს „ცოცხალ" ფულზე. ტრამვაი ავტობუსზე ბევრად უფრო იაფი იყო და მისი ექსპლოატირება სამჯერ უფრო დიდხანს შეიძლებოდა. ასე რომ, ტრანსპორტის ამგვარი რეკონსტრუქცია საბოლო ჯამში აშკარად წამგებიანი იყო. იქ, სადაც მოიძებნნენ ადამიანები, რომლებმაც შეძლეს რეკონსტრუქციის ზარალიანობის დასაბუთება, საქმეში დამატებითი არგუმენტები და პრესინგიც კი ჩაერთო. ცოტა ხანში, მას შემდეგ, რაც რობერტ მოზესმა შეძლო ნიუ-იორკის მოსულელო მერის, ფიორელო ლა გუარდიას დარწმუნება, რომ ტრამვაი უსაშველოდ მოძველდა, „ჯენერალ მოტორსმა" ავტომაგისტრალების დაგეგმვისა და ფინანსირების შესახებ სტატიისათვის მოზესს პრემია მიანიჭა 25.000 დოლარის ოდენობით (თანამედროვე ეკვივალენტით ეს 165.000 დოლარს შეადგენს). გარდა ამისა, კომპანიამ მნიშვნელოვანი თანხები ჩადო 1939 წლის მსოფლიო გამოფენის ორგანიზებაში (მოზესის პროექტში)... ომის დროს და მის შემდეგ ტრამვაის ხაზების გაყიდვა გრძელდებოდა და ტემპს იკრებდა. „ნაციონალური საქალაქო მარშრუტები" კიდევ ორ, ასევე „ჯენერალ მოტორსის" შვილობილ კომპანიასთან ერთად 1950 წლისათვის უკვე აშშ 83 ქალაქში აკონტროლებდა საქალაქო ტრანსპორტს..."[25]

როგორც იქნა, აშშ კონგრესმა და იუსტიციის სამინისტრომ ყურადღება მიაქციეს ამ პრობლემას. 9 კორპორაცია და 7 აღმასრულებელი დირექტორი გაასამართლეს თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვისათვის. ალბათ გაინტერესებთ, როგორ დაისაჯნენ ისინი. თითოეულმა ფიზიკურმა პირმა ჯარიმის სახით გადაიხადა 1 დოლარი, ხოლო კომპანიამ – 1500 დოლარი! ასეთია ამერიკული კანონის უზენაესობა.[26]

25. Дж. Джекобс «Закат Америки» М. 2006. გვ. 60.
26. Дж. Джекобс «Закат Америки» М. 2006. გვ. 61.

1927-1933 წლებში ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც მანამდე „ჯერ არნახულ", რევოლუციურ ცვლილებებს ახორციელებდა, თბილისში მტკვრის სანაპიროების „მოწესრიგება" გადაწყვიტა. 1935 წელს უკვე ჩაბარდა მონაკვეთი მაშინდელი ელბაქიძიდან კარლ მარქსის მოედნამდე. შემდგომ წლებში ეს მონაკვეთი გაგრძელდა გმირთა მოედნიდან ბარათაშვილის ხიდამდე. მტკვარი ბეტონის ჯებირებში მოექცა. ამ გადაწყვეტილებამ სერიოზულად შეცვალა ქალაქის სახე, დაკარგვინა მას კოლორიტი და, ფაქტობრივად, მდინარე და ქალაქი ერთმანეთისგან გააუცხოვა. პროექტმა ბოლო მოუღო უამრავ დიდსა და მცირე კუნძულს მტკვრის კალაპოტში, მათ შორის ორბელიანების (შემდგომ გენერალ მადათოვის) კუნძულს თავის ბაღებიანად. საკითხის ესთეტიკურ მხარეზე დიდხანს შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ აქ ერთ მტკივნეულ პრობლემაზე შევჩერდეთ, რომლის შედეგებსაც დღეს ვიმკით. სანაპიროების ჩაბეტონებამდე მამადავითიდან ჩამოდენილი გრუნტის წყლები უპრობლემოდ ერთვოდა მტკვარს. როგორც კი წყალს ეს გზა გადაუკეტეს, მან დაგროვება იწყო და 50 წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მთელი სოლოლაკი წყალზე დგას. რომ არა სანაპიროს „რევოლუციური" რეკონსტრუქცია, სოლოლაკის ყველაზე კოლორიტული სახლები დღეს არც დაინგრეოდა და არც ავარიული შეიქნებოდა. ბეტონით ამ გატაცებას შეეწირა მდინარე ვერე, ზღვა ენერგია და სახსრები მიეძღვნა ამ პატარა მდინარის კალაპოტის მიწით ამოვსებას და მის მილებში გადაგდებას. დღეს კი ხელოვნური შადრევნებით მოგვაქვს თავი. ასევე განადგურდა თბილისის ბუნებრივი ვენტილაციის უნიკალური სისტემა; ქალაქის ქუჩები იმგვარად იყო დაპროექტებული, რომ მტვერი ქარს გაჰქონდა და მისი ძალაც „ტყდებოდა". ფართო მოედნებისა და პროსპექტების ხიბლმა ის გამოიწვია, რომ ქარი მეტად საგრძნობი გახდა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, ხოლო მტვერი მას ვეღარ გააქვს. ქალაქის იერსახეზე დღესაც ბევრს ბჭობენ, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს „რევოლუციურ, ჯერ არნახულ" პროექტებს,

რომელთა მიხედვით თბილისი ცათამბჯენების ქალაქად უნდა იქცეს. არქიტექტორი ნოდარ მგალობლიშვილი იგონებდა: *„ერთმა ჩეხმა არქიტექტორმა მითხრა: პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პრაღა გადარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ რესპუბლიკას არ ჰქონდა სახსრები იმ პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც ქალაქის დღევანდელ შესანიშნავ სახეს ბოლოს მოუღებდნენო."*[27] ასე რომ, პრაღა განუმეორებელი იერის შენარჩუნებას ჩეხეთის რესპუბლიკის მესვეურთა გონიერებას კი არა, 20-იანი წლების სილატაკეს უნდა უმადლოდეს.

რა კავშირი აქვს ამერიკაში პროფესორების იდეოლოგიურ დევნას ჩვენს უნივერსიტეტებში განხორციელებულ „ასაკობრივ დევნასთან"? იდეოლოგია დიდწილად იმის მიხედვით ფორმირდება, თუ რას ასწავლიან სტუდენტს. ამასთანავე, საბჭოთა პერიოდში წარმატებული ადამიანების მიშვება ახალგაზრდებთან სასურველი არ არის. შესაძლოა, მათ კრიტიკული აზროვნების მაგალითიც კი მისცენ. ეს კი სულაც არ არის საჭირო. სტუდენტები უნდა იზრდებოდნენ მარტივი ფორმულებით: „ბეთჰოვენი მეხთამტყორცნელია, მოცარტი – ღვთიური". „ამერიკა კარგია, რუსეთი – ცუდი". „ომი ერაყში ქართველი პატრიოტების საქმეა, ომი ტერიტორიების დასაბრუნებლად – ცუდი". „საბჭოთა ჯარებმა ავღანეთში ოკუპაცია მოახდინეს, ამერიკულმა ჯარებმა ავღანეთში – დემოკრატია შეიტანეს". ამ შედარებების გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. აზროვნებით მეტისმეტად რომ არ დაიტვირთოთ, ჯობს ტესტებს უპასუხოთ, სადაც რამდენიმე პასუხიდან ერთი აირჩევა და დასაბუთება არ არის საჭირო. რაც უფრო მეტს იფიქრებ, მით უფრო მეტი „არასაჭირო" აზრი მოგივა თავში.

ოტავის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში თქვა: *„სტუდენტები აპროტესტებენ იმ ტიპის კულტურის დამკვიდრების მცდელობას, რომელშიც გაქრა პირადი*

27. ნ. მგალობლიშვილი „არქიტექტურა ბუნების წინააღმდეგ?" ჟურნ. „განთიადი", №2, 1975. გვ. 145.

მაგალითის გაცნობის შესაძლებლობა და შანსი, გაესაუბრონ დაბრძენებულ ადამიანს."[28] ამ შესაძლებლობისა და შანსის წართმევაა სწორედ ის, რაც ხდება ჩვენს უნივერსიტეტებში.

საერთოდაც რა ხდება ჩვენი განათლების სისტემაში? რატომ არის ეს რეფორმა „ყველაზე წარმატებულად" აღიარებული ხელისუფლებისა და ოპოზიციის ერთი ნაწილის მიერ და რატომ არის იგი ასეთი არაპოპულარული ხალხში? წარმოუდგენელია, რომ რომელიმე მშობელს საკუთარი შვილისათვის კარგი განათლება არ უნდოდეს და უვარგისს ეტანებოდეს. ყველაზე სუსტი წერტილი საბჭოთა განათლების სისტემისა ის იყო, რომ ფართო ზოგად განათლებას იძლეოდა და ხშირად უჩიოდნენ სპეციალური ცოდნის დეფიციტს. ეს მართლაც მნიშვნელოვანი საკითხია და ამაზე ქართველები 100 წლის წინაც ფიქრობდნენ.

ეგნატე ნინოშვილი: *„ცოტა ჰყავს საფრანგეთს „არსებითი საგნების", ანუ ბუნების მცოდნე კაცები", რომ შიმშილისგან გაბრაზებული პროლეტარები ყოველ წამში დამხობას უპირებენ სახელმწიფო წყობილებას? ცოტა არის გერმანიაში საქმის მცოდნე სწავლულები, რომ დღეს თითქმის იქაური საუკეთესო ინტელიგენციის ყურადღება მიიქცია ლატაკების უნუგეშო მდგომარეობამ? ან კიდევ თვითონ რუსეთში... განა ცოტა არის ინჟინრები, კაპიტალისტები და აგრონომები, რომ ოცი-ოცდაათი მილიონი ხალხი, სიმშილით გაჭირვებული იყო და დღესაც ბევრია გაჭირვებული?.. იქნებ ზოგიერთებმა მიპასუხონ, რომ თუკი ვიმუშავებთ, ყველას გვეყოფა და სრულიადაც ის არ დაგვემართება, რაც ევროპას სჭირს, ე. ი. პროლეტარები (ლატაკები) არ გაჩნდებიან ჩვენშიო. ამ პასუხის პასუხად აი, რას მოვახსენებ: ამერიკის შეერთებული შტატები იმდენად მდიდარია, რომ სახელმწიფო ხაზინის მმართველმა გამოაცხადა: „ძლიერ ბევრი ფული დაგროვდა ხაზინაში და დასახარჯი გზა არსად ჩანს და რა ვუყოთო. მაგრამ შეერთებული შტატების ერის ერთ ნაწილს და კარგა ნაწილსაც, სიმშილით კუჭი ეწვის და არაფერში გამოსდგომია ბურჟუების*

28. Дж. Джекобс «Закат Америки» М. 2006. გვ. 73.

სიმდიდრე... საუკეთესო პოლიტიკოს-ეკონომებმა მეცნიერულად, ისტორიული ფაქტებით დაამტკიცეს, რომ იქ, სადაც კაპიტალიზმი და მრეწველობა ეხლანდელი ეკონომიური და სოციალური წყობილებით ფეხს გაიდგამს, ერის ერთი ნაწილი ღატაკდება და ვარდება მეორე ნაწილის ხელში ეკონომიურ მონადო".[29]

ეგნატე ნინოშვილი სრულიად დაუმსახურებლად არის მივიწყებული იმის გამო, რომ მას ბოლშევიკებმა „სოციალურ უსამართლობასთან" მებრძოლის იარლიყი მიაკერეს. არადა, ამ დონის მწერალსა და მოაზროვნეზე არც ერთი ევროპული ქვეყანა არ იტყოდა უარს. რაც შეეხება სოციალურ უსამართლობას, ის აქვეა, ჩვენ გვერდით და მის გამოსწორებაზე ხელისუფლება ძალიანაც არ იტკივებს თავს (წინასაარჩევნო პერიოდების გამოკლებით).

„ილია ჭავჭავაძის აზრით, კლასიკური სწავლების სისტემამ დააძაბუნა ერი, მოაკლო მუშახელი, შეიქმნა უსაქმურების კასტა, „ნასწავლი პროლეტარები". სწორი არ ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, ილია საერთოდ ებრძოდა ჰუმანიტარული განათლების მქონეთ და მოითხოვდა, ყველას ვიწრო სპეციალობა მიეღო. მისი პათოსი იყო, რომ ერის მნიშვნელოვან ნაწილს ხელი მოეკიდა პრაქტიკული საქმიანობისთვის. იგი შეუპოვრად იცავდა იმ აზრს, რომ ერისთვის უკეთესი იქნებოდა, რაც შეიძლება მეტი ტექნიკური ინტელიგენციის ყოლა."[30]

საერთოდ იმ დროს მეტად პოპულარული იყო სამეურნეო სკოლების უპირატესობის საკითხი ზოგადსაგანმანათლებლოს რომ ვეძახით, იმ სისტემასთან. რაღაც ამდაგვარს გულისხმობს განათლების სამინისტროს პროგრამა, რომელსაც ილია ჭავჭავაძის სახელი ეწოდა, ოღონდ არავის დაუთვლია, თუ რომელი და რამდენი სპეციალისტი სჭირდება საქართველოს თანამედროვე პირობებში.

არც ისე დიდი ხნის წინ ერთდროულად ორი ნათლული მეწვია; ერთი 25 წლისა, მეორე – 9-ის. სიტყვამ მოიტანა და

29. ე. ნინოშვილი, რჩეული, თ. 1984, გვ. 508.

30. თ. მანგოშვილი, „ილია ჭავჭავაძის 1890-იანი წლების პუბლიცისტიკის ზოგიერთი საკითხი", კრებ. „ქართული ჟურნალისტიკა", თბ. „მეცნიერება", გვ.14.

უფროსს ვუთხარი, რომ ცოტნემ დავით გურამიშვილის „სწავ-ლა მოსწავლეთა" თავიდან ბოლომდე ისწავლა და არა ორიოდე სტროფი, როგორც ეს ხდება-მეთქი. უფროსმა შემომხედა და სრული სერიოზულობით მკითხა, რისთვის ასწავლეო. რატომო, კი არ უკითხავს, – რისთვის, ანუ რაში გამოადგებაო. ეს უფროსი ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობს და, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე ამ სფეროებში, გონებაც მთლიანად პრაგმატიზმის მიმართულებით აუმუშავდა. მართლაცდა, რაში უნდა გამოადგეს ცოტნეს „სწავლა მოსწავლეთა"? სამსახურს და ფულს ვერ აშოვნინებს, წარმატების მიღწევაში უპირატესობას არ მიანიჭებს, ცხოვრებას არ გაუიოლებს. შესაძლოა, ვაზვიადებ, მაგრამ, ვფიქრობ, სწორედ ამაშია ჩვენი განათლების სისტემის ყველაზე დიდი პრობლემა. რა უნდა ვასწავლოთ და რამ მოჭამა თავისი დრო? პრობლემა ფასეულობებშია, როგორც ყოველთვის. ,რაღა დროს ჰაგიოგრაფიაა", ჩაიქირქილებს მავანი კოკა-და-ლეული, როგორც მათ სხარტად უწოდა მანანა კარტოზიამ 90-იანებში. აბა, მაშ რაღა დროს ვამპირებია? ეს უკანასკნელი ტყუილად არ ვახსენე. დღევანდელი ახალგაზრდობის უმრავ-ლესობისათვის რუმინეთი ვამპირების ქვეყანაა, და არა ის მხა-რე, რომელშიც ანთიმოზ ივერიელი მოღვაწეობდა. თუმცა, ან ანთიმოზი რაში უნდა „გამოადგეს"? გამოდგომას რაც შეეხება, ქვეყნად უამრავი რამ არის პრაქტიკულად გამოუსადეგარი, მაგრამ რომლის გარეშეც ადამიანის ცხოვრება საზრისს კარგავს. თანაც ქართველის კი არა, – ნებისმიერი ადამიანისა. ასეთივე „გამოუსადეგარია" დაბერებული მშობელი ან ავადმყოფი ბავშვი. მოვიშოროთ? რაღაც რომ სწორად არ არის ამ ფორმულაში, ბავშვიც კი გრძნობს, მაგრამ მაინც არ მავიწყდება ცოტნეს თვა-ლების გამომეტყველება, რომელშიც აშკარად ჩანდა კითხვა, რისთვის ვაწვალე იმის დასასწავლად, რაც სულაც არ ყოფილა საჭირო?! ეს ხომ 25 წლის წარმატებულმა ადამიანმა აგრძნობინა. მომდევნო დღეები იმას მოვანდომეთ, რომ ცოტნეს კარგად გაეგო მის მიერ ნასწავლის შინაარსი.

ალბათ, პრობლემაც ამაშია; უნდა ვასწავლოთ არსი და არა სიტყვები, ისტორია და არა დაზეპირებული თარიღები, კრიტიკული აზროვნება და არა „ურა-პატრიოტიზმი“. ეს კი უზომოდ რთულია და პირადი მაგალითის ძალას ითხოვს. იმ პირადი მაგალითისას, რომლის დეფიციტზე ოტავის უნივერსიტეტის პრეზიდენტი საუბრობდა და რომლისგანაც ქართული უნივერსიტეტების „გამორეცხვა“ თვალსაჩინოა.

არსებითად, ეს პოლიტიკის საკითხია. როდესაც ჯეინ ჯეკობსი კანადის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სასკოლო სისტემის აშკარა გაუარესების საკითხებს იკვლევდა, იგი აღნიშნავდა, რომ სკოლებში შეამცირეს ბიბლიოთეკები, მუსიკალური და სამხატვრო წრეები. ათეულობით სკოლა დაიხურა, რადგან მათი ფართო დერეფნები და ჰოლები ვერ უპასუხებდა ერთ მოსწავლეზე კვადრატული მეტრების რაოდენობის გაანგარიშების ეშმაკურ ფორმულებს. ეს სულაც არ იყო გამოწვეული ეკონომიკური აუცილებლობით. პირიქით, იქაც, როგორც დღევანდელ საქართველოში, მთავრობა თავს იწონებდა გაზრდილი შემოსავლებითა და „საყოველთაო კეთილდღეობით“. *„საჯარო სივრცის დღევანდელი სილატაკე ტორონტოში ხელოვნურია. იგი იმ პოლიტიკოსების მიერ არის თავს მოხვეული, რომელთაც კანადაში ნეოკონსერვატორებს უწოდებენ. აშშ-ში მას რეკონსტრუირებული მართვის ან* **ვაშინგტონის კონსენსუსის** *სახელწოდებით მოიხსენიებენ. დიდ ბრიტანეთში იგი* **ტეტჩერიზმის** *სახელით არის ცნობილი. ფართო საერთაშორისო კონტექსტში ამ წარმოდგენათა და პოლიტიკურ ფორმულათა პაკეტი ცნობილია, როგორც „საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებით გატარებული ეკონომიკური რეფორმები.“ ეს ინტელექტუალური ფენომენი, რომელიც ახლა დასავლური კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს განსაზღვრავს, ეფუძნება ოდენ მორალისტურ რწმენას, რომ ყოველი საჯარო სიკეთე უნდა გამოიმუშავებდეს მისი ხარჯებისთვის აუცილებელ თანხებს. ყოველი სკოლა საკუთარ თავს უნდა ინახავდეს. ყოველი მხატვარი*

საკმარის ფულს უნდა შოულობდეს, რათა დაამტკიცოს, რომ ხელოვნებას არსებობის უფლება აქვს. თუ საავადმყოფოები, ორკესტრები ან საზოგადოებრივი ტრანსპორტი ვერ მიაღწევს საკუთარი დანახარჯების დაფარვას (კიდევ უკეთესი, თუ დასაბეგრ მოგებასაც დატოვებს), მათში მათხოვრებს ხედავენ. სიხარბეს კომპეტენტურობას არქმევენ, ყალბ ან ქიმერულ იდეებს კი – ჭკუის დასტურს... ნეოკონსერვატორი იდეოლოგები თავიანთ სიმპათიებში შერჩევით მოქმედებენ. ისინი ხელგაშლილად აფინანსებენ სტადიონებს პროფესიული სპორტისათვის, გზების მშენებლობას და სხვა მიმართულებებს, რომლებიც, მათი აზრით, საგადასახადო შეღავათებსა და სხვა პრეფერენციებს იმსახურებს.“ [31] გაიხსენეთ სკოლების, ბაღების, საავადმყოფოების და სხვა სოციალური ობიექტების **ოპტიმიზაცია**, ამის პარალელურად გზების, შადრევნების და ფასადების შეღებვის კამპანია და ანალოგია სრული იქნება! ცხადი ხდება, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგჯერ აუხსნელი და ლოგიკას მოკლებული გამოვლინება არ არის შემთხვევითი. ისინი მკაფიო პოლიტიკურ კურსსა და სამომავლო განზრახვებს ასახავს. ამიტომ, როდესაც მავანი მარგარეტ ტეტჩერს პოლიტიკურ იდეალად სახავს, ეს იმის ნიშანია, რომ მისი პოლიტიკა „ვაშინგტონის კონსენსუსსა“ და ტეტჩერიზმზე იქნება ორიენტირებული და არა მხოლოდ „რკინის ლედის“ ვარცხნილობაზე. სამწუხაროდ, ამ საკითხებზე მსჯელობით თავს არც ოპოზიცია იწუხებს; ნაწილი ჩაუხედაობის გამო, სხვანი კი იმ მარტივი მიზეზით, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში იმავე კურსის გატარებას გეგმავენ.

„ვაშინგტონის კონსენსუსი“ – ეს ტერმინი პირველად ამერიკელმა ეკონომისტმა ჯონ უილიამსონმა გამოიყენა. თავდაპირველად იგი ეკონომიკური პოლიტიკის იმ პრინციპებს აღნიშნავდა, რომლებიც იმჟამად იყო რეკომენდებული საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის:

31. Дж. Джекобс «Закат Америки» М. 2006. გვ. 167-168.

1. საბიუჯეტო დისციპლინა;
2. შემოსავლების გადანაწილება და ხარჯების მიმართვა იმ დარგებისაკენ, რომელთაც მეტი ეკონომიკური უკუგების მოტანა შეეძლოთ;
3. საგადასახადო რეფორმა (განაკვეთების შემცირება და საგადასახადო შეღავათების გაუქმება);
4. „მცურავი“ საპროცენტო განაკვეთები;
5. ვალუტის „მცურავი“ გაცვლითი კურსი;
6. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია;
7. უცხოური ინვესტიციების თავისუფლება;
8. პრივატიზაცია;
9. დემონოპოლიზაცია და დერეგულაცია;
10. საკუთრების უფლების დაცვა.

მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეთანხმდნენ, სესხები მიეცათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ამ „კონსენსუსით“ იხელმძღვანელებდნენ. არადა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის „ეკონომიკური სასწაული“ სწორედ იმ სახელმწიფოებში მოხდა, რომლებმაც ეს რეკომენდაციები უარყვეს.

„ვაშინგტონის კონსენსუსი“ ფაქტობრივად სამ სუბიექტს – აშშ ადმინისტრაციას, მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს – შორის შედგა, რომელთაც სადავოდ და „საკონსენსუსოდ“ არასოდეს ჰქონიათ საქმე.

ამ „კონსენსუსის“ წყალობით უკიდურესად შევიწროებულმა განვითარებადმა ქვეყნებმა შექმნეს „21-თა ჯგუფი“ (ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და სხვ.), რომელმაც მოითხოვა განვითარებული ქვეყნების საზღვრების გახსნა განვითარებადი ქვეყნების ნაწარმისათვის. ეს ლოგიკურიც იყო, ვინაიდან „კონსენსუსის“ ყველა პრინციპი განვითარებული ქვეყნებისთვის შეიქმნა და მათ ავტორებს, სარგებლობის გარდა, არავითარ ვალდებულებას არ აკისრებდა.

შეიქმნა აგრეთვე მსოფლიო სოციალური ფორუმი – საერთაშორისო მოძრაობა ნეოლიბერალიზმის, „ვაშინგტონის კონსენსუსისა“ და დავოსის ფორუმის საპირისპიროდ.

ტეტჩერიზმი – ეს ტერმინი მრავალგვარი მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი იმ ეკონომიკური პოლიტიკის აღმნიშვნელია, რომელსაც მარგარეტ ტეტჩერის კაბინეტი ატარებდა დიდ ბრიტანეთში 1979-1990 წლებში. მისი ძირითადი პრინციპებია:

1. ეკონომიკის კერძო სექტორის დერეგულირება;
2. სახელმწიფოსა და ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლირებადი კომერციული ორგანიზაციების პრივატიზაცია;
3. მონეტარიზმი;
4. პირდაპირი გადასახადებიდან ირიბზე გადასვლა;
5. შემოსავლების გადანაწილება „საზოგადოებრივი სიმდიდრის შემოქმედთა“ სასარგებლოდ.

ტეტჩერის ამგვარმა სოციალურმა პოლიტიკამ სამართლიანად დაიმსახურა „ავტორიტარულის“ წოდება თავად დიდ ბრიტანეთში.

ოპტიმიზაცია – იმგვარი ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრა, როცა მიიღწევა ოპტიმუმი, ანუ სისტემის საუკეთესო მდგომარეობა. საუკეთესო რეზულტატის მიღწევა რესურსების მოცემული დანახარჯით, ან დასახული შედეგის მიღწევა რესურსების მინიმალური დანახარჯით.

ჩვენს მოსახლეობას თავში ჩაუდეს, რომ აშშ-ში ყველაფერი კერძოა და ამიტომ ჩვენც ყველაფრის პრივატიზაცია უნდა მოვახდინოთ. სინამდვილეში, მაგალითად, სკოლების პრივატიზაციის პროცესი იქ ახლაც მიმდინარეობს, მაგრამ მას ხშირად აპროტესტებენ, ხოლო აზრი იმის შესახებ, რომ კერძო სკოლა ყოველთვის სჯობს სახელმწიფო სკოლას, ციფრებით არ დასტურ-

დება. მოსწრების მაჩვენებლები სახელმწიფო და კერძო სკოლებში არ განსხვავდება. განსხვავება იმაშია, რომ კერძო სკოლაში ბავშვის სწავლა მშობელს გაცილებით უფრო ძვირი უჯდება.

ამდენი ანალოგია მხოლოდ ერთს ნიშნავს, – ის, რაც საქართველოში ხდება, არც ადგილობრივი კოლორიტია და არც გაუაზრებელი სტიქიური მოქმედება. ეს ყველაფერი ხდება ყველგან, ხდება თითქმის ერთნაირად და ერთსა და იმავე მიზნებს ისახავს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ერთი იდეოლოგიაა.

ჩვენ თავს გვახვევენ გარკვეულ გადაწყვეტილებებს და შეკითხვის უფლებასაც არ გვიტოვებენ, ეჭვის შეტანასაც კი უიმედო ჩამორჩენილობასთან აიგივებენ და თან ჯიუტად იმეორებენ, რომ გადაწყვეტილება არ შეიცვლება. ეს იმას ნიშნავს, რომ არამცთუ ადამიანად, ამომრჩევლადაც აღარ გთვლიან, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ისევ მათ აირჩევთ. ამიტომაა, რომ მხოლოდ 160.000 ადამიანის ქუჩაში გამოსვლის შემდეგ არბილებენ ტონს, ისიც – დროებით. საკითხავია, ასეთი შეუვალი და უკომპრომისო იქნებოდა თბილისის მერი, პრეზიდენტის დანიშნული კი არა, თბილისელების არჩეული რომ ყოფილიყო?

ურიგო არ იქნება, ზოგჯერ იმ გამონათქვამებს გადავხედოთ, რომლებიც დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკუთვნით, ოღონდ რევოლუციამდე, როცა ოპოზიციაში იმყოფებოდნენ.

2003 წელს ნიკა რურუამ გამოაქვეყნა სტატია „თბილისის მერის არჩევითობის სამართლებრივი აუცილებლობა“, რომელშიც წერს: *„ჩვენ, მოქალაქეთა ჯგუფს, ვინც წარმოვადგენთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ძველ თბილისს“, მიგვაჩნია, რომ არსებული დადგენილება, თბილისისა და ფოთის მერების არა არჩევითობის, არამედ დანიშვნის პრინციპით შერჩევა წარმოადგენს არაკონსტიტუციურ ქმედებას, რომელიც უხეშად არღვევს ჩვენს სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს. მერების დანიშვნის პრაქტიკა აშკარა კოლიზიაშია საქართველოს კონსტიტუციის 28-ე და მე-14 მუხლებთან, რომელნიც ამავე*

თანმიმდევრობით უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლინებას და რომელნიც გვევლინებიან მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის განურჩევლად კანონის წინაშე მათი თანასწორობის გარანტად... მოვითხოვთ საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან ჩვენი ფუნდამენტური უფლებების აღდგენას, რაც იქნება გამოხატული ჩვენს უნარში, რომ მოგვეცეს კანონით კუთვნილი უფლება საკუთარი ქალაქის მერის არჩევისა. ვაცხადებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი კანონიერი მოთხოვნა არ იქნება ხელისუფლების მხრიდან ყურადღებული, დავიწყებთ საკუთარ კონსტიტუციურ უფლებათათვის ყველა კანონიერი მეთოდის გამოყენებით ბრძოლას" (სტილი დაცულია).[32]

2003 წლამდე ნიკა რურუა ასე თვლიდა, მას შემდეგ 4 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოში, რომლის უმრავლესობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელიც და ერთ-ერთი საკვანძო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეც იგი გახდა, არც ერთხელ თბილისელი ან ფოთელი ამომრჩევლის შელახული უფლებები არ უხსენებია. გასაკვირი უფრო სხვა რამ არის: როცა „ვარდების ხელისუფლების" ყოფილ მხარდამჭერთა ერთმა ნაწილმა 2005 წელს კვლავ გააპროტესტა თბილისის მერის დანიშვნის პროცედურა, რატომღაც არც ერთმა მათგანმა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, არც ერთმა ჟურნალისტმა არ ჰკითხა ნიკა რურუას, რამ იმოქმედა ასე კარდინალურად მის შეხედულებებზე!

თუმცა, რას ვერჩით რურუას, როცა „თავისუფლების ინსტიტუტი" რევოლუციის შემდეგ ყოველგვარი თავისუფლების შეზღუდვის აპოლოგეტად იქცა და თუ მანამდე თავგამოდებით იცავდა „კმარას" მიერ შსს-ს კედლებზე საღებავებით წერის „თავისუფლებას", ახლა რევოლუციური შსს-ს მიერ ქუჩაში დახვრეტილ ახალგაზრდებს ჯიუტად „ვერ ხედავს"! ალბათ ამიტომ შეარქვეს მალევე რევოლუციის შემდეგ მათ „კმარაზიტები".

32. ნ. რურუა, „თავისუფლების კანონი", „რუსთავი-2 პრინტი", თბ. 2003. გვ. 231-232.

ყველას კარგად ახსოვს ოპოზიციაში მცირე ხნით მყოფი ზურაბ ჟვანია ლეპ-ტოპით, რომელშიც დიაგრამები და გათვლები ჰქონდა, როგორ ხედებოდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს (პედაგოგებს, ექიმებს, საბიუჯეტო სფეროს სხვა მუშაკებს) და ასაბუთებდა, რომ მინიმალური ხელფასი 115 ლარი უნდა ყოფილიყო. რევოლუციის შემდეგ არც მას და არც მის თანამებრძოლებს ეს 115 ლარი აღარ გახსენებიათ. ბურჯანაძე-ჟვანიას გუნდის ერთ-ერთი წევრი, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და პარლამენტარი ლადო პაპავა 2008 წელს ინტერვიუში ამბობს: *„ჯერ კიდევ 2003 წლის დასაწყისში პოლიტიკური დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო მინიმალური ხელფასის აყვანა საარსებო მინიმუმის დონეზე. საარსებო მინიმუმი კი 115 ლარი გახლდათ. აღნიშნული იდეის მომხრეები იძახდნენ, ამის გაკეთება სწრაფად შეიძლება, თუმცა თავადაც იცოდნენ, რომ სწრაფად ეს არ გაკეთდებოდა, ამიტომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგია შეცვლილიყო. მოგვიანებით მინიმალური ხელფასის ცნება საერთოდ ამოაგდეს ლექსიკონიდან. მათ საარსებო მინიმუმის გადათვლისას სამომხმარებლო კალათაში შეამცირეს კალორიულობა და კიდევ ერთი ეშმაკური ფანდი გააკეთეს – საბაზრო ფასების ნაცვლად, საბითუმო ფასები აიღეს. ამის შემდეგ გამოაცხადეს, რომ 2004 წელს საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა იყო მოსახლეობის 35%. ამას ყველა დიდი ოვაციით შეხვდა, სიამაყით გამოაცხადეს, რომ რევოლუციურმა მთავრობამ სიღარიბე 17%-ით შეამცირა, მაგრამ 2005 წელს, როცა ეს ყველაფერი ისევ დათვალეს, აღმოჩნდა, რომ მათ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიითაც კი სიღარიბის ზღვარი 39%-მდე გაეზარდათ. 2006 წელს ეს მონაცემები საერთოდ არ გამოაქვეყნეს. ჩემი მონაცემებით, მათ მიერ შემუშავებული ახალი მეთოდოლოგიით სიღარიბის ზღვარი 42%-მდე გაეზარდათ."*[33]

ასეთია იმ ლიდერების **პოპულიზმის** დრამატურგია, ვინც ოპოზიციაში ყოფნას ერთ წელს ძლივს გაუძლო რევოლუციის მო-

33. გაზეთი „ასავალ-დასავალი", №3 2008.

ლოდინში. ზემოთ ნახსენებ შეხვედრებზე ჟვანიასთვის ამომრჩეველს არ დაუსვამს შეკითხვა, რატომ არ ნიშნავს 115-ლარიან ხელფასებს „ბოროტი" მთავრობა, თუკი ამის გაკეთების რეალური შესაძლებლობა არსებობს? არც რევოლუციის შემდეგ უკითხავთ, გაორმაგებული ბიუჯეტის პირობებში მაინც რატომ არ გაკეთდა ეს?

პოპულიზმი – აღნიშნავს როგორც კონკრეტულ პოლიტიკურ მოძრაობათა პრაქტიკას, ასევე პოლიტიკური აზროვნების გარკვეულ ტრადიციას. „პოპულისტები" „უბრალო ადამიანების ქომაგებად" და კორუმპირებული ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტის მოწინააღმდეგედ წარმოაჩენენ საკუთარ თავს. უფრო ფართო გაგებით პოპულიზმის ტრადიცია იმ იდეას ეფუძნება, რომ ხალხის სურვილი (ან ინსტინქტი) არის ის მთავარი, რითაც პოლიტიკოსებმა უნდა იხელმძღვანელონ. ამიტომ არის, რომ პოპულისტები ხშირად პირდაპირ ხალხს მიმართავენ და არა პოლიტიკურ ინსტიტუტებს, რომელთა მეშვეობითაც უნდა ხორციელდებოდეს პოლიტიკური პროცესი. თუმცა ყველაზე მთავარი ის არის, რომ პოპულიზმი ყოველთვის შეიცავს ავტორიტარიზმის საფრთხეს. ნოე ჟორდანია ამბობდა: „ყველა უზურპატორი დღეს ხალხის სახელით მბრძანებლობს". სწორედ ამიტომ „პოპულისტურ" დემოკრატიას ხშირად „პლურალისტური" დემოკრატიის საპირისპირო ცნებად განიხილავენ.

უამრავი პარალელის მოყვანა შეიძლება ჩვენი და უცხოელი პოლიტიკოსების გამონათქვამებით, ჟარგონით, ქცევის სტილითა და პოლიტიკური მეთოდებით, რადგან მათი არსენალი ყველგან სტანდარტულია. სხვაგვარად ვერც იქნება, – სტანდარტიზებულ სამყაროში ხერხებიცა და მეთოდებიც ერთ სქემაში უნდა ეწერებოდეს. ამ სქემას მშვენივრად აღწერს ჯეიმს პეტრასი სტატიაში „XX ს. კულტურ-იმპერიალიზმი": *„კულტურ-იმპერიალიზმი ყველაზე წარმატებულად თავისი კო-*

*ლონიზირებული შუამავლების, კულტურ-**კოლაბორაციონისტების** მეშვეობით მოქმედებს. ტიპური იმპერიული კოლაბორაციონისტები არიან მესამე სამყაროს განათლებული კარიერისტები, რომლებიც პატრონებს ბაძავენ. ისინი დასავლეთს ემონებიან და თავხედურად ექცევიან საკუთარ ხალხს, ეს ავტორიტარული ტიპის ნათელი ნიმუშია. ბანკებისა და ტრანსნაციონალური კომპანიების მხარდაჭერით ისინი უზარმაზარ გავლენას მოიპოვებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე სახელმწიფო და ადგილობრივ დონეებზე. დასავლეთის მიბაძვით ისინი განუხრელად იცავენ უთანასწორო მონაწილეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, ქვეყნებისა და ხალხების გახსნას უმოწყალო ექსპლოატაციისათვის ვაჭრობის თავისუფლების სახელით. ისინი აღმერთებენ ბაზარს, როგორც აბსოლუტურ მსაჯულს სიკეთისა და ბოროტების საკითხებში... შეუზღუდავი მსოფლიო ბაზარი წარმოუდგენიათ, როგორც განვითარების ერთადერთი საშუალება. ირონია ისაა, რომ არასოდეს დღემდე ბაზარი ასეთი უმოწყალო არ ყოფილა მესამე სამყაროს მიმართ. არასოდეს აშშ, ევროპა და იაპონია არ ყოფილან ასე აგრესიულნი მესამე სამყაროს ექსპლოატაციაში. დაქირავებული ინტელექტუალების კულტურული გაუცხოება მსოფლიო რეალობისაგან – დასავლური კულტურ-იმპერიალიზმის ბატონობის თანმხლები პროდუქტია.“* [34]

კოლაბორაციონიზმი – ფართო გაგებით: ნებაყოფლობითი თანამშრომლობა მტრებთან საკუთარი სამშობლოს საზიანოდ.

კულტურ-კოლაბორაციონიზმი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ავლენს საკუთარ თავს; ჩვენი პოლიტიკური ელიტა სწორედ ამ რეცეპტების მიხედვით მოქმედებს, რომლებიც პეტრასმა ჩამოთვალა და რომელიც ნამდვილად არ იცნობს ქართველ პოლიტიკოსებს. ეს ყველა განვითარებადი ქვეყნის მმართველი ელიტის თვისებაა

34. http://usinfo.ru/oniimy26.htm.

და ამიტომ ძალიან ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი თითქოს ერთ სინჯარაში არიან გამოყვანილი. ჩვენში ხშირად გაიგონებ, – „რა ისწავლეს ამათ ამერიკაში ექვსთვიან კურსებზე ასეთი, რომ გადაგვაყოლესო!" უბედურება ის კი არ არის, რომ კურსები ხანმოკლე იყო, ან ის, რომ ამერიკაში ასწავლეს, არამედ ის, რომ ცუდად ისწავლეს. არსებობს სტუდენტთა რამდენიმე კატეგორია: ერთნი ბეჯითად სწავლობენ და უნარიც მოსდევთ, მეორენი – საშუალო მონაცემებისანი არიან, მაგრამ უფრო შრომით აღწევენ შედეგს, მესამენი – „ნიჭიერები და ზარმაცები" გამოცდის წინ ასწრებენ თვალის გადავლებას და ნიჭის წყალობით გამომცდელს მეტს აჩვენებენ, ვიდრე იციან. მაგრამ არსებობს მეოთხე კატეგორია, რომელსაც არც ნიჭი „აწუხებს", არც უნარი და სიბეჯითე, ამბიცია კი ღრღნის. ასეთები სხვისი კონსპექტით ცდილობენ უნივერსალური ცოდნის მიღებას და აქედან რაც გამოდის, ამას ჩვენი თვალით ვხედავთ.

საერთოდ, უბედურება იწყება იქ, სადაც ადამიანთა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ მხოლოდ მან იცის, როგორ უნდა იცხოვრონ დანარჩენებმა. ასეთები იყვნენ ბოლშევიკები, ფაშისტები, ერთი სიტყვით, ორუელის ჯიშის ღორები. *„ფარაონები და მათი მრჩევლები დაახლოებით ასე ფიქრობდნენ: „ჩვენ უკეთ ვიცით, რა უნდა აკეთოთ. ჩვენ გაიძულებთ ამას. რამდენადაც ყოვლისშემძლენი ვართ, ყველას ზემოდან გიყურებთ და ვწყვეტთ, თუ რა არის უმჯობესი. ეს ბევრად უკეთესია, ვიდრე ყოველი თქვენგანი თვითონ განსაზღვრავდეს საკუთარ ბედს."* – წერდა ენტონი სატონი წიგნში „დოლარის ძალაუფლება".[35]

35. Э. Саттон «Власть доллара» М. 2003. გვ. 54.

თავი III. პირობითი ენა და გლობალიზატორები

ყველა ეპოქას თავისი „ლინგვა ფრანკა“ ჰქონდა; ერთ დროს ყველაზე პოპულარული საერთაშორისო ურთიერთობის ენა კოინე იყო (ბერძნულის დიალექტი), რომელზეც ახალი აღთქმა დაიწერა. იყო სპარსულის ეპოქაც, ლათინურის და ა. შ. XX საუკუნეში ხელოვნური, საერთაშორისო ენების შექმნას ცდილობდნენ, რომელზეც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები უპრობლემოდ შეძლებდნენ ურთიერთობას, მაგრამ ეს საჭირო აღარ გახდა.

ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ თანამედროვე „ლინგვა ფრანკას“ ადგილი უბრალოდ ინგლისურმა ენამ დაიკავა. იგი მართლაც რაღაცით წააგავს ესპერანტოს; ეს არ არის არც შექსპირის, არც მარკ ტვენის ენა. ამ ენის მცოდნენი ადვილად აგებინებენ ერთმანეთს, მაგრამ ვერასოდეს შეძლებენ სრულყოფილ ურთიერთობას ზოგად, არასპეციფიკურ თემებზე. ასე მაგალითად, უფლებადამცველებს თავიანთი ტერმინოლოგიური „პირობითი ინგლისური“ აქვთ, კომერსანტებს – თავიანთი, პოლიტიკოსებს – თავიანთი და ა.შ. ისინი იყენებენ სოციალურ მეცნიერებათა, საბაზრო, ადამიანის უფლებათა და მულტიკულტურალიზმის თეორიების ტერმინებს.[36] ამიტომ ხდება, რომ ხშირად, თუ ამ პირობით ენაზე არ ვლაპარაკობთ, – ჩვენი „არ ესმით“. მაგალითად, როცა ასლან აბაშიძემ თავის პოლიტიკურ პარტიას „აღორძინების კავშირი“ დაარქვა, დასავლეთის თვალში იგი მყისვე გაიგივდა მუსლიმ ფუნდამენტალისტებთან „ისლამური აღორძინების“ ანალოგიით (მით უფრო, რომ მათი ინფორმაცია აჭარის შესახებ მხოლოდ თურქეთის შემადგენლობაში მისი ოდესღაც ყოფნითა და აჭარის მოსახლეობაში ისლამის ფაქტორით ამოიწურებოდა). როცა ვამბობთ, რომ საქართველო „აგრარული ქვეყანაა“, დასავლეთის თვალში ეს უიმედო ჩამორჩენილობის დიაგნოზია. გამოდის, რომ საქართველოს მოდერნიზაციის

36. «Многоликая глобализация» М. 2004 გვ. 10.

(ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციის, მოსახლეობის განათლების, კეთილდღეობის, სოციალური უზრუნველყოფის, მრავალმხრივი პროფესიული სტრუქტურების) ფაზა არ გაუვლია, არადა, განვითარებული ქვეყნები უკვე **პოსტმოდერნისტულ** და **პოსტინდუსტრიულ** პერიოდში იმყოფებიან. როცა რომელიმე პოლიტიკოსი კონდოლიზა რაისს „შავ ქალს" უწოდებს, იგი ერთდროულად რასისტისა და **სექსისტის** კატეგორიაში ექცევა (თუმცა, სინამდვილეში აკაკი ასათიანმა მხოლოდ „შერეკილების" მცირე პერიფრაზი გამოიყენა – „ეს შავი კაცი ვინ იყოო!"). როდესაც ოპოზიციის ლოზუნგია „საქართველო უპირველეს ყოვლისა", მათ აგრესიულ ნაციონალისტებად აღიქვამენ. ამ ანალოგიების გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, თუმცა, ნუ იფიქრებთ, რომ ხელისუფლებაში მყოფი ადამიანებიდან ყველა ფლობს ამ პირობით ენას; ბესო ჯუღელის „მიკირტუმაზე" გაკეთებული მინიშნება, ნოდარ გრიგალაშვილის ფრაზა ბადრი პატარკაციშვილის „ორი სამშობლოს" შესახებ, ან „ჩვენ ვართ უმრავლესობა და რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ" ასევე უმძიმესი დიაგნოზია იმ პირობით ენაზე, რომელსაც აქ ვეხებით. ამ დიაგნოზს ვერანაირად აქარწყლებს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა ბაგეებიდან გადმოფრქვეული ისეთი მარგალიტები, როგორიცაა: „საარჩევნო პერიოდში ეს სენსიტიურია (ანუ მგრძნობიარე)", „ჩვენთვის ამას ეგზისტენციალური (ანუ სასიცოცხლო) მნიშვნელობა აქვს", „ეს ბრუტალური სცენარია, ამაში არ არის კრეაცია (უკომენტაროდ)" და ა. შ. ვერც გააქარწყლებს, რადგან აქ პირობითი ენა კი არ არის გამოყენებული, არამედ მხოლოდ ცალკეული სიტყვებია ჩანაცვლებული თანამედროვე არაქართული ტერმინოლოგიით.

პოსტმოდერნიზმი – ინტელექტუალური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს აბსოლუტური და საყოველთაო ჭეშმარიტების იდეას და ყურადღება გადააქვს კომუნიკაციაზე, დისკუსიასა და დემოკრატიაზე.

პოსტინდუსტრიული საზოგადოება – საზოგადოება, რომელმაც დაძლია ტრადიციული დამოკიდებულება მატე-

რიალურ წარმოებაზე და ფუნქციონირებს ინფორმაციისა და ცოდნის წარმოების საფუძველზე. შინაარსით ესაა „ინ-ფორმაციული საზოგადოება“.

სექსიზმი – სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის მომხრეობა. როგორც წესი, იგულისხმება ქალთა დისკრიმინაცია.

სინამდვილეში ეს ყველაფერი კარგად დავიწყებული ძველია. მაგალითად, რუსულიდან საუკუნე-ნახევრის წინ შემოსული სიტყვა „ქალბატონი“ ისე დამკვიდრდა, თითქოს ქართული ენა ცნობდეს განსხვავებას სქესის მიხედვით. ორივე სქესის ადამიანი რომ „კაცი“ იყო, ამაზე სიტყვები „დედაკაცი“ და „მამაკაცი“ მეტყველებს. ოდითგან დედას „დედა-ბატონოთი“ მიმართავდნენ და არა „ქალბატონოთი“. ილია სიტყვა „ქალის“ დამკვიდრებაზე დედაკაცის ნაცვლად ამბობს: *„ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ დავკარგეთ და „ქალი“ შევიძინეთ!.. ქალი და ვაჟი ყმაწვილებს გვიქვიან და არა მოზრდილებს, არა დამთავრებულს სულითა და ხორცით ადამიანებს, არა უკვე კაცამდე მოყრილს, კაცად დასრულებულს. როგორც კვირტი ჯერ ხილი არ არის, ისეც ქალი ან ვაჟი, ჯერ კაცი არ არის. ქალი და ვაჟი ისევ მოზარდია, კაცი – უკვე გაზრდილი. ჩვენ აქ მარტო ხორციელ ასაკოვნობაზე არ ვლაპარაკობთ. ჩვენ სახეში გვაქვს ასაკოვნებაც სულისა, იმიტომ, რომ მარტო ასაკოვნობა სულისა ადამიანს კაცადა ხდის. სხვა ყოველი მარტო ქალ-ვაჟიანობაა და სხვა არაფერი, თუნდ ერთიცა და მეორეც ას-ასის წლისანი იყვნენ და შვილებ-გარშემორტყმული. ქალი გასათხოვარია თუ გათხოვილი, შვილებიანია თუ უშვილო, – მარტო სულიერ ასაკოვნებით მიაღწევს „დედაკაცობამდე“ და მინამ არ მიუღწევია, იგი ქალია და არა „დედაკაცი“... ქალი უფარ-ხმლო დედაკაცია, დედაკაცი ფარ-ხმლიანი ქალია და სად მოვლენ ერთმანეთთან!“*[37]

ილია იმ დროს აღარ მოსწრებია, როცა ქალი და ვაჟი კიდევ

37. ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, თბ. 1928 წ. ტ. VIII, წერილი „პატარა საუბარი“, გვ. 243.

უფრო „ჩამოალაბორანტეს“ და ახლა გოგოსა და ბიჭს ეძახიან. ინფანტილიზმის გარდა აქ კიდევ ერთ უცნაურობასთანაც გვაქვს საქმე: ამგვარად საქართველოში ოდითგან ხელზე მოსამსახურეს თუ მოიხსენიებდნენ.

დღევანდელი **პოლიტკორექტულობა** ზოგჯერ ანეგდოტურ ხასიათს იძენს. გენდერული თანასწორობის მოტივით საერთაშორისო დოკუმენტებში (და არა მარტო) საყოველთაოდ დამკვიდრდა ფრჩხილებში ორივე სქესის აღმნიშვნელი ნაცვალსახელის მითითება (he-she, он-она), თითქოს თავისთავად არ იგულისხმებოდეს, რომ, მაგალითად, მოსამართლე ორი სქესიდან ერთ-ერთს ეკუთვნის. თუმცა... გერმანელს ბავშვის შეძენა მიულოცეს და ჰკითხეს, ვაჟი გეყოლა, თუ ქალიო. – არ ვიცი, გაიზრდება და თავად გადაწყვეტსო! – მიუგო მამამ.

პოლიტკორექტულობა – ამ ტერმინს არაფერი აქვს საერთო პოლიტიკოსების ზრდილობასთან. პოლიტკორექტულობა ნიშნავს იმას, რომ მაგ., სიტყვა „ზანგის“ ნაცვლად „აფროამერიკელი“ უნდა გამოიყენო, „ინვალიდის“ ნაცვლად – „უნარშეზღუდული პირი“ და ა. შ. ყოველივე ეს თითქოს უმცირესობათა უფლებების დაცვისთვის კეთდება. მართლაც, მას, ვისაც ჰომოსექსუალისტები არ უყვარს, „ჰომოფობს“ უწოდებენ, სამაგიეროდ, არ არსებობს ტერმინი „ჰეტეროფობი“, თუმცა ჰომოსექსუალისტთა უმეტესობას ასევე არ უყვარს ჰეტეროსექსუალები. ალბათ ამიტომ პოლიტკორექტულობას ხშირად აღიქვამენ როგორც ფარისევლობას, რომლის უკანაც იმალება საინფორმაციო სივრცის რეგლამენტირების სურვილი. სწორედ პოლიტკორექტულობის წყალობით ხერხდება არასასურველი პოლიტიკური თემების გაცხრილვა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება „სასურველი“ მიმართულებით. საქმე იქამდე მივიდა, რომ 2006 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია სახელწოდებით „ჰომოფობია ევროპაში“, რომელიც მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა გარანტირებულად

უზრუნველყონ „ერთსქესიანი პარტნიორების პატივისცემა და ღირსების დაცვა, ისევე როგორც საზოგადოების სხვა წევრებისა, აგრეთვე გააძლიერონ ბრძოლა ჰომოფობიის წინააღმდეგ კანონმდებლობის გზით, განათლების მეშვეობით სკოლებში, უნივერსიტეტებში, მასმედიაში". მერე რა, თუ საზოგადოების უმრავლესობა ჰომოსექსუალიზმს რელიგიური ნორმების უგულებელყოფად აღიქვამს; იგი იძულებული შეიქნება, აიტანოს, რომ მის შვილებს სკოლაში თუ ტელევიზიით ცოდვის პატივისცემისკენ მოუწოდებენ.

ენობრივი ნორმები დიდწილად განაპირობებს ჩვენს დამოკიდებულებას იმ საგნებისა თუ მოვლენების მიმართ, რომლებსაც ისინი აღნიშნავენ. მეტიც, როგორც ჰუმბოლდტი[38] აღნიშნავს, განსხვავება ენებს შორის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ ნიშნების სხვაობას. „სხვადასხვა ენები თავიანთი არსით, თავიანთი ზემოქმედებით ცნობიერებასა და გრძნობებზე სინამდვილეში სხვადასხვა მსოფლაღქმას წარმოადგენს." როცა „ქართვლის დედას" (უთუოდ დედაკაცს და არა – ქალს) ეხები, დედაკაცის მიმართ ამ ქართული დამოკიდებულების ცოდნის გარეშე, მასზე, როგორც ქალბატონზე დაიწყებ ლაპარაკს და შედეგი თავადვე გაგაოცებს. მართალია, „ქართვლის დედისა" და ქართული სუფრის ნაგვიანევი ფროიდისტული ანალიზის ავტორებს სხვა ასოციაციები აღეძრათ (თუმცა, თუ ფროიდს მივყევით, დიაგნოზის დასმა იმის მიხედვითაც შეიძლება, თუ რისა გეშინია. იმავე ფროიდის თემაზე ერთი ანეკდოტის არ იყოს, ზოგჯერ ხმალი მხოლოდ და მხოლოდ ხმალია და არა ის, რაც გეჩვენება), მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ისტორიული ქარტეხილების გამო ეროვნულმა რიტორიკამ სწორედ სუფრაზე გადაინაცვლა (ნასვამს ხომ ჭკუა არ მოეკითხება), ხოლო საზოგადო ადგილებში ქართველები მშვენივრად ფლობდნენ რუსულ-იმპერიულ (მანამდე – თურქულ, სპარსულ), შემდეგ კი რუსულ-საბჭოთა პი-

38. В. фон Гумбольдт «Язык и философия культуры». М. 1985.

რობით ენას, ახლა მათი ადგილი იმ ენამ დაიკავა, რომელზეც გლობალური იმპერიალიზმი მეტყველებს. და კვლავ ორმაგი – საშინაო და საგარეო ფასეულობებია ხმარებაში. იქნებ სწორედ ესაა პატარა, გეოპოლიტიკის სამიზნეში მოქცეული სახელმწიფოს ხვედრი? იაპონიაშიც ხომ ასეა, თუმცა საქართველოსავით პატარა არ არის, მაგრამ ყველაფერი შედარებითია: მისი მეზობელი ხომ სუპერგიგანტი ჩინეთია! სიტყვამ მოიტანა და იაპონელი მენეჯერი, რომელიც საღამოს ფირმიდან შინ ბრუნდება, იხდის ევროპულ კოსტიუმს და იუკატაში გამოწყობილი, იეროგლიფების წერაში ვარჯიშობს.[39] ევროპელებზე არანაკლებ რაციონალურ და პრაგმატულ იაპონელებს არც ყოფაში, არც ტექნიკურ დონეზე იეროგლიფები არ უარუყვიათ, რადგან ამით ისინი თავიანთი „იაპონელობის" დიდ ნაწილს დაკარგავდნენ. პირობით ენაზე რომ ვთქვათ, „ახალ გამოწვევას" იაპონელებმა დაუპირისპირეს ნიჰონძირონი – მოძღვრება იაპონიასა და იაპონელებზე.

პირობით ენაზე ამდენს არ ვილაპარაკებდი, რომ არა მისი გავლენა ცნობიერებასა და ცხოვრების წესზე. ერთი ჩემი მეგობარი მწარედ ხუმრობდა, როცა 1993 წელს სოხუმის დაცემისას დასავლეთი ისევ გაილურსა: მაგათი გააქტიურება აფხაზეთის ტერიტორიაზე გადამფრენი ფრინველების საჰაერო ტრასების განადგურების გამო უფრო შეიძლება, ვიდრე ქართველების ან აფხაზების გენოციდის გამოო!

ჩვენი პროდასავლური პოლიტელიტის დიდი ნაწილი ისეთ ინგლისურს ლაპარაკობს, როგორზეც ნოდარ დუმბაძე წერდა: „ფოსტის უფროსმა ივანე რუსმა თქვა, ამფერი რუსული ჯერ არ გამიგონიაო". ეს ნახევარი უბედურება იქნებოდა, რომ არა თანამედროვე საერთაშორისო პროცესების ამავე დონის ცოდნა!

პირობითი ენა პირდაპირ მოქმედებს იმ პოლიტიკური ენის ჩამოყალიბებაზე, რომელიც საბჭოთა წყობილებამ კარგად შეგვასწავლა. არც ისე დიდი ხნის წინ ბავშვებმაც კი იცოდნენ, რა

39. «Многоликая глобализация» М. 2004. П. Л. Бергер «Культурная динамика глобализации». გვ. 19.

უნდა ეთქვათ და რა – არა (სხვათა შორის, ის ბავშვები დღეს ხელისუფლებაში, ან მის სიახლოვეს არიან). მაგალითად, ავიღოთ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" 1988 წლის ნოემბრის ნომერი, რომელშიც საუნივერსიტეტო კომკავშირის კომიტეტში წევრად ასარჩევი კანდიდატების ინტერვიუები დაიბეჭდა (ცნობისათვის, ამ დროს მთავრობის სასახლის წინ უკვე საპროტესტო მიტინგები და ახალგაზრდების შიმშილობა მიმდინარეობდა). *„ჩემი აზრით, ყოველი სტუდენტი, მიუხედავად პროფესიული ორიენტაციისა და სპეციფიკისა, მტკიცედ უნდა უჭერდეს მხარს, უწევდეს კონკრეტულ დახმარებას კომკავშირის კომიტეტს... წლების მანძილზე კომკავშირელთა დიდ უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რა კონკრეტულ საქმიანობას ეწეოდა არა თუ საუნივერსიტეტო, არამედ ბევრ შემთხვევაში, საფაკულტეტო კომკავშირის კომიტეტიც კი. საქმის ასეთი ვითარება, ცხადია, განაპირობებდა კომკავშირელთა მოწყვეტას კომიტეტებისაგან, იწვევდა გარკვეულ ანტიპათიასაც კი მათდამი, რაც განაპირობებდა სტუდენტთა ინდიფერენტულობას უნივერსიტეტის კომკავშირული ცხოვრებისადმი, საერთოდ, კომკავშირული საქმისადმი."* ეს გულანთებული ტირადა ლიბერალური დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის დღევანდელ ქომაგს, მაშინ კი გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტს, უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის წევრობის კანდიდატს, აკაკი გოგიჩაიშვილს ეკუთვნის.

ამ ენის ჩინებული მაგალითია ამბავი, რომელიც სოფელ საბერიოში მოხდა; როცა ბერია დახვრიტეს, იქაურ კოლმეურნეობას, ცენტრალურ ქუჩას და კლუბს, რომლებიც ბერიას სახელობისა იყო, სასწრაფოდ გამოუცვალეს სახელები. თბილისიდან ჩასულმა კაცმა სოფელში გაიარა და კლუბის წინ მჯდომ მოხუცს გადაეყარა. ჰკითხა:

– ეს კლუბი ვისი სახელობისაა, ბიძია?

მოხუცმა ალმაცერად გახედა და – კალინინისო, უპასუხა.

– ეს ქუჩა? – ჩაეკითხა სტუმარი.

მოხუცმა უპასუხა:

– ქუჩაც კალინინისაა, ბიძიაო.

– კოლმეურნეობა ვისი სახელობისაა?

მოხუცმა ისევ ალმაცერად გახედა და ისევ უპასუხა:

– კალინინის, ბატონოო.

სტუმარი არ მოეშვა:

– თქვენ რა გვარის ბრძანდებით, ბიძია?

მოხუცი წამოდგა და გაგულისებით მიუგო:

– კალინინი ვარ მე, ბიძია, და დამანებე ახლა თავიო!

მარკ ალმონდი 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ წერდა: *„სააკაშვილის ვარდისფერ-რევოლუციური გუნდის საშუალო ასაკი მისი ჩათვლით 34 წელს შეადგენს. მაგრამ ახალგაზრდული ასაკი, სამწუხაროდ, არ ნიშნავს იმას, რომ კორუფციაზე აცრილები არიან... **ანთროპოლოგის** თვალსაზრისით არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ბრეჟნევისა და შევარდნაძის დრომ წარმოშვა ამბიციური ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან, როგორ აუჩუყონ გული დასავლელ სპონსორებს. საბჭოთა ადამიანები სიყრმიდანვე ისრუტავდნენ უნარს, ელაპარაკათ ის, რის მოსმენაც „უფროს ძმას“ სურდა... როგორც ბევრმა არშემდგარმა რეჟიმმა, რომელიც დამოკიდებულია გარედან გაწეულ დახმარებაზე და ცხოვრობს ზესახელმწიფოების შეჯახების ხარჯზე, ქართველმა პოლიტიკოსებმა ძალიან სწრაფად გამოიმუშავეს უნარი, ილაპარაკონ ის, რის თქმასაც ძია სემი და ძია-ევროკრატები მხოლოდ აპირებენ.“* [40] როგორც ჩანს, ბევრი რამ გარედან უკეთ ჩანს. ტყუილი და სიყალბე, რომელიც ასე ხშირად გვაღიზიანებს, მარტო ჩვენთვის კი არა, იმათთვისაც თვალსაჩინო ყოფილა, ვისი სახელითაც მუდმივად გვამუნათებენ.

ანთროპოლოგია – ადამიანის წარმოშობისა და ევოლუციის შემსწავლელი მეცნიერება. საბჭოთა ტრადიციით ეს იყო ადამიანის წარმოშობის, ფიზიკური ორგანიზაციის, ადამიანისა და რასების ევოლუციის შემსწავლელი ბიოლოგიური

40.„International Herald Tribune", 2007, 13 ნოემბერი.

მეცნიერება. დასავლური გაგებით – ჰუმანიტარული მეცნიერება ადამიანის შესახებ მის ყველა – სოციალურ, კულტურულ და ფიზიკურ (ანატომია, ფიზიოლოგია, ანთროპოგენეზი) განზომილებაში. იგი აგრეთვე შეიცავს ეთნოლოგიას, როგორც უმნიშვნელოვანეს ელემენტს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში (და ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში) ახალი პოლიტიკური ენა დამკვიდრდა, უფრო სწორად, ახალი აკრძალვები დაწესდა და ნებადართულ ლექსიკაში იმგვარი ცნებები შემოვიდა, რომელთა გამოყენება კომუნისტების დროს მხოლოდ კრიტიკულ კონტექსტში შეიძლებოდა.

ჯეიმს პეტრასი ზედმიწევნით ზუსტად ასახავს საბჭოთა ტყვეობისგან „გათავისუფლებულ" აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილ ვითარებას: *„კულტურის მანიპულირება მსოფლიო მასშტაბით შესაძლებელი ხდება პოლიტიკური ენის დამახინჯების მეშვეობით. აღმოსავლეთ ევროპაში სპეკულანტები და მაფიოზები, რომლებმაც მიწები, საწარმოები და სხვა საკუთრება მიიტაცეს, „რეფორმატორებად" იწოდებიან, კონტრაბანდისტები – „მოხერხებულ მეწარმეებად". მესამე სამყაროში სახელმწიფო საკუთრების მიყიდვა ტრანსნაციონალური მონოპოლისტი კომპანიებისათვის წარმოჩენილია, როგორც „მონოპოლიების მსხვრევა". „რეფორმები" ნიშნავს XIX საუკუნეში დაბრუნებას, როცა მშრომელი მოკლებულია ყველა სოციალურ სიკეთეს. „რესტრუქტურიზაცია" – ნედლეულის წარმოებაზე დაბრუნებას და სახსრების გადატანას წარმოებიდან სპეკულაციაზე. „რეგულირებაზე უარის თქმა" – სახელმწიფოსაგან ეკონომიკური რეგულირების ფუნქციის გადაცემას საერთაშორისო ბანკების მესვეურთათვის... სიმდიდრის, შემოსავლებისა და ძალაუფლების ახალ კონცენტრაციას დასავლური ელიტის ხელში."*[41]

ეს ყველაფერი განყენებულ მსჯელობად ან, ღმერთმა დაგვიფაროს, ინსინუაციად რომ არ მოგეჩვენოთ, გავიხსენოთ თუნდაც „თელასის" გაყიდვის ისტორია. 1998 წელს ადგილობრივი

41. http://usinfo.ru/oniimy26.htm.

არჩევნების წინ თბილისში ელექტროენერგიის დისტრიბუციის სამსახური „თელასი" ამერიკულ კომპანიას მიჰყიდეს. ამ ოპერაციით მიღებული თანხა – 50 მლნ. დოლარი არჩევნების წინ ხელფასების და პენსიების დავალიანების დაფარვას მოხმარდა. ადგილობრივ არჩევნებში თბილისმა ხმების ერთობლივი უმრავლესობით (ყველა გაყალბების ჩათვლით) ოპოზიცია აირჩია. ახალმა საკრებულომ სასწრაფოდ მოითხოვა „თელასის" გასხვისების კონტრაქტის გადახედვა, რადგან ელექტროენერგიის ფასებმა მტკივნეულად დაარტყა მთელ მოსახლეობას. მე მაშინ თბილისის საკრებულოს მდივანი ვიყავი და, ამდენად, ინფორმაციაც პირველწყაროდან მაქვს. პირველი სიურპრიზი ის იყო, რომ ძალაში მყოფად, როგორც გაირკვა, კონტრაქტის მხოლოდ ინგლისური პირი ითვლებოდა და არა ქართული. მეორე მნიშვნელოვანი დათქმა ის იყო, რომ ნებისმიერი სადავო საკითხი მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოში უნდა განხილულიყო და კონტრაქტი გასული იყო ქართული სამართლებრივი სივრციდან. მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ის გახლდათ, რომ „თელასი" ფაქტობრივი **მონოპოლისტი** გახლდათ და მოსახლეობას არც ერთ შემთხვევაში არ შეეძლო ესარგებლა სხვა კომპანიის მომსახურებით (ანუ ბაზარზე უფრო იაფი მომსახურებით). ამაზე „AES-თელასის" ამერიკულმა ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ „თელასი" არ არის მონოპოლისტი, რადგან თბილისის ხელისუფლებას შეეძლო ალტერნატიული ქსელის შექმნა და რომ ამას ვერავინ დაგვიშლიდა. ასეც იყო, ოღონდ ერთი დეტალი უნდა დავაზუსტო: ახალი ქსელის შექმნა ქალაქს 650 მლნ. დოლარი დაუჯდებოდა! როდესაც პარლამენტში საკომიტეტო მოსმენაზე პასუხი ქონების მართვის მინისტრს მოვთხოვეთ, უკლება წონასწორობიდან გამოვიდა და იყვირა: „დიახ, გავყიდე და ყველაფერს გავყიდიო!" ასე რომ ეს ფრაზა, რომელსაც ხშირად გვასმენინებს კახა ბენდუქიძე, სულაც არ არის მისი ნოუჰაუ. სხვათა შორის, „თელასის" გაყიდვის ამ „გენიალური" კონტრაქტის ერთ-ერთი ავტორი ადვოკატი ირაკლი ოქრუაშვილი

გახლდათ, რომლის პირველი ექვსნიშნა ჰონორარი, როგორც ამბობენ, სწორედ ამ საქმეს უკავშირდებოდა.

თუ 10 წლის წინანდელი ამბები მაინც ერთეულ შემთხვევებს მოიცავდა, აშშ-ს პირდაპირი მხარდაჭერით მოსულმა „ვარდების ხელისუფლებამ" ეს პროცესები კონვეიერზე შეაყენა. ტყეები, მდინარეთა კალაპოტები, წიაღისეული, მიწები, შენობები... სქემა ყველგან ერთი და იგივეა.

მონოპოლიზმი – საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ერთი მწარმოებლის, გამყიდველის ან მათი შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფის ბატონობა, რომელთაც აერთიანებს ბაზრის მიტაცების, ფასების კონტროლისა და ანალოგიური საქონლის მწარმოებელი კონკურენტების განდევნის სურვილი. აგრეთვე – მეურნე სუბიექტების, მართვის ორგანოების ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს კონკურენციის მოსპობას და ერთი მონაწილისათვის უპირატესი პირობების შექმნას.

ვაცლავ ჰაველი წერილში „გაკვეთილები, რომელთაც დღემდე გვიტარებს კომუნიზმი", წერდა: *„ჩვენ ვოცნებობდით უფრო სამართლიან მსოფლიო წესრიგზე. ორ ბანაკად გაყოფილი მსოფლიოს დასასრულის შემდეგ გაჩნდა შესაძლებლობა იმისა, რომ საერთაშორისო წესრიგი უფრო ჰუმანური გამხდარიყო. ამის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესს, რომელიც გამოვიდა პოლიტიკური კონტროლიდან და მისი დღევანდელი სახით იწვევს ეკონომიკურ გაღატაკებას და ეკოლოგიურ კატასტროფას სამყაროს სხვადასხვა კუთხეში... ტრანსნაციონალური კორპორაციები, მედიაკარტელები და ყოვლისშემძლე ბიუროკრატიული სტრუქტურები პოლიტიკურ პარტიებს აქცევენ ორგანიზაციებად, რომელთა ამოცანა ახლა უკვე საზოგადოების სამსახური კი არა, არამედ კონკრეტული კლიენტურისა და გარკვეული ინტერესების დაცვაა. პოლიტიკა ლობისტთა ბრძოლის ველად გადაიქცა; მასმედია სე-*

რიოზულ პრობლემებს უხამსობად აქცევს; დემოკრატია ხშირად მომხმარებლისთვის განკუთვნილ ვირტუალურ თამაშს ემსაგავსება, და არა სერიოზულ საქმეს სერიოზული ადამიანებისთვის." [42] შემზარავი სურათია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჰაველი არც კომუნისტია და არც საბჭოთა კავშირს მონატრებული ადამიანი. ამ ტექსტში ძალზე ნიშანდობლივი სამი ტერმინია გამოყენებული: მედიაკარტელები, კლიენტურა და ვირტუალური თამაში.

კარტელის სახელით ყველაზე ხშირად მოიხსენიება ხოლმე კოლუმბიური ნარკოკარტელი, რაც, სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობისგან განსხვავებით, აშკარად კრიმინალური სახის ასოციაციებს იწვევს. თუმცა, თავისთავად წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით არც არაკრიმინალურ კარტელს აქვს მაინცდამაინც დადებითი ელფერი. იგი დიდწილად ფარულ გარიგებებსა და უკანონო მონოპოლიზმს გულისხმობს. ამერიკული ანტიტრესტული კანონმდებლობა სწორედ კომერციული საქმიანობის ცალკეულ სფეროთა მონოპოლიზაციისა და კარტელების შექმნის წინააღმდეგ იყო მიმართული. დღეს ჰაველის მიერ ნახსენები მედიაკარტელი გაცილებით უფრო დიდი საფრთხის შემცველია, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახისა; მარტივად რომ ვთქვათ, ჰაველი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მასობრივ საშუალებათა უკანონო მონოპოლიებს გულისხმობს. „იმედის" თანამფლობელად რუპერტ მერდოკის შემოსვლაც საქართველოს იმას უქადდა, რომ ქართული ტელესივრცე ამ უზარმაზარი მედიაკარტელის ნაწილად უნდა ქცეულიყო. ტელეკომპანიის დამფუძნებლის გარშემო დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა და ხალხის გულისწყრომამ პოპულარული ტელეარხის მაუწყებლობის შეწყვეტის გამო ეს საკითხი ჩრდილში მოაქცია, მაგრამ, მეორე მხრივ, ქართულ ტელესივრცეში მერდოკის „უნივერსალური" პროდუქციის გავრცელება დროებით მაინც შეაჩერა. საქართველოში ერთადერთი პიროვნება, რომელიც ამ საკითხს თუნდაც გაკვრით

42. www. Project-syndicate.org.

შეეხო, ლაშა ბაქრაძე გახლდათ. მან ძირითადად უცხოელების მიმართ ქართულ აღტაცებაზე გააკეთა აქცენტი, მაგრამ მერდოკის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არ დაუფარავს.[43]

კლიენტურა ამ კონტექსტში მეტად საინტერესო ტერმინია; მ. პარენტი ასე ახასიათებს სახელმწიფო-კლიენტებს: *„სახელმწიფო-კლიენტი არის ინვესტიციებისთვის ღია სახელმწიფო, უცხოელ ინვესტორთათვის უდავოდ ხელსაყრელი პირობებით. სახელმწიფო-კლიენტში უცხოური კორპორაციების ინვესტორები პირდაპირი სუბსიდიებით და მიწის ყიდვისას დოტაციებით სარგებლობენ, ხელი მიუწვდებათ ნედლეულის წყაროებზე და იაფ მუშახელზე, დაბალ გადასახადებზე, განუვითარებელ პროფკავშირებზე. ხოლო მინიმალურ ხელფასზე, ბავშვთა შრომის შეზღუდვაზე, შრომის პირობების უსაფრთხოებაზე, მომხმარებლის უფლებებსა და გარემოს დაცვაზე საერთოდ არ არის ლაპარაკი."*[44] როდესაც ჩვენ „ხელსაყრელ" საინვესტიციო გარემოზე და უხვ ინვესტიციებზე გვესაუბრებიან, არასოდეს აზუსტებენ, თუ რას აძლევს ეს ინვესტიციები ადგილობრივ მოსახლეობას, თორემ ინვესტორი რომ ფულს იქ ჩადებს, სადაც მეტსა და უფრო სწრაფად მოიგებს, ეს ცნობილი ამბავია. ასეთივე მანიპულაციას წარმოადგენს საუბარი ეროვნული შემოსავლების ზრდაზე. დავუშვათ, შემოსავალი შარშან 100 მლნ. იყო, წელს კი 500 მლნ. გახდა. მოსახლეობა გაოცებულია, რომ მან ვერაფერი იგრძნო. არადა, აქ საქმე შადრევნებში სულაც არ არის (ამიტომ იქცევა ხოლმე აბსურდად კამათი იმაზე, უნდა გვქონდეს თუ არა შადრევნები): ინვესტიცია კი შემოდის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი აქ იმუშავებს და მუდმივ შემოსავალს გააჩენს. რაიმეს ყიდვისთვის (შენობის, მიწის, წიაღისეულით სარგებლობის უფლების, ბუნებრივი რესურსების და ა. შ.) შემოსული თანხა ერთჯერადია და იგი „თელასის" საფასურივით იფანტება, ხოლო სხვა სახის ინვესტიცია კვლავაც მდიდართა კიდევ

43. გ. გვახარიას საავტორო ტელეპროგრამა „წითელი ზონა".
44. М. Паренти, «Власть над миром», М. «Поколение», 2006, გვ. 31.

უფრო გამდიდრებას ემსახურება და მოსახლეობასთან არაფერი აქვს საერთო. ანუ, სხვის ჯიბეში ჩასული ინვესტიცია ითვლება საერთო ეროვნულ სიკეთედ და ამას ხშირად გვაყვედრიან კიდეც. ამგვარ მანიპულაციებს მოგვიანებითაც მივუბრუნდები, როცა დღევანდელი (გუშინდელი და გუშინწინდელი) „რეფორმატორების" შეხედულებათა რადიკალურ ცვლაზე ვისაუბრებთ.

პირობითი ენისა და ამ ენის ნორმებით „კლიენტურის" მნიშვნელობის თვალსაზრისით მეტად სიმპტომატური იყო გოგა ხაინდრავას რეაქცია რუსულ ტელეგადაცემაში ანდრანიკ მიგრანიანის ნათქვამზე, რომ სააკაშვილი ვაშინგტონისა და ბრიუსელის „კლიენტია" და ამას არც მალავს. ხაინდრავა დაახლოებით ისე აღშფოთდა, როგორც ერთ ქართულ ფილმშია – „ვინ არი, ბიჭო, შენი სიმპატიურიო!" და კორექტულობისკენ მოუწოდა მიგრანიანს. როცა ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა თანამედროვე პოლიტიკური ტერმინოლოგია არ იცის, იქ რთულია რაიმეზე სერიოზულად საუბარი, მაგრამ ჩვენს მაყურებელს ხომ ეს ხაინდრავაზე ნაკლებად ესმის – ზედაპირზე ისე ჩანს, რომ ხაინდრავამ მიგრანიანი „დატუქსა"). სინამდვილეში, მას რომ გაეგო, რაც თქვა მიგრანიანმა, არა მგონია, ეს შემთხვევა ხელისუფლების კრიტიკისათვის არ გამოეყენებინა.

ვირტუალურ თამაშს რაც შეეხება, ნოამ ხომსკი საკმაოდ ზუსტ სურათს იძლევა: *„უკიდურესად აუცილებელია, წაართვა ადამიანებს იმედი. თუ ეს მოხერხდა, ფორმალური დემოკრატიის დამყარება შესაძლებელიც ხდება და უფრო საჭიროც კი, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ, როგორც პროპაგანდისა და პიარის საშუალება."* [45] ამიტომ, როცა ჩვენებური ვირტუალური დემოკრატია და კეთილდღეობა გვაღიზიანებს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ტენდენცია არც ადგილობრივია და არც შემთხვევითი; იგი მთლიანად უპასუხებს თანამედროვე „მესამე სამყაროში" გამეფებულ პილიტიკურ ნიადაგს, რომელსაც საქმის მცოდნე „სტრატეგიული პარტნიორები" კვებავენ.

45. Н. Хомский «Гегемония или борьба за выживание» М. 2007. გვ. 17.

ჰაველის სამივე ტერმინი მის აშკარა იმედგაცრუებას ნათელყოფს. ჩვენთვის კი ალბათ უფრო ის არის მნიშვნელოვანი, რომ არაფერი განსაკუთრებული და „ჯერ არნახული" არ გვჭირს. ესეც ერთგვარი თამაშის წესია, – თითქოს ჯადოსნური ჯოხის ზემოქმედებით მთელი მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნები დიდი ფიქრის შემდეგ „ლოგიკურად" მიდიან ერთსა და იმავე „ცხოვრების ფორმულამდე". ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ საკმარისი იყო, რაიმეთი უკმაყოფილება გამოგეთქვა, რომ მაშინვე პირში ბურთს ჩაგჩრიდნენ: „ჩვენ გვინდა ევროინტეგრაცია, ნატო, თქვენ კი წარსულში გვექაჩებით. ნუ შეაჩერებ შენებას და ა. შ." მარტო ნანუკა ჟორჟოლიანის ვირტუალური „შედევრი" – ნატოს 26 ქვეყნის სახელით ვენახზე გადაფარებული ქსოვილი ერთ რამედ ღირდა! ამგვარ მდარე „პლაკატურ" პროპაგანდას საბჭოთა პიონერიის მესვეურებიც კი აღარ კადრულობდნენ.

სულ ცოტა ხანში განწყობილებები რადიკალურად შეიცვალა; საქართველოს რკინიგზისა და ბუნებრივი რესურსების გაყიდვის განზრახვით სრულიად სამართლიანად აღშფოთებული ნიკო ორველაშვილი 2008 წლის მარტის ინტერვიუში უკვე ამბობს: *„შეათრევენ ნატოში საქართველოს დარჩენილ ტერიტორიას და ამით გაიხარებს აშშ, რომელიც შეგუებულია იმას, რომ საქართველო სჭირდება პლაცდარმად და არც ქართული დემოკრატიის ბედი აღელვებს და არც ქართველი საზოგადოების კეთილდღეობა. მთლიანობაში ყველა რაღაცას მიიღებს, საქართველო კი ყველაფერს დაკარგავს".*[46] თვით პაატა ზაქარეიშვილიც კი, რომლის პროამერიკულობაში ეჭვს ნამდვილად ვერ შეიტანდი, დღეს აცხადებს: *„აშშ-ს არ უნდა საქართველოში დემოკრატია, ვაშინგტონს იგივე უნდა, რაც ადრე კრემლს. ამაშია მთელი ტრაგედია. მათ კავკასიაში გავლენის სფეროები სჭირდებათ... მათ სჭირდებათ დათრგუნვილი, განადგურებული სააკაშვილი, რომელიც მათი ნების უსიტყვო შემსრულებელი იქნება."*[47] საკმარისი იყო, საპრეზიდენტო არჩევ-

46. გაზეთი „ასავალ-დასავალი", №3 2008
47. გაზეთი „რეზონანსი", 10.I.2008.

ნებში აშშ ადმინისტრაციას დარღვევები „ვერ დაენახა", რომ ადგილობრივ პროამერიკელებს თვალი აჰხილვოდათ. ბედის ირონიაც ამას ჰქვია: აშშ-ს წყალობით დღეს პოლიტიკურ პარტიებს იმისთვის უწევთ თავგანწირული ბრძოლა, რაც უპრობლემოდ მიიღეს 2003 წლის „გაყალბებულ" არჩევნებში: ექვსი პარტია პარლამენტში ოპოზიციის უმრავლესობით! თუმცა ამაზე სხვა დროს, ახლა კი ჰაველის მიერ ნახსენებ „პოლიტიკური კონტროლიდან გამოსულ ეკონომიკურ გლობალიზაციაზე" შევჩერდეთ.

ჯერ კიდევ 1927 წელს კ. ა. ჩხეიძემ პარიზში, ემიგრაციაში გამოაქვეყნა სტატია *„ერთა ლიგა და სახელმწიფო-მატერიკები"*, რომელშიც უკვე დაწყებული გლობალიზაციის პროცესზე, მაგრამ ცხადია, ამ ტერმინის ხსენების გარეშე წერდა: *„სახელმწიფოთა ურთიერთობა ან კოორდინაციის, ან სუბორდინაციის პრინციპზე იგება. ზოგიერთი თეორეტიკოსის აზრით, კოორდინაციის სისტემა თავის თავში „ანარქიზმის" სახიფათო მარცვალს შეიცავს (მაგ., 1914-1918 წწ. „დიდი" ომის გამეორების საფრთხეს); კოორდინაციის სისტემა, ამ თეორეტიკოსთა აზრით, ჩვენმა პლანეტამ მოილია; ფოსტამ, ტელეგრაფმა და კავშირის საშუალებებმა, აგრეთვე ყოველგვარი სიკეთით მუდმივმა და მზარდმა გაცვლა-გამოცვლამ დედამიწის ყველა პუნქტი შეაერთა; ძალუმად გვკარნახობს სამყაროს წესრიგის აუცილებელ ნორმებს. წესრიგი კი სუბორდინაციულად მყარდება: არსებობენ მმართველები და მართულები; არის უმაღლესი ინსტანცია, რომელიც კანონმდებლობს და განმარტავს სამართალს, არის ყველა მონაწილისათვის უფლებათა და მოვალეობათა საერთო ქარტია. სუბორდინაციული სისტემის მომხრეები მიუთითებენ ერთა ლიგაზე, როგორც განხორციელებად „მსოფლიო მთავრობაზე".*[48]

ამ სტატიაში მომავალი გლობალიზაციის ნიშნები აშკარად იკვეთება. „ახალი მსოფლიო წესრიგის" ჩანასახებიც კარგად ჩანს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ „მართულთა" და „მმართველთა"

48. http://www.politnauka.org/mpimo/chh.php К.Чхеидзе «Лига наций и государства-материки».

თემა წარსულს ჩაბარდა, ერთ ინტერნეტ-ანეკდოტს შევახსენებ „ტაიდის“ რეკლამის მოტივებზე: *„თქვენ ჯერ კიდევ გგონიათ, რომ თქვენი ნავთობი თქვენ გეკუთვნით? თქვენ ჯერ კიდევ ფიქრობთ, რომ საკუთარი ქვეყანა თვითონ უნდა მართოთ? მაშინ ჩვენ თქვენთან მოვფრინავთ!“*

ეროვნული მოძრაობის აღზევებისას ხშირი იყო საუბარი იმაზე, რომ რუსეთის იმპერია საქართველოს ძარცვავს. საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსეთის ეკონომიკას ლახვარი „ჩავეცით“ და სამტრედიაში რკინიგზა გადავკეტეთ. ყოველი შეძახილი იმის შესახებ, რომ ეკონომიკური კავშირების ასე ერთბაშად გაწყვეტა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა საქართველოს, ეხლებოდა იმ ტიპის გამონათქვამებს, როგორიცაა: „დამოუკიდებელი ვიყოთ და ბალახს შევჭამთ“, ან „ჩვენ მარტო ბორჯომი და ჩაი გვარჩენს“ და ა. შ. ბორჯომი იმ მცირე ჯგუფს არჩენს, ვინც პრივატიზაციისას იმარჯვა, ხოლო ჩაი საბოლოოდ გავერანდა, რადგან რუსეთის გარდა იგი არც ერთმა ქვეყანამ არ შეუშვა ბაზარზე. უცხოელმა ინვესტორმა ჩაის ფაბრიკები მხოლოდ იმიტომ შეისყიდა, რომ საბოლოოდ გაეჩერებინა ისინი, რათა მისი საწარმოების კონკურენტი ვინმეს არ აემუშავებინა.

1988 წელს ერთი ანეკდოტური შემთხვევა მოხდა; იმ ისტერიის ფონზე, რომ რუსეთი ყველაფერს ეზიდება საქართველოდან, ერთ-ერთმა ქართველმა კინოდოკუმენტალისტმა გადაწყვიტა, გადაეღო, როგორ მიემართება საქართველოდან დატვირთული შემადგენლობები რკინიგზით. ჩავიდნენ დასავლეთ საქართველოში, ოპერატორმა კამერა დააყენა და გადაღება დაიწყო. ცოტა ხანში მიხვდნენ, რომ რაღაც ისე არ არის: შემოდის დატვირთული ვაგონები და გადის ცარიელი პლატფორმები. საქმე ის არის, რომ კადრის აგებას თავისი კანონი აქვს: რაც მარცხნიდან შემოდის კადრში, ის „შემოსვლად“ აღიქმება, რაც მარჯვნიდან – „გასვლად“. ოპერატორმა შუბლში იტკიცა ხელი: – ვიცი, როგორ უნდა გავაკეთოთო! გადავიდა ლიანდაგის მეორე მხარეს და სურათიც დალაგდა: მარჯვნიდან მარცხნივ სავსე ვაგონები

„გადიოდა“, ხოლო მარცხნიდან მარჯვნივ – ცარიელი ვაგონები „შემოდიოდა“. შორს ვარ რუსეთის როლის იდეალიზებისაგან, არც მაშინ და არც ახლა არავინ გარჩენს ტყუილად; ყველაფერს თავისი საფასური აქვს, მაგრამ დასავლეთისაგან უანგარო და ჩვენს დასახმარებლად გადაგებული „მეგობრის“ მითის შექმნა რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ამას უკვე მისი გუშინდელი მეხოტბეებიც ვეღარ მალავენ.

ასი წლის წინ ლენინი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ წერდა: *„XIX საუკუნის 90-იან წლებში შინამრეწველობის ასპარეზი თანდათან ვიწროვდება. თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი შინამრეწველური სარეწები, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციის გამო. ეცემოდა იარაღის ძველებური წარმოება ტულიდან და ბელგიიდან შემოტანილ ნაწარმთა კონკურენციის გამო, ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქციის კონკურენციის გამო. აგრეთვე სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ქონის და სოდის, ტყავის და სხვა შინამრეწველური დამუშავება. ყველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომლებიც კავკასიაში გზავნიდნენ თავის ნაწარმს. ეცემოდა რქის დამუშავება ყანწად, საქართველოში ფეოდალური წყობილებისა და მისი ისტორიული ნადიმების დაცემის გამო, ეცემოდა ქუდის სარეწი აზიური კოსტიუმების ევროპულით შეცვლის გამო, ეცემოდა რუმბების წარმოება ადგილობრივი ღვინისათვის, რომელიც პირველად გაჰქონდათ გასაყიდად, რაც იწვევდა მეკასრეობის განვითარებას, და რომელიც, თავის მხრივ, იპყრობდა რუსეთის ბაზარს. ამრიგად, რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს – ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, – ქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის.“*[49]

49. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ.703-704.

ეს ციტატა მოვიყვანე და მე თვითონ გამეცინა, იმდენად ტაბუირებულია დღეს ლენინი. უფრო სწორად, განქიქების გარდა მისი მისამართით სხვა დამოკიდებულების გამოვლენა მიუღებელი გახდა. სახელმწიფოს სამართავად არ შეიძლებოდა მისი მიშვება (როგორც ბევრი სხვა „დემოკრატისა"), თორემ მის თეორიულ ნაშრომებში დღესაც ბევრს ნახავთ საყურადღებოს.

დღეს საქართველოში (ისევე, როგორც პოსტსაბჭოთა „დემოკრატიზებული" რეჟიმების ქვეყნებში) ისეთი ტერმინებიც კი დაივიწყეს, რომელთა შესახებ დასავლეთში კვლავაც დავობენ: კაპიტალიზმი, იმპერიალიზმი, ექსპლუატაცია და ა. შ. გასაოცარია, მაგრამ გუშინდელი მარქსისტები ლიბერალები გახდნენ, ათეისტები – თეოლოგები ან რელიგიის ისტორიკოსები, რაიკომის მდივნები – წარმატებული მენეჯერები... სიტუაცია ამოყირავდა და უცებ აღმოჩნდა, რომ საქართველოში აღარავინ იკვლევს მარქსიზმს, ან ნეო- და პოსტმარქსიზმს იმ სახით, როგორადაც იგი ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპაში (თუმცა, არც მემარჯვენე იდეოლოგიათა კვლევით იწუხებს ვინმე თავს; ისიც სრულიად საკმარისად ითვლება, რომ „ლიბერალიზმის" თაობაზე საერთო-ეროვნული კონსენსუსი მიღწეულია!). საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგ ხმის დაძვრა სამშობლოს ღალატის ტოლფასია, პრივატიზაციის წინააღმდეგ გამოსვლა კი უკიდურესი ჩამორჩენილობის ნიშანი. ისე მოხდა, რომ საქართველოში უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მსოფლიოში მიმდინარე ახალ ტენდენციებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე და, როგორც ახლა არის მიღებული თქმა, „გლობალურ გამოწვევებთან" დაკავშირებულ დისკუსიებზე ადამიანთა მხოლოდ ძალზე მცირე წრეს მიუწვდებოდა ხელი. არც არის გასაკვირი – ზოგიერთი სერიოზული ავტორის წიგნის ღირებულება 50-დან 130 ლარამდე მერყეობს, ინტერნეტი კი ყველასათვის არ არის ხელმისაწვდომი და არც ისეთი ყოვლისმომცველია, როგორც ზოგიერთ ჩვენს ახალგაზრდა დეპუტატს ჰგონია (საქმე იქამდე მივიდა, რომ პარლამენტში სერიოზულად განიხილავდნენ საკითხს, თუ რა

საჭიროა ჰიდრომეტცენტრის დაფინანსება, როცა ინტერნეტში შეიძლება ამინდის პროგნოზის ნახვა!). ამიტომ ზოგჯერ ჩვენი პოლიტიკოსების კამათს რომ ისმენ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი ისევე არიან მომზადებული, როგორც ბაბეტა გერმანელ გენერალთან შესახვედრად, სახელდახელოდ რომ დაასწავლეს: „ბეთჰოვენი მეხთამტყორცნელია, მოცარტი – ღვთიური!"

თუმცა ისევ ლენინს მივუბრუნდეთ: *„იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმი განვითარების იმ სტადიაზე, როცა ჩამოყალიბდა მონოპოლიებისა და ფინანსური კაპიტალის ბატონობა, ხოლო კაპიტალის გატანამ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა, დაიწყო მსოფლიოს დანაწილება საერთაშორისო ტრესტების მიერ და ეს დანაწილება დასრულდა დედამიწის მთელი ტერიტორიის გაყოფით უმსხვილეს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის".*[50] ახლა ამ ტექსტში „ტრესტების" ნაცვლად „ტრანსნაციონალური კორპორაციები" ჩასვით, ხოლო ბოლო ფრაზის ნაცვლად იხმარეთ ტერმინი „ახალი მსოფლიო წესრიგი" და თავად უპასუხეთ, სწორად არის თუ არა აღწერილი დღევანდელი სურათი. რა გამოგივიდათ?

რომ არ მოგეჩვენოთ, თითქოს კომუნისტური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოექეცით, თანამედროვეობის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევი მკვლევარის, სამუელ ჰანტინგტონის ფრაზას მოვიყვან: „დეკოლონიზაციის შემდგომ... ტრადიციული ტერიტორიული იმპერია შეცვალა ტრანსნაციონალურმა იმპერიალიზმმა".[51]

ასე რომ, იმპერიალიზმი, ლენინის საქმისგან განსხვავებით, „ცოცხლობს და იმარჯვებს"!

ენდრიუ ჰეივუდი, წამყვანი ამერიკელი პოლიტოლოგი, წერს: *„კაპიტალიზმი, როგორც მსოფლიო სისტემა, არ ყოფილა ყოველმხრივ განხილული იქამდე, ვიდრე არ გამოვიდა ლენინის*

50. В. И. Ленин «Империализм, как высшая стадия капитализма». თხზ. სრული კრებული. ტ. 5, გვ. 27.

51. С. Хантингтон «Столкновение цивилизаций» М. 2006. გვ. 117.

წიგნი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია". იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ კაპიტალის გასვლა ნაციონალურ საზღვრებს მიღმა განპირობებულია მისი სწრაფვით, შეინარჩუნოს მოგების ნორმა კაპიტალის ექსპორტის გზით, ეს კი თავის მხრივ იწვევს კაპიტალისტური სახელმწიფოების შეჯახებას, რის შედეგიც აღმოჩნდა პირველი მსოფლიო ომი – იმპერიალისტური ომი, რადგან იგი მიმდინარეობდა კონტროლისათვის კოლონიებზე აფრიკაში, აზიაში და სხვ." [52] თუმცა მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და დღეს დასავლეთის ნეომარქსისტები მიიჩნევენ, რომ ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა არა მარტო გამოდევნეს სუვერენული სახელმწიფოები მსოფლიო პოლიტიკის არენიდან, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ფუნქციონირებენ იმ სისტემის ჩარჩოებში, რომელიც გლობალური კაპიტალიზმის გრძელვადიან ინტერესებს ემსახურება. მათი შეხედულებით, მსოფლიო გაიყო „ბირთვად" და „პერიფერიად". „ბირთვი" განვითარებული დასავლეთია, ხოლო „პერიფერია" – მესამე სამყარო, რომელიც იაფი მუშახელისა და ნედლეულის წყაროს წარმოადგენს".[53] ეს ფრაგმენტი ამერიკელი მეცნიერის, ენდრიუ ჰეივუდის პოლიტოლოგიის სახელმძღვანელოდანაა აღებული და მას არაფერი აქვს საერთო ანტიამერიკანიზმთან, ან ანტიიმპერიალიზმთან. იგი არსებული სურათის ქრესტომათიულ სახეს წარმოადგენს.

დღეს დასავლეთში კარლ მარქსსაც კი უფრო გლობალიზაციის პირველ თეორეტიკოსად მიიჩნევენ, ვიდრე კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგად (ჩემთვის აღმოჩენა იყო ის, რომ მარქსი თავისი ნაშრომების წერისას უოლ-სტრიტიდან ფინანსდებოდა, რაც დოკუმენტურად დაადასტურეს ამერიკელმა და ინგლისელმა მკვლევარებმა). ჯ. ჰობსონი და ვ. ლენინი 100 წლის წინ ყურადღებას კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის შინაგან ერთობაზე

52. Х. «Политология» М. 2005. გვ. 163.
53. Х. «Политология» М. 2005. გვ. 164.

ამახვილებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციას მისი აპოლოგეტები რევოლუციურ ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ძალად წარმოაჩენენ, ბევრი ექსპერტის შეფასებით გლობალიზაცია მხოლოდ იდეოლოგიურ შირმას წარმოადგენს იმ თეორეტიკოსებისა და პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც ნეოლიბერალურ ეკონომიკას ქადაგებენ, სინამდვილეში კი დიდი ბიზნესის ინტერესებს ემსახურებიან. მათთვის მეტისმეტად ხელსაყრელია მიმდინარე უმძიმესი პროცესების რაღაც უსახო გლობალიზაციის ხარჯზე „ჩამოწერა", რათა არ გამოჩნდეს დიდი ბიზნესი, რომლის ინტერესებსაც ეს ყველაფერი ემსახურება.

ჩვენში ხშირად ცდილობენ, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილად წარმოაჩინონ ის საკითხები, რომელთა ირგვლივ დავა არ წყდება იმ დასავლეთში, შინაური ლიბერალები რომ მაგალითად გვისახავენ. გლობალიზაციის კრიტიკოსები (ასეთნი კი მრავლად არიან) ამტკიცებენ, რომ გლობალიზაცია „მოგებულთა" და „წაგებულთა" ბრძოლას დაემსგავსა, სადაც მოგებულები ტრანსნაციონალური კომპანიები და განვითარებული სახელმწიფოები არიან აშშ-ს „თამადობით", ხოლო წაგებულები – განვითარებადი ქვეყნები.

გლობალიზაცია დღეს არ დაწყებულა, თუმცა იგი არც მუდმივად ურთიერთკონტაქტში მყოფ ძველ ცივილიზაციათა ურთიერთობასთან უნდა გავაიგივოთ. ჩვეულებრივ, ამ ხერხს ისინი მიმართავენ, ვინც ცდილობს, გლობალიზაცია გარდაუვალ, ბუნებრივ სტიქიად წარმოაჩინოს. მას არაფერი აქვს საერთო სტიქიურ მოვლენებთან და ისევე შორს არის ბუნებისაგან, როგორც თეთრი დათვის გენჩანერგილი კარტოფილი.

ანტიგლობალისტების ლიდერი ჟოზე ბოვე, 2001 წელს გამოცემული ბესტსელერის „სამყარო, რომელიც არ იყიდება" ავტორი, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: *„უკანასკნელი 30-40 წლის განმავლობაში ეკონომიკა სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეებისაგან დამოუკიდებელი გახდა. გარიგებები „უსამშობლო მონოპოლიებს" შორის მსოფლიო კომერციის ორ*

მესამედს შეადგენს! ჩვენ ტრანსანაციონალური კორპორაციების წარმოუდეგენელი ძლიერების ზრდის მოწმენი ვართ. ძირითადად იგი სპეკულაციურ ოპერაციებზე, საპენსიო და საპაიო ფონდების ირგვლივ თამაშზე, ოფშორებში ფულის გადაქაჩვაზე დგას. მთელი ქვეყნები შეიძლება გაკოტრდნენ ყოველგვარი ეკონომიკური მიზეზის გარეშე – მხოლოდ ფინანსური სპეკულაციების შედეგად... გლეხი, რომელმაც საკუთარ მინდორზე მოდიფიცირებული სოია დათესა, მოსავლის აღების შემდეგ ვერ დათესავს მიღებულ სათესლე მარცვალს. ფერმერი ვალდებულია, ყველაფერი ჩაბაროს ფირმას, რომელმაც მას თესლი მიაწოდა და შემდგომშიც მხოლოდ ამ ფირმისგან უნდა შეიძინოს თესლი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასამართლო დევნის პერსპექტივა აქვს, როგორც სხვისი ტექნოლოგიის ქურდს. ეს დიქტატურაა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ცოცხალი ორგანიზმების დაპატენტება დაუშვებელია... მე ვებრძვი ბიოტექნოლოგიურ მონოპოლიებს იმიტომ, რომ მათი აგრესია დამონების ახალ ფორმებს ამკვიდრებს. 5-6 ფირმას უნდა, დაიმორჩილოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარი, მთელი გლეხობა."

რამდენიმე თვის წინ „ევრონიუსი" აღფრთოვანებით გადმოსცემდა ინფორმაციას ინდოეთში გენმოდიფიცირებული ბამბის მოყვანის შესახებ. როგორც გაირკვა, ამ ბამბას ჩრჩილი არ ეკარება, რაც სწორედ იმის არგუმენტს წარმოადგენდა, თუ რა მომგებიანია ამგვარი ბამბის ქსოვილის შეძენა და მისგან ტანსაცმელისა თუ სხვა პროდუქციის დამზადება. ადვილი წარმოსადგენია, როგორი „სასარგებლო" იქნება ბამბა, რომელსაც ჩრჩილიც კი არ ეკარება. თუმცა, ამ ინფორმაციაში უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ იყო: 200 წლის შემდეგ ბრიტანეთმა, როგორც იქნა, აისრულა ოცნება, ინდოეთი ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყნად ექცია. ამ გენმოდიფიცირებული ბამბისგან დამზადებულ პროდუქციას ბრიტანეთი არ მოიხმარს; იგი უკვე მზა სახით ინდოეთსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში გავა საექსპორტოდ. 1993 წელს აშშ-ში ყოფნისას ვერსად მივაგენი სიგარეტ „მაგნას", რომელიც

საქართველოში მასობრივად შემოდიოდა და საკმაოდ იაფი იყო. როდესაც ვიკითხე, რატომ არ არის არსად ეს სიგარეტი-მეთქი, ამიხსნეს, რომ „მაგნა“ აშშ-ს გარეთ მოხმარებისთვის მზადდება და არა ამერიკელი მომხმარებლისათვისო. მაშინ პირველად აღმოვაჩინე, რომ მთელ რიგ საქონელზე ამგვარი შეზღუდვები არსებობს. დღეს ეს უმრავლესობისათვის ცნობილია, უბრალოდ ადამიანები ხშირად ვერ აცნობიერებენ, რა დგას ამ შეზღუდვების უკან.

ტრანსნაციონალური კორპორაციების კიდევ ერთი დანაშაული, სხვა მრავალთა შორის, ისიც არის, რომ ყველგან, სადაც შედიან და მიწებს იღებენ, გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ გარემოს. ღია კარიერების წესით წიაღისეულის მოპოვება ფიტავს და ანადგურებს ნიადაგს და მასზე ასეულობით წელი აღარაფერი მოვა (წყლის დაბინძურებაზე რომ არაფერი ვთქვათ). ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიზნით აღებულ მიწებს, როგორც წესი, გენმოდიფიცირებული მონოკულტურების მოსაყვანად იყენებენ (მაქსიმალური მოგების მისაღებად), რაც ასევე ფიტავს ნიადაგს, ხოლო ამ კულტურების ზემოქმედება ადგილობრივ ფლორასა და ფაუნაზე, ენდემურ ჯიშებზე ჯერაც არავის გამოუკვლევია. გენმოდიფიცირებული კულტურების წარმოების ადგილებში უკვე დაფიქსირდა მწერების აგრესიული მუტანტების გაჩენა.

კიდევ ერთი მითი საქართველოს რესურსებით სილარიბეზე პირდაპირ უკავშირდება საქართველოს წყლის რესურსების გაყიდვას. როცა საერთაშორისო პოლიტიკაში ენერგორესურსების უდიდეს როლზე მიუთითებენ, ჩვენში თითქმის არ ახსენებენ სასმელი წყლის რესურსების მნიშვნელობას. არადა, ყოველწლიურად მის დეფიციტს 1,1 მილიარდი ადამიანი განიცდის. კოფი ანანის განცხადებით, წელიწადში 2 მილიონი ბავშვი იღუპება სასმელი წყლის დეფიციტის გამო. გაერომ 2005-2015 წწ. გამოაცხადა საერთაშორისო ათწლეულად „წყალი სიცოცხლისათვის“. წყლის ექსპორტი ენერგორესურსებზე უფრო მომგებიანი და მათგან განსხვავებით, სასიცოცხლოდ აუცილებელია. განიხილება მაგისტრალური წყალსადენებითა და ტანკერებით სასმელი

წყლის ტრანსპორტირების გეგმები. თავის დროზე საბჭოთა ხელისუფლებას მწარედ დავცინოდით ჩრდილოეთის მდინარეების მობრუნების პროექტის გამო, მაგრამ რამდენიმე წლის წინ ამერიკელებიც სრული სერიოზულობით მსჯელობდნენ ტიგროსისა და ევფრატის კალაპოტების გადაგდებაზე, რათა ერაყისთვის სასმელი წყლის პრობლემა შეექმნათ![54] ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების მინისტრის, ტომას გარეტის განცხადებით, წყლის დეფიციტის გამო მოსალოდნელია ახალი კონფლიქტები, ე.წ. „წყლის ომები". დღეს უკვე მსოფლიოს 30 ქვეყანა წყლის ერთ მესამედს საზღვარგარეთიდან იღებს. მსოფლიოში წყალზე მოთხოვნილება სულ უფრო იზრდება, ჩვენი ხელისუფლება კი წყლის რესურსებს მისი აუცილებელი ინფრასტრუქტურით ყიდის, ხოლო ქართველებს საკუთარ ეზოში გათხრილი ჭიდან წყლით სარგებლობისთვის გადასახადს უწესებს!

გლობალიზაციის ირგვლივ კამათში ყველაზე ხშირად ეკონომიკური და კულტურული პრობლემები განიხილება, მაგრამ ჩვენნაირი ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის პოლიტიკურ შემადგენელს. დასავლეთში სრულიად სერიოზულად დგას საკითხი იმის შესახებ, რომ ნაციონალურმა **სუვერენიტეტმა** საკითარი თავი ამოწურა, ყოველ შემთხვევაში, იგი ეროვნული სახელმწიფოს მთავარ ნიშან-თვისებად აღარ განიხილება. მესამე სამყაროზე რომ არ ვილაპარაკოთ, ევროკავშირის ქვეყნებში წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტი სულ უფრო კნინდება – მონეტარული, თავდაცვის, საგარეო პოლიტიკის, სოფლის მეურნეობისა და სხვა საკითხები საერთო-ევროპულ დონეზე წყდება და არა სახელმწიფოებრივ დონეზე.

სუვერენიტეტი – ფართო გაგებით, სახელმწიფოს შეუზღუდავი ძალაუფლება საკუთარ საზღვრებში. განარჩევენ ***სამართლებრივ*** სუვერენიტეტს, როგორც სახელმწიფოს უპირობო უფლებას, მოითხოვოს საკუთარი მოქალაქეებისაგან კანონების დაცვა. ***პოლიტიკური*** სუვერე-

54. http://intelligens.nnm.ru/na_poroge_vodnyh_voiyn.

ნიტეტი გულისხმობს სახელმწიფოს შეუზღუდავ ძალაუფლებას, კერძოდ, იძულების მექანიზმებზე საკუთარი მონოპოლიის მეშვეობით უზრუნველყოს მოქალაქეთა მორჩილება. ***საშინაო*** სუვერენიტეტი ასახავს იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა მოქალაქის, ჯგუფისა თუ ინსტიტუტისათვის. ***საგარეო*** სუვერენიტეტი პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოს ადგილს საერთაშორისო არენაზე, მის უნარს, იმოქმედოს, როგორც დამოუკიდებელმა ძალამ. ასე რომ, როდესაც სუვერენიტეტზე ვლაპარაკობთ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სწორად ესმით ჩვენი.

ენდრიუ ვინსენტი სტატიაში „ნაციონალიზმი და **პარტიკულარიზმი**" 2002 წელს წერდა: *„ნაციონალიზმი პარტიკულარულია, რამდენადაც თავად სახელმწიფო და სუვერენიტეტია პარტიკულარული... ეჭვის შეტანა ისეთი კოლექტიურობის გამო, როგორიცაა სახელმწიფო და „სუვერენულობა", გარდაუვალად იწვევს ეჭვის შეტანას ნაციონალიზმში. გლობალიზაციის, **კოსმოპოლიტიზმის**, მულტიკულტურის ცნებები ემუქრებიან ნაციონალიზმს და სახელმწიფოებრიობას. ნაციონალისტების საყვარელი ცნებები – კულტურული იდენტურობა და ადგილობრივ-რეგიონული თვითგამორკვევა სხვა არაფერია, თუ არა სუვერენიტეტის კონცეპტის ფუყე სუროგატი, რომელსაც მაშინ იყენებენ, როცა ამ სიტყვის ხმარებას გაურბიან."* [55] სუვერენიტეტის კრიზისი დღევანდელ მსოფლიოში უკვე ღრმად წასული პროცესია და მას ყოველმხრივ უწყობენ ხელს გლობალიზატორები, რომლებიც „თავისუფალი ვაჭრობის" ლოზუნგით სახელმწიფოებრიობის რღვევას ახორციელებენ. ვინსენტის გამონათქვამი ცხადყოფს, რომ „მორცხვი" განცხადებები კულტურული იდენტობის შენარჩუნების შესახებ ვერ შეაჩერებს იმ პროცესებს, რომლებიც ნაციონალური სახელმწიფოების მომავალს სათუოს ხდის.

55. http://www.rami.ru/cosmopolis/archives/3/kustarev.html

პარტიკულარიზმი – ამ ტერმინს ბევრი მნიშვნელობა აქვს. აქ: უნივერსალიზმის საპირისპირო ორიენტაცია, რომელიც მდგომარეობს შეფასების არა საერთო, არამედ უნიკალური კრიტერიუმების გამოყენებაში.

კოსმოპოლიტიზმი – თეორია, იდეოლოგია, რომელიც ასაბუთებს ეროვნულ ტრადიციებსა და კულტურაზე უარის თქმას, რომელიც უარყოფს სახელმწიფო და ნაციონალურ სუვერენიტეტს კაცობრიობის ერთიანობის მისაღწევად. ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიის მიხედვით – სამშობლოს იდეის გავრცობა მთელ სამყაროზე.

ჯორჯ სოროსი წიგნში „გლობალიზაციის შესახებ" წერს: *„გაეროს კეთილშობილური მიზნები ჩამოყალიბებულია მისი წესდების პრეამბულაში, სადაც ნათქვამია: „ჩვენ, პლანეტა დედამიწის მოსახლეობა". თუმცა, თვით წესდება შეიცავს გაეროს წევრი სახელმწიფოების სუვერენობის პრინციპს, მაგრამ სუვერენული სახელმწიფოების ინტერესები ყოველთვის როდი ემთხვევა იმ ადამიანთა ინტერესებს, რომლებიც ამ ქვეყნების მოქალაქენი არიან... ბაზარი სულ უფრო გლობალური ხდება, ხოლო პოლიტიკა უწინდებურად სუვერენული ნაციონალური სახელმწიფოს იდეას ეყრდნობა... გაეროს წევრი სახელმწიფოები ხშირად აყენებენ საკუთარ ნაციონალურ ინტერესებს საერთო ინტერესებზე მაღლა, რაც სერიოზულად აუფასურებს ამ ორგანიზაციის საქმიანობას... გაეროს უშიშროების საბჭო უფლებამოსილია დაძლიოს ნებისმიერი წევრი-ქვეყნის სუვერენიტეტი. მის მხოლოს 5 წევრს აქვს ვეტოს უფლება; შეთანხმებული მოქმედების შემთხვევაში მათ შეუძლიათ საკუთარი ნება მოახვიონ დანარჩენ მსოფლიოს (ეს არცთუ ხშირად ხდება)... გენერალური ასამბლეა სხვა არაფერია, თუ არა სალაყბო..."* [56]

დღეს სულ უფრო ხშირია სწორედ გაეროს უშიშროების საბჭოს კრიტიკა, რომლის შემადგენლობა და ფუნქციები უკანასკნელ

56. Дж. Сорос «О глобализации» М. «Эксмо» 2004. გვ. 27-28.

ათწლეულებში ჩამოყალიბებულ რეალობას არ ასახავს; კერძოდ, მისი მუდმივი წევრები არ არიან გერმანია და იაპონია (რაც მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა განაპირობა). განვითარებადი ქვეყნები სვამენ საკითხს ინდოეთისა და ბრაზილიის წევრობაზე, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. საერთოდ არ არის წარმოდგენილი აფრიკის კონტინენტი. გაუგებარია, რატომ აქვს ვეტოს უფლება 15-დან მხოლოდ 5 სახელმწიფოს? დღეს უკვე, ალბათ იმიტომ, რომ ჰენრი კისინჯერმა ასე ჩამოაყალიბა სახელმწიფოს „წარმატების ფორმულა“: *„სახელმწიფოები წარმატებას მხოლოდ ძალისა და ძლიერების წყალობით აღწევენ და არა იმიტომ, რომ სწორად იქცევიან“.*[57]

გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი ბუტროს ბუტროს გალი თავის წიგნში „დაუმორჩილებელი: საგა აშშ-სა და გაეროზე“ წერს: *გაერო წარმოადგენს ერთადერთი ზესახელმწიფოს – აშშ-ს საკუთრებას, რომელიც დაშინების, მუქარისა და ვეტოს დადებით მანიპულირებს მსოფლიოთი საკუთარი ინტერესებისათვის“.*[58]

გაეროს უშიშროების საბჭო და თავად ეს ორგანიზაცია სულ უფრო კარგავს ავტორიტეტს მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით აშშ-ს მიერ ცალმხრივი სამხედრო ოპერაციების ჩატარების გახშირებული შემთხვევების ფონზე. ამ „სალაყბოს“ ნაცვლად აშშ პრეზიდენტობის კანდიდატი მაკ-კეინი ახალი ინიციატივით გამოდის; იგი „დემოკრატიათა მსოფლიო ლიგაზე“ საუბრობს, რომელიც არ დაემსგავსება ერთა ლიგას და მთელ მსოფლიოში თავისუფლების „ბებიაქალი“ იქნება.[59]

როდესაც ჩვენი ხელისუფლება ინვესტიციების შემოსვლას გვიხატავს, როგორც წინსვლისა და გადარჩენის წამალს, არავინ არაფერს ამბობს იმაზე, რომ გლობალური ეკონომიკის პირობებში ცალკე აღებულ ქვეყანას უბრალოდ აღარ შეუძლია, რამენაირად იმოქმედოს კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებზე. სახელმწიფოებს მეტად შეზღუდული აქვთ საკუთარი ეკონომიკის

57. Дж. Сорос «О глобализации» М. «Эксмо» 2004. გვ. 28: (იხ. Henry Kissinger. Diplomacy. New York: Simon & Schuster, 1995).

58. http://www.gumer.info/bibliotek_buks/Culture/Sard/index.php.

59. http://www.inosmi.ru/translation/237360.html.

მართვის შესაძლებლობა. ასევე საყოველთაო გახდა სახელმწიფოს მიერ სოციალურ ვალდებულებებზე უარის თქმის ტენდენცია. საერთაშორისო კონკურენციის ზრდა აიძულებს მათ, დასწიონ გადასახადები და შრომის ანაზღაურება. გადასახადების დაწევაში, ცხადია, გარე ინვესტორი იგულისხმება და არა მოქალაქე. ეს არც არის გასაკვირი; ინვესტორი მიდის იქ, სადაც ყველაზე იოლად მიიღებს მოგებას. ამავე დროს „ინვესტიციებისათვის ღია" სახელმწიფო არაფრით არის დაცული. ინვესტორმა შეიძლება მთელი კაპიტალი ან (და) საწარმო ერთ წამში დედამიწის სხვა კუთხეში გადაისროლოს. ჩვენ ხშირად გვაშინებენ, რომ რუსეთი ენერგორესურსებს იყენებს, როგორც პოლიტიკურ იარაღს, მაგრამ განა ნებისმიერი სხვა „მფრინავი კაპიტალი" ასეთივე ან უფრო დიდი საფრთხის შემცველი არ არის? სინამდვილეში მსხვილი კორპორაციების შემოსვლა ქვეყანაში ერთ-ერთი უმძლავრესი ბერკეტია მის შიდა და საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად.

სახელმწიფოს სუვერენიტეტს რომ ხელი არ შეეშალა თავისუფალი ვაჭრობისათვის, ამიტომ ჯერ შედგა გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (1947 წ.), ხოლო 1995 წელს მის ბაზაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) შეიქმნა. მისი ამოცანაა მსოფლიო ბაზრის „ლიბერალიზაცია" და მისი „ღიაობა". მრავალი ექსპერტის შეფასებით, იგი პირდაპირ აზარალებს სახელმწიფოთა სუვერენიტეტს ტრანსნაციონალური კორპორაციების სასარგებლოდ. ნევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან შეამცირონ ტარიფები, შეუწყვიტონ სუბსიდიები ადგილობრივ სოფლის მეურნეობას, მოეპყრან უცხოურ კომპანიებს ისევე, როგორც ადგილობრივს და ა.შ. თუ ქვეყანა უარს იტყვის, შეცვალოს შიდა კანონმდებლობა, როცა ამას WTO მოითხოვს, მას საერთაშორისო სანქციებს დაადებენ, რომელიც აუცილებელ ბაზრებსა და ნედლეულს გადაუკეტავს.

გლობალიზაციისა და **რეგიონალიზაციის** დასავლელი მკვლევარების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ეროვნული სახელმწიფო-

ების „გარედან მართვა“ უკვე შემდგარი ფაქტია. ისინი ტერმინ „გლობალიზაციის“ ნაცვლად „სოციეტალურ დენაციონალიზაციას“[60] არჩევენ, რომელშიც სახელმწიფოებზე უფრო ვრცელი სოციალური სივრცეების წარმოქმნას გულისხმობენ, რაც აუცილებლად გლობალურს არ ნიშნავს.

გლობალიზაცია – მსოფლიოში ურთიერთკავშირების რთული სისტემა, რომელშიც ერთ რეგიონში მომხდარი ზემოქმედებს სულ სხვა რეგიონის მცხოვრებლებზე. ეროვნულ სახელმწიფოებს შორის მანძილები და ტერიტორიული საზღვრები უწინდებურ მნიშვნელობას აღარ ატარებს. გლობალიზაციის აპოლოგეტები მიიჩნევენ, რომ იგი მსოფლიოს დემოკრატიზაციის მძლავრი ფაქტორია, მისი კრიტიკოსები კი მიუთითებენ სულ უფრო მზარდ უთანასწორობაზე მსოფლიოში და ტრანსნაციონალური კორპორაციების მსოფლიო ბატონობაზე (ღარიბი ქვეყნები ვერაფერს უპირისპირებენ მათ ექსპანსიას).

რეგიონალიზაცია – ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა პრობლემების გადაწყვეტისადმი არა ერთი სახელმწიფოს, არამედ ამა თუ იმ რეგიონის მომხმარებელთა ინტერესების შესაბამისად მიდგომა.

ამავე საკითხის ქართველი მკვლევარი ლევან გელაშვილი სტატიაში *„რეგიონალიზმი და მისი გავლენა საერთაშორისო სისტემაზე“ განმარტავს: „გლობალიზაცია გულისხმობს „ეროვნულ ეკონომიკებზე“ დომინირებით მსოფლიო ბაზრის გაფართოებას, რამაც, მათ, შესაძლოა, საკუთარი „ეროვნულობის“ გარკვეული მნიშვნელობა დააკარგვინოს. ეს ნიშნავს მსოფლიო ბაზრის სტრუქტურების დომინირებას ლოკალურ წარმოებებთან მიმართებაში და ე.წ. დასავლური კონსიუმერიზმის დამყარებას. ამის გამო, არ არის გამორიცხული, რომ გაჩნდეს გლობალიზაციის*

60. http://www.situation.ru/applj_art_919.htm.

შეჩერების ან ამ პროცესის პირუკუ შემოტრიალების პოლიტიკური სურვილები, რათა გარკვეულწილად დაცულ იქნას ტერიტორიული კონტროლისა და კულტურული მრავალფეროვნების გარკვეული დონე. ამგვარი ცვლილებების ერთ-ერთი გზა სწორედ ახალი რეგიონალიზმი გახლავთ. რეგიონალიზმიც და გლობალიზაციაც ერთსა და იმავე პროცესში მიმდინარეობს, რასაც გლობალური სტრუქტურული ტრანსფორმაცია ეწოდება."[61]

ერთი სიტყვით, თუ პირდაპირი გლობალიზაცია არ გხიბლავთ, არის მეორე გზაც – რეგიონალიზაცია. თითქოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, მგელი შეგჭამს თუ მგლისფერი ძაღლი! სხვათა შორის, 1995 წელს სან-ფრანცისკოში გორბაჩოვის ფონდის მიერ ჩატარებულ ფორუმზე ზბიგნევ ბჟეზინსკიმ ჩვეული ქედმაღლობით განაცხადა: *„ჩვენ ვერ შევქმნით მსოფლიო მთავრობას ერთი ხელის მოსმით... საბოლოო გლობალიზაციის წანამძღვარს წარმოადგენს პროგრესული რეგიონალიზაცია"*. ასე რომ, რეგიონალიზაცია სულაც არ არის გლობალიზაციის ალტერნატივა; იგი უფრო „მცოცავი" გლობალიზაციაა.

რა უნდა იღონოს საქართველომ საკუთარი სუვერენიტეტის დასაცავად, როდესაც ევროკავშირის ერთ-ერთი „სამშობლო", ბრიტანეთიც კი უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა ამ თვალსაზრისით? ევროპის კონსტიტუციის საკითხი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და მტკივნეულია, ვიდრე ამას მასმედია გვაწვდის. კონსტიტუციის პროექტში შემოთავაზებული იყო ევროკავშირისათვის „ევროპის შეერთებული შტატების" დარქმევა, მოქალაქეებს ორმაგი მოქალაქეობა უნდა მისცემოდათ – ნაციონალური და საერთო-ევროპული. ყველა სახელმწიფო კარგავდა ვეტოს უფლებას საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის, საგადასახადო ჰარმონიზაციის და გადასახადების აკრეფის საკითხებზე. სამუშაო დოკუმენტში ევროკავშირი „ფედერალურ სახელმწიფოდ" იყო მოხსენიებული. ამ დოკუმენტის ერთ-ერთ პირველ ვარიანტში იმგვარი ნორმა

61. ლ. გელაშვილი, „რეგიონალიზმი და მისი გავლენა საერთაშორისო სისტემაზე", ჟურნ. „ახალი აზრი", №3, 2003, გვ. 32-33.

იყო შემოთავაზებული, როგორზეც ფანტაზია კომუნისტებსაც კი არ ეყოთ: სახელმწიფოებს კავშირის ნებაყოფლობით დატოვების უფლება არ ჰქონდათ! გასვლისათვის თანხმობა წევრი სახელმწიფოების ორ მესამედს უნდა მიეცა, ხოლო უმცირესობაში დარჩენილ სახელმწიფოებს არანაირი გარანტია არ ჰქონდათ, რომ კავშირიდან გასული სახელმწიფო შეინარჩუნებდა სავაჭრო უფლებებს და უკან დაიბრუნებდა **ევროპული ცენტრალური ბანკის** მიერ კონტროლირებად სავალუტო რეზერვებს. ბრიტანეთის პარლამენტის კონსერვატორი წევრის, დეივიდ ჰიტკოკ-ემორის განცხადებით, *„ეს საციხო მუხლია და არა კავშირიდან გასვლის წესი... ჩვენ უკვე აღარ ვლაპარაკობთ ნებაყოფლობით კავშირზე, რომლის დატოვება ყველას შეუძლია, როცა მოისურვებს. ეს საპარლამენტო სუვერენიტეტის საბოლოო ლიკვიდაციაა“*. პროექტის მე-9 მუხლით „კონსტიტუციას უპირატესი ძალა ექნება წევრი სახელმწიფოების სამართლის მიმართ“. ევროპის შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს უფლება უნდა ჰქონოდათ, ჩაეტარებინათ აქციები ევროკავშირის ყველა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ხოლო წევრი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებს აღარ ექნებოდათ უფლება, განსხვავებული კანონმდებლობა მიეღოთ ჯანდაცვის, სოციალური პოლიტიკის, ტრანსპორტის, იუსტიციის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ეკონომიკის, გარემოს დაცვის, შიდა და საგარეო ვაჭრობის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროებში. თუმცა ეს იყო პროექტები, ხოლო რამდენიმე სახელმწიფომ რეფერენდუმით უთხრა უარი ამგვარ კონსტიტუციას. ამიტომ იმ საკითხებს მივუბრუნდეთ, რომლებიც ევროკავშირში უკვე გადაწყვეტილია და რომელთა გადაწყვეტამ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა სუვერენიტეტი პირდაპირ დააზარალა.

ევროპის ცენტრალური ბანკი – (შტაბ-ბინა შტუტგარტში) – ევროკავშირის ქვეყნებმა თავიანთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის უფლებამოსილება ამ ერთიან სტრუქტურას გადასცეს.

1970 წელს ბრიტანეთს, ნორვეგიას, ირლანდიას და დანიას თევზჭერის უფლება ჰქონდათ თავიანთი ნაპირებიდან 200 მილის მანძილზე. ეს ქვეყნები ევროპის თევზის მოთხოვნილების 90%-ს აკმაყოფილებდნენ. როდესაც ისინი ევროპის ეკონომიკურ კავშირში გაერთიანდნენ, დიდმა ექვსეულმა (საფრანგეთმა, გერმანიამ, ბელგიამ, ნიდერლანდებმა და ლუქსემბურგმა) მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც „საერთო ბაზრის" წევრებს თევზჭერის თანაბარი უფლება აქვთ ერთმანეთის ტერიტორიებზე. 1982 წლიდან დაიწყო 20-წლიანი „გარდამავალი ფაზა" თევზჭერის ზოგად პოლიტიკაში. თუ ესპანეთისთვის მანამდე შეზღუდული იყო თევზჭერა ბრიტანეთის ტერიტორიული წყლებში, ამის შემდეგ ეს სივრცე ევროკავშირის საერთო წყლებად გამოცხადდა, ხოლო ესპანეთმა კომპენსაციის სახით 4 მლრდ. ფუნტი სტერლინგი მიიღო ევროკავშირიდან (აქედან 500 მლნ. ბრიტანეთზე მოდიოდა). ეს თანხები თევზსაჭერი ფლოტის მოდერნიზებისათვის დაიხარჯა და „გარდამავალი ფაზის" დასრულების შემდეგ ბრიტანეთის ხომალდებმა ადგილი დაუთმეს ესპანეთის ტრაულერებს. 2003 წელს ბრიტანეთის თევზის მრეწველობა უკვე წამგებიანი გახდა. ეს მხოლოდ ბრიტანეთის და მხოლოდ ერთი სამრეწველო დარგის მაგალითია.[62]

ევროკავშირის „ბირთვი" ქვეყნებიდან სულ უფრო ხშირად გაისმის პროტესტი იმის გამო, რომ მათი ეროვნული ინტერესები ეწირება პოლიტიკურ მიზნებს, რომელთა გამოც კავშირში ახალი ღარიბი წევრების რაოდენობა ერთბაშად გაიზარდა. ისინი ვერავითარ ენთუზიაზმს ვერ გრძნობენ იმის გამო, რომ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები უნდა არჩინონ. ამას ემატება საფუძვლიანი ეჭვები იმის თაობაზე, რომ საერთო-ევროპულ სახელმწიფოში ერების, მათი კულტურისა და ისტორიის ნივლირების საფრთხე სრულიად რეალურია. საფრანგეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი იუბერ ვედრინი ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ აშშ მოდელის გადმოღება და

62. Н. Хаггер, «Синдикат», М. 2008, გვ. 163-204.

„ევროპის შეერთებული შტატების შექმნა" თავიდანვე ილუზია იყო. აშშ არ არის სხვადასხვა სახელმწიფოების გაერთიანება, ეს ერთი ქვეყნის ორგანიზების ფორმაა. ევროპა ისწრაფოდა იმისკენ, რასაც ჟაკ დელორი ნაციონალური სახელმწიფოების ფედერაციას უწოდებდა, რომლებიც ზოგიერთ დარგში თანამშრომლობენ, მაგრამ ინარჩუნებენ სუვერენიტეტს. საფრანგეთში და ნიდერლანდებში ევროკონსტიტუციის ჩავარდნის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ბრიტანეთშიც და სხვა ქვეყნებშიც მას იგივე ემუქრებოდა. *„ერთი ევროპა ერთი ხალხით და ერთი პრეზიდენტით არ იქნება."* – დასძენს ვედრინი.[63]

ჯერ კიდევ 1907 წელს აშშ პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი ამბობდა: *„მას შემდეგ, რაც ვაჭრობა ნაციონალურ საზღვრებს მნიშვნელობას აღარ ანიჭებს, ხოლო მწარმოებელი დაჟინებით მოითხოვს, რომ მთელი მსოფლიო ბაზრად იქცეს, მისი ეროვ- ული დროშა მას უნდა მიჰყვებოდეს, ხოლო იმ ერთა კა- ერები, რომელიც მის წინაშე დაიხურება, უნდა შეიმსხვრეს. ახელმწიფო მინისტრები უნდა იცავდნენ კონცესიებს, რომ- ლებიც კომერსანტების მიერ იქმნება მაშინაც კი, თუ არა- კეთილმოსურნე ერების სუვერენიტეტი ამ პროცესში უხეშად დაირღვევა. ჩასახლებულთა კოლონიები უნდა შეიქმნას, რათა დედამიწის არც ერთი სასარგებლო კუთხე არ გამოგვრჩეს, ან გამოუყენებელი არ დაგვრჩეს"*[64]

ეს დოქტრინა დღესაც მოქმედებს და მას ხშირად „ინვესტიციების დაცვას" უწოდებენ. სიტყვათა ეს ყურშეჩვეული შეთანხმება (ესეც პირობითი ენის გამოვლინებაა) მეტად საინტერესოდ გამოიყურება პრაქტიკაში. მაგალითად, 1950-დან 1970 წლამდე აშშ მთავრობამ რამდენიმე მილიარდი დოლარი დაახარჯა ფილიპინების კორუმპირებულ დიქტატურას იმ მოტივით, რომ საკუთარ ინვესტიციებს „იცავდა". არადა, ინვესტიციები სულ 1 მლრდ. დოლარს შეადგენდა. რა აზრი ჰქონდა 3 მილიარდის

63. http://www.politizdat.ru/interview/61.

64. М. Паренти, «Власть над миром», М. «Поколение», 2006, გვ. 60-61.

დახარჯვას (ეს მხოლოდ ოფიციალურად დაფიქსირებული ხარჯებია!) 1 მილიარდის დასაცავად? ამერიკელი მეცნიერების მონაცემებით ყველგან, სადაც აშშ „ინვესტიციების დასაცავად" შევიდა, ინვესტიციებზე გაცილებით მეტი თანხები დახარჯა. სინამდვილეში ამ უაზრობას ძალიან მარტივი ახსნა აქვს; ჯერ ერთი, კარგად ინიღბება ინტერვენციის პოლიტიკური ხასიათი და, მეორეც, – ინვესტიციების მოგებით კორპორაციები (მათი პატრონები) სარგებლობენ, ხოლო ომებისა და ინტერვენციების ხარჯს რიგითი მოქალაქეები – გადასახადის გადამხდელები ფარავენ, რომლებიც ქმნიან აშშ ბიუჯეტს. მკითხველი გაიკვირვებს, – განა კორპორაციებს (და მათ მფლობელებს) უფრო მეტი არ შეაქვთ ბიუჯეტში, ვიდრე რიგითი მოქალაქეებს? ირკვევა, რომ არა.

მ. პარენტის მონაცემებით, *„ყველა გადასახადის გათვალისწინებით ფედერალურ, შტატის და ადგილობრივ დონეებზე, აგრეთვე სოციალური დაზღვევის სისტემაში შენატანებით, თვალსაჩინოა, რომ დაბალშემოსავლიანი ადამიანები პროცენტულად უფრო მეტს უხდიან სახელმწიფოს (12,5%), ვიდრე მდიდრები (7,9%). აშშ საგადასახადო სამმართველოს ცნობით, ათასი ადამიანი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს აშშ-ში და უმაღლეს საგადასახადო კატეგორიასაა მიკუთვნებული, გადასახადის სახით 5%-ზე ნაკლებს იხდის. 90-იანი წლების შუახანს ამ კატეგორიის 2400 ადამიანი საერთოდ არ იხდიდა გადასახადს და მას შემდეგ მათი რიცხვი გაიზარდა. 1991 წელს როს პერომ, პრეზიდენტობის კანდიდატმა, თავისი ინვესტიციებიდან მიიღო 285 მილიონი დოლარი, ხოლო ფედერალური გადასახადის სახით გადაიხადა 15 მლნ., რაც 6%-ს შეადგენს. ამავე დროს სკოლის მასწავლებელი წლიური ხელფასით 35.000 დოლარი, გადასახადის სახით 6.500 დოლარს იხდის, ანუ მისი მოკრძალებული შემოსავლის 20%-ს. თან ეს თანხა არ შეიცავს ირიბ გადასახადებს (აქციზებს) და შტატის გადასახადებს, რომლებიც ასევე უნდა გადაიხადოს... კორპორაციები ასევე უფრო მეტს გამოიმუშავებენ, ხოლო გადასახადს სულ უფრო მცირეს იხდიან. 1945 წლიდან დღემ-*

დე საშემოსავლო გადასახადის ფედერალურ ფონდში კორპორაციების შენატანი 50%-დან 8%-მდე დაეცა. ამ მუხლით ბიუჯეტის შემოსავლების ჯამური შემცირების კომპენსირება ხდება საშუალო კლასისა და მშრომელების გადასახადების მატებით... 1998 წელს „ჯენერალ მოტორსმა", რომელიც აშშ უმსხვილეს კორპორაციას წარმოადგენს, 4,6 მლრდ. გამოცხადებული მოგებიდან საგადასახადო სამმართველოს 1%-ზე ნაკლები გადასახადი მოუტანა."[65]

წარმოიდგინეთ საკუთარი თავი რიგითი ამერიკელის ადგილას; იგი იძულებულია, საკუთარი ჯიბიდან დააფინანსოს აშშ ექსპანსია და „მსოფლიო დემოკრატიული რევოლუცია", დახმარება განვითარებადი ქვეყნებისათვის, საომარი კამპანიები, მთელი სიცოცხლე „ნისიად" – საბანკო კრედიტით იცხოვროს და როდესაც კრედიტს დაფარავს (თუ სამსახური არ დაკარგა, ან იპოთეკური კრიზისი არ მოხდა, ან სხვა რამ უბედურება), ხელში შერჩება კრედიტით გამოსყიდული სახლი (მანქანა, მაცივარი, ტელევიზორი), რომელიც უკვე აღარაფრად ვარგა და რომელსაც ველარასოდეს გაყიდის იმ ფასად, რა ფასადაც შეიძინა. ამ კატეგორიის ამერიკელი, თუ ის საქართველოსნაირ ქვეყანაში ჩამოდის, გაოცებას ვერ ფარავს: რატომ უნდა დაეხმაროს იგი ადამიანებს, რომელთაც ყოველგვარი ბანკისა და გრძელვადიანო კრედიტის გარეშე საკუთარი ბინაც აქვს, მიწის ნაკვეთიც და სხვა საკუთრებაც? რატომ უნდა გაიჭირვოს მან, რათა აქ კონსერვატორია, ფილარმონია, მეცნიერებათა აკადემია და უნივერსიტეტები არსებობდეს, როცა ამერიკაში საკუთარი შვილის კოლეჯში სწავლებაც კი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლია უზრუნველყოს? ჩვენ ამაზე, როგორც წესი, არ ვფიქრობთ, თუმცა არც ამერიკელები ფიქრობენ (გამონაკლისების გარდა) იმაზე, რომ პასუხი ამ ყველაფერზე საკუთარ მთავრობასა და დიდი ბიზნესის წარმომადგენლებს

65. М. Паренти, «Демократия для избранных» М. «Поколение», 2006. გვ. 97.

უნდა მოსთხოვონ და არა განვითარებად ქვეყნებს. სხვათა შორის, ამერიკული ცხოვრების წესის დამკვიდრება („ნისიად" ცხოვრების ტრადიციას ვგულისხმობ) ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ერთადერთხელ ვისარგებლეთ მე და ჩემმა მეუღლემ კრედიტით, როცა ფერადი ტელევიზორი ვიყიდეთ 80-იანი წლების დამლევს (თან ეს კრედიტი კი არა, განვადება იყო) და დღესაც სიმწრით ვიხსენებთ, 2 წლის შემდეგ, როცა განვადება დავფარეთ, ტელევიზორი გადაიწვა! იმ განვადებისგან განსხვავებით, დღევანდელი კრედიტით ადამიანები გაცილებით უფრო ძვირად ყიდულობენ ნებისმიერ საქონელს, ვიდრე იგი ღირს და კრედიტის გასტუმრებას თუ შეძლებენ (რაც გარანტირებულ სამსახურს ნიშნავს წლების მანძილზე!), დიდი რისკის წინაშე დგანან, რომ „გადამწვარი ტელევიზორის" ამარა აღმოჩნდნენ. ამავე სისტემით აიხსნება ის, რომ მაგალითად, მომუშავე ამერიკელისთვის უფროსის სიტყვა კანონია (თუგინდ სისულელე უთხრას), რადგან სამსახურის დაკარგვისთანავე იგი ყველაფერს ერთბაშად დაკარგავს. თუმცა, ამ თემაზე უამრავი ამერიკული ფილმი გინახავთ. ამგვარი, წმინდა ფინანსური ბერკეტით ადამიანების მართვა ბევრად უფრო იოლია, ვიდრე ნებისმიერი იდეოლოგიით. ვალებში გაბმული ადამიანი ვერასოდეს მისცემს საკუთარ თავს ხმამაღალი პროტესტის ფუფუნების უფლებას. სხვათა შორის, საბანკო სისტემის ეს სრულიად არალოგიკური განვითარებაც ღარიბ ქვეყანაში, რასაც ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, სწორედ კონტროლის მიზანს ისახავს და არა მხოლოდ ეკონომიკურ მოგებას.

ამ კონტროლის „ანატომია" ნათლად გამოჩნდა 2007-2008 წწ. პოლიტიკური და მედიაკრიზისის დროს; როგორც ჟურნალისტების, ისე პოლიტიკოსების მართვა (თუ „ყიდვა") სწორედ მათ მიერ აღებული საბანკო კრედიტების მეშვეობით მოხერხდა. მართლაც, შიში იმისა, რომ კრედიტს ვეღარ გადაიხდი და ე. ი. ყველაფერს დაკარგავ (ბინას, მანქანას, შვილის სწავლის დაფინანსების საშუალებას

და ა. შ.) უფრო ქმედითი ბერკეტი აღმოჩნდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა. სამწუხაროდ, კრედიტების მეშვეობით დაკაბალებული ადამიანები არც შემდგომში არიან დაზღვეული იმისაგან, რომ მათ „ჟანგბადს გადაუკეტავენ". დღევანდელი კომპრომისი დროებითი და ერთჯერადი სულაც არ არის; ან თქვენ თამაშობთ ამ თამაშის წესებით, ან ამოვარდებით „სისტემიდან" და ვერც ერთ იმ სიკეთეს ვერ ეღირსებით, რასაც ჩვეულებრივ მომუშავე მოქალაქეზე 300-ჯერ მეტი ანაზღაურება გაძლევთ! თავად შრომის ანაზღაურების ეს სრულიად უსაფუძვლო სისტემა, რომლის წყალობითაც საზოგადოების მხოლოდ პრივილეგირებული ფენა უმართებულოდ მაღალ შემოსავლებს ღებულობს, სინამდვილეში სწორედ მისი კონტროლის მექანიზმია.

მაგალითად, სტუდენტური სესხების პროგრამამ, რომელსაც თითქოს კეთილშობილური მიზნები აქვს, საბოლოო ჯამში მოსახლეობის ერთ ნაწილს (მცირე მიწის ნაკვეთების მფლობელებს) შეიძლება გაღატაკება მოუტანოს. საქართველოში ნებისმიერი მშობელი შვილის სწავლის დასაფინანსებლად უძრავ ქონებას ბანკში ჩადებს, ტრადიციული კაპიტალიზმის ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობისგან განსხვავებით, თუმცა არავინ იცის, შესაძლოა, ცოტა ხანში საქართველოშიც იგივე პრაქტიკა დამკვიდრდეს, როცა მშობელი შვილისთვის აღარაფერს გაიღებს, მით უფრო, რომ აღარც არაფერი ექნება გასაღები. სესხის დაფარვის გარანტია მხოლოდ გარანტირებული სამუშაო ადგილია, რომელიც სტუდენტთა უმრავლესობისათვის არარეალურია (სასწავლო კრედიტის დაფარვის ვადა არის სწავლის პერიოდი + 6 თვე!). დადგება დღე, როცა ბანკი სესხის გადაუხდელობის გამო უძრავ ქონებას წაიღებს, მაგრამ უმაღლეს განათლებამიღებულისთვის ეს მაინც არ ნიშნავს სამსახურის შოვნას. ჩვენ კარგა ხანს გვმოძღვრავდნენ, რომ საბჭოთა კავშირმა მახინჯი განათლების სისტემა შექმნა, რომ დღეს არავის სჭირდება ამდენი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი და ა. შ. დღეს რა ხდება, რომ

სტუდენტურ სესხები შემოიღეს? უფრო მეტი სპეციალისტი დაგვჭირდა? ბიუჯეტის მრავალგზის გაზრდის მიუხედავად, საჭირო სპეციალისტების მომზადებას ვერ ვაფინანსებთ? იქნებ ისევ იმ ძველი სტერეოტიპის ექსპლუატირება ხდება საკუთრების (უკვე მცირე საკუთრების) გადასანაწილებლად?

ბანკების თემა ალბათ ყველაზე მტკივნეული თემაა მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერთ მშვენიერ დღეს არაფრის მქონე აღმოჩნდა. დღეს ახალგამომცხვარი მილიონერი ბანკირები ზღაპრებს ყვებიან იმაზე, რომ ტრადიციულად ძლიერი, მდიდარი ოჯახებიდან არიან, ან დღედაღამ მუხლჩაუხრელი შრომით მიაღწიეს ყველაფერს. გაძარცული მეანაბრეები კი მერამდენე წელიწადია, ელიან თავიანთი კაპიკებად ქცეული ანაბრების დაბრუნებას! მწარეა ეს ყველაფერი, მაგრამ მოდი გავიხსენოთ, 90-იანი წლების დასაწყისში, როცა კაპიტალიზმის აჩრდილი გამოჩნდა საქართველოში, განა რომელიმე ჩვენგანს თავში მოუვიდოდა, რომ კაპიტალიზმის პირობებში თავად პროლეტარი გახდებოდა? ყველას ხომ მილიონერად წარმოედგინა თავი! ვიღაც (და ეს ვიღაც 90%-ია კაპიტალიზმის პირობებში) აუცილებლად „პროლეტარი" უნდა გამხდარიყო. როდესაც „შესანიშნავ შვიდეულს" ვუყურებდით, ხომ ლამაზ და ძლიერ კოვბოებთან ვაიგივებდით თავს? არადა, საწყალი მექსიკელი გლეხებისთვის შეგვეხედა, ის აჯობებდა!

თავი IV. ღირებულებები და ფასეულობები

11 სექტემბრის შემდეგ აშშ სახელმწიფო მდივნის თანაშემწედ საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში დანიშნეს შარლოტა ბირსი, რომელსაც მაღალი პოსტები ეკავა ორ უმსხვილეს სარეკლამო სააგენტოში. სარეკლამო მაგნატის ამ პოსტზე დანიშვნამ კრიტიკის ტალღა გამოიწვია. სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა კრიტიკაზე ასე უპასუხა: *„ცუდი არაფერია იმაში, რომ მივმართოთ ადამიანს, რომელსაც **ყველაფრის გაყიდვა შეუძლია. ჩვენ პროდუქტი უნდა გავყიდოთ.** ჩვენ გვჭირდება ადამიანი, რომელიც შეძლებს ამერიკის საგარეო პოლიტიკის, მისი დიპლომატიის იმიჯის აღდგენას“.* ბირსმა თავის ინტერვიუში განაცხადა: *„სავაჭრო მარკის შექმნის იდეა ისაა, რომ შეიქმნას ურთიერთობა პროდუქტსა და მომხმარებელს შორის... ჩვენ გვინდა, მას გადავცეთ აშშ არამატერიალური აქტივები: **ჩვენი ფასეულობათა სისტემა“.***[66]

ამ არამატერიალურ აქტივებზე ბევრს და ხშირად ლაპარაკობენ. „ჩვენ საერთო ფასეულობები გვაქვს“ – ეს საერთო ფორმულირება გამოიყენება როგორც შიდა პოლიტიკური პარტნიორების, ისე საგარეო ორიენტირების არჩევის არგუმენტად. თუ აშშ ადმინისტრაცია შარლოტა ბირსის სახით ცდილობს საკუთარი პროდუქტი, ანუ „არამატერიალური აქტივები – ფასეულობათა სისტემა“ მოგვყიდოს, ურიგო არ იქნება, კარგად შევისწავლოთ ის, რასაც „ვყიდულობთ“. მით უფრო, რომ ნაყიდი ფასეულობები ხშირად კონფლიქტში შედის იმ კულტურულ-რელიგიურ საფუძველთან, რომელზეც მისი დანერგვა უნდათ.

შეიძლება ვინმეს კულტურისა და რელიგიის საკითხების ჩართვა დიდ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებში უადგილოდაც მოეჩვენოს, მაგრამ კულტურა და ღირებულებები არ

66. http://www.gumer.info/bibliotek_buks/Culture/Sard/index.php.

არის მხოლოდ ობიექტი, რომელიც გლობალიზაციის გავლენას განიცდის, არამედ თავისი არსებობის ფაქტით თავადაც განაპირობებს გლობალიზაციის მიმდინარეობას. ერთი მხრივ, თვალნათლივ ჩანს კულტურათა **ჰომოგენიზაციის** პროცესი, ხოლო მეორე მხრივ, გლობალიზაცია თავად ხდება კულტურული თვითგამორკვევისა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის გამოღვიძების მიზეზი.

> **ჰომოგენიზაცია** – (ბერძნ. Homogenes – ერთგვაროვანი) – განიხილება, როგორც გლობალიზაციის თანმდევი პროცესი, რომელიც მოიცავს არა მარტო კულტურას ან ადგილობრივ ტრადიციებს, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს.

აქვე უნდა ითქვას, რომ კულტურა ტერმინოლოგიურად თავიდანვე უნდა განვსაზღვროთ, როგორც უბრალო ადამიანების რწმენები, ღირებულებები და ცხოვრების წესი მათ ყოველდღიურობაში. რაც შეეხება სახელოვნებო კულტურას, იგი სრულიად სხვა ფენომენია და ცალკე მსჯელობის საგანია ე. წ. „მასობრივი კულტურის" პარალელურად.

1997 წელს ჟურნალ „ნეშენლ ინტერესტში" გამოქვეყნებულ სტატიაში პიტერ ბერგერმა კულტურული გლობალიზაციის 4 „მატარებელი" გამოყო: **საერთაშორისო საქმიანი ელიტა** (ე. წ. „დავოსური კულტურა"), **საერთაშორისო ინტელექტუალური ელიტა** (ე. წ. ინტელექტუალთა „საკლუბო კულტურა"), **მაკ-სამყარო** (მასობრივი კულტურის აღმნიშვნელი) და **„ევანგელისტური პროტესტანტიზმი" ან ნებისმიერი ფართომასშტაბიანი სახალხო (და რელიგიური) მოძრაობა.** ბერგერის დასკვნით, კულტურული გლობალიზაცია არის საქონლისა და იდეების მოძრაობა დასავლეთიდან მსოფლიოს სხვა კუთხეებში. ბერგერი დასავლეთში აღიარებული მეცნიერია, მაგრამ, ვფიქრობ, უფრო მკაფიოდ კულტურული გლობალიზაციის ასპექტებს კონსტანტინე გამსახურდია იძლევა „მთვარის მოტაცებაში":

„კეთილო ფრაუ, თქვენ ევროპელები ეგოისტები ხართ, ჩვენგან მოითხოვთ გარდავიქმნეთ, ე.ი. არ ვიქმნეთ ისეთი, როგორიც ვყოფილვართ ან ვართ, ე. ი. თქვენ დაგემსგავსოთ. და თქვენ ეს მოგდით, კეთილო ფრაუ, არა ჩვენის სიყვარულით, არამედ იმისათვის, რომ თქვენთვის უფრო ხელმარჯვე იქნება, რომ ყველანი თქვენა გგავდეთ. თქვენ ბევრი ხართ, ჩვენ ცოტა, თქვენ გინდათ იმავე უფლებით ჩაგვყლაპოთ, როგორითაც ცვარს ყლაპავს ზღვა და ლიფსიტას ვეშაპი. მაშინ თქვენ აღარ დაგჭირდებათ ჩვენი ენების შესწავლა, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული სახელების დამახსოვრება, ჩვენი თავისებური სახელისა და გვარის გამოთქმა, თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ყველას არ ზაყანის, კეგვას, თარაშის ნაცვლად ჯონი, ჟანი ან ჰანს გვერქვას.

თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ჩვენი ენა დაგვავიწყდეს, თქვენ ენებზე გადავიდეთ, თქვენთვის უთუოდ აჯობებდა თქვენს ქარხნებში გაკეთებული საქონელი მოერგოს ჩვენს ტანს, თქვენს ავტომობილებს მივეჩვიოთ, თქვენი მანქანები ვიყიდოთ, თქვენი წიგნები და გაზეთები ვიკითხოთ და ჩვენზე ხელი ავიღოთ. თქვენი ღმერთები ვიწამოთ, ჩვენსას მივაფურთხოთ. თქვენი ლოცვები ვთქვათ, და თქვენმა გემებმა ჩვენს ზღვებში თავისუფლად ითარეშონ და თუ ჩვენ მათზე თავდასხმას გავბედავთ, მაშინ უთუოდ მეკობრეებს გვიწოდებთ, როგორც ძველი ბერძნები.“[67]

ამ ერთ ფრაგმენტში გაშლილია მთელი ის პრობლემატიკა, რომელსაც დღეს სამეცნიერო ლიტერატურის ტომები ეძღვნება. მკვლევართა ინტერესის სფეროს განეკუთვნება ის საპასუხო რეაქციები, რომლებიც კულტურული გლობალიზაციის კვალდაკვალ ჩნდება სხვადასხვა კულტურის ქვეყნებში. იმავე ბერგერს, რომლის ნაშრომები უთუოდ საყურადღებო და მნიშვნელოვანია, შემოაქვს ახალი ტერმინი – წმინდა, ან „საკრალური მომხმარებლობა“, რომელსაც თან მოაქვს თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების კულტურული ტვირთი. მას მაგალითად

67. კ. გამსახურდია „მთვარის მოტაცება“, ქართული პროზა, წიგნი XXXVI, გამ. „საქართველო-3“, თბ. 2005, გვ. 66.

მოჰყავს მაკდონალდსის ჰამბურგერი, რომელთან ერთადაც, მისი აზრით, საბჭოთა კავშირში პირველად იქნა შეტანილი წარმოდგენები თავისუფლებასა და კაპიტალიზმზე. ბერგერმა რომ იცოდეს, როგორ ვითხრიდით თვალებს აკრძალული ლიტერატურის ერთ ღამეში წასაკითხად (იმიტომ რომ სხვები რიგში იდგნენ), ან როგორ ვუსმენდით ჩუმად დასავლეთის „ხმებს", ჰამბურგერს ამხელა დამსახურებას ნამდვილად არ მიაწერდა. თუმცა, ბერგერს ამგვარ ზედაპირულობას ვერ დავწამებ; ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ წიგნისა და რადიოს ხსენებას „პროპაგანდის" სუნი ასდის და ამიტომ არჩევანი ჰამბურგერზე შეჩერდა. ეს კარგად ჩანს ფ.ფუკუიამას ერთ-ერთ სქოლიოშიც: *„ცივი ომის პერიოდში ბევრი აკნინებდა იდეოლოგიურ ბრძოლაში ისეთი ორგანიზაციების როლს, როგორიც იყო რადიო „თავისუფლება", რადიო „თავისუფალი ევროპა", „ამერიკის ხმა" და სხვ., მაგრამ აღმოჩნდა, რომ სატანკო დივიზიებსა და ბირთვულ ქობინთა გარდა ისინიც საჭირო ყოფილა – თუნდაც დემოკრატიის თავად იდეის შესანარჩუნებლად აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში".*[68]

დღესაც კი, საბჭოთა რეჟიმის დანგრევიდან 17 წლის შემდეგ, აშშ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს მსოფლიოში 200 გაზეთი, ჟურნალი, სატელეგრაფო სააგენტო და გამომცემლობა აქვს.

საინტერესოა თავად ამ „თავისუფალი ხმების" დაბადების ისტორია. XX ს. დასაწყისში რუსეთიდან ემიგრირებული ღარიბი ებრაული ოჯახის შვილმა დევიდ სარნოვმა ამერიკაში სკოლა მიატოვა და გაზეთების დამტარებლად დაიწყო მუშაობა, რომ უსახსროდ დარჩენილი მშობლები ერჩინა. მოგვიანებით იგი ერთ-ერთი სერიოზული კომპანიის „ამერიკის რადიოკორპორაციის" ხელმძღვანელი გახდა. როგორც მისი ბიოგრაფები ამბობენ, პირველმა სამუშაომ იგი დაარწმუნა, რომ ინფორმაცია ყველაზე სერიოზული ბიზნესი გახდებოდა. სწორედ მის სახელს უკავ-

68. ფ. ფუკუიამა „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი", თბ. 1999, გვ. 395 (26,3).

შირდება ამერიკის ტელემაუწყებლობის საფუძვლების ჩაყრა; მას ტელემაუწყებლობის შექმნის წინადადებით ასევე რუსეთიდან ემიგრირებულმა რადიოინჟინერმა ზვორიკინმა მიმართა. სარნოვი ასეც მოიქცა და არ წააგო. 30-იან წლებში სარნოვი საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობდა სატელევიზიო ტექნიკის წარმოების დარგში. **მაკარტიზმის** პერიოდში სარნოვი მიხვდა, რომ „წითლებთან" ამ თანამშრომლობის გამო მასაც მიაკითხავდნენ და მთელი ცხოვრების საქმეს დაკარგავდა. ამიტომ მან თავად მიმართა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს 27-გვერდიანი წერილით, რომელშიც თანამშრომლობა შესთავაზა. სატელევიზიო მაუწყებლობისა და სარაკეტო დანადგარების სამიზნების გარდა (ესეც ზვორიკინის გამოგონება იყო), სარნოვმა სწორედ ამ წერილში წამოაყენა პირველი წინადადება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ულტრამოკლე ტალღებზე სპეციალური რადიომაუწყებლობის შესაძლებლობასა და მის პოლიტიკურ მიზანშეწონილობაზე. 1959 წელს „ამერიკის ხმა" და რადიო „თავისუფლება" უკვე მოსკოვზე „გადიოდნენ". ეს სწორედ ის სარნოვია, რომელმაც ამერიკაში ვიზიტის დროს ნიკიტა ხრუშჩოვს ერთ-ერთ შეხვედრაზე პირდაპირ მიმართა: „რატომ უშლით ხელს ჩვენს რადიომაუწყებლობას, ჩვენ ხომ არ გიშლით, ამერიკაში თქვენც იმაუწყებლოთ? გამორთეთ თქვენი ჩამხშობები!"

მაკარტიზმი – ტერმინი მოდის აშშ სენატორის, ჯ. მაკარტის გვარიდან, რომელმაც 1950 წელს განაცხადა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტში 200-მდე კომუნისტმა შეაღწია. ამ განცხადებას აშშ-ში სერიოზული „წმენდა" მოჰყვა არა მარტო სახელმწიფო დაწესებულებებში, არამედ სახელოვნებო წრეებშიც კი. უამრავმა ადამიანმა დაკარგა სამსახური და საზოგადოებისგან გარიყული აღმოჩნდა. გამოძიებამ არ დაადასტურა მაკარტის განცხადებები. 1954 წელს სენატმა საგანგებო დოკუმენტით ბრალი დასდო მაკარტის იმაში, რომ „მისი ქცევა ეწინააღმდეგებოდა აშშ სენატის ტრადიციებს".

მართლაცდა, პურს და კატლეტს რომ დემოკრატია მოჰქონდეს ან სწრაფი კვება რომ თავისუფლების წამალი იყოს, საბჭოთა სასკოლო ბუფეტები, დიდი ხანია, დემოკრატიისა და თავისუფლების მუზეუმებად იქცეოდა. რა თქმა უნდა, ვაზვიადებ, მაგრამ მხოლოდ თავდაჯერებულ ამერიკელებს შეეძლოთ, ჰამბურგერების დამკვიდრება ეცადათ ინდოეთში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ვეგეტარიანელია, ხოლო ძროხა წმინდა ცხოველად არის აღიარებული. ამიტომ მოხდა, რომ ინდოეთში 4 წლის განმავლობაში სულ 7 მილიონი ჰამბურგერი გაიყიდა მაშინ, როცა კინოთეატრების ბილეთები ყოველკვირეულად 75 მილიონის ოდენობით იყიდებოდა. არადა, საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ინდოეთი მდგრადი დემოკრატიის ქვეყანაა.

იმავე ინდოეთში, კულტურული გლობალიზაციის კიდევ ერთ გამწევ ძალას – ქრისტიან-ევანგელისტების მისიონერულ მოღვაწეობას, მოსახლეობის აღშფოთება მოჰყვა. არ გეგონოთ, რომ მკალავიშვილივით ცემა-ტყეპასა და ლიტერატურის განადგურებას დასჯერდნენ; 7 მისიონერი მოკლეს. ინდოელი მკვლევარის, ტულასი შრინივასის მონაცემებით, *„ეს (ევანგელისტური) მოძრაობა ინდოეთში ტემპს იკრებს და თავისი ხასიათით მოგვაგონებს ფორდის ქარხნის ამწყობი საამქროს კონვეიერს. მისიონერები, ძირითადად ამერიკიდან და ევროპიდან ინდურ ქალაქებში დაახლოებით ერთ თვეს ატარებენ, აგროვებენ და ასწავლიან რამდენიმეკაციან ჯგუფს, ანუ „უჯრედს“, რომლებიც, თავის მხრივ, თავის რჯულზე სხვებს მოაქცევენ.“*[69] ხომ არაფერს გაგონებთ ეს ტაქტიკა?

თუ ინდოეთში ყველაზე „კონვეიერული“ მეთოდით ევანგელისტები მოქმედებენ, ჩვენში ამ მხრივ „იეღოვას მოწმეები“ გამოირჩევიან. მათ ტაქტიკაზე კარგად მიუთითებს პირველი ვიზიტი ჩემთან, როგორც სახალხო დამცველთან. უფრო სწორად, ის, თუ როგორ ვერ შედგა ეს შეხვედრა. სასწრაფო დოკუმენტაციას

69. Т. Шринивас «Индийский вариант культурной глобализации», «Многоликая глобализация» М. «Аспект пресс», 2004. გვ. 101.

ვამზადებდით თანამშრომლებთან ერთად. საღამოს 7 საათს გადაცილებული იყო, როცა თანაშემწემ მომახსენა, რომ „საგუშაგო კოშკიდან" რეკავდნენ. „ხვალ ქალაქიდან გავდივართ და დღესვე, სასწრაფოდ უნდა შევხვდეთო". ისედაც ვერ ვეტეოდით დროში და ვუპასუხე: „ამ საქმეს ვერ გადავდებთ, ხომ ჩამოვლენ და შევხვდები-მეთქი." რამდენიმე დღეში აშშ ელჩი კენეტ იალოვიცი მეწვია. მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ მითხრა:

– „იეღოვას მოწმეები" ჩივიან, სახალხო დამცველი არ გვიღებსო. გავბრაზდი.

– თქვენი სამუშაო საათები შემახსენეთ-მეთქი, – ვთხოვე ელჩს.

– საღამოს 5 საათამდეო, – მიპასუხა.

– სამსახურში რომ 7 საათის შემდეგ დარჩებით, ეს, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ გადაუდებელი საქმე გაქვთ, ხომ?

– რა თქმა უნდაო, – მიპასუხა.

– ერთხელ მაინც თუ მიკადრებია თქვენთვის, რომ აუცილებლად დღესვე, საღამოს 8 საათზე უნდა შევხვდეთ?

– არა, რას ბრძანებთ, ჩვენ ყოველთვის წინასწარ ვთანხმდებით შეხვედრის დროზე, რომელიც ორივესთვის მისაღები იქნება. – მიპასუხა ელჩმა.

კარი გამოვაღე, მისაღებში შეგროვილი ხალხი ვაჩვენე და ვკითხე:

– რატომ უნდა სარგებლობდეს ვინმე განსაკუთრებული სტატუსით თუნდაც ამ ადამიანებისგან განსხვავებით? ჩემო ბატონო, თქვენ დიდი ქვეყნის ელჩი ბრძანდებით და მე პატივს გცემთ თქვენც და თქვენს ქვეყანასაც, მაგრამ თქვენ მხოლოდ ელჩი ბრძანდებით, სახალხო დამცველი კი კონსტიტუციური თანამდებობაა და იგი ვერ დაიცავს რომელიმე ჯგუფის უფლებებს უფრო ხალისიანად, ვიდრე სხვებისას. გამონაკლისი არ იქნება. მობრძანდნენ ორშაბათს, ჩაეწერონ მიღებაზე, როგორც ყველა ეს ადამიანი და რიგის მიხედვით მივიღებ.

ელჩმა მოიბოდიშა, რომ არასწორად იყო ინფორმირებული და წავიდა. „იეღოვას მოწმეები" ორშაბათს მოვიდნენ და 3-დან

8 საათამდე მოუწიათ რიგში დგომა. საუბარი იმით დაიწყეს, რომ ისინი ცუდს არაფერს აკეთებენ, ღვთის რწმენას ქადაგებენ, ოჯახის სიწმინდეს, სიკეთეს და ა. შ. გამეცინა და ვკითხე:

– სატანისტების გარდა, თუ დამისახელებთ აღმსარებლობას, რომელიც ღმერთს გმობს, ოჯახს და სიკეთეს უარყოფს?

დანარჩენი ჩვენი ურთიერთობა უფლებადაცვითი რუტინა იყო და თავს აღარ შეგაწყენთ. მაგრამ საოცარია ეს თვისება: აპელირებდე საყოველთაო უფლებებზე და ითხოვდე განსაკუთრებულ მიდგომას, – უკეთესს, ვიდრე ყველა დანარჩენის მიმართ. სამართლიანობისთვის აქვე უნდა ვთქვა, რომ მათი უფლებების დარღვევის საკითხი, რომელიც მუდმივ თავის ტკივილად მექცა, არასოდეს გადაზრდილა რაიმე ისეთში, რაც, მაგალითად, ინდოეთში მოხდა, თუმცა ევანგელისტები ნამდვილად არ არის „იეღოვას მოწმეებზე" უფრო აბეზარი ხალხი.

დღეს მე თავისუფალი ვარ კონიუნქტურისაგან და თავისუფლად შემიძლია გამოვთქვა საკუთარი აზრი. ეს კონიუნქტურა მეტად მნიშვნელოვანია და პირდაპირ უკავშირდება საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ბევრი მიფიქრია „იეღოვას მოწმეების" იმ რწმენაზე, რომ ღმერთი მხოლოდ გარკვეული რაოდენობის „მოწმეს" იხსნის, კონკრეტულ ციფრსაც კი ასახელებენ. თითქოს ყოვლისშემძლე უფალი სასტუმროს მენეჯერი იყოს და დასაჯავშნი ნომრები არ ჰყოფნიდეს! არა მგონია, ღმერთს სასუფეველში ადგილები თვლით ჰქონდეს და არა ჩვენი საქმეების მიხედვით. კიდევ ერთი რამ არის გასაკვირი; თუ იეღოველებს მიაჩნიათ, რომ უფალი მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის სულს იხსნის, რატომ ცდილობენ ამ „დეფიციტურ" ადგილებზე კიდევ და კიდევ მეტის მოქცევას?

ამას ხომ ვერ ვეტყოდი. მე, როგორც სახალხო დამცველს, მათი, თუნდაც სრულიად მიუღებელი აზრების გამოხატვის უფლებაც უნდა დამეცვა. მართალია, ბასილ მკალავიშვილმა ამისთვის ანათემასაც გადამცა, მაგრამ მაინც არასოდეს მემეტებოდა ეს შემცდარი ადამიანი ციხისათვის. არც დღეს მემეტება. თუმცა

ციხისთვის არავინ მემეტება. დღეს მით უმეტეს.

იეღოველებთან დაკავშირებით ასეთი ამბავიც მოხდა: ერთი ჩემი ნაცნობი მართლმადიდებელი მამაკაცი თავის მოძღვართან მივიდა და შესჩივლა:

– მამაო, შემინდე, მაგრამ უნდა ვცემოო!

– ვის ცემას აპირებ? – გაიკვირვა მოძღვარმა.

– ვისი და, იეღოველების. აღარ შემიძლია, თითქმის ყოველ-დღე მოდიან, ბავშვებს ქუჩაში ხვდებიან, ლიტერატურას აჩეჩებენ, იმდენს ლაპარაკობენ, საშველი აღარაა.

– ნუ იზამ მაგას. – ურჩია მოძღვარმა.

– აბა, რა ვქნა, სიტყვით ვეღარ მოვიშორე!

– ნუ იზამ, არაა ეს კარგი.

– აქ მესმის, მაგრამ სახლში რომ კიდევ მომადგებიან, თავს ვეღარ შევიკავებ და მაინც ვცემ!

– მე და შენ ვართ თუ არა ჭეშმარიტი მართლმადიდებლები?

– დიახ, მამაო!

– სად გვინდა მოხვედრა სიკვდილის შემდეგ?

– სამოთხეში, მამაო!

– ისინი სად მოხვდებიან?

– ჯოჯოხეთში!

– ჰოდა, გაანებე თავი, ეს სამოთხე რეზინის ხომ არ არის, სადაც უნდათ, იქ წავიდნენ, ჩვენ მეტი ადგილი დაგვრჩება!

ეს ამბავი ამ ჩემმა ნაცნობმა სიცილით მომითხრო. კარგია, როცა მოძღვარს იუმორის გრძნობა აქვს. მაგრამ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, სხვა ხალხში არ გამიგია ასეთი გამოთქმა: „ძალად მაცხონე!“ ეს ჩინებულად ასახავს ცოდნას იმისას, რომ ძალით ვინმეს მოქცევის მცდელობა, სულ ცოტა, სიბრიყვის გამოვლინებაა. თავად კონფლიქტი „იეღოველებთან“ მარტო საქართველოში როდი ხდება. სხვა ქვეყნებშიც და აშშ-შიც ისინი მაინცდამაინც არ უყვართ სწორედ აბეზარობის გამო, რაც, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მათ ფიზიკურად უნდა გაუსწორდე. ქართველებისთვის კარზე მომდგარი ადამიანის შინ შეპატიჟება

და თავაზიანი მასპინძლობა ის ტრადიციაა, რომლის დარღვევა წარმოუდგენელია. დასავლურ ყაიდაზე ინსტრუქტირებული, შინ შეპატიჟებული „მოწმეები" იწყებენ საუბარს ბიბლიაზე და თუ მასპინძლისათვის ეს მიუღებელია, იგი ვერ მიუთითებს მას კარზე, რადგან ეს ისევ ტრადიციის დარღვევაა (სტუმარი ღვთისაა). კონფლიქტი სწორედ ამის შემდეგ მწიფდება და შედეგებიც უკვე მეტად შორს სცილდება ტრადიციებს. თვალნათელია ისიც, რომ „მოწმეები" სულაც არ არიან მოუმზადებელნი კონფლიქტისათვის, – პირიქით, ყოველი ასეთი კონფლიქტი შემდგომ პროპაგანდასა და „დაჩაგრულების" დაცვის საერთაშორისო მოთხოვნებში გადაიზრდება ხოლმე. იურისტთა არმია მუდმივ მზადყოფნაშია ამ საქმიანობის გასაშლელად. მეორე მხრივ, ყოველი ძალადობა მათ მიმართ ყოველთვის გამოყენებულია იმისათვის, რომ მეტი დაფინანსება და მხარდაჭერა მიიღონ სათავო ოფისიდან. საერთაშორისო ორგანიზაციებში კი ველარავის აუხსნი, რომ ქართველი არასოდეს აიტანს სტუმარს, რომელიც საკუთარ ოჯახში „ცხოვრებას ასწავლის".

არც სახალხო დამცველობის ჟამს და არც ახლა არ შეიძლია გავამართლო ნებისმიერი სახის ძალადობა, მით უფრო აღმსარებლობის მიხედვით, მაგრამ ე. წ. ტოლერანტობის დროშით რომ მთელს მსოფლიოში ძალიან მსგავსი პროცესები მიმდინარეობს, ამის არდანახვა შეუძლებელია. ჰამბურგერების არ იყოს, ვიღაცამ ჩათვალა, რომ „პროტესტანტული ეთიკა" კაპიტალიზმისა და დემოკრატიის ძრავაა და ახლა „ველურ ქვეყნებს" რაც უფრო მალე ასწავლიან ამ „პროტესტანტული ეთიკის" ნორმებით ცხოვრებას, მით უფრო მალე განავითარებენ ისინი დემოკრატიას. ვერც მუსლიმი და ვერც მართლმადიდებელი რომ ამ **„პროტესტანტული ეთიკით"** ვერ იცხოვრებენ, ესეც ხომ ფაქტია; ამ ეთიკით რომ იცხოვრო, მრწამსით პროტესტანტი უნდა იყო. აქ ისევ „ძალად მაცხონე" გაგახსენდება ადამიანს!

„პროტესტანტული ეთიკა" – ეს ტერმინი გერმანელ სოციოლოგს, მაქს ვებერს ეკუთვნის. მისი ნაშრომი „პრო-

ტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული" სწორედ იმას ეძღვნება, რომ კალვინისტური შრომის ეთიკა და „წინასწარგანსაზღვრულობის" რწმენა არის „კაპიტალიზმის ძრავა". ამ შეხედულებას დღემდე უამრავი მომხრე ჰყავს დასავლეთში. მეტიც, თანამედროვე დასავლურ პოლიტოლოგიაში იგი თითქმის ფუნდამენტურ ღირებულებად არის გამოცხადებული. თუმცა იმავე ნაშრომში მ. ვებერს ამგვარი მოსაზრებაც მოჰყავს: *„ადამიანების ქცევა სხვადასხვა საზოგადოებაში შეიძლება გავიგოთ მხოლოდ საკუთარი არსებობის შესახებ მათი კონცეპტუალური შეხედულებების ჩარჩოებში, რომლის თანახმადაც რელიგიური დოგმები და მათი ახსნა მათი მსოფლმხედველობის შემადგენელი ნაწილია, რომ აუცილებელია ამ დოგმების გაგება, რათა ავხსნათ ინდივიდებისა და ჯგუფების ქცევა".* ცხადია, სხვა რელიგიის დოგმათა გაგება და, შესაბამისად, სხვა ხალხების ქცევის ახსნა არ არის მარტივი ამოცანა. გაცილებით იოლია, ამტკიცო რომელიმე ერთი რელიგიისათვის დამახასიათებელი ეთიკური ნორმების უნივერსალურობა და ეცადო, ეს ნორმები გაავრცელო ყველგან, სადაც კაპიტალიზმის მშენებლობის შენეულ რეცეპტს ამკვიდრებ. ჩემი სუბიექტური აზრით, ამ ყოველივეს „რელიგიური უპირატესობის" პროპაგანდის სუნი ასდის. ყოველ შემთხვევაში, არ მახსენდება არც ერთი მაგალითი, რომ დასავლელი პოლიტოლოგები სერიოზულად სწავლობდნენ, მაგალითად, მართლმადიდებლურ, ან ისლამურ ეთიკას.

მეტად ანგარიშგასაწევი ამერიკელი მეცნიერი, სეიმურ მარტინ ლიპსეტი თავის სტატიაში „პოლიტიკური კულტურის როლი" პირდაპირ წერს: *„სტაბილურ დემოკრატიათა უმრავლესობა უფრო მდიდარ და პროტესტანტულ ქვეყნებშია. ნაკლებად სტაბილური – კათოლიკურ და ღარიბ ქვეყნებში. დემოკრატიის, პროტესტანტობის და ბრიტანეთთან ძველი კავშირები ხაზს უსვამს კულტურულ ფაქტორს. კანადაში, კვებეკში (ფრანგულენოვანი,*

კათოლიკური პროვინცია) 60-იან წლებამდე არ იყო პირობები პლურალისტური პარტიული სისტემისათვის. ხოლო კანადის ინგლისურენოვანი პროტესტანტული ნაწილი უკვე 100 წელს ფლობდა მრავალპარტიულ სისტემას. 1958 წელს პიერ ტრიუდო (16 წლის განმავლობაში კანადის პრემიერ-მინისტრი) ამბობდა: „ფრანგი კანადელები კათოლიკეები არიან, ხოლო კათოლიკე ხალხები ყოველთვის როდი იყვნენ დემოკრატიის მგზნებარე მომხრეები. სასულიერო საკითხებში ისინი ავტოკრატიულნი არიან და ხშირად არ სურთ საერო საკითხების გადაწყვეტა ხმების უმრავლესობით".[70] იქვე ლიპსეტი ისლამსაც ეხება: *„ისლამი მეტად აძნელებს დასავლური ნიმუშის პოლიტიკური დემოკრატიის მიღწევას, ვინაიდან იგი არ ცნობს სასულიერო და საერო ხელისუფლების გაყოფას."* როცა იგი ტრიუდოს 1958 წლის გამონათქვამს ეყრდნობა, ურიგო არ იქნებოდა, ისიც გაეხსენებინა, რომ ამერიკული დემოკრატიის მიღწევა – პრეზიდენტს მხოლოდ ორი ვადით ჰქონდეს არჩევის უფლება (შესწორება კონსტიტუციაში) 1951 წლით თარიღდება, მანამდე კი, მაგალითად რუზველტი 4 ვადითაც კი იყო არჩეული. 50 წლის წინანდელი პოლიტიკური რეალობებით ოპერირება და მათზე დაყრდნობით პოლიტიკური კულტურის რომელიმე ერთ აღმსარებლობაზე მიბმა უკვე იმას ნიშნავს, რომ სხვა აღმსარებლობის ადამიანები დემოკრატიის მიღმა დგომისათვის არიან განწირული. ამას სოციალური დარვინიზმის სუნი ასდის.

მაგრამ, მოდი გავიზიაროთ ლიპსეტის ეს მოსაზრება და მივიჩნიოთ, რომ დასავლური დემოკრატია „არ გამოსდის" პროტესტანტების გარდა არავის. სადაც კათოლიკეებს უთხრეს ამაზე უარი, იქ მართლმადიდებლები რაღა მოსატანი არიან! აქედან ალბათ ლოგიკურად გამოდის დასკვნა, რომ იმ ქვეყნებს, სადაც პროტესტანტიზმი „არ ყვავის", დემოკრატიის შენეული მოდელი თავს არ უნდა მოახვიო. სინამდვილეში პირიქით ხდება: მათ თავს ახვევენ „ხელსაყრელ" აღმსარებლობას, რომელიც, მათივე

70. www.politnauka.org/teotie/lipset.php.

ლოგიკით, გამოიწვევს კაპიტალიზმისა და, მისი გარდაუვალი შედეგის – დემოკრატიის გაფურჩქნას.

ზოგადად პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებისათვის მართლაც უმნიშვნელოვანესია რელიგიური ასპექტები, რადგან მათში თავმოყრილია ათასწლოვანი სოციალური გამოცდილება და მორალურ-ეთიკური ნორმები ადამიანის ყოფის ყველაზე განსხვავებული სფეროებისთვის.

პრობლემა ის არის, რომ სასურველი პოლიტიკური ცვლილებების გასატარებლად აღმსარებლობის საკითხი სულ უფრო ხშირად იქცევა პოლიტიკური მანიპულაციების საშუალებად. არადა, როგორც ნიკოლაი ბერდიაევი ამბობდა, მთავარი არა ეკლესიების ფორმალური განსხვავება ან მსგავსებაა, არამედ სულიერი გამოცდილებისა და კულტურის ტიპების სხვაობა.

ფრენსის ფუკუიამას (ბოლოდროინდელ სტატიაში **„ფუნდამენტალიზმის** მომავალი") აზრით, ქრისტიანობა არ არის მტრული კაპიტალიზმის, ლიბერალური დემოკრატიის, ნაციონალიზმისა და თანამედროვე ლიბერალური საერო სახელმწიფოს მიმართ. პროტესტანტული ფუნდამენტალიზმი „მესამე სამყაროში" არა მარტო არ არის მტრული დასავლური დემოკრატიული ღირებულებების მიმართ, არამედ აქტიურად უწყობს ხელს იმ გარემოს შექმნას, რომელშიც ეს ღირებულებები ყვავის. საბოლოო ჯამში ფუკუიამა დაასკვნის, რომ რელიგიური ფუნდამენტალიზმი ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში მტრულია ლიბერალური დემოკრატიის მიმართ, ხოლო იგივე ფუნდამენტალიზმი აღმოსავლეთ ევროპასა და ლათინურ ამერიკაში მხარს უჭერს დემოკრატიას.[71]

ფუნდამენტალიზმი – ასი წლის წინ ეს ტერმინი მხოლოდ პროტესტანტი ქრისტიანების მიმართ გამოიყენებოდა. ამგვარი სახელწოდება მიიღო პროტესტანტიზმის შიგნით კონსერვატორულმა ფრთამ, რომელიც დაუპირისპირდა ლიბე-

71. Ф. Фукуяма, «Будущее фундаментализма», http://www.politnauka.org/library/nation/fukuiama.php.

რალურ პროტესტანტულ რაციონალიზმს და ქადაგებდა, რომ მხოლოდ წმინდა წერილი არის ქრისტიანობის **ფუნდამენტი**. დღეისათვის ეს ტერმინი მოიცავს უკიდურეს კონსერვატორულ მიმართულებებს ქრისტიანობასა და ისლამში, მაგრამ მისი ხშირი უმართებულო გამოყენების გამო ფუნდამენტალიზმის ხსენებისას უმრავლესობას მხოლოდ ისლამი ახსენდება და არა ამ ტერმინის პირველწყარო. ეს ტერმინოლოგიით მანიპულირების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. ამიტომაც არის ამდენად არაობიექტური ფ. ფუკუიამა სწორედ პროტესტანტული ფუნდამენტალიზმის მიმართ და მიიჩნევს, რომ იგი დასავლურ დემოკრატიულ ღირებულებებს კი არ ერჩის, არამედ იმ გარემოს წარმოშობს, რომელშიც ეს ღირებულებები „ყვავის". სინამდვილეში პრობლემა სწორედ ისაა, რომ აქ საქმე ადამიანის ყოფიერების სხვადასხვა ფუნდამენტთან გვაქვს; ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში სრულიად განსხვავებულ ფუნდამენტზე პროტესტანტული მოდელის ლიბერალური დემოკრატია ვერ დაშენდება, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მტრულად გამოაცხადო და თავს შენეული მსოფლმხედველობა და რელიგიური დოგმები მოახვიო?

აი ასეთი მარტივი ფორმულა გამოჰყავს თანამედროვე დასავლური პოლიტოლოგიის მეტრს – ფ. ფუკუიამას. თუმცა, სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ იგი ამ საქმეში სულაც არ არის გამონაკლისი. ეს თუნდაც მ. ს. ლიპსეტის მოყვანილი ფრაგმენტიდანაც ჩანს. ამ ფორმულაში რომ მთელი სამყარო „არ ეტევა", ამას თვით ფუკუიამაც ხვდება და გულისტკივილით ამბობს: *„ახალი მსოფლიო მოწყობის ერთ-ერთი გამაღიზიანებელი საფრთხე ისაა, რომ სპეციფიკური რეგიონის მიღმა ზოგადი კანონზომიერებანი ძალას კარგავს!"* – უკაცრავად, თუ თქვენს ფორმულაში ვერ ჩავეწერეთ, ბატონო! – იტყოდა, ალბათ, მსოფლიოს დიდი, არადასავლური ნაწილი. არადა, რა მომხიბვლელია, საკუთარ კაბინეტში მოიფიქრო ეს

„კანონზომიერებები“ და მერე ეცადო, მთელი მსოფლიო მათ მიხედვით აცხოვრო! ეს „უმადური“ მსოფლიო კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეწინააღმდეგება შენ მიერ ტანჯვით ნაშობ კანონზომიერებებს. ერთ ქართულ ფილმშია ზუსტად ამგვარი სიტუაცია, გასაბჭოებისას კოლექტივი რომ იქმნება: „ხომ ხედავ, არ უნდა ამ თხას კოლექტივში და რას ექაჩები!“ მაგრამ ამ ფრაზას ჭეშმარიტი „საბჭოური“ (თუ „ამერიკული“?) პასუხიცა აქვს ფილმში: „შენი ჭკუის რომაა, იმიტომ არ უნდაო!“ ერთი სიტყვით, მთელს დანარჩენ მსოფლიოს „ჭკუა“ არ ჰყოფნის, იმ რეცეპტით იცხოვროს, რომელიც დასავლეთში გამოუნერეს და რომელიც სწორედ დასავლური ცხოვრების წესის შენარჩუნებას ემსახურება. ამ რეცეპტებისთვის ყველაზე მომაკვდინებელი სწორედ ფასეულობებია, რომლებიც დიდწილად რელიგიური და კულტურული ტრადიციებითაა განპირობებული.

ჩვენი დასავლელი მეგობრები არ მალავენ ხოლმე აღშფოთებას მართლმადიდებლობის განსაკუთრებული ისტორიული როლის შესახებ ჩანაწერის გამო საქართველოს კონსტიტუციაში. თუმცა ეს მათ ხელს არ უშლით, სრული სერიოზულობით ამტკიცონ პროტესტანტიზმის განსაკუთრებული ისტორიული როლი და თითქმის განმაპირობებელი ფაქტორი კაპიტალიზმისა და დემოკრატიის მშენებლობის საქმეში. შემედავებიან, ეს კონსტიტუციაში კი არა, სამეცნიერო ლიტერატურაში იწერებაო, მაგრამ ამერიკის კონსტიტუციაში არც დემოკრატიაა არც ერთხელ ნახსენები! ერთი სიტყვით, ფორმულა ასეთია – სადაც პროტესტანტობაა, იქ დემოკრატიაა, სადაც კათოლიციზმია, იქ სიღარიბე და დაბალი ხარისხის დემოკრატია, ხოლო ისლამი და დემოკრატია საერთოდ შეუთავსებელია (უხერხულობისგან თავის დასაღწევად აქ სიღარიბეზე აღარაფერს ამბობენ). მართლმადიდებლები სადღაც კათოლიციზმსა და ისლამს შორის ვივარაუდებით, – ღარიბულ დემოკრატიასა და არადემოკრატიულობას შორის.

სქემა რომ მანკიერია, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ აღმოსავლური რელიგიები (მათ აღმსარებელთა შორის კი მსოფლიო მოსახლე-

ობის თითქმის სამი მეოთხედია), – მასში არ ფიგურირებენ; ერთი მხრივ, სწორედ ამ მრავალრიცხოვნების მიზეზით, დიდწილად კი იმის გამო, რომ დასავლეთში მათ სათანადოდ არც იცნობენ (**კონფუციასაც** კი ძირითადად ვაჭრობასთან მიმართებაში განიხილავენ). ისლამსაც მხოლოდ იმიტომ „გაულიმა ბედმა", რომ ქრისტიანულ სამყაროს უშუალოდ ესაზღვრებოდა.

ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ გამარტივებულად აღიქვამს დასავლეთი აღმოსავლურ ფილოსოფიას; სინამდვილეში კუნ ფუძის ეთიკა „ოქროს შუალედის" პრინციპს და მორალის „ოქროს წესს" ეფუძნება. საზოგადოება, **კუნ ფუძის** აზრით, უნდა იმართებოდეს მხოლოდ მორალურ ნორმებზე დაყრდნობით და არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან უტილიტარული ეკონომიკური მეთოდებით, ან ბუნების ძალების მეშვეობით. ამიტომ უპირველესი მნიშვნელობა პიროვნებათა შორის ურთიერთობებს ეკისრება. კუნ ფუძის მოძღვრების ცენტრში ადამიანია, ხოლო საზოგადოება დიდ ოჯახად არის აღქმული. ადამიანის არსებობის საზრისი, მისი შეხედულებით, სოციალურ-ეთიკური წესრიგის – დაოს დამკვიდრებაა, რომლის უმთავრესი გამოხატულებაა ჰუმანურობა, სამართლიანობა, გონიერება, სიმამაცე, სიფრთხილე, ძმური სიყვარული, საკუთარი ღირსება, მოწყალება და ა. შ. საკუთარ მისიას კუნ ფუძი უძველესი ჩინური კულტურის შენარჩუნებასა და შთამომავლობისათვის გადაცემაში ხედავდა. კონფუციანელობა ჩინეთის ეროვნულ იდეოლოგიად იქცა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იგი ბუდიზმსა და დაოსიზმთან ერთად წამყვანი ეთიკურ-რელიგიური მიმდინარეობაა.

მარკ იურგენსმაიერი წიგნში „ახალი ცივი ომი? რელიგიური ნაციონალიზმის შეჯახება საერო სახელმწიფოსთან" წერს, რომ „***სეკულარიზმი*** *(განურჩევლად იმისა, დემოკრატიულია თუ კო-*

მუნისტური) არადამაკმაყოფილებელია, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის ტიპი. ახალი რელიგიური ნაციონალისტების თვალში დეკოლონიზაციის შემდეგ შექმნილი სეკულარული ნაციონალური სახელმწიფოები სინამდვილეში დასავლური კულტურული იმპერიალიზმის ფარულ და უფრო დახვეწილ ფორმას წარმოადგენს. დასავლეთის მეცნიერები სათანადოდ ვერ აფასებენ არადასავლური ქვეყნების სწრაფვას, – დაბრუნდნენ „წარსულში" და დაიბრუნონ დაკარგული საყრდენი რელიგიის სახით." [72]

სეკულარიზმი – შეხდულება, რომლის თანახმადაც ეკლესია არ უნდა ერეოდეს საერო საქმეებში. როგორც წესი, გამოიხატება სახელმწიფოსა და ეკლესიის გაყოფაში.

მართლაც დასავლეთში დიდი ხალისით არ ეკიდებიან „წარსულში დაბრუნების" სურვილის მიზეზების კვლევას; კოლონიზებული ქვეყნები ისტორიული განვითარების ძალადობრივი წყვეტის გამო, „განთავისუფლების" შემდეგ იმ საყრდენებისა და ღერძის ძიებას იწყებენ, რომლის ამოძირკვასაც კოლონიზატორებმა მრავალი წელი მიუძღვნეს. სახელმწიფოებრიობის აღდგენა ან დაფუძნება სხვაგვარად ვერ მოხერხდება. სად, თუ არა წარსულში, უნდა ეძებონ ყოფილმა კოლონიებმა ეს საყრდენი? რა, თუ არა რელიგია და ნაციონალიზმი, იძლევა პასუხებს იმ შეკითხვებზე, რომელთა ხმამაღლა დასმა ძალიან დიდხანს ამ ხალხებს ეკრძალებოდათ? უხერხულ თემებსა და ანალიზს რომ თავი აარიდონ, რეალური თვითგამორკვევის პროცესს დასავლეთში ძალზე ხშირად „კონტრ-პროდუქტიულს" (ეს სიტყვა ბოლო წლებში ჩვენშიც დამკვიდრდა) უწოდებენ.

ამგვარი ზერელე დამოკიდებულება მხოლოდ რელიგიის მიმართ როდია დასავლეთში; ყველაზე თვალსაჩინოდ ეს ნაციონალიზმის საკითხების კვლევისას იჩენს თავს. მეცნიერები დღემდე ვერ შეთანხმებულან ტერმინოლოგიის დონეზეც კი; ყველაზე

72. http://old.russ.ru/antolog/predely/1/dem3-2.htm

თვალსაჩინოდ ეს შეუთანხმებლობა გაეროს სახელწოდებაში ჩანს: მას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჰქვია, ხოლო სინამდვილეში იგი სახელმწიფოთა ორგანიზაციაა. ამ პრინციპულ განსხვავებას უკავშირდება რეკვიზიტებში ეროვნების ჩაწერა-არჩაწერის საქართველოში მეტად გამწვავებული საკითხიც.

არსებობს ნაციონალიზმის ორი კონცეფცია: 1. ერი (ნაცია) ადამიანთა კულტურული ერთობაა, ღრმა ეთნიკური, სულიერი და მატერიალური კავშირებით. 2. ერი (ნაცია) ადამიანთა პოლიტიკური ერთობაა, სამოქალაქო – საზოგადოებრივი და პოლიტიკური კავშირებით. ეს სხვაობა რომ უფრო თვალნათელი გახდეს, საქართველოში მეტად მტკივნეული საკითხის, – პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში ეროვნების ჩაწერა-ამოღების მაგალითზე განვიხილოთ. ნაციონალიზმის პირველი კონცეფციით რეკვიზიტში ყველას შეიძლება ეწეროს ეროვნება, მეორე კონცეფციით კი სახელმწიფოსადმი კუთვნილება უნდა იყოს მითითებული. არის მესამე ვარიანტიც, – არც ერთი არ მიუთითო, – რომელიც ჩვენს შემთხვევაში აირჩია კანონმდებელმა. ეს მაშინ არის მოსახერხებელი, როცა ვერ გაგირკვევია, შენი **ერი (ნაცია)** ადამიანთა კულტურული ერთობაა თუ პოლიტიკური.

ერი და ნაცია აქ ერთად იმიტომ არის ნახსენები, რომ „ნაციის" შესატყვისად „ერის" გამოყენება ხშირად იწვევს ხოლმე გაუგებრობას; ნაცია ადამიანთა ისტორიული ერთობაა, რომელთაც ერთმანეთთან საერთო კულტურული მემკვიდრეობა აკავშირებს და რომელიც საკუთარ თავს აღიქვამს ბუნებრივად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ერთობად. სიტყვა „ერში" საქართველოში გულისხმობენ ყველას, ვინც „ბერს", ე. ი. ეკლესიას არ განეკუთვნება. ანუ ამ სიტყვაში ეთნიკური იდენტობის შინაარსი საქართველოში იმთავითვე არ იდო, დღეს კი „ეროვნული" მხოლოდ „ქართულთან" მიმართებაში ისმის ხოლმე. ჩვენში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ხასიათს ხშირად სწორედ ამ ტერმინების სხვადასხვა გაგება განაპირობებს.

ეს, ერთი შეხედვით წმინდა სამეცნიერო ინტერესის საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია იმ პრობლემებში გასარკვევად, რასაც საქართველო (და არა მარტო საქართველო) აწყდება თანამედროვე ვითარებაში.

ორიოდე სიტყვით **ნაციონალიზმის** ორივე კონცეფციას შეეხოთ.

ნაციონალიზმი – იდეოლოგია, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის საფუძვლად ერი (ნაცია) უნდა იქნას აღებული. არცთუ იშვიათად ნაციონალიზმის კრიტიკოსები მის შინაარსში ნაციზმის ელემენტებსაც გულისხმობენ, არადა ნაციზმი განსაკუთრებული მოვლენაა, რომელსაც რასიზმი, ქსენოფობია და ტერორი კვებავს.

1. ი. გ. ჰერდერი (XVIII ს. დამლევი) მიიჩნევდა, რომ ერი ეთნიკური და კულტურული ერთობაა, რომლის ხასიათს განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა გარემო, ჰავა, ფიზიკური გეოგრაფია, რომლებიც აყალიბებს ცხოვრების წესს, შრომით ჩვევებს, შემოქმედებით მისწრაფებებს. ყველაზე მაღლა ჰერდერი ენას აყენებდა, მასში ხედავდა ხალხის დამახასიათებელი ტრადიციებისა და ისტორიული მეხსიერების ხორცშესხმას. ჰერდერის ნაციონალიზმი ერთგვარი კულტურალიზმია, სადაც წინა პლანზეა ნაციონალური ტრადიციები და კოლექტიური მეხსიერება, მაგრამ არა სახელმწიფოებრიობა. ერები – „ბუნებრივი", ორგანული ერთიანობაა, რომელთა ფესვები ღრმა წარსულშია და იარსებებს იქამდე, ვიდრე არსებობს კაცობრიობა. სხვათა შორის, თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგები ამ აზრს იზიარებენ და უთითებენ, რომ ადამიანებს აქვთ მოთხოვნილება, შექმნან ჯგუფები, რათა მოიპოვონ უსაფრთხოების, ერთიანობისა და თანაზიარობის გრძნობა. ადამიანების ბუნებრივი მოთხოვნილებაა, გაერთიანდნენ მათთან, ვინც ახლოა წარმოშობით, კულტურითა და ცხოვრების წესით. XX ს. 80-იან

წლებში ე. გელნერი ნაციონალიზმს პირდაპირ უკავშირებს მოდერნიზაციას და, განსაკუთრებით, ინდუსტრიალიზაციას. ამ აზრს არ იზიარებს ე.სმითი, რომელიც თანამედროვე ერებს უძველესი ეთნიკური ერთობების მემკვიდრეებად მიიჩნევს. მისი აზრით, ერი ისტორიულად განპირობებული ფენომენია და ყალიბდება საერთო ენისა და კულტურული მემკვიდრეობის საფუძველზე ბევრად ადრე სახელმწიფოებრიობამდე და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლამდე. სმითი იზიარებს მოსაზრებას, რომ თანამედროვე ერები (ნაციები) დაიბადა მხოლოდ მაშინ, როცა ჩამოყალიბებულმა ეთნოსებმა მიიღეს პოლიტიკური სუვერენიტეტის იდეა. ევროპაში ეს XVIII-XIX სს-ებში მოხდა, ხოლო აზიაში – XX ს-ში. გერმანელი მეცნიერი ფ. მაინეკე (XX ს. დასაწყისი) ერებს ორ ჯგუფად ყოფდა: „კულტურულ" და „პოლიტიკურ" ერებად. კულტურულ ერებს იგი მიაკუთვნებდა ბერძნებს, გერმანელებს, ინგლისელებს, ირლანდიელებს და ა. შ. ისინი წარმოიშვნენ ბუნებრივი ისტორიული და არა პოლიტიკური პროცესების შედეგად. „კულტურული" ერების ძალა ისაა, რომ მათ აქვთ ეროვნული ერთიანობის უძლიერესი, ისტორიულად დეტერმინირებული გრძნობა. მეორე მხრივ, „კულტურულ" ერებს ერთგვარი პრეტენზია აქვთ განსაკუთრებულობისა: მათ რომ მიეკუთვნებოდე, ამისათვის არ კმარა მხოლოდ პოლიტიკური ლოიალობა, უნდა იყო ეთნოსის ნაწილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „კულტურული" ერები თავს ნათესავთა დიდ ოჯახად აღიქვამენ: შეუძლებელია, გერმანელი, რუსი ან ქურთი „გახდე", თუნდაც მათი ენა ისწავლო ან რჯული მიიღო. ამგვარი განსაკუთრებულობა საკუთარ თავში ჩაკეტვასა და ნაციონალიზმის კონსერვატორული ფორმის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

2. ერის, როგორც პოლიტიკური ერთობის კონცეფციის მომხრეები მის განმასხვავებელ ნიშანს ხედავენ არა კულტურულ ერთობაში, არამედ სამოქალაქო კავშირებში. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ეთნიკურ წარმომავლობას. ზოგიერთი

მკვლევარი უფრო შორს წავიდა და ერები „გამოგონილ ტრადიციებს“ შეადარა. ე. ჰობსბაუმი, მაგალითად, მიიჩნევს, რომ ყოველგვარი ლაპარაკი იტორიულ მემკვიდრეობითობაზე და კულტურულ სპეციფიკაზე მხოლოდ მითია, თანაც მითი, რომელიც თავად ნაციონალიზმმა შვა. ამგვარად, სწორედ ნაციონალიზმი წარმოშობს ერებს და არა პირიქით. ადამიანის მიერ რომელიმე ერისადმი კუთვნილების თანამედროვე გაგება განვითარდა XIX საუკუნეში და ჩამოყალიბდა ნაციონალური ჰიმნების, დროშების და დაწყებითი განათლების გავრცელების კვალდაკვალ (ამ კონცეფციის გამოძახილია „ნაციონალური მოძრაობის“ გადამეტებული ყურადღება ეროვნული სიმბოლიკის მიმართ, რომელიც ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ იყო თვალსაჩინო. აქედანვე მოდის ფორმულირებები, რომ „ჩვენ მხოლოდ 4 წლისა ვართ“, „პირველად საქართველოში“ და ა. შ.). ბენედიქტ ანდერსონი თანამედროვე ერს საერთოდ „წარმოსახვით ერთობას“ უწოდებს: მისი აზრით, რაკი ადამიანი არ იცნობს, გარდა თავისი ვიწრო წრისა, იმ ადამიანების უდიდეს ნაწილს, რომლებიც წარმოადგენენ „ნაციას“, ე. ი. ეს საზოგადოება „წარმოსახვითია“: *„ის წარმოსახვითია, რადგან ყველაზე პატარა ერის წევრებიც კი ვერასოდეს გაიცნობენ ამ ერის წევრთა უმრავლესობას, ვერ შეხვდებიან და ვერაფერს გაიგებენ მათ შესახებ; და მაინც ყოველი მათგანის გონებაში შექმნილია მათი ერთობის ხატი“*. პოლიტიკური ერების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენენ აშშ, ბრიტანეთი და საფრანგეთი. აშშ-ს შემთხვევაში „იმიგრანტების ერისთვის“, რომელიც კონსოლიდირებას ეთნიკური ან კულტურული პრინციპით ვერ მოახერხებდა, წამყვანია ისეთი საერთო ღირებულებები, როგორიცაა დამოუკიდებლობის დეკლარაცია და კონსტიტუცია (აქ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ე. წ. **„ამერიკული ოცნების“** და **„ამერიკული ცხოვრების წესის“** ფაქტორი, მაგრამ ამაზე ცალკე ვისაუბროთ). ბრიტანეთში,

რომელიც ოთხი „კულტურული" ერის – ინგლისელების, შოტლანდიელების, ვალიელების (უელსი) და ჩრდილოეთ ირლანდიელების კავშირს წარმოადგენს, პოლიტიკური ერთობის საფუძველია დედოფლის ერთგულება, პარლამენტის პატივისცემა, უფლებებისა და თავისუფლებების იდეების აღიარება. ფრანგების იდენტურობა 1789 წლის რევოლუციის ლოზუნგშია ასახული: „ძმობა, თანასწორობა, თავისუფლება". ენდრიუ ჰეივუდი აღნიშნავს: *„ამგვარი („პოლიტიკური") ერებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ საერთო პრინციპებისა და მიზნების ნებაყოფლობით აღიარებით, ზოგჯერ მანამდე არსებული კულტურული ტრადიციების საპირისპიროდ... ამგვარ საზოგადოებებს ნაციონალიზმის განსაკუთრებული სტილი ახასიათებს – ტოლერანტული და დემოკრატიული. იდეა ამგვარია: რაკი ერი, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ორგანიზმია, იგი ღიაა მასში შემსვლელისთვის და არ იზღუდება ენის, რელიგიის, ეთნიკური კუთვნილებისა და სხვ. ნიშნებით."*

ასეთია ნაციონალიზმის ორი კონცეფციის მოკლე აღწერილობა.[73]

ალბათ ქართველების უმრავლესობა, რომელიც მათ გაეცნობა, მიიჩნევს, რომ ჩვენ სწორედ პირველი ტიპის, ანუ „კულტურული" ერი ვართ. ამ თემაზე შეიძლება კამათი, რადგან ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ჩვენ „პოლიტიკური" ერის ნიშნებიც გვქონია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ჩვენთვის უფრო საშური და საინტერესო სხვა რამ უნდა იყოს; მზად ვართ თუ არა ქართველები, „შემოვუშვათ" ჩვენს ერში სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები? ალბათ, დიდი გაჭირვებით და ამის მიზეზი **შოვინისტობა** სულაც არ არის. იმპერიის წიაღში (როგორიც უნდა ყოფილიყო ის – რუსული თუ საბჭოთა) ქართველები ვერ შეინარჩუნებდნენ ეროვნულ თავისებურებებს, რომ არა ეს თვისება. სხვათა შორის, იმ რესპუბლიკებში, სადაც საკმაოდ ტოლერანტულნი იყვნენ,

73. Э. Хейвуд, «Политология», М. «Юнити», 2005, გვ. 130-135.

ამ პროცესებმა საბოლოო ჯამში ყველა ეროვნების ერთნაირი რუსიფიცირება გამოიწვია. მრავალეროვნული იმპერიის დატოვების შემდეგ ქართველები ახალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ: ჯანსაღი ნაციონალიზმიც კი დღეს დასავლეთის თვალში თითქმის ფაშიზმის იარლიყის ტოლფასია. ეს წინააღმდეგობანი მწვავდება გლობალიზაციის პროცესის კვალდაკვალ. რეაქციაც შესაბამისია: ხშირად მოისმენ, რომ ამ ხელისუფლებას არაფერი ქართული არ უნდა, რომ ისინი ანადგურებენ ქართულ ტრადიციებს, თვითშეგნებას და ა. შ. აქ სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ ამგვარი ბრალდებები მხოლოდ ქართველებს არა აქვთ საკუთარი ხელისუფლების მიმართ. თუ ჩვენ თურქეთის და ყაზახეთის „ისტორიულ მეგობრობაზე" გველაპარაკებიან, მაგალითად, ესპანეთში ბრიტანეთთან ასეთივე პარადოქსულ „ისტორიულ მეგობრობაზე" აგებენ თანამედროვე პოლიტიკას. გამოჩენილი ესპანელი მწერალი და პუბლიცისტი არტურო პერეს-რევერტე აღშფოთებით წერს ესპანეთის მმართველი წრეების მიერ დამკვიდრებულ იმ პოლიტკორექტულობაზე, რომელმაც, ლამის არის წაშალოს ესპანეთის ისტორია.[74]

შოვინიზმი – (ინგლ. ჯინგოიზმი) – ფრანგული წარმოშობის ტერმინია, აღნიშნავს ნაციონალიზმის ოდიოზურ ფორმას, რომელიც ქადაგებს ეროვნულ განსაკუთრებულობას, უპირისპირებს ერთი ეთნოსის ინტერესებს სხვებისას. თავად ტერმინი მოდის ძმები კონიარების პიესის „სამფერა კოკარდა" პერსონაჟის – ნიკოლა შოვენის გვარიდან.

თავის მხრივ, შექმნილი ვითარება არც ბრიტანეთში მოსწონთ; 2002 წელს ლორდმა ნ. ტებიტმა განაცხადა: *„თავიდან მეგონა, რომ ტონი ბლერის ამბიციები მიმართულია ევროპული იდენტურობის შექმნისკენ, რომელსაც ბრიტანული იდენტურობის გამოდევნა შეეძლო, მაგრამ ახლა მესმის, რომ ბლერი*

74. А. Перес-Реверте «С намерением оскорбить» М. «Эксмо» 2005. გვ. 284; 385.

გაერთიანებული სამეფოს განადგურებისკენ და ქვეყნის ევროპული იურისდიქციის ქვეშ მოქცევისკენ ისწრაფვის. არასოდეს მანამდე ჩვენ არ გვყოლია პრემიერ-მინისტრი, რომელსაც სძაგდა ჩვენი ისტორია, ჩვენი კონსტიტუცია, ჩვენი ინსტიტუტები და თავად ჩვენი ერი. მის ერთადერთ ამოცანას ჩვენი ხალხის უცხოელი დამპყრობლისთვის დამორჩილება წარმოადგენს".[75] ამგვარ ტირადას ჩვენშიც ხშირად მოისმენ ადგილობრივი პერსონალიების მოხსენიებით.

საერთოდ, ნაციონალიზმი „მოდაში" აღარ არის. უფრო სწორად, დასავლეთ ევროპაში თითქმის სალანძღავ სიტყვად იქცა. ამ აზრს გლობალიზატორები ნერგავენ. სინამდვილეში ნაციონალიზმი არ გამქრალა, მას არ აძლევენ გასაქანს, სარბიელს, თორემ რაც უფრო ღრმავდება გლობალიზაციის პროცესი, მით უფრო ძლიერდება ნაციონალისტური განწყობილებები და რელიგიური ფაქტორები. ამერიკელები ტყუილად ცდილობენ ამ პროცესების წარმოსახვას ისლამური ფუნდამენტალიზმის სახით. იქმნება ერთგვარი გაყოფა: ერთი მხრივ, განვითარებული, მდიდარი, თავისუფალი ტოლერანტული დასავლეთი, ხოლო მეორე მხრივ, ღარიბი, ჩამორჩენილი, ფანატიკური ისლამური სამყარო. სინამდვილეში ეს წინააღმდეგობები ყველა ცივილიზაციასა და ყველა ცალკე აღებულ ქვეყანაში არსებობს, მათ შორის დასავლეთშიც.

1989 წელს ფრენსის ფუკუიამამ ჟურნალში „ნეშენლ ინტერესტ" გამოაქვეყნა სტატია „ისტორიის დასასრული?", ხოლო 1992 წელს წიგნი „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი", რომელშიც იგი ამტკიცებს, რომ ლიბერალური დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა თანამედროვე საზოგადოების განვითარების ერთადერთი საშუალებაა. ისტორია დასრულდა. ახალი მსოფლიო წესრიგის ფარგლებში ყველა ცივილიზაცია დაკარგავს იდენტურობას და განთავისუფლდება ნაციონალიზმის ნარჩენებისაგან. სულ მალე გია ნოდიამ გამოაქვეყნა ესე „ნაციონალიზმი და დემოკრატია". კარგა ხანი გავიდა და, შესაძლოა,

75. H. Хаггер, «Синдикат», М. 2008. გვ. 179.

დღეს მისი შეხედულებები შეიცვალა კიდეც, მაგრამ ამ ესეში იგი ეკამათება ფრენსის ფუკუიამას თვალსაზრისს. გ. ნოდიას ძირითადი პოსტულატი ის არის, რომ არ შეიძლება გააიგივო ნაციონალიზმის როლი ჩამოყალიბებული და ახლად ქმნადი დემოკრატიების ქვეყნებში. მსჯელობაში იგი ეხება დემოკრატიის გავრცელების საკითხს და აღნიშნავს: *„რაკი დემოკრატიის იდეები უნივერსალურია, ლოგიკურია მივიჩნიოთ, რომ ხალხის ხელისუფლების პრინციპი საყოველთაოდ უნდა გავრცელდეს. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ დემოკრატიული გარდაქმნები ყველგან უნდა გატარდეს და რომ ეს გარდაქმნები ხალხებს ყველგან უნდათ. ისტორია აჩვენებს, რომ ეს ორი დაშვება რეალობის გამოცდას ვერ უძლებს. დემოკრატია ყოველთვის ცალკეულ საზოგადოებებში წარმოიშობოდა... სწორედ ნაციონალიზმია ის ძალა, რომელმაც შესაძლო გახადა პოლიტიკური ორგანიზმების გაერთიანება მართვის დემოკრატიულ მოდელებში“.*[76] *გ.* ნოდია ეხება საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტსაც და ამ პროცესში ნაციონალიზმის კატალიზატორულ როლს. იმ პერიოდში, როცა ეს პროცესი მიმდინარეობდა, დასავლეთმა კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი ორმაგი სტანდარტები; ნაციონალიზმი კარგი იყო, როცა ის საბჭოთა კავშირს ანგრევდა, მაგრამ ნაციონალიზმი ცუდი აღმოჩნდა, როცა მასზე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების დაშენება დაიწყო. სწორედ ამ ორმაგ სტანდარტს ასახავდა მამა ბუშის განცხადება, რომ *„გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს“*. ნაციონალისტის პასუხი ლოგიკური იყო: *„დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან“*.

ფუკუიამა ერთ-ერთ სქოლიოში ასე აღწერს იმდროინდელ მოვლენებს საქართველოში: *„როდესაც ზვიად გამსახურდიას დამოუკიდებლობის მქადაგებელი „მრგვალი მაგიდა“ მოვიდა ხელისუფლებაში, ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ოსურ ეთნიკურ უმცირესობას უარი უთხრა ეროვნულ უმცირესობად*

76. გ. ნოდია „ნაციონალიზმი და დემოკრატია“, http://www.politnauka.org/library/dem/nodia/.php.

აღიარებასა და შესაბამის უფლებებზე. ამის საწინააღმდეგოდ, ბორის ელცინმა პრეზიდენტობისთანავე 1990 წელს განუცხადა რუსეთის რესპუბლიკებში შემავალ ეროვნებებს, რომ მათი წევრობა სრულიად ნებაყოფლობითი იქნებოდა."[77]

ამ ერთი ფრაგმენტიდანაც ჩანს, თუ რამდენად „ვერ უძლებს რეალობით გამოცდას" (როგორც გია ნოდია იტყოდა) ფუკუიამას „საყოველთაო" სქემები. ჩეჩნეთში სულ მალე განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, თუ რამდენად „ნებაყოფლობითი" იყო სუბიექტების წევრობა რუსეთში, თუმცა, როგორც ხშირად ხდება, აქაც სიტყვიერ დეკლარაციებს უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭა, ვიდრე პოლიტიკურ რეალობას. ეს მაგალითი კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებსა და ზოგადად პოლიტიკაში არსებობს ერთგვარი „პირობითი ენა", რომლისგანაც გადახვევა არავის ეპატიება. ზვიად გამსახურდია ამ კონკრეტულ ფაქტზე მსჯელობისას „პირობითი ენის" ნორმებში „ვერ ჩაჯდა". სხვათა შორის, ერთ-ერთი გერმანელი ავტორი თავის გამოკვლევაში მიუთითებს, რომ დასავლეთმა ჰიტლერს არ აპატია არა ის, რასაც იგი აკეთებდა, არამედ ის, რასაც იგი აცხადებდა. მაშინაც და დღესაც „პირობითი ენის" დარღვევა ისჯება. აქ ჩემს მიზანს არ წარმოადგენს ზვიად გამსახურდიას პოლიტიკის ანალიზი და მხოლოდ იმ ტენდენციებს მინდა მივაქციოთ ყურადღება, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა დღევანდელი საქართველოსთვის.

*„გამორიცხული არ არის, **თიმოსმა** ნაციონალიზმის ფორმა შეიძინოს. XX ს. ომებში ნაციონალიზმს, რასაკვირველია, აშკარად ურევია ხელი, და მისი კვლავ აღზევება აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში სერიოზული მუქარაა პოსტკომუნისტური ევროპის მშვიდობისათვის."* – ამბობს ფუკუიამა და ომების კიდევ ერთ მიზეზს ასახელებს: *„მართალია, ევროპამ რამდენიმე ბურჟუაზიული რევოლუცია გადაიტანა, მაგრამ მისი მმართველი*

77. ფ. ფუკუიამა „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი", თბ. 1999, გვ. 394 (25,11).

კლასების რიგები I მსოფლიო ომის ბოლოსთვის, ჯერ ისევ არისტოკრატიული წრეებიდან ივსებოდა იმ ხალხით, ვისთვისაც ეროვნული სიამაყისა და სიდიადის ცნებები კომერციას არ შეეცვალა."[78]

თიმოსი – ფუკუიამა ამ ტერმინს ფართო გაგებით, როგორც „აღიარების სურვილს" იყენებს.

ერთი სიტყვით, ომები და ყველა უბედურება, რაც მათ ახლავს, ეროვნული სიამაყისა და სიდიადის გრძნობით შეპყრობილი არისტოკრატების ბრალი ყოფილა. წარმოიდგინეთ, რა თვალით შემოგვხედავდა ფუკუიამა, რომ იცოდეს, – ყოველი მეორე ქართველი თავადი თუ არა, აზნაურია, ხოლო ეროვნული სიამაყის და სიდიადის გრძნობით არა მარტო ზვიად გამსახურდია, არამედ უკლებლივ ყველაა შეპყრობილი, – გლეხების ჩათვლით! (გამოსავალს ფუკუიამა არისტოკრატიის **„გაკომერსანტებაში"** ხედავს. ეს ის საკითხია, რომელსაც ხშირად ეხებოდა ილია ჭავჭავაძე).

ზოგადად, გია ნოდია, როდესაც ნაციონალიზმზე ლაპარაკობს, გულისხმობს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას, რომლის მოპოვებაც იყო ქართველი ხალხის უპირველესი მიზანი და რომელიც სწორედ ამ სალანძღავი ნაციონალიზმის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ხილული ნაციონალიზმის გარეშეც საბჭოთა კავშირის ყველა დანარჩენმა სუბიექტმაც მოიპოვა დამოუკიდებლობა.

ქართველებს ერთი უცნაური ბედისწერა გვაქვს: ყველა იმპერიის ნანგრევებში უნდა მოვყვეთ. ის, რაც სხვებმა დიდი პრობლემების გარეშე მიიღეს, ჩვენთვის მეტად მტკივნეული და დანაკარგიანი აღმოჩნდა. 1988 წელს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობისას, ჩემმა კოლეგა ტელეჟურნალისტმა ინტერვიუ ჩამოართვა პოეტ კოლაუ ნადირაძეს. იგი ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი იყო, ვინც საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადებას შეესწრო. ჟურნალისტმა ჰკითხა, – რა უნდა მო-

78. ფ. ფუკუიამა „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი" , თბ. 1999, გვ. 274.

ვიმოქმედოთ ქართველებმა ამ ვითარებაშიო? კოლაუ ნადირაძემ უპასუხა: – *„არ დამიჯერებთ, მაგრამ მაინც გეტყვით; იმპერია ინგრევა. ახლა ჩვენ უნდა დავწვეთ და თავზე ხელი წავიფაროთ, რომ ნანგრევებში არ მოვყვეთ. რომ დაინგრევა, უნდა ავდგეთ, მტვერი დავიფერთხოთ და ჩვენს საქმეს უნდა მივხედოთო!"* მართლაც არავინ დაუჯერა. ხნოვანი და ბრძენი კაცი იყო კოლაუ ნადირაძე. მას შემდეგ არაერთხელ გამხსენებია მისი ეს ნათქვამი. დღესაც ხშირად ვიხსენებ, რადგან ქართველებს კიდევ ერთხელ გვიდგას სხვისი იმპერიის ნანგრევებში მოყოლის საფრთხე.

მივუბრუნდეთ ფუკუიამას, რომელიც ნაციონალიზმს გარდაუვალი კვდომისათვის განწირულად მიიჩნევს: *„ისინი, ვინც აცხადებს, ნაციონალიზმი მეტისმეტად ძლიერი სტიქიური ძალაა და მას ეკონომიკურ პირად ინტერესთან შეწყვილებული ლიბერალიზმი ვერ მოერევაო, მინდა შევახსენო, რა ბედი ეწია ორგანიზებულ რელიგიას, აღიარების იმ ძირითად ფორმას, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ნაციონალიზმს. იყო დრო, როცა რელიგია უმთავრეს როლს თამაშობდა ევროპულ პოლიტიკაში, როცა პროტესტანტები და კათოლიკეები პოლიტიკურ ფრაქციებში ირაზმებოდნენ და სექტანტურ ომებში აჩანაგებდნენ ევროპის სიმდიდრეს... ევროპაში ლიბერალიზმმა დაამარცხა რელიგია. ლიბერალიზმთან საუკუნეების მანძილზე დაპირისპირების შემდეგ, რელიგია იძულებული გახდა, შემწყნარებლობის ხელოვნებას დაუფლებოდა... შეიძლება ითქვას, რომ რელიგიამ პირად ცხოვრებაში გადაინაცვლა, შეიძლება ისიც კი მოგვეჩვენოს, რომ საერთოდ გაემიჯნა კიდეც, მეტ-ნაკლები თანმიმდევრულობით, ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებას".*[79]

ეს იყო სასურველი სურათი, რომელიც ამერიკელმა ნეოკონსერვატორებმა მთელ მსოფლიოს წარუდგინეს, როგორც შემდგარი რეალობა. ეს ამერიკული ტაქტიკა, – განაცხადო, რომ, რაც შენთვის სასურველია, უკვე შემდგარი ფაქტია, მხოლოდ ფუ-

79. ფ. ფუკუიამა „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი" , თბ. 1999, გვ. 279.

კუიამას როდი ახასიათებს. დაწერილი და ხშირად გამეორებული თეზები ზემოქმედებს კიდეც რეალობაზე, მით უფრო იქ, სადაც კრიტიკული აზროვნება პატივში არ არის. და მაინც, სინამდვილე სხვაგვარად გამოიყურება. ჯერ ერთი, „დამარცხებული" რელიგია და ნაციონალიზმი ევროპაში, უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით, ხშირად გვთავაზობს სიურპრიზებს, მაგრამ „სქემას" ასე სჭირდება და ფუკუიამაც ამ „ჩვენებას აწვება". მისი ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ თითქმის ორი ათეული წელი გავიდა და საკითხებმა, რომლებიც მას და სხვა მკვლევარებსაც ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი ეგონათ, ძალუმად იჩინა თავი.

დღეს ფუკუიამა ბრალს აშშ-ს ადმინისტრაციას სდებს, რომელმაც თავისი შეცდომებით ანტიამერიკანიზმის მძლავრი ტალღა გამოიწვია: *„როცა ისტორიის დასასრულზე ვწერდი (თითქმის 20 წლის წინ), აზრადაც არ მომსვლია, რა დონეზე შეცვლიდა სიტუაციას ამერიკის მცდარი შეფასებები და ქმედებანი – მიგვიყვანდა იქამდე, რომ ანტიამერიკანიზმი გლობალური პოლიტიკის ძირითად ტენდენციად იქცეოდა".*[80] ამ მოვლენას იგი „სტრუქტურულ ანტიამერიკანიზმს" უწოდებს.

არადა, რა კარგად იწყებოდა ყველაფერი! ისტორიას, ფოლკლორს, ეროვნულ ტრადიციებს და „დრომოჭმულ" ფასეულობებს ადგილი მუზეუმებში, თეატრსა და კინოში უნდა მისჩენოდა. ამის ნაცვლად გლობალიზაციის პროცესმა ნაციონალიზმისა და რელიგიური ფაქტორის სტიქიურად მომძლავრება გამოიწვია. რას იზამ, ფიზიკის კანონები ჯერჯერობით არავის გაუუქმებია – რაც მეტია ზეწოლა, მით მეტია უკუქმედება. და ეს მართლაც ამერიკული „შეცდომის" ბრალია, ოღონდ ამ „შეცდომის" საფუძველი სწორედ ფუკუიამას (და არა მარტო მის) თეორიებშიც უნდა ვეძებოთ.

ზბიგნევ ბჟეზინსკიც პოლონურ გაზეთ „ვიბორჩასთვის" მიცემულ ინტერვიუში ბუშს აბრალებს შექმნილ ვითარებას (აბა,

80. Ф. Фукуяма «Гегемония, чреватая саморазрушением», http:/www.politizdat.ru/org/outgoings/2.

რა ქნას, საკუთარ თავს ხომ არ დააბრალებს?): *„ერაყშიც და ავღანეთშიც სიტუაცია გაუარესდა. ქვეყნები, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ, გაერთიანდნენ ამერიკის წინააღმდეგ ბუშის ანტიისლამური რიტორიკის გამო. შედეგად ეს მსოფლიოში ამერიკის ლიდერობას ძირს გამოუთხრის და ქაოსს გამოიწვევს“*.

ეს ის ბუეზინსკია, რომელიც 10 წლის წინ ჩვეული ქედმაღლობით წერდა „ამერიკის კულტურულ უპირატესობასა“ და ამერიკის ჰეგემონიის გარდუვალობაზე მსოფლიოში. ახლა განტევების ვაცად მხოლოდ ბუშის გამოყვანა არ გამოვა. საინტერესოა, იცნობს ამერიკის განსაკუთრებულობის იდეით შეპყრობილი ეს სტრატეგოსი ომარ ხაიამს, რომლის პირდაპირ ციტირებასაც წარმოადგენს მისი წიგნის სათაური?

დიდი ჭადრაკის დაფა იყო დღეცა და ღამეც,
სადაც წყდებოდა ბედისწერით თამაში კაცთა.
ის გვთავაზობდა და ადგენდა ქიშსაც, შამათსაც,
და ყველას ისევ იქ აწყობდა, სად უწინ იდგა.[81]

თუმცა, დავუბრუნდეთ ღირებულებებსა და ფასეულობებს, ანუ იმას, რაც ვირტუალურად კი არა, ჭეშმარიტად მართავს ადამიანებსა და ხალხებს.

ქრისტიანობა არის ის უმთავრესი ფასეულობითი სისტემა, რომელიც ქართველებსა და დასავლეთს საერთო აქვს. მაგრამ, მოდი ვცადოთ, გარკვევა, რამდენად „თავსებადია“ ჩვენი და მათი ქრისტიანობა?

1054 წელს ეკლესიების გაყოფის მომენტიდან რომის ეკლესია არა მხოლოდ ცალკე სუბიექტად ჩამოყალიბდა, არამედ მის განვითარებაში აშკარად იჩინა თავი საერო ხელისუფლების მიტაცებისა და მისი განვრცობის ტენდენციამ. სხვადასხვა პერიოდში ევროპის სახელმწიფოები (იტალია, საფრანგეთი, გერმანია და ა. შ.) ფაქტობრივად ვატიკანის ნება-სურვილით და მისი ხელდასხმით იმართებოდა. დანტეს „მონარქია“ მხოლოდ იმიტომ იყო ვატიკანის მიერ 250 წლის განმავლობაში აკრძალული, რომ იგი

81. ყ. საიდი, „ალი და ნინო“, „დიოგენე“, 2002, გვ. 210.

ამტკიცებდა: „იმპერატორი ძალაუფლებას იღებს ღმერთისგან და არა მისი მოადგილისგან მიწაზე“. 1054 წელს ეკლესიების გაყოფას წმინდა საღვთისმეტყველო წინააღმდეგობების გარდა, რომის ეკლესიის ტერიტორიულმა პრეტენზიებმაც შეუწყო ხელი.

მართლმადიდებლობისა და ვატიკანის გადაულახავ წინააღმდეგობად რჩება სწორედ ის, რომ რომაული ეკლესიის მართვის სისტემა იმთავითვე „მიწიერ“, საერო ხასიათს ატარებს. საერო ძალაუფლება, რომელიც 1929 წლის ლატერანის ხელშეკრულებით (პაპ პიუს XI-სა და მუსოლინის შორის) დაუკანონდა რომის პაპს, ფაქტობრივად მხოლოდ იურიდიული გაფორმება იყო იმ პოლიტიკური სტატუსისა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ფლობდა პაპი დასავლეთ ევროპაში. დღევანდელი დასავლური დემოკრატიის ქვაკუთხედი – ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფის პრინციპი სწორედ ამ რეალობით იყო განპირობებული. ამ პრინციპის დანერგვისთვის მეტისმეტი მნიშვნელობის მინიჭება აღმოსავლური ქრისტიანობის აღმსარებელ ქვეყნებში რეალურ საფუძველს მოკლებულია, რადგან მართლმადიდებელი ეკლესია არასოდეს არ ფლობდა საერო ხელისუფლებას და პოლიტიკურ პროცესებში მისი პირდაპირი ჩარევის პრეცედენტები არ არსებობს. (ცალკეული მაგალითები მართლმადიდებელი მღვდელმთავრების მიერ პოლიტიკური უფლებამოსილების განხორციელებისა არსებობდა, მაგრამ არა სახელმწიფოებრივი მასშტაბით, თუმცა ამაზე – ცალკე, თავში „ვინ ჰკითხავს გორბაჩოვს?“).

მართლმადიდებლობის ისტორიაში ვერ ნახავთ ინკვიზიციას ოდნავ მაინც მიმსგავსებულ მოვლენას. მეტიც, როცა დავით ბატონიშვილი წინასწარ დაკავების 72-საათიანი ნორმის დაკანონებაზე წერდა, ევროპაში ჯერ კიდევ თხებს ასამართლებდნენ. ბევრი ბოდიში იხადა იოანე-პავლე II-მ, მაგრამ ამას არც იერუსალიმში დედაწულიანად ამოჟლეტილი მუსლიმები გაუცოცხლებია და არც ინკვიზიციის ათასობით მსხვერპლი. ვერც ჩვენთვის იქნება დიდი ნუგეში, თუ რამდენიმე საუკუნის შემდგომ რომელიმე კალვინისტი „მინისტრი“ (ეს თანამედროვე ტერმინი XVII

საუკუნის კალვინისტების დამკვიდრებულია და მათ ეკლესიაში მოძღვარს ერქვა) მოიხდის ბოდიშს მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ლაშქრობის გამო.

> **დავით ბატონიშვილი:** „მოვრავი სამი დღის მეტს თავის დაჭერილს კაცს ვერ შეინახავს დაჭერილს, თუ არა კაცისმკვლელს, ქურდს და (ანუ რომლის სასამართლოდგან გამოგზავნილი იქნება დასაჭერად მასთან)" – დ. ფურცელაძე, „სამოქალაქო ჰსჯულვილება", „მეცნიერება", 1966, გვ. 99.

კათოლიკური ეკლესია ბიბლიის კითხვას უკრძალავდა ერისკაცებს, ხოლო სამღვდელოებას მისი გამოყენების უფლებას მხოლოდ ლათინურ ენაზე აძლევდა. ლუთერის პოპულარობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც იყო, რომ იგი ბიბლიის ლათინურიდან თარგმნასა და ღვთისმსახურების მშობლიურ ენაზე წარმართვას მოითხოვდა. ამავე მიზეზის გამო არ ყოფილა რეფორმაციის (პროტესტანტობის) აუცილებლობა საქართველოში, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე წარიმართებოდა და საღვთისმეტყველო ლიტერატურაც (და არა მარტო ბიბლია) საუკუნეების განმავლობაში ითარგმნებოდა (რაც ქართულ ენაზე იქმნებოდა, იმაზე აღარაფერს ვამბობ!).

დღეს მოდაში აღარ არის იმის გახსენება, რომ დასავლური ქრისტიანობის უპირველესი რეფორმატორი მარტინ ლუთერი რეფორმაციის შემდეგ ხალხის ნაცვლად ფეოდალების დასაყრდენად იქცა. არც იმაზე ლაპარაკია პოპულარული, რომ კათოლიკური ეკლესიის საკუთრება მეფეებმა და დიდებულებმა დაისაკუთრეს და არა იმ ხალხმა, რომლის სახელითაც რეფორმაცია რევოლუციურად მოდიოდა და რომლებსაც „თანასწორობას და ერთობლივ საკუთრებას" ჰპირდებოდა. არადა, რამდენი სისხლი დაიღვარა ამისთვის! სამართლიანობისთვის ისიც უნდა ვთქვათ, რომ რეფორმატორები კიდევ უფრო სასტიკი და შეუწყნარებელი აღმოჩნდნენ სხვა მიმდინარეობათა (პირველ რიგში ქრისტიანულის) მიმართ, ვიდრე ამ საქმეში გაწაფული კათოლიკური

ეკლესია. დღეს კათოლიკური ეკლესიაც და პროტესტანტებიც შემწყნარებლობას აღიარებენ და სხვებისგანაც ამას მოითხოვენ (ეს დაახლოებით იმას ჰგავს, 10 წელი რომ არჩევნებს აყალბებ და მეთერთმეტე წელიწადს „ღვთიური სამართლიანობის" არჩევნებს მოითხოვ. თუმცა რა – არ გასდით?).

შეტევა მართლმადიდებლობაზე კარგა ხნის დაწყებულია. ამ საქმეს თვით ტერორის ჩემპიონებმა – ბოლშევიკებმაც კი საბოლოოდ ვერაფერი გაუხერხეს. იყო დრო, როცა საქართველოში სულ რამდენიმე ანაფორიანიღა დარჩა. ბაბუაჩემსა აქვს მოთხრობილი ასეთი ისტორია: „უწმინდესი (კალისტრატე II) და მე ომის დროს ღამე თონესთან ვიდექით, პურის გამოცხობას ველოდით. საშინელი ყინვა იყო, გავითოშეთ ყველანი, ვინც რიგში ვიდექით. ხაბაზი ღვთისნიერი კაცი გამოდგა, მთელი ეს ხალხი შიგნით შეგვიშვა, თონესთან ცხელა და გათბებითო. ვერ გაუძლო იატაკმა და ჩაინგრა. ჩავცვივდით ყველანი. ვწევარ სიბნელეში და უწმინდესის ხმა მესმის: – მე და შენ ხომ ვიცით, რომ ეს ამბავი ჩვენს გამოა მოწყობილი, მაგრამ ამდენმა ხალხმა რა დაუშავა, თუ იცით!" სასულიერო პირებმა ვერც კი დაუშვეს, რომ იატაკი თავისით ჩაინგრა, იმდენად მიჩვეული იყვნენ მუდმივ დევნას.

ხანი გამოხდა და მართმადიდებლობამ თავისი აინაზღაურა. დიახ, ზოგი მღვდელი ნაკლებად განათლებულია, ზოგსაც წარსულში ბევრი ცოდვა ჰქონია, მაგრამ მათგან ვერც ერთ იგნატიუს ლოიოლას ვერ დაასახელებთ. თუმცა, 1984 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის 39-ე სესიაზე აშშ პრეზიდენტმა რეიგანმა იგნატიუს ლოიოლას „კაცობრიობის დიადი სულიერი ბელადი" უწოდა![82] ამ „სულიერი ბელადის" სახელს უკავშირდება კონტრრეფორმაციის მძლავრი ტალღა, რომელმაც ბავარიას, ავსტრიას, ტიროლს, ჩეხეთს, შვაბიას და სხვა კუთხეებს გადაუარა. მხოლოდ გერმანიაში ათეულობით პროტესტანტული ეკლესია დაიხურა, პასტორებს კლავდნენ, პროტესტანტების კათოლიკეებად ძალადობრივი „მოქცევა" ჩვეულებრივ მოვლენად

82. http://www.antiqstar.ru/book/vekkonfl/09.php

იქცა. რაში დასჭირდა ეს განცხადება პროტესტანტ რეიგანს? ახსნა მარტივია, – მან ამით კათოლიკეებს და რომის პაპს ასიამოვნა, რადგან სწორედ პოლონელი პაპი იყო ის ძალა, რომლის მეშვეობითაც იწყებოდა იმ პერიოდში პოლონეთში „ვარშავის ხელშეკრულების" ქვეყნების დეზინტეგრაციის პროცესი.

როცა ნაციონალური მოძრაობის დეპუტატი, ბესო ჯუღელი პარლამენტში საეკლესიო დღესასწაულების სიმრავლეს აპროტესტებდა, მან, ნებსით თუ უნებლიეთ, თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა კალვინისტების ფორმულა საეკლესიო დღესასწაულების გაუქმებისა და სამუშაო დღეების რაოდენობის გაზრდის შესახებ. ეს უმნიშვნელო დეტალი როდია. კალვინისტების (ინგლისში – პურიტანების) აზრით, აბსოლუტური წინასწარგანსაზღვრულობა იმაშია, რომ ღმერთმა ჯერ კიდევ სამყაროს გაჩენამდე ადამიანთა ერთი ნაწილი ხსნისთვის განსაზღვრა, სხვები კი – წარსაწყმედად, ანუ ერთნი – სამოთხისთვის, მეორენი – ჯოჯოხეთისთვის. თუმცა, კალვინისტების მიხედვით, ადამიანს უნდა სწამდეს, რომ ის „ღვთის რჩეულია" და შრომითა და მუყაითობით (უფრო უხეშად რომ ვთქვათ, დიდი ქონების დაგროვებით) დაამტკიცოს ეს. აქედან ერთი ნაბიჯია იქამდე, რომ, რაც უფრო მდიდარი იქნები, მით უფრო „უკეთ გიხსნის" უფალი. არადა, რა ვუყოთ მაცხოვრის ნათქვამს იმის შესახებ, რომ როგორც აქლემი ვერ გაძვრება ნემსის ყუნწში, ისე მდიდარი ვერ მოიპოვებს სასუფეველს! მაშ მთელი აღმოსავლეთი შლეგი ყოფილა, არაფრისმქონებლობასა და სულის ხსნის სხვა გზებს რომ ეძებდნენ. სხვათა შორის, ამერიკული წარმატების კულტიც აქედან იღებს სათავეს; ადამიანის წარმატება მისი „ღვთივრჩეულობის" დასტურია.

ამერიკული ცივილიზაცია WASP ცივილიზაციაა. ეს აბრევიატურა – თეთრის, ანგლო-საქსისა და პროტესტანტის აღმნიშვნელია. მართალია, 200 წლის განმავლობაში აშშ მოსახლეობის სტრუქტურა კარდინალურად შეიცვალა, მაგრამ გაბატონებული მდგომარეობა კვლავაც WASP-ებისაა.

ეს „ღვთივრჩეულობის" იდეა ამერიკელმა პიონერებმა დროშად აღმართეს ახალი კონტინენტის ათვისებისა და ადგილობრივი მოსახლეობის განადგურებისას. 1845 წელს ჯონ ო'სალივანი თავის ჟურნალ „დემოკრატიკ რევიუში" აღფრთოვანებით წერდა: *„გვაქვს უფლება, ბედით წერილი, დავასახლოთ კონტინენტი, რომელიც განგებამ გვაჩუქა წლიდან წლამდე მზარდი მრავალმილიონიანი ერის თავისუფალი განვითარებისათვის. ეს უფლება ისეთივე ბუნებრივია, როგორც ხის უფლება, – დაიკავოს თავისი ფესვებით და ვარჯით სივრცე ჰაერში და მიწაში... ვინ გაბედავს შეგვიზღუდოს წინ მოძრაობა? ჩვენთან არს განგება და ვერც ერთი მიწიერი ძალა ხელს ვერ შეგვიშლის. მსოფლიოს სხვა ქვეყნების მიმართ, ვისთვისაც დაფარულია ჭეშმარიტების სინათლე, კურთხეული მისიის შესასრულებლად ამერიკაა რჩეული; მისი მაღალი მაგალითი გაანადგურებს ტირანიებსა და მეფეებს, იერარქებს და ოლიგარქებს, მიიტანს მშვიდობისა და კეთილი ნების ხარებას იქ, სადაც უთვალავი ათასი ადამიანი არსებობს ისევე, როგორც ცხოველები მინდორში. ვინღა დაეჭვდება, რომ ჩვენი ქვეყანა იქნება მომავლის უდიდესი ერი?"*[83] – პათოსით საბჭოთა პიონერის ფიცს წააგავს, მაგრამ თუ ამერიკის თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ 150 წლის განმავლობაში იგი ოდნავაც არ დაშორებია ჯონ ო'სალივანის რიტორიკას. პრეზიდენტმა ჰ. ტრუმენმა ერთხელ განაცხადა: „ღმერთმა შეგვქმნა ჩვენ, მოგვიყვანა დღევანდელ ძლიერებამდე დიადი დანიშნულების გამო". 1999 წელს პრეზიდენტობის დღევანდელმა კანდიდატმა მაკ-კეინმა ბრძანა: „აშშ შეუცვლელი ერია, რადგან ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ისტორიის უდიადესი სიკეთის ძალა ვართ... ჩვენ მტკიცედ ვაპირებთ გამოვიყენოთ ჩვენი წამყვანი პოზიციები მსოფლიო საქმეებში კაცობრიობის სასიკეთოდ".[84] 2000 წელს მან განმარტა ამ „სასიკეთო" ჩარევის ხასიათი: „მე შევაიარაღებ, გავწვრთნი

83. http://www.gumer.info/bibliotek_buks/Culture/Sard/index.php.
84. „Financial Times" 2008. 25 მარტი.

და მოვამარაგებ გარედან და შიგნიდან ძალებს, რომლებიც, საბოლოო ჯამში, დაამხობენ რეჟიმებს და შექმნიან თავისუფალ და დემოკრატიულად არჩეულ მთავრობებს".[85] ამერიკული მმართველი ელიტა კვლავაც განაგრძობს „ხის უფლებით" ექსპანსიას მთელ მსოფლიოში.

დღეს შეერთებული შტატები „ღვთივრჩეულობის" ამ თეორიას უკვე არა საკუთარ კონტინენტზე, არამედ მთელ მსოფლიოში იყენებს, როგორც საკუთარი დიადი მისიის არგუმენტს. საფრანგეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი იუბერ ვედრინი ამბობს: *„აშშ კვლავაც მიიჩნევს, რომ იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებს მსოფლიოში, რომ მას ცივილიზატორული მისია აკისრია და ყველა დანარჩენს უნდა მიუტანონ დემოკრატიისა და ლიბერალური ეკონომიკის ფასეულობები. ამერიკას სწამს საკუთარი განსაკუთრებული დანიშნულებისა... სწორედ კათოლიკეებისა და პროტესტანტების მიდრეკილება მისიონერობისადმი გახდა კოლონიზაციის საფუძველი."* [86] დღეს, თითქოს პირი შეკრესო, მხოლოდ ამერიკული ექსპანსიისა და ისლამის შეუთავსებლობაზე ლაპარაკობენ, მაგრამ სინამდვილეში ეს შეუთავსებლობა და კონფლიქტი ყველა ტრადიციული რელიგიისა და კულტურის ხალხებთან აქვს შეერთებულ შტატებს. პრობლემა ის კი არ არის, რომ ვიღაცას ამერიკული „ფასეულობების" მიღება არ უნდა, არამედ ის, რომ ისინი მისაღები არ არის და თუ უფრო ღრმად ჩავხედავთ, ფასეულობებს სულაც არ წარმოადგენს. ჟან ბოდრიარს დავესესხოთ: *„დასავლეთი იქცა დომინირებულ ძალად და ეს დამამცირებელია სხვა ცივილიზაციებისათვის. არ ვლაპარაკობ პრიმიტიულ კულტურებზე, რომლებმაც თავისი მოლიეს და გაქრნენ. ლაპარაკია უძველეს, მძლავრ, ტრადიციულ კულტურებზე, რომლებიც უკანა პლანზე გადაწეულებად გრძნობენ თავს: მათ მარგინალებად აქცევენ. მათ შორის თვით დასავლეთის ქვეყნებშიც. არსებითად, ჩვენ გამოვდევნეთ ფასე-*

85. იქვე.
86. http://www.globalaffairs.ru/printver/8826.html.

ულობათა ყველა სხვა სისტემა. მაგრამ ყველაზე სასაცილო აქ ის არის, რომ რომ თავად დასავლური ღირებულებები აღარ წარმოადგენს ფასეულობებს – ჩვენ თვითონ გავანადგურეთ ისინი. მუსლიმებს ისინი აქვთ, ჩვენ კი – არა".[87]

საქართველოსა და დასავლეთის (იგულისხმეთ ამერიკის) „საერთო ფასეულობებზე" ჩვენი პოლიტიკოსები ისე ხშირად და იმდენს ლაპარაკობენ, რომ ეს უკვე ლოზუნგად იქცა. ამ ხშირი გამეორების ერთადერთი მოტივი ის არის, რომ ფორმულა უკრიტიკოდ უნდა იქნას მიღებული, შინაარსზე დაუფიქრებლად. არადა, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან სწორედ ფასეულობები განსაზღვრავს ჩვენს ადგილს სამყაროში, თავად სამყაროს აღქმას, დამოკიდებულებებს ყველასა და ცალკეულის მიმართ. მრწამსი ცხოვრებას და ხშირად სიკვდილსაც განსაზღვრავს. ყველას გვინახავს ქრონიკის კადრები, რომელშიც შიშველ ებრაელებს საკონცენტრაციო ბანაკის გაზის კამერაში მიერეკებიან. ვინც არ იცის, რას ნიშნავს ებრაელისათვის **ერვა**, ის ვერ მიხვდება, რომ მორწმუნე ებრაელისათვის სიშიშვლე სიკვდილზე უარესია.

ერვა – თორაში მოცემული სიწმინდის დაცვის ნორმები შეიცავს განსაკუთრებულ აკრძალვებს, მათ შორის – სიშიშვლისას. დღემდე მოვიდა გადმოცემა იმის შესახებ, რომ ებრაელმა გოგონამ, რომელსაც ესპანელი ინკვიზიტორები კოცონზე წვავდნენ, ალისგან აფრიალებული კაბის კალთა ქინძისთავებით დაიმაგრა პირდაპირ ფეხებზე. მისთვის სიშიშვლე სიკვდილზე უფრო შემაძრწუნებელი იყო!

სინამდვილეში ფასეულობათა რაობა ღრმა ფილოსოფიური საკითხია, ჩვენ თვალწინ კი მისი სრულიად მიუღებელი პროფანაცია და ვულგარიზაცია ხდება. როდესაც სისხლის სამართლის ახალ კოდექსში მიღებულმა ნორმამ (მას მაშინვე „ჩაშვების ინსტიტუტი" დაერქვა ხალხში) ქართული საზოგადოების გულის-

87. http://www.politizdat.ru/interviews/51.

წყრომა გამოიწვია, ეს არ იყო საზოგადოების „ქურდული მენტალიტეტის" გამოძახილი (მართლაც, თუ მთელი საზოგადოება კრიმინალურია, შენ ვიღას ხელისუფლება ხარ?), არამედ უფრო სიღრმისეული – სწორედ ფასეულობათა სისტემის დონეზე მიუღებელი ნორმა და იგი პირდაპირ უკავშირდება რელიგიურ მრწამსს. „ჩაშვება" იმიტომ კი არ არის ცუდი, რომ ვინმეს პოლიციასთან თანამშრომლობა არ უნდა, არამედ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იუდას სხვა არაფერი ჩაუდენია: ამბორით გასცა მაცხოვარი. ზოგადად წმინდა რელიგიურ ფასეულობათა სისტემის მაგალითებზე იოლად შეიძლება იმის ამოცნობა, თუ რას მიიღებს ესა თუ ის საზოგადოება და რის წინააღმდეგიც იქნება ყველაფრის მიუხედავად.

სხვადასხვა რელიგიებს შორის (ქრისტიანობის მიმდინარეობათა შორის ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა) სხვა მრავალთა შორის სხვაობა ცოდვის მიმართ დამოკიდებულებაშია. თუ დასავლური ცხოვრების წესს დავაკვირდებით, უკვე იმ ვითარების მოწმენი გავხდებით, როდესაც ცოდვაში ყოფნა სულ უფრო „კომფორტული" ხდება. კომფორტი კი, როგორც ცნობილია, არასოდეს არის საკმარისი ან ზედმეტი. პროტესტანტებთან (და სხვა დენომინაციებთან) მრევლისთვის კონკურენციამ კათოლიკურ ეკლესიას ნაბიჯ-ნაბიჯ დაათმობინა პოზიციები. თუმცა, ეს არახალი პროცესია. ყველაფერი დაიწყო **ინდულგენციების** გაყიდვით, ანუ ფულის საფასურად ცოდვის შენდობის ნოუჰაუთი. კათოლიკურმა ეკლესიამ „გაამარტივა" მორწმუნის მდგომარეობა და დასაშვებად მიიჩნია, რომ ცოდვათა შენდობის მისაღებად არ არის აუცილებელი ღრმა სინანული, არამედ ცოდვათა შიში ან ოდნავ შენანებაც საკმარისია. ინდულგენციების პრაქტიკა ერთბაშად არავის „გამოუგონია". მას კარგად დასაბუთებული პრეამბულა აქვს; კათოლიკური მრწამსით, ადამიანის ცოდვებით განრისხებული ღმერთი მას სატანჯველს უვლენს, ამიტომ ღმერთის მრისხანება რომ წყალობით შეიცვალოს, აუცილებელია ცოდვის გამო ღმერთისთვის საზღაურის გაღება. ამ „საზღაურის"

ინდულგენციად გარდაქმნა უკვე სქოლასტიკური და იურიდიული ტექნიკის საკითხი იყო. თითქოს ამაზე იყოს ნათქვამი – „იყიდე, გაყიდე, რა – ქარვასლაა?!" მართლმადიდებლისათვის ამგვარი საზღაური წარმოუდგენელია: ცოდვა ადამიანს ღმერთს განაშორებს, მაგრამ ღმერთი არც ერთ, ცოდვილ ადამიანსაც კი არ ტოვებს. იგი საზღაურს კი არა, ცხოვრების წესის შეცვლას ითხოვს. ეს არც ისე მარტივი საკითხია, როგორც ერთი შეხედვით გამოიყურება. მართლმადიდებლის მრწამსისათვის მიუღებელია ღვთის წყალობის ყიდვა, ღმერთის „მოქრთამვა", გატრიალება და იმავე წესით ცხოვრების გაგრძელება.

ინდულგენცია – კათოლიკურ ეკლესიაში: ცოდვათა სრული ან ნაწილობრივი შენდობა, რომელსაც მორწმუნეს ეკლესია აძლევს, აგრეთვე მოწმობა, რომელიც ასეთ დროს გაიცემა. ინდულგენციების გაყიდვა XII საუკუნიდან დაიწყო.

ინდულგენციებზე ლაპარაკი მოძველებული რომ არ მოგეჩვენოთ, 1967 წელს პაპის პავლე VIII-ის მიერ გამოცემულ ინდულგენციების ახალ დოქტრინასაც შევეხოთ.[88] 1962-65 წლებში ვატიკანის მეორე კრებაზე გაისმა ინდულგენციების პრაქტიკის სრული აკრძალვის მოთხოვნები, მაგრამ ამაოდ. ახალი კანონების თანახმად, კათოლიკეს დღეში მხოლოდ ერთი სრული ინდულგენციის მიღება შეუძლია (თავისთვის ან გარდაცვლილი ნათესავისთვის). სრული ინდულგენციის მისაღებად უკვე შესაბამისი შინაგანი განწყობაც აუცილებელი გახდა, მის გარეშე მხოლოდ ნაწილობრივი ინდულგენცია გაიცემა. პაპის დამატებით განმარტებაში გათვალისწინებულია ზოგიერთი გამონაკლისი, როცა სრული ინდულგენციის გაცემა წინასწარი აღსარების გარეშეც დასაშვებია. არ განვიკითხავ კათოლიკეებს, ან რა უფლება მაქვს, უბრალოდ, როცა დასავლეთის „რაციონალურობაზე" კეთდება აქცენტი, მის ამგვარ, რწმენის დონეზე გამოვლენილ დამოკიდებულებებს რომ არ შევეხოთ, არაფერი გამოგვივა.

88. http://teolog.ru/lib/t2.php?pid=63.

ნელ-ნელა ამგვარმა „იურიდიზებულმა" მიდგომამ ზნეობრივი საკითხებისადმი ის პრაქტიკა დაამკვიდრა, როცა ცოდვის გამო სასჯელისგან გასათავისუფლებლად სულ უფრო მარტივი წესების დაკანონება ხდებოდა. ამგვარი გამარტივების ტენდენცია ღვთისმსახურების წესშიც -გამოვლინდა. ამის გარეგნული სახე კარგად ჩანს იმ მაგალითზეც, რომელიც სტრასბურგის ერთ-ერთ ტაძარში პირველად ვნახე: სანთლების ნაცვლად იდგა ელექტრონათურები, რომლებიც მონეტის ჭრილში ჩაგდების შემდეგ ინთებოდა. „სანთლის" ნათების დრო მონეტის ღირებულებაზე იყო დამოკიდებული. ასე და ამგვარად, სანთლის დანთების მისტიკა საკითხის „რაციონალურმა" გადაწყვეტამ შეცვალა. თითქოს არაფერი, მაგრამ ასეთ ეკლესიაში ლოცვის მაგივრად სათაურების თქმაც შეიძლება, ალბათ; შინაარსი ხომ ღმერთმა ჩვენზე კარგად იცის!

მიუხედავად იმისა, რომ ინდულგენციებით ვაჭრობას მკაცრად გმობდნენ, შემდეგი ნაბიჯი პროტესტანტებმა გადადგეს, როცა 7 საეკლესიო საიდუმლოდან მხოლოდ 2 – ნათლობა და ზიარება აღიარეს, ხოლო სხვა დანარჩენ ოთხთან ერთად (მირონცხება, მღვდლობა, ქორწინება, ზეთის კურთხევა), სინანულზეც თქვეს უარი. განა იმას ვამტკიცებ, რომ პროტესტანტი არაფერს ნანობს, უბრალოდ, სინანული, როგორც საეკლესიო საიდუმლო უარყვეს. დღეს უკვე კათოლიკური ეკლესიაცა და პროტესტანტებიც სულ უფრო მიმტევებლურად უყურებენ ცოდვათა გამოვლინებას, მათ შორის ისეთებსაც, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება რელიგიური ადამიანის მორალსა და ეთიკას. თითქოსდა რა არის სადავო, არავინ გაძალებს ასე თუ ისე მოქცევას, მაგრამ პრობლემა სწორედ ისაა, როცა არც ცოდვა გეთმობა და თან მორწმუნეც გინდა გერქვას. დასავლური ქრისტიანობა, დიდი ხანია, „შემხვედრ ნაბიჯებს" დგამს ამგვარი მორწმუნეების მიმართ. ჩვენში ყოფით დონეზე ეს იმაშიც ვლინდება, როცა მარხვის შენახვაც გინდა და ნამცხვრების მირთმევაც; თითქოს მარხვა დიეტა იყოს! ახლახან დასავლურმა ქრისტიანობამ მარხვის აღდგენა

მოინდომა (რომელსაც, კარგა ხანია, მრევლი აღარ ინახავდა) და დასავლეთ ევროპაში ამას „მართლმადიდებლური **რამადანი**" უწოდეს. როგორც ჩანს, უკანასკნელი 200 წლის ტენდენციების გადახედვის პროცესი დაიწყო. სახელწოდება თავად მიანიშნებს, რომ დასავლურმა ქრისტიანობამ გააცნობიერა, – ბევრი რამ იყო დავიწყებული, რაზეც უარის თქმა ღმერთისგან დაშორებას უწყობდა ხელს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ის დასავლეთ ევროპაა, რომელმაც ნიცშეს ლოზუნგი აიტაცა: „ღმერთი მოკვდა!" თუმცა ნიცშეს სხვა გამონათქვამიცა აქვს, მეტად საყურადღებო: „ჩვენ ცდებს ვატარებთ ჭეშმარიტებაზე... შესაძლოა, ამან კაცობრიობა დაღუპოს. დაე, იყოს ასე!"

რამადანი – ერთი თვე (მთვარის კალენდრის მეცხრე თვე), რომლის განმავლობაში მართლმორწმუნე მუსლიმები დროის უმეტეს ნაწილს მეჩეთში ატარებენ, ყველა მიწიერ სიკეთეზე უარს ამბობენ და ალაჰს მსახურებენ. ეს არის სულისა და ხორცის განწმენდის, მარხვის თვე. თვე, როცა იღება სამოთხის კარი. „სოუმ" (თავშეკავება) მხოლოდ საკვების შეზღუდვას არ გულისხმობს, უმთავრესია სულიერი განწმენდა და ყოველგვარი ვნების დათრგუნვა. რამადანი საყოველთაო მოწყალების გაღების თვეა.

რომელიმე რჯულის აღმსარებლობა (არც ათეისტობა), ცხადია, ცოდვების სადაზღვევო პოლისს არავის ანიჭებს. ადამიანი ცოდვილია. სხვაობა ისაა, ცოდვას მოინანიებ თუ გაამართლებ. აქ საჯარო მონანიებას არ ვგულისხმობ, რომელიც საქართველოში IV ს.-ის შემდეგ გაუქმდა.

როდესაც თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება" ეკრანებზე გამოვიდა, სტატია გამოვაქვეყნე[89], რომელშიც ვწერდი, რომ მონანიება არ შედგა ერთი მარტივი მიზეზის გამო: თუ არ მოხდა კათარზისი, მონანიება არ შედგება. არ შეიძლება ზნეობრივ

89. ნ. დევდარიანი „გვირაბი ბომბეიდან ლონდონამდე", ალმანახი „კინო", №4 1988, გვ. 49-61.

მიზანს უზნეო საქციელით მიაღწიო. *„აბელის მიერ მამის საფლავიდან ამოგდება განუზომლად უფრო მძიმე ზნეობრივი დანაშაულია, ვიდრე ქეთევან ბარათელის საქციელი. ქეთევანი მტერს თხრის, აბელი – მამას!"* მაშინაც მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ მიცვალებულების მოთხრით მონანიება არ ხდება. 20 წელი გავიდა და ბევრი რამ გადავაფასე, მაგრამ ერთი ჩემთვის უცვლელად დარჩა: არ შეიძლება მთელი ცხოვრება შურისძიებისა და ანგარიშსწორების გრძნობით იცხოვრო. თენგიზ აბულაძე უდიდესი მოვლენაა მსოფლიო კინემატოგრაფში. მან თითქოს წინასწარ განჭვრიტა მომავალი (თუ იმოქმედა მასზე?), რომელშიც დაუნდობლობა, შურისგება, ყალბი ფასეულობები დამკვიდრდებოდა თავისუფლების სახელით. როდესაც ანტიკური ბერძნული ტრაგედიის გმირი, ანტიგონე – მამის, მეფე კრეონტის ბრძანებას არღვევს და სიკვდილით დასჯილ ძმას კვლავ და კვლავ მარხავს, იგი სიცოცხლის ფასად ასრულებს საკუთარ ადამიანურ მოვალეობას. ჩვენ თვალწინ სულ რამდენიმე წელიწადში ანტიგონეს ზნეობრივი თეზა „მაინც დავმარხავ" შეიცვალა ქეთევან ბარათელის ზნეობრივი თეზით – „მაინც ამოვთხრი!"
დღეს ეს ზნეობა ზეობს. სამწუხაროდ.

შურისგების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოებრივი, ისე პოლიტიკური ცხოვრების თვალსაზრისით. ამ საკითხზე – მასკულტურისა და, კერძოდ, ჰოლივუდური კინოპროდუქციის ანალიზის დროს შეიძლება მსჯელობა.

სარწმუნოების საკითხების ნიველირება, მიჩუმათება, მხოლოდ გარეგნულ ასპექტებზე ყურადღების გადატანა მეტად ნიშანდობლივია. დასავლური ტოლერანტობა (საერთოდაც, რა ტერმინია ეს? – თითქოს დამნაშავე ხარ, მაგრამ გაპატიებენ), რომელიც რელიგიური ომების, ცეცხლისა და მახვილის ნაკვალევზე აღმოცენდა, მხოლოდ იმიტომ დამკვიდრდა, რომ „ომები წამგებიანია და მატერიალურ დოვლათს ანადგურებს". ამდენად რჯულშემწყნარებლობა არა ზნეობრივ, არამედ წმინდა მატერიალურ, რაციონალურ საფუძველზე დგას. ევროპისა და

საქართველოს ისტორიას რომ გადახედოთ, ერთ სერიოზულ სხვაობასაც შენიშნავთ: ევროპაში მეფეს (თავადს, ჰერცოგს, სხვა მმართველს) შეეძლო თავისი შეხედულების მიხედვით შეეცვალა ხალხისთვის რჯული. შუა საუკუნეების ევროპაში ეს პრინციპი საყოველთაოდ იყო გაბატონებული: „ვისიცაა ძალაუფლება, იმისია რჯული". ეს პრინციპი არასოდეს ყოფილა ჩვენში **337 წლის** შემდეგ, როცა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მაჰმადიანი მეფეებიც ჰყოლია (სულხან-საბა ორბელიანის „წვერით თრევა" სწორედ იმან გამოიწვია, რომ ხალხის რჯულის შეცვლაზე იყო ლაპარაკი, თორემ პირადად მას კათოლიკობის გამო არავინ სდევნიდა). ის „რელიგიური ომებიც", რომელთაც ხშირად იშველიებენ არგუმენტად დასავლეთის მეცნიერები, როგორც წესი, პოლიტიკური მოტივებით წარმოებული ომები იყო, ხოლო რჯულის საკითხები მხოლოდ სასურველ „შეფუთვას" წარმოადგენდა,[90] ან მოსახლეობისთვის სწორედ იმ ფასეულობათა ძალადობრივად შეცვლის მცდელობა იყო, დღესაც რომ ხშირად ახსენებენ ხოლმე. რაც შეეხება „ომების წამგებიანობას", რჯულშემწყნარებლობა იქ კი არ არის, სადაც კალკულატორით ხელში ანგარიშობენ მოგებაწაგებას, არამედ იქ, სადაც ჩვეულებრივ ადამიანურ ყოფაში ერთმანეთს არ დევნიან განსხვავებული აღმსარებლობის გამო.

337 წელი პირობითი თარიღია, რომელზეც ისტორიკოსები შეთანხმდნენ. ეს შეიძლება 325 წელიც იყოს, 317-იც და უფრო ადრეულიც. „აბოს წამების" თანახმად, 786-790 წლებში ქართველები უკვე 500 წლის მონათლულები ყოფილან (ე. ი.

90. www.presa.ge, გიორგი ლობჟანიძე, ყურანის ქართულ ენაზე მთარგმნელი, მიუთითებს: „ქართველისთვის დამპყრობლის სახე ისტორიულად დაკავშირებულია მუსლიმთან, მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ არ იცოდა ერთი რამ – აგრესიულად განწყობილი მუსლიმიც ანგაჟირებული სახით იყენებდა საკუთარ წიგნს. ისლამი ამ ბრძოლის პოლიტიკური საფუძველი იყო, თორემ შეუძლებელია, რომელიმე საღვთო წიგნს რაიმე საერთო ჰქონდეს აგრესიასთან. „ალაჰმა შეგქმნათ თქვენ, დაგყოთ ერებად და ტომებად, რათა შეიცნოთ ერთმანეთი და გაიგოთ, რომ თქვენში ღვთის წინაშე ყველაზე უფრო პატივდებული ის არის, ვინც თქვენგან ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია".

არაუგვიანეს 286-290 წლებისა). ასევე, ზოგიერთი წყაროს მიხედვით ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე „დიდი ბაკუროსი" – პეტრე იბერის პაპა იყო. ასეა თუ ისე, ქართლის გაქრისტიანება ბევრად უფრო ადრე მოხდა, ვიდრე მისი ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება. აქაც ნათლად ჩანს, რომ მეფემ კი არ შეუცვალა რჯული ხალხს, არამედ ერის არჩევანმა განაპირობა მეფის მიერ რჯულის აღიარება სახელმწიფო მასშტაბით.

საქართველოში **„გაპროტესტანტების"** მაგალითიც იყო: მზეჭაბუკ ათაბაგს XVI საუკუნეში ლუთერანობა მიუღია და პროტესტანტ მისიონერებთან ერთად ამ მოძღვრების გავრცელება დაუწყია. მას შემდეგ, რაც მზეჭაბუკმა სამცხე-საათაბაგოს ჭანეთი და აჭარა შეუერთა, მოისურვა სამცხე-საათაბაგო საეკლესიო თვალსაზრისითაც დამოუკიდებელი გაეხადა. საბოლოოდ მან მარცხი განიცადა. მართალია, ითვლება, რომ მას ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ გაუწია წინააღმდეგობა (რადგან ეროვნული ერთობის წინაპირობად მართლმადიდებლობა მიიჩნია), მაგრამ ფაქტია, რომ ამ შემთხვევაშიც, მზეჭაბუკის ლუთერანობა არავისთვის იყო პრობლემა, სანამ მან მთელი საათაბაგოს გაპროტესტანტება არ მოინდომა (იხ. შოთა რევიშვილი, „მარტინ ლუთერი და ქართველობა", თბ. უნივერსიტეტის შრომები, 261, ლიტერატურათმცოდნეობა, თბ. 1986, გვ. 144).

ქართველთა ისტორიული ტოლერანტობის შესახებ საუბრისას ყველაზე ხშირად იმაზე მიუთითებენ, რომ საქართველოში არასოდეს ყოფილა ებრაელთა დარბევები და მკვლელობები. არადა, ეს საკითხის უკიდურესი გამარტივებაა; საქართველოში ებრაელები ქართველებთან თანაბრად სარგებლობდნენ პრივილეგიებით და, რაც ებრაელისთვის უბრალოდ „ყოფნა-არყოფნის" საკითხზე მნიშვნელოვანია, დაცული იყო მათი საკუთრება. მკვლევარები ხშირად უჩიოდნენ საქართველოში ებრაელთა შესახებ დოკუ-

მენტების სიმწირეს, რაც სწორედ იმით აიხსნება, რომ არ არსებობდა ცალკე რეგულაციები ებრაელთათვის; ისინი ყველა იმ უფლებით სარგებლობდნენ, რომლითაც დანარჩენები.[91]

დასავლეთში ვერ ხვდებიან, რომ მართლმადიდებლობა ქართველებისთვის არ არის „კონფესია – ერთი, მრავალთა შორის". იგი არსებობის და სოციალიზაციის წესია, რომლის იგივეობა ქართველობასთან უკვე იმდენი ხანია, გამჯდარია, რომ დღემდე მასზე დავაც კი მიუღებელია და სტიქიურ პროტესტს იწვევს. ილია ჭავჭავაძე 1888 წელს წერდა: *„ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთსა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან, – გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნობა, სჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორცთვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარი მტრისა წინაშე... აი, რამ მოაგერებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნობა მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული მამულსა და ეროვნობას*

91. ე. მამისთვალიშვილი „ქართველ ებრაელთა ისტორია", თბ. „მეცნიერება", 1995, გვ.9-10: „ყველა ქვეყანაში, სადაც ებრაელი იზოლირებული იყო დანარჩენი საზოგადოებისგან, იდევნებოდა გაბატონებული კლასის, სამოხელეო აპარატის და კანონმდებლობის მიერაც კი, მათი ისტორიის დანერა შედარებით იოლი იყო და დაინერა კიდეც. ქართველი ებრაელების ისტორიის მკვლევარი კი აღმოჩნდება რთული ამოცანის წინაშე – გაარკვიოს, სად და რა არის ქართული და სად და რა – ებრაული. აქედან მომდინარეობს ებრაელთა სულიერი, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ისტორიული მასალების ნაკლებობაც. ის წყაროები, რომლებიც ებრაელთა მონაწილეობას გვიჩვენებს ყიდვა-გაყიდვაში, მებატონესთან კონფლიქტში და სხვ., იმდენად შეიძლება ჩავთვალოთ ებრაულად, რამდენადაც მათში მითითებულია მათი ებრაელობა. საბუთებში არ ჩანს სპეციფიკური, მხოლოდ ებრაელისთვის დამახასიათებელი." გვ. 3 – „საქართველოს ებრაელთა ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობა სრულიად განსხვავებული იყო დანარჩენი სამყაროს ებრაელთა მდგომარეობისაგან. კანონმდებლობა არ განასხვავებდა ყმა ან ბატონ ებრაელს ყმა ან ბატონი ქართველისაგან. ქართველი გლეხისათვის არ არსებობდა რაიმე ისეთი პრივილეგია მეფის, ეკლესიის ან ბატონის მხრივ, რომელიც არ ვრცელდებოდა ებრაელ ყმაზე."

და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიმძღვარა წინ, 1500 წელიწადი ომითა და სისხლისღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა".[92]

ილია აქ ზუსტ ფორმულას პოულობს იმ საკითხში, რომელიც დღემდე რჩება თეოლოგების კამათში ერთ-ერთ საჯილდაო ქვად; რაკი ითვლება, რომ ქრისტიანობა ზეეროვნული რელიგიაა, ამდენად მისი ეროვნული თვითიდენტიფიკაციის სამსახურში ჩაყენება მეტად სარისკოა. მართლაც, თუ მართლმადიდებელ მღვდელთმსახურს, არქიმანდრიტ რაფაელს დავეყრდნობით, *„შეუძლებელია, ერი იყოს ქრისტიანი, ქრისტიანები შეიძლება შეადგენდნენ ამ ერში შემავალი ადამიანების გარკვეულ ნაწილს. როდესაც ამბობენ: „ქრისტიანული სახელმწიფო", ეს პირობითი და არცთუ ზუსტი ნათქვამია: სახელმწიფო ქრისტიანული ვერ იქნება, რადგანაც სახელმწიფოც და ერიც ადამიანებს აერთიანებენ არა რელიგიური ნიშნის მიხედვით. ერი, უპირველეს ყოვლისა, არის კულტურული ერთობა – გარკვეული ტრადიციების, ჩვეულებების, ცხოვრების ყაიდისა და ა. შ. – ანუ ერთობა ყოველივე იმისა, რაც მიწას განეკუთვნება. ქრისტიანობა არ შლის იმას, რაც მიწიერ ყოფას განეკუთვნება, მაგრამ ფასეულობის სხვა სკალას იძლევა. უმაღლესი ფასეულობა ჩვენთვის ღმერთია და ღმერთთან ურთიერთობა; მაგრამ ქრისტიანობა, ამასთანავე, სხვა ფასეულობას არ ანადგურებს, იგი სულიერ-ყოფს მას."* [93]

ამიტომაა, რომ ილია აქცენტს აკეთებს იმაზე, რაც შეუნახა ქართველებს ქრისტიანობამ – ბინა და ქართველობა. უფრო სწორად, სამებამ – მამული, ენა, სარწმუნოება (ენას რომ ამ შემთხვევაში ეროვნულობის სინონიმად იყენებს, ცხადია. სწორედ ამ სინონიმურობაზე წერს ზვიად გამსახურდია თავის გამოკვლევაში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი"). მართალია, ზოგს მიაჩნია, რომ ილიამ ეს ტრიადა მხოლოდ ერთხელ ახსენა და აღარ გაუმეორებია, მაგრამ, ჯერ ერთი, მოყვანილი ფრაგმენტი

92. ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტფილისი, „ქართული ნიგნი", 1928, ტ. VIII, გვ. 350.

93. გაზეთი „Georgian Times".

უკვე საწინააღმდეგოს ამტკიცებს და, მეორეც, გაუთავებლად ამის მტკიცება ილიას არ სჭირდებოდა, რადგან ეს ტრიადა საქართველოში სადავოდ და საკამათოდ დღემდე არავის გაუხდია.

ახლა – „ბინის" საკითხზე; მიწის მიმართ დამოკიდებულება საქართველოში ისტორიულად განსახვავებული იყო. კვლავ ილიას მივმართოთ. იგი სტატიაში „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ" წერს: *„სიკეთე ჩვენი ეკონომიური აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ე. ი. მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზოგადოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენი ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ჩვენი ქვეყანა ღონიერი ყოფილა და გაძღოლია მტერს ასე თუ ისე... ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო".*[94] დღესაც ყველაზე მძაფრ პროტესტს სწორედ მიწების, განსაკუთრებით კი საერთო სარგებლობის მიწების გასხვისების საკითხი იწვევს და ამაში გაუგებარი არაფერია. უმიწოდ დარჩენა საქართველოში გაცილებით უფრო მძაფრად აღიქმება, ვიდრე სხვაგან, მით უფრო, რომ ქართველებს 26 საუკუნის განმავლობაში „უბინაოდ" დარჩენილი ებრაელების მაგალითი თვალწინ ჰქონდათ და ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულებაში, მატერიალურის გარდა, წმინდა მენტალური და მეტაფიზიკური მიზეზებიც არსებობს. ქართველისთვის მიწა არის სამშობლო, მიწა არის ის, რადაც სიკვდილის შემდეგ უნდა იქცეს იგი, მიწა

94. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, თბ. „საბჭოთა საქართველო", 1987, ტ. IV, გვ. 151-152.

არის ის, რადაც უკვე იქცნენ მისი წინაპრები და ის, რაც დღესაც კი, უცხოეთში დიდი ხნით წასულ ქართველებს უჩუმრად თან მიაქვთ. ამდენად, მიწა ქართველისათვის მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობის საგანი არ არის.

> მოსეს ხუთწიგნეულში ღმერთი მოსეს ეუბნება, რომ მიწის სამუდამოდ გაყიდვა არ შეიძლება, *„რამეთუ ჩემი არს ქვეყანა, რამეთუ მწირ და მსხემ ხართ თქუენ წინაშე ჩემსა“ (მიწა ჩემია, თქვენ კი მოსულნი და დაბინავებულნი ხართ ჩემსას).* თუ ძმა შენი გაღარიბდა და გაყიდა თავისი მიწა, მივიდეს მისი უახლოესი ნათესავი და გამოისყიდოს იგი. და თუ ასეთი ნათესავი არ აღმოჩნდა, განისაზღვროს ვადა, რომლის შემდგომაც მიწა მუქთად დაუბრუნდეს გამყიდველს (იხ. მოსეს ხუთწიგნეული, ლევიტელთა 25, 23-27, „მცხეთური ხელნაწერი“, „მეცნიერება“, თბ. 1981, გვ. 271).

ეს რომ ნამდვილად ასეა, ილიას სხვა სტატიაში მოყვანილი ციფრებიც ცხადყოფს; ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, როგორც კი გლეხებს მიწის გამოსყიდვის უფლება მიეცათ, შეღავათიანი გრძელვადიანი საბანკო კრედიტის აღების ნაცვლად გლეხობამ ნაღდ ფულზე შეიძინა და დაიკანონა მიწა:

„მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში, საცა გლეხობა ყველას უფრო ღარიბად მიგვაჩნია, 8.075 ნაყმევმა კომლმა შეისყიდა თვისი ნაჭერი ადგილ-მამულები ნაბატონართაგან და 1.104.870 მანეთი თავისი საკუთარი ჯიბიდამ მისცა. ასე რომ მთავრობის შემწეობაც არ ითხოვა. გერმანიაში 27 წელიწადში ნაყმევთაგან მარტო მეოთხედმა ნაწილმა ძლივს დაიხსნა თავისი ადგილ-მამულები, ისიც მთავრობის შეწევნითა, და იმერეთში კი (გარდა სამეგრელოსი) ერთმა მესამედმა 10 წელიწადში გამოიხსნა თავისი მამულები“.[95]

ჩვენ კი გვასწავლიდნენ, რომ რევოლუციამდე ქართველი

95. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1987, ტ. IV, გვ. 317.

გლეხი არაფრის მქონე იყო და მხოლოდ რევოლუციამ გადაუწყვიტა მიწის საკითხი. თუმცა, ეს ისეთივე მითია, როგორც საქართველოს ისტორიის „ვარდების რევოლუციიდან" დაწყება. არც ეს არის პიარტექნოლოგიების ნოუჰაუ – მხოლოდ გადამღერებული ძველი რევოლუციური რიტორიკაა.

ჩვენში ხშირად წუხან იმაზე, რომ საქართველომ ვერც ერთი ფორმაცია თავიდან ბოლომდე ვერ გაიარა. რა მოხდა მერე, არც სკანდინავიის ქვეყნებს ჰქონიათ იმ ტიპის ფეოდალიზმი, როგორც საფრანგეთში, გერმანიაში ან ინგლისში. ჩრდილოეთ ევროპაში ფეოდალიზმი ნელა ვითარდებოდა, საბატონო მეურნეობა სუსტი იყო, გლეხთა დამოკიდებულება ბატონყმურ ხასიათს ატარებდა. საკუთრების ძირითადი სახე სახელმწიფო საკუთრება იყო. განა ამან ხელი შეუშალა იმას, რომ სკანდინავიის ქვეყნები დღეს მსოფლიოში ყველაზე კარგი სოციალური ორგანიზაციით გამოირჩევა და ყველაზე უკეთ დაცული მოსახლეობა ჰყავს?

ქართლის ერისმთავარი VIII საუკუნეში იყო არჩილ სტეფანოზის ძე, ჯუანშერის მატიანეში მეფედ მოხსენიებული. მის სახელს უკავშირდება უმნიშვნელოვანესი რეფორმა, – ქვეყნის ნახევარი ერისთავებს გადაეცა სამკვიდროდ და სამამულოდ. ამ რეფორმამდე ევროპა მხოლოდ შუა საუკუნეებში მივიდა.[96]

საქართველოსაგან განსხვავებით, რუსეთში ყმა კონკრეტულ მემამულეზე იყო მიმაგრებული და არა მიწაზე, რასაც მიწის „ქართულ საკითხთან" არაფერი ჰქონდა საერთო. საქართველოში ტრადიციულად გლეხი მიწაზე იყო დამაგრებული. ერეკლე მეორემ აკრძალა ყმის გაყიდვა მიწის გარეშე. მიწისადმი ამ დამოკიდებულებაზე იდგა ქართული სახელმწიფო და თავი შეინარჩუნა იმ გრძელ პერიოდებშიც კი, როცა სახელმწიფო სუვერენიტეტი დაკარგული ან შეზღუდული ჰქონდა.

სხვათა შორის, ეს დამოკიდებულება შეინარჩუნეს დღემდე ისრაელში, სადაც უცხოელის მიერ მიწის ყიდვა პრაქტიკულად

96. „ქართლის ცხოვრება", ტ. I, თბ. 1955, ლეონტი მროველი, „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი", ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა".

შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ისრაელისთვის პრეტენზიები დასავლეთს არასოდეს წაუყენებია. გამოვტყდები, კარგა ხანს მეც მიმაჩნდა, რომ მიწის გაყიდვით დიდი არაფერი შავდებოდა; ბოლოს და ბოლოს „მიწას ხომ ზურგზე ვერავინ წამოიკიდებს და ვერ წაიღებს!" როგორც სხვა ბევრი რამის, ამ საკითხის გააზრებაც, ასაკზეც და უამრავი სხვა მასალის გაანალიზებაზეცაა დამოკიდებული.

მიწის ზურგზე მოკიდებას რაც შეეხება, კოსოვოში ალბანური სახელმწიფოს შექმნამ და აღიარებამ სულ სხვა რეალობა წარმოშვა, როცა მოსულმა და გამრავლებულმა ეთნოსმა სერბეთს საკუთარი მიწა მოაგლიჯა; მიწა კი არავის წამოუკიდებია ზურგზე, მაგრამ მისი პატრონებისა რომ აღარ არის, აშშ-მ და დასავლეთ ევროპამ მისი აღიარებით დაადასტურეს.

არის „მიწის ზურგზე მოკიდების" სხვა პრაქტიკაც, – წმინდა ეკონომიკური. ამას კარგად მოწმობს თანამედროვე ბიზნესის ერთი ჭკუის სასწავლებელი მაგალითი; გერმანელი ჰელმუტ აურენცი ბავშვობაში მებაღის თანაშემწე იყო. ვისაც თუნდაც ქოთნის ყვავილებთან ჰქონია საქმე, კარგად იცის, რომ პერიოდულად მათ გადარგვა და მიწის შეცვლა სჭირდება. მიწა იფიტება როგორც ქოთანში, ისე ბაღებსა და ბოსტნებში. აურენცმა თავისი ბიზნესი სწორედ ამ მოთხოვნაზე ააგო. დღეს იგი ბაზრის ლიდერია საბაღე მიწისა და სასუქების მიწოდებაში. იგი მილიონობით კვადრატულ მეტრ მიწას ფლობს არა მარტო გერმანიაში, არამედ კანადაში, აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, ჩეხეთში, სლოვაკიაში, ნიდერლანდებში, პოლონეთში, ესტონეთში. მისი საწარმოები სწორედ საბაღე და საყვავილე მიწას აწარმოებენ და სხვადასხვა ქვეყნებში ყიდიან. აურენცის წლიური ბრუნვა ასეულობით მილიონ დოლარს შეადგენს.[97] ამგვარად, როცა მეგონა, რომ „მიწას ზურგზე ვერავინ მოიკიდებს", მწარედ ვცდებოდი.

საერთოდ, სიტყვა და საქმე პოლიტიკაში ერთმანეთს ძალიან ხშირად შორდება, მაგრამ ჩვენ ხშირად ვერ ვაკავშირებთ

97. Х. Мехлер, «Деньги не пахнут», М. «Аст», 2007, გვ. 127-141.

ერთმანეთთან იმ საკითხებს, რომლებიც ლოგიკური ჯაჭვის რგოლებს წარმოადგენს. მაგალითად, როცა ქვეყნის პრეზიდენტი ამბობს, რომ მისი პოლიტიკური იდეალი ათათურქია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ათათურქის დროს დაიხურა მადრასები, აიკრძალა რელიგიური დისციპლინების სწავლება, რელიგიური ატრიბუტიკისა და ტანსაცმლის გამოყენება, 1925 წელს გაუქმდა დარვიშული საძმოები და სავანეები (ჩვენებურად – მონასტრები). ათათურქმა კონსტანტინოპოლიდან (შემდგომ – სტამბოლი) გამოაძევა მსოფლიო პატრიარქი. 1928 წელს კონსტიტუციიდან ამოიღეს მე-2 მუხლი, რომლის თანახმად, ისლამი იყო სახელმწიფო რელიგია. არ ვაპირებ დავას იმაზე, კარგი იყო თუ არა ეს თურქეთისათვის, ამას თურქები უჩემოდ გადაწყვეტენ, მაგრამ 2002 წელს სტრასბურგში თავად ვესწრებოდი სასამართლო პროცესს, რომელზეც თურქეთის მოქალაქე ქალები სახელმწიფოს სწორედ რელიგიური ნორმებით ნაკარნახევი წესის – თავსაფრის (ჰიჯაბის) ტარების უფლებას ედავებოდნენ. დღეს მათ ეს უფლება დაიკანონეს (ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთში იგივე პროცესები მიმდინარებს. იქაც მუსლიმმა ქალებმა ჰიჯაბის ტარების უფლება მოიპოვეს). ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ რელიგიური ნორმების უგულებელყოფა და ნიველირება დიდი ხნით შეუძლებელია. ეს ყველაფერი იმ ღირებულებათა და ფასეულობათა საკითხია, რომელზეც ხშირად გვესაუბრებიან, მაგრამ ზოგადი, „დავარცხნილი" ფრაზების უკან ჭეშმარიტი განზრახვების დანახვა ჭირს. ზოგადად ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ჯობს იყო ჯანმრთელი და მდიდარი, ვიდრე ღარიბი და ავადმყოფი, მაგრამ ბუნებაში ყველაფერს თავისი ფასი აქვს; რის ხარჯზე ვართ თანახმა, მივიღოთ ჯანმრთელობა და სიმდიდრე?

მაგრამ რა კავშირი აქვს ყოველივე ამას იმ პოლიტიკურ ვითარებასთან, რომელიც სადღეისოდ საქართველოში შეიქმნა? უკანასკნელ ხანს აშკარად გამოიკვეთა ეროვნული და მართლმადიდებლური საკითხების აქტუალურობა. ამაზე ოპოზიციური ძალების წინასაარჩევნო რიტორიკა მეტყველებს; ისინი ხომ ყო-

ველთვის იმას ამბობენ, რაც ამომრჩეველში გამოძახილს ჰპოვებს! რამ განაპირობა ამ თემების წინ წამოწევა? რას ნიშნავს განცხადებები: „ამ ხელისუფლებას არაფერი ქართული არ უნდა" ან „ისინი ებრძვიან მართლმადიდებლობას"? გავიხსენოთ 2002-2003 წლები, როცა ახლად ჩამოყალიბებულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ" ხუთჯვრიანი დროშები აღმართა და ლოზუნგი წამოაყენა: „დავიბრუნოთ საქართველო!" მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ეს იყო სიგნალი იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობის" სახელით სწორედ ნაციონალისტური და მართლმადიდებლური ძალა მოდიოდა. ბევრისგან ამასაც გაიგონებდი: „მე მიშას კი არ მივყვები, არამედ ხუთჯვრიან დროშას!" სინამდვილეში ამ მოძრაობის წევრთა წარსულსა და აწმყოს თუ გადახედავდი, უნდა მიმხვდარიყავი, რომ მათი ნაციონალიზმი ნიშნავდა არა „ქართველობას", არამედ „საქართველოს მოქალაქეობას", ხოლო მართლმადიდებლობა – ყველა სხვა კონფესიასთან თანაბრობას. ამომრჩევლის იმედგაცრუება უსაფუძვლოა, ხოლო ოპოზიციის ერთი ნაწილის მხრიდან იმავე კარტის გათამაშების მცდელობა – კვლავაც ცრუ დაპირება, რადგან ისინი იმავე ფასეულობებს აღიარებენ, რომელთაც „ნაციონალური მოძრაობა" და სხვაგვარად ვერც იქნება, რადგან ამერიკაში სხვაგვარ ნაციონალიზმს და, მით უფრო, მართლმადიდებლობას არ ასწავლიან. არც ეს არის ტიპური „ქართული უბედურება"; ამ ტაქტიკას განვითარებად ქვეყნებში ხშირად იყენებენ პოლიტიკური ლიდერები. ს. ჰანტინგტონის თანახმად *„არადასავლურ საზოგადოებებში პოლიტიკოსები ვერ იგებენ არჩევნებს იმის დემონსტრირებით, რომ პროდასავლურები არიან. საარჩევნო რბოლა, პირიქით, აიძულებს მათ ისეთი საკითხებით აპელირებას, რომელიც უფრო პოპულარული ჰგონიათ და ეს თემები, ჩვეულებრივ, ეთნიკურ, ნაციონალურ და რელიგიურ საკითხებს უკავშირდება."*[98]

იმედგაცრუებას ერთი წამალი აქვს: არასოდეს უნდა დაუჯერო პოლიტიკოსებს, რომლებიც მხოლოდ იმას ამბობენ, რაც შენ

98. С. Хантингтон, «Столкновение цивилизаций», М. «Аст», 2006, გვ. 135.

მოგენონება! „მოქალაქეთა კავშირი“ ბევრად უფრო პატიოსნად ასახავდა მისი ბირთვის პოლიტიკურ კრედოს, ვიდრე მათი ახალი სახელი. სამწუხაროდ, საქართველოში კატასტროფული ნაკლებობაა იმგვარი პოლიტიკოსებისა, რომელთაც შეუძლიათ საკუთარ ხალხს არაპოპულარული სიმართლე უთხრან. როდესაც ირინა სარიშვილი საყოველთაო „ნატო-ენთუზიაზმის“ ფონზე მის წინააღმდეგ გამოვიდა და ნეიტრალიტეტისკენ მოუწოდა, ეს ბევრად უფრო დასაფასებელი იყო, ვიდრე 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო ოპოზიციის ნაგვიანევი განცხადებები. დღეს ამ თემებს უკვე სხვა პოლიტიკოსებიც ეხმიანებიან, მაგრამ მთავარი პირველი ნაბიჯის გადადგმა იყო, რაც ასე უჭირთ პოპულარობას გამოდევნებულ პოლიტიკოსებს.

რაც შეეხება ნაცმოძრაობის გზავნილს, რომელიც ხალხმა არასწორად აღიქვა, იგი სრულიად გასაგები და მისაღები იყო დასავლური პოლიტიკური ელიტისათვის; ხუთჯვრიანი დროშა, რომელიც პირდაპირ აღვიძებს ასოციაციებს ჯვაროსნებთან, იმის სიგნალი იყო, რომ ამ დროშის მომტანები „ახალ ჯვაროსნობასაც“[99] იკისრებდნენ. დროშის ფერები – თეთრი და წითელი

99. მ. თოდუა, „ქართულ-სპარსული ეტიუდები“, ტ.III, გვ. 26-27, აბხაზთა ფიცი (პირობის წიგნი), რომელიც სალაჰ ალ-დინს გაეგზავნა: „სახელითა მამისა და ძისა და სულის წმიდისა უფლისა ერთადერთისა! ესაა პირობა, რომელსაც ვდებთ და ესაა ფიცი, რომელსაც ვიძლევით. მე, რომელიც თამარი ვარ, გიორგის ასული, ვამბობ უფლის არსითა და პიროვნებით, იმ უფლისა, რომელიც სამი სახისაა: მამა, ძე და სული წმიდა... ვფიცავ ჯვარცმას და ღვთაებრივისა და ადამიანურის კავშირს, რომ ამ დღიდან და ამ საათიდან... კეთილი განზრახვით და კარგი სურვილით ვიქნები, მისი მოყვრის მოყვარე ვიქნები და მისი მტრის მტერი ვიქნები, სანამდის ცოცხალი ვარ. და არასოდეს მავანი ქალაქისა და ველაიათის და მისი ციხეების {აღებას} არ განვიზრახავ და არ ვინებებ არც აშკარად და არც ფარულად, და თავს ნებას არ მივცემ, დავიმორჩილო მისი ხალხი და ლაშქარი...“ მიხეილ თამარაშვილი, „ქართული ეკლესიის ისტორია“, თბ. „კანდელი“, 1995, ტ. 3, გვ. 474-475; რუსუდანის ნერილი რომის პაპს ჰონორიუს III-ს: „დამიეტში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომე ჩემი ძმა ნასულიყო ქრისტიანების შესანევნელად. ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში. ეს იქნება თქვენც შეიტყეთ, დიდი უბედურება მიაყენეს ჩვენს ერსა და დაგვიხოცეს ექვსი ათასი კაცი... ოცდახუთი ათასი კაცი გავუწყვიტეთ, ბევრიც დავატყვევეთ და დანარჩენი მათი მხედრობა ჩვენის ქვეყნიდგან გავდევნეთ; აი ამის გამო აქ დავრჩით და თქვენის ელჩის ბრ-

– „კოკა-კოლას“ ტრადიციული ფერებია და უკვე ნახევარი საუკუნეა, დასავლეთს ქვეცნობიერში აქვს გამჯდარი. რაც შეეხება ქრისტიანობას, ამერიკა დღესაც „ქრისტიანულ ქვეყანას“ უწოდებს საკუთარ თავს, მაგრამ ეს ისევე შორს არის ჭეშმარიტებისაგან, როგორც დასავლური ქრისტიანობა და მართლმადიდებლობა. ნაცმოძრაობის სიმბოლიკა, რომელიც დღეს უკვე სახელმწიფო სიმბოლიკაა, კარგად იყო გააზრებული და მათ საკუთარ მიზანს მიაღწიეს, ოღონდ ეგ არის, რომ მას არაფერი ჰქონდა საერთო ხალხის უმრავლესობის იმედებთან და სურვილებთან, რომელმაც „სათავისოდ“ მიიჩნია დასავლეთისთვის გათვლილი სიმბოლოები.

ძანებისამებრ ვერ ნამოვედით. ხოლო ან დიდად განვიხარეთ, რა შევიტყვეთ, რომ თქვენის ბრძანებით იმპერატორი სირიაში უნდა ნავიდეს წმიდა ადგილების დასახსნელად. გთხოვთ გვაცნობოთ, თუ როდის უნდა გამოიაროს იმპერატორმა, რათა ჩვენც წმიდა ადგილების დასახსნელად გავგზავნოთ ჩვენი მხედართმთავარი ივანე მთელის ჯარით იმ ადგილს, საცა თქვენ ინებებთ. ეგრეთვე გაუწყებთ, რომ ამ ჩვენმა მხედართმთავარმა და ჩვენი სამეფოს სხვა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა და წასვლას ელიან. ამისთვის ვეეედრებით და ვსთხოვთ თქვენს უწმინდესობას, რათა მოგვნეროთ და გვიბოძოთ თქვენი კურთხევა ჩვენ, აღმოსავლეთში მყოფ ქრისტიანებს.“ ...ეს ორი წერილი ცხადყოფს, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობებში ქართველებს მონაწილეობა არ მიუღიათ, იერუსალიმის ბარბაროსულ აოხრებაში და მუსლიმთა დედა-წულიანად გაჟლეტაში წილი არ უდევთ. მეორე წერილი ასახავს იმას, რომ მონღოლთა წინააღმდეგ საქართველო მოკავშირეს ეძებს, თუმცა, როგორც არაერთხელ მომხდარა, დასავლეთს, საკუთარი მიზნების გარდა, არაფერი აინტერესებდა. გავრცელებული მითი ქართველი „ჯვაროსნების“ შესახებ ისტორიულად არ დასტურდება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ რუსუდანის ჯვაროსნულ ომებში მონაწილეობისთვის გაუმართლებელი თავგამოდების გამო მონღოლებმა საქართველოს ჩამოაცილეს მუსლიმი ყმადნაფიცი სამთავროები. ზოგადად კი ყველა ლაშქრობა უპირველესად ქართული სახელმწიფოს ინტერესებით იყო ხოლმე ნაკარნახევი და არა „სტრატეგიული პარტნიორისა“. ამასვე მეტყველებს ქართლის მეფის კონსტანტინეს წერილი ესპანეთის დედოფლის იზაბელა კასტილიელის მიმართ მინერილი 1496 წლის 10 მარტს, რომელშიც იგი კონსტანტინეპოლზე გალაშქრებას სთხოვს, რადგან საქართველო (ე. ი. საქრისტიანო) შევინროებულია „აგარიანთა, თურქთა და არაბთა“ მიერ და ამ ლაშქრობაში სამხედრო დახმარებასაც ჰპირდება, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, იმდროინდელი დასავლური საქრისტიანოს უმძლავრესმა იმპერიამ საქართველოს გამო თავი არ აიტკივა (იასე ცინცაძე, „მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“ თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1965, გვ. 81-84). თუმცა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, ალბათ, ის გახლავთ, რომ ქრისტიანულ სოლიდარობაზე მნიშვნელოვანი დასავლეთისთვის თურქებთან ეკონომიკური კავშირები და თანამშრომლობა აღმოჩნდა. ასეა თუ ისე, ქართული „ჯვაროსნობა“ არ შედგა და ეს სულაც არ უნდა იყოს გულდასაწყვეტი, ან დღეს „გამოსასნორებელი“.

თავი V. დემოკრატია და ადამიანის უფლებები

დასავლეთთან საერთო ღირებულებებზე საუბრისას ყველაზე ხშირად დემოკრატია და ადამიანის უფლებები მოიხსენიება. მართლაც, დასავლურ ღირებულებებში მათ ცენტრალური ადგილი უჭირავს. ჩვენში ხშირად უკვირთ, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევებს, სურვილის მიხედვით, ხან ხედავენ, ხან ვერ ამჩნევენ. ჩვენი ოპოზიციაც ხშირად ცდილობს, დასავლეთს ყურადღება მიაქცევინოს იმ დარღვევებზე, რომელთა არსებობა აშკარაა, მაგრამ რეაგირება არ ჩანს. რატომ ხდება ასე?

ჯორჯ სოროსის ფონდის სათავო ოფისის 2004 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: *„გუანტანამო იქნება თუ აბუ-გრეიბი, ყველგან თვალსაჩინოა შეუსაბამობა იმისა, რასაც აშშ ქადაგებს ადამიანის უფლებებზე და რასაც სინამდვილეში აკეთებს. ხოლო ვინაიდან ამერიკამ საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოახერხა მრავალთა თვალში, დისკრედიტირებულია ყველა ის ინიციატივაც, რომელიც აშშ-ს უკავშირდება. ეს დარტყმაა ჩვენი ძალისხმევისათვის, რომელიც მიმართულია ღია საზოგადოებათა შექმნისკენ“.*[100] მართლაცდა, რა უნდა ჩაედინა აშშ-ს, რომ თვით ჯორჯ სოროსის მოთმინების ფიალაც კი აივსო!

სულ ახლახან აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ირგვლივ ახალი სკანდალი აგორდა გუანტანამოში პატიმრების წამების გამო. დირექტორის განცხადებით, იმ მომენტში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით ეს დასაშვები (!) იყო. ადამიანის უფლებათა ანაბანა, რომელსაც აშშ მთელ მსოფლიოს სთხოვს, მათთან არ მოქმედებს. 2001 წელს გაეროს ექსპერტებმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის საგანგებო სემინარი ჩაატარეს. კითხვაზე, დასაშვებია თუ არა ადამიანის წამება, თუ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ პატიმრის აღიარებაზე

100. http://news.lugansk.info/2005/ukraine/12/81141.shtml.

ათასობით ადამიანის სიცოცხლეა დამოკიდებული, 30-დან ორმა თანამშრომელმა უპასუხა, რომ წამება დასაშვებია. უცხოელი ექსპერტები შეძრწუნდნენ ამ პასუხით, თუმცა, ახლა, 7 წლის შემდეგ, ამერიკაში წამების ფაქტობრივი დაკანონების შემდეგ (ბუშმა ვეტო დაადო კანონს წამების აკრძალვის შესახებ), გაეროდან მცირე პროტესტიც არავის გაუგონია.

როცა ჯეიმს მედისონი ამბობდა, რომ *„ყველა უფლებამოსილების ერთ ხელში კონსოლიდირება ტირანიაა"*, ალბათ ვერ წარმოიდგენდა, რომ 2006 წლის სექტემბერში კონგრესი მიიღებდა კანონს სამხედრო კომისიების შესახებ, რომლის თანახმად აშშ პრეზიდენტს ენიჭება უფლება, აშშ ნებისმიერი მოქალაქე „მტრის კომბატანტად" გამოაცხადოს. 2007 წელს კი ე. წ. „ჯონ უორნერის კანონით" აშშ პრეზიდენტმა თავდაცვის სფეროში ახალი უფლებამოსილება მიიღო – მას შეუძლია ეროვნული გვარდიის გამოყენება საგანგებო მდგომარეობის დროს. „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, *„პრეზიდენტს შეუძლია, შეიარაღებული ძალები გამოიყენოს პოლიციური ფორმირებების ფუნქციით"*. ამ ვითარებაში ჩვენი საზოგადოების იმედი, რომ აშშ ადმინისტრაცია დაგმობს 7 ნოემბერს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ეროვნული გვარდიის გამოყენებას, სულ ცოტა, მიამიტობაა.

„გარდიანის" სტატიაში „10 ნაბიჯი ფაშიზმისაკენ" ვკითხულობთ: *„ამას წინათ ბუშმა და მისმა მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ არავითარ ინფორმაციას არ გასცემენ ე. წ. „შავ ხვრელებზე" – ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ციხეებზე მთელ მსოფლიოში. №17 განკარგულების თანახმად, რომელიც ერაყში კონტრაქტით მოსამსახურეთა მოქმედებებს არეგულირებს, მათ სრული ხელშეუხებლობა აქვთ და სასამართლოს იურისდიქციას არ ექვემდებარებიან."*[101]

ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია ჩვენთვის, ვინაიდან „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოს პარლამენტმა სასწრაფოდ გაუკეთა რატიფიკაცია ხელშეკრულებას,

101. „The Guardian" – 2007 წლის 10 მაისი.

რომლის თანახმად ამერიკელ სამხედროებს თავიანთი შეიარაღებით დაუბრკოლებლად შეუძლიათ გადაადგილება საქართველოს მთელ ტერიტორაზე, ხოლო თუ ისინი დანაშაულს ჩაიდენენ, მათზე საქართველოს მართლმსაჯულების იურისდიქცია არ ვრცელდება, ამერიკული მხარე გაიყვანს მათ საქართველოს ტერიტორიიდან და გაასამართლებს აშშ კანონებით. თუ ზემოთ მოყვანილ ციტატას მივუბრუნდებით, გამოდის, რომ ისინი არც აშშ-ში დაისჯებიან. ამერიკელი სამხედროების ჩხრეკა, დაკავება ან დაპატიმრება ქართულ მხარეს ეკრძალება. უნდა შეგახსენოთ, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქართველოში რუს სამხედროებს კატეგორიულად ეკრძალებოდათ ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვის გარეშე ერთი ბაზიდან მეორეზე გადაადგილება და ამ წესის დარღვევისას რამდენჯერმე ისინი დაპატიმრეს კიდეც.

რა ჰქვია ამგვარ ხელშეკრულებას, თუ არა სუვერენიტეტის პირდაპირი დათმობა? ამ პირობებში სასაცილოც კია თეორეტიზება საქართველოში ნატოს სამხედრო ბაზების განლაგებაზე, რადგან ამ დოკუმენტით, ფაქტობრივად, მთელი საქართველო ნატოს სამხედრო ბაზაა, რომელზეც შეიარაღებული ამერიკელები (ან მათი მოკავშირეები) დაუბრკოლებლად გადაადგილდებიან და, რაც მოესურვებათ, იმას ჩაიდენენ.

იმავე სტატიაში ავტორს, ნაომი ვულფს კიდევ უფრო საყურადღებო ფაქტები მოჰყავს: *„პენტაგონის მონაცემთა საიდუმლო ბაზაში გრიფით „შემაშფოთებელი ინციდენტები" ინახება ინფორმაცია 40-ზე მეტი მშვიდობიანი, ომის წინააღმდეგ ჩატარებული კრების, მიტინგისა და მარშის შესახებ. აშშ თავდაცვის სამინისტროს არანაკლებ საიდუმლო სამმართველო* CIFA (Counter Intelligence Field Activity*) აგროვებს ინფორმაციას აშშ ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც მშვიდობიან პოლიტიკურ საქმიანობას ეწევიან. 2004 წელს ტრანსპორტის უსაფრთხოების სამმართველო გამოტყდა, რომ იმ მგზავრთა სიებს აწარმოებს, რომლებიც განსაკუთრებულ*

შემოწმებას ექვემდებარებიან. ამ სიაში მოხვდა ანტისაომარი მოძრაობის ორი აქტივისტი ქალბატონი, ლიბერალი სენატორი ედვარდ კენედი, აგრეთვე ვენესუელის მინისტრთა კაბინეტის წევრი. პრინსტონის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორმა უოლტერ ფ. მერფიმ 2007 წელს 1 მარტს ნიუ-აკრის აეროპორტში ვერ მიიღო თვითმფრინავში ჩასაჯდომი ტალონი, ვინაიდან „სახიფათო ტერორისტების სიაში" აღმოჩნდა."

ლონდონურ გაზეთ „ობზერვერის" 2003 წლის ივნისის ინფორმაციით, ევროკავშირი მუშაობს ინფორმაციის შენახვის „ზოგად კოდექსზე", ხოლო ევროპოლმა (ევროკავშირის საპოლიციო და სადაზვერვო ძალები) 2002 წელს შეიტანა ჰაგის სასამართლოში დოკუმენტი, რომლის თანახმადაც სატელეფონო კომპანიებსა და ინტერნეტის პროვაიდერებს შესთავაზეს მათი მოსარგებლეების შესახებ ვრცელი ინფორმაციის შეგროვება, მათ შორის: ინტერნეტის იმ საიტების, რომლებითაც ისინი სარგებლობენ, მობილური ტელეფონებით განხორციელებული ზარების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების შესახებ. ეს ინფორმაცია 5 წლის განმავლობაში უნდა შეინახონ. ყველა ელექტრონული წერილი, ნებისმიერი სახის ინტერნეტ-ინფორმაცია და სატელეფონო ზარების ჩანაწერები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ევროპოლისთვის. ნიკოლას ჰაგერის შეფასებით, *„თუ ადრე ბრიტანეთში ამგვარი ინფორმაციის შეგროვება მხოლოდ პოლიციის, საბაჟოს, დაზვერვის და საგადასახადო სამსახურისთვის იყო ნებადართული, ახლა ამგვარი უფლებამოსილება ორ ათეულ სამინისტროს და უწყებას მიენიჭა: კიდევ 7 სამთავრობო დეპარტამენტს (ჯანდაცვის დეპარტამენტის ჩათვლით), ადგილობრივ ხელისუფლებას, გარემოს დაცვის სააგენტოს, კვების მრეწველობის სტანდარტების სააგენტოს, ჯანდაცვისა და საწარმოო უსაფრთხოების აღმასრულებელ კომიტეტს და აგრეთვე ფოსტას. მტკიცება იმისა, რომ ეს ყოველივე დამნაშავეობის შემცირებისა და ტერროზმის თავიდან ასაცილებლად კეთდება, მეტად საეჭვოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სი-*

აში კვების მრეწველობის სტანდარტების სააგენტოც კი მოხვდა".[102] როდესაც ტრადიციული დემოკრატიის ევროპაში ასე თვალდათვალ ხდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ხელყოფა, რაღა უნდა ითქვას საქართველოზე, სადაც ყოველი მოქალაქე დარწმუნებულია, რომ მისი სატელეფონო საუბრები ისმინება?

1999 წელს ევროსაბჭოში საქართველოს შესვლამ ჩვენს მოქალაქეებს საკუთარი უფლებების დაცვის დამატებითი ინსტრუმენტი მისცა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სახით. 2003 წლისათვის სულ 50-მდე საჩივარი იყო შესული, დღეისათვის მათი რაოდენობა 150-მდე გაიზარდა. ერთი მხრივ, სულ უფრო მეტმა ადამიანმა გააცნობიერა, რომ შეუძლია ამ ინსტრუმენტით სარგებლობა, მაგრამ მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევათა არეალი გაფართოვდა. სტრასბურგის სასამართლო ხომ მხოლოდ იმ სარჩელებს განიხილავს, რომლებიც სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევას ეხება.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამ სარჩელებს დაემატა ყოფილი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 3.000 სარჩელი საქართველოს წინააღმდეგ და დღეს საქართველო შეტანილი სარჩელების რაოდენობით უპირობოდ ლიდერობს ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს შორის.

ევროსაბჭოს უზომოდ გაფართოებამ სერიოზულად იმოქმედა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეფექტურობაზე. დღეს იგი გადატვირთულია სარჩელებით, წლები სჭირდება მათ განხილვას. ასევე მოუქნელი ხდება ნელ-ნელა ევროპის სხვა სტრუქტურებიც. სულ უფრო ჭარბობს ბიუროკრატიული მითითებები. ინსტრუქციები, ცირკულარები. მარტო ქაღალდი, რომელიც სტრასბურგში წელიწადში იხარჯება, უზარმაზარ ტყეებს ანადგურებს. ყველაზე დიდი ეფექტი, რომელიც სასამართლოსა

102. Н. Хаттер, «Синдикат», М. «Столица принт», 2008. გვ. 174-176.

აქვს, არის გარკვეული თანხის კომპენსირება, მაგალითად, უკანონო პატიმრობისათვის. განსაკუთრებული ევროცინიზმია იმაში, რომ დათვლილია უკანონო პატიმრობის ერთი დღის ღირებულებაც კი.

როდესაც 2005 წელს ევროპარლამენტის მონიტორინგის ჯგუფი იყო ჩამოსული, ერთ-ერთმა მათგანმა მკითხა, როგორც ყოფილ სახალხო დამცველს: „უკიდურესად შეშფოთებული ვართ უკანონო პატიმრების და ჩამორთმეული ქონების ფაქტების სიმრავლით. ეს ყველა ადამიანი ხომ სტრასბურგში შემოიტანს სარჩელსო?" მათი შეშფოთება გასაგები იყო; ეს ხომ იმ ხელისუფლებამ გააკეთა, რომლის მოსვლასაც მათ ყველა საშუალებით დაუჭირეს მხარი! მაშინ ისეთი პასუხი გავეცი, როგორიც საერთოდ არ მჩვევია: „ნუ გგონიათ ქართველები სულელები. რამდენი წელი უნდა გელოდონ ციხეში, რომ ეს საკითხი განიხილოთ? სამი? ოთხი? მეტი? ურჩევნიათ ახლავე გადაიხადონ და მერე, თუ რაიმეს გადაწყვეტთ, შეიძლება თანხის ნაწილი მაინც დაიბრუნონ."

ასეც მოხდა. ვინც გადაიხადა, გამოვიდა, ხოლო ვისი ინტერესიც ჰქონდათ, მაინც 4 წელი აყურყუტეს და მერე ისევე პოლიტიკური მოტივით გამოუშვეს, როგორც დაიჭირეს. ვინმეს ახსენდება, რომ მოლაშვილის, მირცხულავას, ბათიაშვილის გამო ვინმეს ევროპიდან კორექტული შეგონების გარდა რაიმე ეკადრებინოს ქართული რევოლუციის ბელადებისთვის? თუმცა, ერთ-ერთი ბელადის, პრემიერ-მინისტრ ჟვანიას საქმე დღესაც არ არის გამოძიებული ამერიკელების „ძმური" დახმარების მიუხედავად, ხოლო ექსპერტიზის ბიუროს მაშინდელი ხელმძღვანელის, ლევან სამხარაულის სავარაუდო მკვლელი, რომელმაც, როგორც ამბობენ, ერთდროულად ორი იარაღით „მოახერხა" თავის მოკვლა, ევროპაში არც შეუმჩნევიათ, იმდენად მოსჭრათ თვალი ქართული „დემოკრატიის შუქურამ".

საქართველოში პატიმრების ჯერ არნახული – 22.000-იანი არმია ყვარყვარეს ციხის პირობებშია (სხვათა შორის, ნაცისტურ

გერმანიაში, რომლის მოსახლეობა საქართველოსას 10-ჯერ მაინც აღემატებოდა, 1934-38 წლებში სულ 20.000 პატიმარი იყო, აქედან 3.000 ებრაელი); პატიმრებს სამ ცვლად სძინავთ. პირობით ვადამდე გათავისუფლება, პერიოდული შეწყალებები, რომლებიც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დამკვიდრდა, ახალმა ხელისუფლებამ ხელაღებით უარყო. 2003 წლამდე პატიმართა ყველაზე დიდი რაოდენობა, რომელიც ერთდროულად იხდიდა სასჯელს, 6.700-ს არ ასცილებია, და მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ხმაურიანი დაპატიმრებები რევოლუციის შემდეგვე მოხდა, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, 2004 წლის 9.600-10.500 პატიმრიდან 2008 წლამდე მათი რაოდენობა 22.000-მდე გაიზარდა. თუმცა, საქართველოში კი არა, „წინ წასულ" საფრანგეთში ახლად გაპრეზიდენტებულმა ნიკოლა სარკოზიმ უარი თქვა 14 ივლისს, ბასტილიის აღების დღეს ტრადიციულ ამნისტიაზე, არადა, იმ მომენტისთვის საფრანგეთის ციხეებში 50.000 ადგილზე 61.000 პატიმარი იყო! როგორც ჩანს, დამნაშავეებისადმი „ნულოვანი ტოლერანტობა" ქართული დემოკრატიის გამოგონება არ არის, მას პროამერიკული ხელისუფლებები სხვადასხვა ქვეყანაში თანაბრად იყენებენ. სამაგიეროდ, სუბიექტური ნიშნით პატიმრების შეწყალება დასაშვებად მიიჩნევა ისევე, როგორც შეერთებულ შტატებში (ამ სფეროში ერთ-ერთი სკანდალი სწორედ იმას უკავშირდებოდა, რომ პრეზიდენტმა კლინტონმა გადადგომის წინ შეწყალების აქტს მოაწერა ხელი, რომელსაც ფართო საზოგადოებრივი პროტესტი მოჰყვა). ფაქტობრივად, „კანონის უზენაესობის" სახელით საქართველოში (და არა მარტო აქ) თანმიმდევრულად მკვიდრდება ე. წ. „მდიდრის სამართალი". მოსახლეობა უკვე შეეჩვია იმას, რომ საპროცესო გარიგებით ნებისმიერი დანაშაულის უფლების „ყიდვა" შეიძლება, ხოლო თუ ფული არა გაქვს, სამართალს ვერ მიაღწევ. თანხის საზღაურისა და „თანამშრომლობის" ამგვარი პრაქტიკის დამკვიდრებით კორუფციასთან ბრძოლა ფიქციის სახეს იღებს. შეგიძლია მოიპარო, შემდეგ ნაწილი დააბრუნო და ტკბილად იცხოვრო. ეს

განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დიმიტრი ქიტოშვილის 10.000-ლარიანი გარიგების მაგალითზე გამოჩნდა. სხვა შემთხვევები, როცა კორუმპირებულ მოხელეთა გადახდილი თანხების სრულიად განსხვავებული რაოდენობა სახელდებოდა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ, ჩვენს საზოგადოებაში კარგად არის ცნობილი. თავის დროზე ჩემი, როგორც სახალხო დამცველის კონფლიქტი სამხედრო პროკურატურასთან იმის გამო დაიწყო, რომ ახალციხეში ორმა მშიერმა ჯარისკაცმა ქათამი მოიპარა, რომელიც, საუბედუროდ, ნაწილის უფროსისა აღმოჩნდა. სამხედრო პროკურორმა ჯარისკაცების მშობლებს 500 დოლარის გადახდა მოსთხოვა. ძნელი იყო იმის მიხვედრა, რომ 500 დოლარის პატრონი შვილს ჯარში მშიერს არ ამყოფებდა? ან დღეს არის ძნელი მისახვედრი, რომ 150.000 დოლარის პატრონი მობილურ ტელეფონს არ მოიპარავდა (თუ, რა თქმა უნდა, კლეპტომანი ჰოლივუდელი ვარსკვლავი არ არის)?

საქართველოში უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საპატიმროები არასოდეს ყოფილა ისეთი „დახურული" სფერო, როგორც ახლა. ფაქტობრივად საზოგადოებრივი კონტროლი იქ აღარ არსებობს. არავის შეუძლია ამ პირობებში დაზუსტებით თქმა, არიან თუ არა პატიმრების ამ უპრეცედენტო რაოდენობაში ისეთივე „საიდუმლო" პატიმრები, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში? ამერიკელებისთვის ეს პრაქტიკა 11 სექტემბრისა და ერაყის მეორე კამპანიის შემდეგ ჩვეული გახდა; ბევრად უფრო ადვილია „არასასურველი" პატიმრების საქართველოს მსგავსი ქვეყნების ციხეებში გადამალვა, ვიდრე თავად შეერთებულ შტატებში.

ამ ტენდენციების გათვალისწინებით უკანასკნელ ხანს უცხოელი ექსპერტები სულ უფრო ხშირად მიუთითებენ „დემოკრატიის ტოტალიტარიზაციაზე", როცა დასავლური ცივილიზაცია ნაბიჯ-ნაბიჯ თმობს იმ ფუნდამენტურ ღირებულებებს, რომლის გარეშეც მისი მოაზრება წარმოუდგენელია. იქნებ ეს ტერორიზმთან ბრძოლის გამო ხდება? მაშინ რით უნდა აიხსნებოდეს ადამიანის

უფლებათა დარღვევები ტერორიზმისგან ისეთ დაცილებულ სფეროში, როგორიცაა განათლება და მეცნიერება, და რომელიც პირდაპირ უკავშირდება განსხვავებულად მოაზროვნეთა დევნას? მით უფრო, რომ ამგვარი ვითარება საერთაშორისო ტერორიზმის გაჩენამდე ჩამოყალიბდა?

როცა ჩვენი საუნივერსიტეტო პროფესურა უბოდიშოდ მიაბრძანეს უმაღლესი სასწავლებლებიდან, ვერავინ ახსნა ამგვარი მოქმედების შინაარსი, მით უმეტეს, რომ მათ ადგილებზე სრულიად არაკომპეტენტური ხალხი მოიყვანეს ერთადერთი ნიშნით – რევოლუციის წინაშე დამსახურების გამო. არავის უფიქრია, რომ სინამდვილეში ამ ერთგულების უკან შეხედულებათა მთელი კომპლექსი დგას. ამ კომპლექსს ზემოთ უკვე შევეხეთ, აქ კი უპრიანი იქნება, ამერიკული უმაღლესი განათლების სისტემიდან დათხოვნილი პროფესორების შესახებ ინფორმაცია მოვიხმოთ.

1960-70-იანი წლების პოლიტიკური ანგარიშსწორების ასეულობით ფაქტის ჩამოთვლით თავი რომ არ შეგაწყინოთ, დავიწყოთ 1987 წლიდან, როცა საბჭოთა კავშირში უკვე დემოკრატიზაცია დაიწყო. რა ხდება ამ დროს აშშ-ში? ახალი ინგლისის იურიდიული სკოლიდან ოთხი პროფესორი დაითხოვეს, თუმცა მათ კოლეგების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. ოთხივე მათგანი ჩართული იყო „კრიტიკულ იურიდიულ კვლევებში", რომელმაც გამოავლინა, რომ კანონი კორპორაციების და დიდი ბიზნესის ხელში ინსტრუმენტს წარმოადგენს. ეკონომისტ რობ რაიტს 1994 წლის მაისში კონტრაქტი შეუწყვიტეს ნაპას საზოგადოებრივ კოლეჯში, მიუხედავად სტუდენტების მიერ საკუთარი ინიციატივით დაწერილი ოცი მიმართვისა, რათა იგი დაეტოვებინათ. მხოლოდ ერთ წიგნში – ფ. მერანტოსა და მ. ლიპმანის „სპილოს ძვლის კოშკის დასაცავად", 50-ზე მეტი შემთხვევაა განხილული იმისა, თუ როგორ იდევნებოდა პროფესურა პოლიტიკური შეხედულებების გამო.

1994 წელს კვინზის უნივერსიტეტის პედაგოგი, ცნობილი პოლიტიკური ანალიტიკოსი ჯონ გერასი თავის კოლეგებს სწერდა: *„მე არასოდეს მრევდნენ ჩვენი განყოფილებისთვის*

რაიმე მნიშვნელოვან საქმეში... ახლა, როცა კოლეგები მეუბნებიან, რომ მოვწონვარ, მიზეზი პოლიტიკური უნდა იყოს. ცოტა ხნის წინ, როცა მე მათ ვუთხარი, რომ მთელ მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერი, ჩემი მეგობარი მ. პარენტი დიდი შენაძენი იქნებოდა ჩვენთვის (ზუსტად მაშინ, როცა განყოფილება ვაკანსიის შევსებას ცდილობდა), მაშინვე მიმითითეს, რომ მისი კანდიდატურა არ განიხილებოდა არავითარ შემთხვევაში და, ფაქტობრივად, მიბრძანეს, არ ჩავჩრილიყავი განყოფილების საქმეებში.“[103]

ერთადერთი რადიკალი, რომელმაც ვერმონტის შტატის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე თანამდებობა მიიღო, იყო უილ მილერი, პოპულარული პედაგოგი, გამოქვეყნებული წიგნების ავტორი და პოლიტიკური აქტივისტი. იგი 25 წლის მანძილზე არ დაუწინაურებიათ და პროფესორის ასისტენტად რჩებოდა, რომლის ხელფასი დამწყები პედაგოგის ხელფასზე დაბალი იყო.

გრანტების გაცემისას ასეთივე დისკრიმინაციას განიცდიან კრიტიკული შეხედულებების მქონე მეცნიერები. ს. რაიტ მილზმა „მმართველი ელიტის“ გამოქვეყნების შემდეგ ფონდის სუბსიდია დაკარგა. ეს ის მილზია, რომელმაც თავის ნაშრომში პოლიტიკოსებთან და კორპორაციათა ხელმძღვანელებთან ერთად სამხედროებიც მმართველ ელიტას მიაკუთვნა და მათი ურთიერთშეზრდის პროცესი წარმოაჩინა. დასავლეთი მუდმივად უთითებდა იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირში პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების დროს მაღალჩინოსან სამხედროთა პოზიციას, მაგრამ, როგორც ჩანს, თავად ამერიკაში ამის აფიშირება სულაც არ ყოფილა სასურველი.[104]

დასავლური დემოკრატია წარმოუდგენელია სამართლიანი არჩევნების გარეშე. ეს ის თეზაა, რომელსაც გამუდმებით ამკვიდრებენ ჩვენშიც და ე. წ. „გარდამავალი დემოკრატიის“ ყვე-

103. М. Паренти, «Власть над миром», М. «Поколение», 2006. გვ. 258.
104. М. Паренти, «Власть над миром», М. «Поколение», 2006. გვ. 235-262.

ლა ქვეყანაში. ივარაუდება, რომ დასავლეთში ეს უკვე დამკვიდრებული პრაქტიკაა. მართლაც ასეა, თუ კვლავ სასურველის არსებულად წარმოჩენასთან გვაქვს საქმე?

უინსტონ ჩერჩილმა, როდესაც ფულტონში ცნობილი სიტყვა წარმოთქვა, ბევრ სხვა ბანალობასთან ერთად ესეც ბრძანა:

„ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეებს უფლება აქვთ, აირჩიონ საკუთარი ქვეყნის მთავრობა და შეცვალონ მმართველობის ხასიათი ან ფორმა თავისუფალი არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრით და ეს უფლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ქვეყნის კონსტიტუციური ნორმებით; მეორე – ნებისმიერ ქვეყანაში უნდა ბატონობდეს სიტყვისა და აზრის თავისუფლება და მესამე – სასამართლოები დამოუკიდებელნი უნდა იყონ აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან და რომელიმე პარტიის გავლენისაგან, ხოლო მათ მიერ მართმსაჯულების აღსრულება უნდა ეფუძნებოდეს კანონებს, რომელთაც ცნობენ ამ ქვეყნის მოსახლეობის ფართო წრეები ან რომლებიც ამ ქვეყნის ტრადიციებითა და დროით არის დამკვიდრებული“.[105]

ეს ე. წ. „დასავლური ღირებულებების“ საექსპორტო ვარიანტია, მაგრამ რა ვუყოთ ასევე ანგარიშგასაწევი პოლიტოლოგის, ჰაროლდ ლასკის გამონათქვამს: *„კაპიტალისტური დემოკრატია არასოდეს არ მისცემს თავის ამომრჩეველთა კორპუსს საშუალებას, გადავარდეს სოციალიზმში საარჩევნო ურნების შემთხვევითი განაჩენით.“* თავად ეს გამონათქვამი დასავლური დემოკრატიის ერთგვარ ვირტუალურობაზე მიუთითებს; თქვენს არჩევანს გაიზიარებენ მხოლოდ მაშინ, თუ იგი მათ სურვილებს დაემთხვევა.

თუ რას და როგორ არ დაუშვებს დასავლეთი, მშვენივრად გამოჩნდა ავსტრიის 1999 წლის წლის არჩევნების შემდეგ, როცა ევროკავშირის 14 წევრი ქვეყნის 4-თვიანი ბოიკოტის შემდეგ ელექტორატის ერთი მესამედის ხმებით საპარლამენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გასული და კოალიციის წევრი იორგ

105. У. Черчилль, «Мускулы мира». М. «Эксмо», 2002, გვ. 471.

ჰაიდერი აიძულეს გადამდგარიყო პარტიის ლიდერისა და მინისტრის პოსტიდან იმ მოტივით, რომ იგი **ნაციონალისტია**. მისი **„ნაცისტობა“** იმაში გამოიხატებოდა, რომ მან „მესამე რაიხის“ დასაქმების პოლიტიკა მოიწონა. მას ასევე აკრიტიკებდნენ იმიგრაციის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამო. სულ ცოტა ხანში მორიგ სამიტზე ევროკავშირის ქვეყნებმა საგრძნობლად გაამკაცრეს საიმიგრაციო პოლიტიკა, რითაც ფაქტობრივად გაიზიარეს ჰაიდერის პოზიცია. უკვე ყველა მიხვდა, რომ უკონტროლო იმიგრაცია სერიოზული საფრთხეა ევროპისათვის. ნაციონალისტებზე ამგვარი ზეწოლის შედეგად სულ ოთხიოდე წელიწადში, 2004 წელს, ევროპის სხვა ქვეყნებშიც საგრძნობლად გაძლიერდნენ ნაციონალისტური მიმართულებების პარტიები და მათ მოილაპარაკეს, რომ ერთად გავლენ ევროპარლამენტის არჩევნებზე 2009 წელს, ხოლო მათი საპარლამენტო ჯგუფის ლიდერი სწორედ იორგ ჰაიდერი იქნება. ეს პარტიებია: ავსტრიის თავისუფლების პარტია, იტალიის ჩრდილოეთის ლიგა, საფრანგეთის ნაციონალური ფრონტი, ნიდერლანდების ახალი მემარჯვენე პარტია, ბელგიის პარტია „ვლაამს ბელანგი“. ასე რომ, გლობალიზაციის პროცესის კვალდაკვალ ევროპის ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებშიც თვალსაჩინოა ნაციონალისტური განწყობილებების ზრდა. აშშ პოლიტიკამ გერმანიის ძარცვისა და ჰიტლერის დაფინანსების შემდეგ კიდევ ერთხელ გამოიღო ამგვარი შედეგი (თუ როგორ აფინანსებდა დღეს საძულველ ნომერ პირველ ნაცისტს თავის დროზე აშშ, იხილეთ თავში „ნეიტრალიტეტი და ინტეგრაცია“).

ევროპაში ეს ორი ტერმინი – **ნაციონალიზმი** და **ნაციზმი** სულ უფრო უახლოვდება ერთმანეთს, მათ შორის ერთგვარი ტოლობის ნიშანიც კი ჩნდება, მაშინ როცა შინაარსობრივად ისინი სრულიად განსხვავებულ მიდგომებს ასახავს. ეს არც არის გასაკვირი: გლობალისტებისთვის მიუღებელი ნაციონალიზმი მით უფრო ადრე „ამოიძირკვება“, თუკი იგი ნაციზმსა და ფაშიზმთან იქნება გაიგივებული. სხვათა

შორის, ვიდრე წიგნი დაისტამბებოდა, ევროპიდან უკვე მოვიდა ინფორმაცია ავტოკატასტროფაში იორგ ჰაიდერის დაღუპვის შესახებ. ევროპარლამენტი „გადაურჩა“ ნაციონალისტის მიერ ფრაქციის სათავეში ჩადგომას, რითაც გლობალისტები ნამდვილად კმაყოფილნი უნდა იყონ.

ტარდება თუ არა არჩევნები სამართლიანად თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში? ფედერალურ საარჩევნო კომისიებში სამი წევრი რესპუბლიკელია, სამი კი – დემოკრატი. ჩვენში ჰგონიათ, რომ აშშ-ში მხოლოდ ეს ორი პარტია არსებობს, სინამდვილეში არის სხვა, შედარებით მცირე პარტიებიც, მაგრამ იმ ვითარებაში, როცა მათ საჩივრებზე ამ ორი დიდი პარტიის წარმომადგენლები მსჯელობენ, მათ ფაქტობრივად, შანსი არა აქვთ, ვითარება შეცვალონ. ჩვენში გაკრიტიკებული სისტემა „მოგებული იღებს ყველაფერს“ იქ მოქმედებს. მაგალითად, 1996 წელს მასაჩუსეტსის შტატში რესპუბლიკური პარტიის კანდიდატებმა ამომრჩევლის მხოლოდ ერთი მესამედის მხარდაჭერა მოიპოვეს, მაგრამ კონგრესის ამ შტატის 12-ივე მანდატი მათ მიეკუთვნათ. ასევე მოხდა კანზასის, ნებრასკისა და ოკლაჰომას შტატებში, სადაც დემოკრატებმა ხმების 37% მიიღეს, მაგრამ ყველა მანდატი მათ წაიღეს. გამოდის, რომ ხმათა თითქმის ორი მესამედის მიმცემთ კონგრესში საკუთარი წარმომადგენელი არ ჰყავთ. ასეთივე სისტემაა დიდ ბრიტანეთსა და კანადაშიც. ექსპერტები დიდწილად სწორედ ამ მიზეზით ხსნიან ამომრჩეველთა ინდიფერენტულობას, რადგან მათ არ უნდათ არჩევნებზე მისვლა, როცა მათ ხმას ფასი არა აქვს.

აშშ-ში ხშირია მანიპულირება საარჩევნო ოლქებისა და უბნების საზღვრების შეცვლის გზით (ამგვარი პრაქტიკა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს საქართველოშიც იყო). კერძოდ, ფილადელფიის ერთ-ერთ მიკრორაიონში მცხოვრები ლათინურ-ამერიკული წარმოშობის 63.000 ამომრჩეველი რამდენიმე ოლქს შორის გადაანაწილეს. ნიუ-იორკის კუინსის 50.000 შავკანიანი მცხოვრები ასევე თეთრკანიანთა სამ უბანს მიაწერეს, რომლებშიც ისინი უკვე უმცირესობას წარმოადგენდნენ. სარ-

ჩევნო უბნებისა და ოლქების საზღვრები პოლიტიკური მოსაზრებებით იცვლება. ამის კარგი მაგალითია ჩრდილოეთ კაროლინა, სადაც 1992 წელს შავკანიანი მელ უატი აირჩიეს. ფედერალური სასამართლოები 6 წლის განმავლობაში ცვლიდნენ ოლქის საზღვრებს თითქოსდა „ელექტორალური მაქინაციების" გამო და 1998 წელს მელ უატს კენჭისყრა უკვე მოუწია ოლქში, რომლის მოსახლეობის 70% თეთრკანიანი აღმოჩნდა და მათგან მხოლოდ 5% უჭერდა მხარს დემოკრატებს. მოსახლეობის აღწერის ბიუროს 1994 წლის აღწერის მონაცემებით რეგისტრირებული არ იყო 8,4 მილიონი ამომრჩეველი, ორჯერ ან არასწორად იყო სიაში შეყვანილი 4,4 მილიონი ადამიანი[106] (ყოველივე ამის შემდეგ საქართველოში 2003 წელს საარჩევნო სიების მომზადება სწორედ ამერიკულმა ორგანიზაციამ ითავა! იგი USAID-მა დააფინანსა, ხოლო შემსრულებლებად „რუსთავი-2"-ის მეპატრონის, ეროსი კიწმარიშვილის კომპანია „ჯორჯია-ონლაინი" აიყვანეს, რომელიც არანაირად არ იყო დაინტერესებული სამართლიანი არჩევნების ჩატარებით).

ამერიკის 10 შტატში მძიმე დანაშაულის ჩამდენს სამუდამოდ ერთმევა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ანუ, ციხეში პატიმრობის გარდა, იგი სხვა სასჯელსაც იხდის მთელი ცხოვრების განმავლობაში.

2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომლის საბოლოო შედეგი დიდწილად იყო ფლორიდის შტატის შედეგებზე დამოკიდებული, დაშვებული დარღვევების სია საკმაოდ გრძელია. მათ შორის არის სემინოლის ოლქის 10.000 და დიუვალის ოლქის 22.000 ამომრჩეველი, რომლებიც არ აღმოჩნდნენ ამომრჩეველთა სიაში და ხმა ვერ მისცეს. 7 ურნა ბიულეტენებით ისეთ ადგილებში აღმოჩნდა, რომ ამის ახსნა ვერავინ შეძლო. ისინი, ცხადია, არავის დაუთვლია. ბიულეტენებით სავსე ორი ტომარა ერთ-ერთი საარჩევნო უბნის მუშაკის მანქანის საბარგულში აღმოჩნდა.

106. М. Паренти «Демократия для избранных» М. «Поколение», 2006, გვ. 254-256.

ერთ-ერთი უბნიდან ურნები საერთოდ არ გამოუტანიათ და არ დაუთვლიათ. ფლორიდის პოლიციამ ქალაქ ტალაჰასის საარჩევნო უბნებთან ავტომანქანების კონტროლის პუნქტი მოაწყო, სადაც ამომრჩევლებს აჩერებდნენ და მანქანებს ჩხრეკდნენ, რაც ორი საათით მაინც აფერხებდა მათ. ბევრ აფროამერიკელს არ მისცეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება იმ საბაბით, რომ ამომრჩეველთა სიაში მათი გვარის გასწვრივ აღმოჩნდა მითითება „ნასამართლევია მძიმე დანაშაულისათვის", რაც სიმართლეს არ შეეფერებოდა. დეილის ოლქში ჯორჯ ბუშის საარჩევნო შტაბის წევრები მივიდნენ ხმების გადათვლისას, სცემეს კომისიის წევრს, დააშინეს სხვები და აიძულეს, უარი ეთქვათ ხმების ხელახალ დათვლაზე. ძალაში დარჩა ბუშის სასარგებლო შედეგი. ელ გორის მომხრეთა სიმრავლით გამორჩეული უბნები დროზე ადრე დახურეს და უამრავ ამომრჩეველს არ მიეცა არჩევნებში მონაწილეობის საშუალება.[107]

გაოცებას იწვევს ბუშის მეტოქის, პრეზიდენტობის კანდიდატის ელ გორის საქციელი, რომელსაც ვარდებით ხელში საკანონმდებლო ორგანოში შევარდნა არც კი სჭირდებოდა, – იგი თავად ატარებდა სენატის იმ სხდომას, რომელიც ამ არჩევნების საბოლოო შედეგებს ეძღვნებოდა! ეს სამარცხვინო სხდომა ჯულიეტო კიეზამ ასე აღწერა: *„მაიკლ მური თავის დოკუმენტურ ფილმში „ფარენჰაიტი 9/11" პირველი ათი წუთის განმავლობაში გვიჩვენებს და, – ეს ჩვენ თვალწინ ხდება! – ამერიკული დემოკრატიის დასასრულს. 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების აშკარა და დაუფარავი გაყალბების შემდგომ კონგრესის წევრთა ჯგუფი, თითქმის ყველა შავკანიანი, მათ შორის ბევრი ქალი, რიგრიგობით ითხოვს ტრიბუნიდან ახალი პრეზიდენტის ნომინაციის პროცედურის შეჩერებას, მოაქვთ დოკუმენტები, მონაცემები, არგუმენტები იმის დასამტკიცებლად, რომ არჩევნები გაყალბდა. ამერიკული კანონმდებლობით აუცილებელია, რომ ერთმა სენატორმა,*

107. М. Паренти «Демократия для избранных» М. «Поколение», 2006, გვ. 254-256.

თუნდაც ერთადერთმა, მხარი დაუჭიროს ამ მოთხოვნას, მაშინ დაიწყება გამოძიება და პრეზიდენტის ხელისუფლებაში მოსვლა გადაიდება. ეს კადრები დრამატიზმით არის აღსავსე. თითქმის არავის უნახავს ეს კადრები, სანამ მურის ფილმში არ იყო ნაჩვენები. ყოველი კონგრესმენი გამოსვლის დასრულების შემდეგ ტრიალდება სხდომის თავმჯდომარისაკენ და მის მიერ კითხვის დასმას ასწრებს პასუხს თითქმის ყვირილით: „არა! მე არა მაქვს სენატორის ხელმოწერა!" არც ერთმა სენატორმა, არც დემოკრატმა და, მით უფრო არც რესპუბლიკელმა, არ დაუჭირა მათ მხარი. დემოკრატიული პროცედურა უზადოდ არის დაცული, მაგრამ სენატორებით სავსე მთელი პარტერი სრული გულგრილობით ადევნებს ამას თვალს, თუმცა ყველამ იცის, რომ, ვინც თეთრ სახლში შესასვლელად ემზადება, უზურპატორია. ყველამ იცის, რომ, რაც ხდება, ტრაგედიაა ამერიკული დემოკრატიისათვის, მაგრამ ყველა დუმს. ტედ კენედიმაც კი არ გაანძრია თითი. ზის უშფოთველი და უძრავი. და იცით, ვინ არის ამ სხდომის თავმჯდომარე? ელ გორი, რომელიც რამდენიმე კვირა უძალიანდებოდა, ცდილობდა გამარჯვების დაბრუნებას, მაგრამ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ გააჩერა, რომლის თანახმადაც ხმების გადათვლა შეწყდა. არადა, ამ ხმებით სწორედ მან გაიმარჯვა."[108]

სამართლიანობისთვის აქვე უნდა ითქვას, რომ აშშ-ში ჯორჯ ბუში სულაც არ არის საარჩევნო მაქინაციებით გამარჯვებული ერთადერთი პრეზიდენტი.

არის ასეთი ანეკდოტი: ბავშვი, რომელიც შემთხვევით მშობლების სექსს შეესწრო, გულში ფიქრობს: „ეს ხალხი მიშლიდა მე ცხვირში თითის შეყოფასო?" იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ტარდება არჩევნები თავად ამერიკაში, საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში, სამართლიანი არჩევნების შესახებ ამერიკული რიტორიკისას სწორედ ამ ანეკდოტში აღწერილ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

108. Дж. Кьеза, «Война империй», М. «Эксмо», 2006, გვ. 65-66.

უილიამ ბლუმს წიგნში „ექსტრემისტული სახელმწიფო“ მოჰყავს 23 ქვეყნის სია, რომლებშიც აშშ-მ დაამახინჯა არჩევნების შედეგები და ჩაერია დემოკრატიულ პროცესებში, რათა სასურველი შედეგები მიეღო: იტალია (1948-1970), ლიბანი (1950-იანი წლები), ინდონეზია (1950-იანი წლები), ვიეტნამი (1955), გვიანა (1953-1964), იაპონია (1958-1970), ნეპალი (1959), ლაოსი (1960), ბრაზილია (1962), დომინიკის რესპუბლიკა (1962), გვატემალა (1963), ბოლივია (1966), ჩილე (1964-1970), პორტუგალია (1974-1975), ავსტრალია (1974-1975), იამაიკა (1976), პანამა (1984-1989), ნიკარაგუა (1984,1990), ჰაიტი (1987-1988), ბულგარეთი (1991-1992), რუსეთი (1996), მონღოლეთი (1996), ბოსნია (1998). ამ სიაში კიდევ ბევრი ქვეყანა არ ფიგურირებს (სერბია, საქართველო, უკრაინა, ყირგიზეთი და სხვ.) იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ წიგნი უფრო ადრე გამოიცა, თორემ ამერიკელებს სხვა ქვეყნების შიდა პოლიტიკაში ჩარევა კი არ შეუწყვეტიათ, პირიქით, ჩვევაში გადაუვიდათ.[109]

დასავლეთში უკვე კარგა ხანია, შეიქმნა იმგვარი სიტუაცია, რომ ჟან ბოდრიარი, თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფილოსოფოსი, „მელანქოლიური ნიცშე“, როგორც მას უწოდებენ, თავისუფლებას, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს პაროდიად მიიჩნევს.

ადამიანის უფლებების დაცვა არც ერთი ხელისუფლების პირობებში არ არის ადვილი საქმე და ნოემბრის მოვლენებმა ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა, როცა სახალხო დამცველს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ეს არ იყო კონკრეტული პიროვნების მიმართ განხორციელებული აქცია; ხალხს დაანახვეს, რომ ისიც კი, ვინც კონსტიტუციით მათ უფლებებს უნდა იცავდეს, თავად არის დაუცველი. თუმცა, ჩემის აზრით, ეს მაინც და მაინც მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც სხვა სახის დარღვევები; როცა გესმის სიტყვა „რევოლუცია“, უნდა მიხვდე,

109. М. Паренти «Демократия для избранных» М. «Поколение», 2006, გვ. 117.

რომ ამ დროს სამართალი ხანგრძლივ „შვებულებაშია". თუ ამას ვერ ხვდები, ამ სიტყვის შინაარსი არ გცოდნია და ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ეს რევოლუცია ოქტომბრისა იქნება, თუ ნოემბრის.

დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ სამწუხარო რეალობა ასეთია: ერთიცა და მეორეც დასავლეთის მიერ საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევი ინსტრუმენტია მხოლოდ. სხვა შემთხვევაში მათ არც დემოკრატია ადარდებთ და არც ადამიანის უფლებები. ასე იყო საბჭოთა კავშირის დროსაც, ასეა მისი დანგრევის შემდეგაც. ამიტომაა, რომ ჩვენი პოლიტიკური ოპოზიციის სურვილი, აუხსნან საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების ამბავი ჯორჯ ბუშს, რომელიც სწორედ გაყალბების გზით გახდა ამერიკის პრეზიდენტი, მიამიტიც კი აღარ არის; იგი იუმორის სფეროში გადადის.

თავი VI. სტრატეგიული პარტნიორი

მგ ზავრო, უფრთხილდი
წყალობას დიადს,
რადგან მას მაინც
საკენკი ჰქვია!
მორის ფოცხიშვილი

ამერიკის **„მამა-დამფუძნებლები“** ლამის არის თანამედროვე დემოკრატიის უცდომელ მოციქულებად აქციონ. მათი იდეების ალტერნატივა ამერიკელისთვის ან არ არსებობს, ან საფუძველშივე მცდარია. არადა, ეს ის ხალხია, რომელმაც პრაქტიკულად ერთ დღეს ერთი ხელი **„ადამიანის უფლებათა ბილს“** აუწია, მეორე კი – „მონათვაჭრობის კანონს“. ბილი დღესაც დემოკრატიის უდიდეს მონაპოვრად ითვლება, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მონებს ისინი ადამიანებად უბრალოდ არ მიიჩნევდნენ. ალბათ, ამერიკელი დემოკრატები (პარტიას არ ვგულისხმობ) არც ახლა თვლიან, რომ სადამ ჰუსეინის დასასჯელად ასეულობით ათასი უდანაშაულო ადამიანის განადგურება ვერაფერი დემოკრატიაა.

მამა-დამფუძნებლები – კონტინენტური კონგრესის დელეგატები, დამოუკიდებლობის დეკლარაციისა და აშშ კონსტიტუციის ხელმომწერები: ჯორჯ ვაშინგტონი, თომას ჯეფერსონი, ჯონ ადამსი, ჯეიმს მედისონი, ალეგზანდერ ჰამილტონი, ბენჯამინ ფრანკლინი, თომას პეინი, ჯონ ჯეი და სხვ.

„ადამიანის უფლებათა ბილი“ – 1787 წლის აშშ კონსტიტუციის პირველი ათი შესწორება, რომელიც 1789 წელს მიიღეს, ძალაშია 1791 წლიდან. იგი მოიცავს სიტყვის, შეკრების, აღმსარებლობის, პიროვნების ხელშეუხებლობის უფლებებს, აგრეთვე ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის პრინციპს. ბილი „მამა-დამფუძნებლებმა“ ანტიფედერალისტების ზეწო-

ლით მიიღეს, თორემ თავად აშშ კონსტიტუციამ არა მარტო დაუშვა მონათმფლობელობა, არამედ სამხრეთ შტატებს მიანიჭა კონგრესში გაფართოებული პოლიტიკური წარმომადგენლობის უფლება ზანგი მონების რაოდენობის 3/5-ის გათვალისწინებით. ანუ, მათ არანაირი უფლებები არ ჰქონდათ, არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩათვლით, ხოლო მონათმფლობელები მათი არსებობის ხარჯზე მეტ ადგილს იღებდნენ კონგრესში, ვიდრე სხვა შტატების წარმომადგენლები. ამერიკული რაციონალიზმით მონების წარმომადგენლობის ფორმულა ასე გამოიყურება: თავისუფალი ადამიანის ერთი თავისუფალი ხმა უდრის ყოველი ხუთი მონიდან სამის ხმას იმის გათვალისწინებით, რომ მონებს არავინ ეკითხება, ვის სასარგებლოდ იქნება მათი ხმები გამოყენებული. 1808 წლამდე კონგრესს ეკრძალებოდა მონებით ვაჭრობის შეზღუდვა. არადა, ამერიკის რევოლუციამდე ჯეიმს მედისონი მგზნებარედ აცხადებდა, რომ ეს არის „ამაზრზენი ვაჭრობა ადამიანის სხეულებითა და სულებით"!

აშშ პირველმა პრეზიდენტმა ჯორჯ ვაშინგტონმა 1779 წელს დამპყრობელი კამპანია წამოიწყო ირიკეზთა ცივილიზაციის წინააღმდეგ. თავის წერილში მარი ჟოზეფ ლაფაიეტისადმი იგი წერდა, რომ მისი ამოცანაა, *„გაანადგუროს ეს ხალხი ამერიკული ქვეყნის ტერიტორიაზე და გადასწიოს ამერიკის საზღვარი მისისიპის დასავლეთით"*. ირიკეზების ტომთა ბელადებს გამოუცხადეს, რომ მათ განმათავისუფლებლებს კომპენსაცია უნდა გადაუხადონ „წინააღმდეგობის ვერაგულად გაწევის" გამო. ნიუ-იორკის მაშინდელმა გუბერნატორმა ჯ. კლინტონმა დამარცხებულ ტომებს აცნობა: *„ჩვენი დანაკარგების, აგრეთვე თქვენი ვალებისა და ჩვენი ადრინდელი მეგობრული ურთიერთობების გათვალისწინებით, თქვენი მხრიდან გონივრული იქნება, თუ მიწებს დაგვითმობთ, რაც ჩვენს დანახარჯებსა და თქვენს ვალებს დაფარავს."* [110] ასე რომ,

110. Н. Хомский, «Гегемония или борьба за выживание», М. «Столица принт», 2007, გვ. 162.

როცა ამერიკელები გონივრულობისაკენ მოგიწოდებენ, ჰკითხეთ, სად არიან ახლა ამერიკული მიწების პატრონი ირიოკეზები.

სხვათა შორის, ჯ. ვაშინგტონს მხოლოდ ამერიკული პატრიოტიზმი როდი ამოძრავებდა; 19 წლის ასაკიდან, როცა მემკვიდრეობით მაუნტ-ვერნონის მამული მიიღო, ოჰაიოს კომპანიის მეწილე გახდა, რომელიც ინდიელებისთვის წართმეული მიწებით სპეკულირებით იყო დაკავებული. ამას ამერიკელები არ იხსენებენ, სამაგიეროდ, უყვართ იმის გახსენება, როგორ გაათავისუფლა ვაშინგტონმა მონები თავისი ანდერძით (ცხადია, მისი სიკვდილის შემდგომ).

საერთოდ, ამერიკული პოლიტიკისათვის ალბათ ყველაზე მეტად არის დამახასიათებელი მითების შექმნა (ზოგადად, პოლიტიკა ყველგან მითებით საზრდოობს, მაგრამ აქ გამოყენების მასშტაბსა და სასურველი სურათის წარმოჩენაზეა საუბარი). თანამედროვე, სულ ამასწინანდელი მითების ჩამოყალიბების რამდენიმე მაგალითი:

მთელი მსოფლიოსათვის საყოველთაოდ გავრცელებულ ინფორმაციების თანახმად, 1998 წელს კოსოვოში *„სერბეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩაატარეს ეთნიკური წმენდის სერია, რის გამოც კოსოვოს ალბანელთა ნახევარი დევნილობაში აღმოჩნდა... ხანგრძლივმა სისხლისღვრამ აშშ ხელისუფლება და მისი მოკავშირეები აიძულა, დაეწყოთ მასირებული დაბომბვა... რის შედეგადაც ალბანელმა ლტოლვილებმა შინ დაბრუნება შეძლეს.“* [111] ერთი სიტყვით, ნატოს მიერ სერბეთის დაბომბვა 24 მარტს წარმოჩენილი იყო, როგორც „მოწყალების აქტი“.

რა მოხდა სინამდვილეში?

ამერიკელი ექსპერტების მონაცემებით, ერთი წლით ადრე დაბომბვებამდე ორივე მხრიდან დაიღუპა დაახლოებით 2000 ადამიანი. **სერბებმა 500 ალბანელი მოკლეს, ხოლო ალბანელებმა**

111. Н. Хомский, «Гегемония или борьба за выживание», М. «Столица принт», 2007, გვ. 87.

– **1500 სერბი.** 27 მარტს, დაბომბვის დაწყებიდან მესამე დღეს, ნატოს გაერთიანებული დაჯგუფების სარდალმა უესლი კლარკმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ სერბეთის ხელისუფლების სამარცხვინო რეაქცია მოსალოდნელი იყო და დასავლეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის წუხილის საფუძველს არ წარმოადგენდა. მოგონებების წიგნში კლარკი წერს, რომ ჯერ კიდევ 6 მარტს აცნობა სახელმწიფო მდივანს მადლენ ოლბრაიტს, რომ, თუ ნატო გააგრძელებდა დარტყმებს სერბეთზე, *„სერბეთის ხელისუფლება დიდი ალბათობით სამოქალაქო მოსახლეობის ტერორს მიმართავდა,"* ხოლო ნატო მშვიდობიან მოსახლეობას ვერ დაიცავდა. ამ წიგნის რეცენზიაში მაიკლ იგნატიეფი აღნიშნავდა, რომ ნატოს შენაერთების მიერ დაბომბვის მთავარი მიზეზი მილოშევიჩის მიერ კოსოვოში დაშვებული ადამიანის უფლებების დარღვევა კი არა, არამედ *„ნატოს სწრაფვა, თავს მოეხვია ქვეყნის ხელმძღვანელისათვის საკუთარი ნება, რომლის ღია დაუმორჩილებლობა ბოსნიასა და კოსოვოში ამერიკული და ევროპული დიპლომატიის ავტორიტეტს ამცირებდა და თვით ნატოს გავლენას ასუსტებდა"*.

ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორ ენდრიუ ბაჩევიჩის აზრით, ეს დაბომბვები *„უნდა ქცეულიყო გაკვეთილად ყველა ევროპული სახელმწიფოსათვის, რომელთაც ილუზიები აქვთ, რომ მათზე არ ვრცელდება ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემის ნორმები და წესები,"* რომლებიც ვაშინგტონმა დაამკვიდრა. უმნიშვნელოვანესი იყო აშშ ჰეგემონიის დამყარება გაერთიანებულ, ინტეგრირებულ და თავისუფალ ევროპაში.[112]

ამ მცირე მიმოხილვის შემდეგ ნათელი ხდება, თუ რატომ იყო მილოშევიჩი ასე დარწუნებული საკუთარ თავში საერთაშორისო ტრიბუნალზე. ციხეში მისი გარდაცვალება მეტად „დროული" აღმოჩნდა. სასამართლოს აღარ დასჭირდა იმ მტკიცებულებათა

112. Н. Хомский, «Гегемония или борьба за выживание», М. «Столица принт», 2007, გვ. 91.

განხილვა, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილ ვერსიას არანაირად არ ადასტურებდა.

9 წლის წინ დაწყებული საქმე შეერთებულმა შტატებმა 2008 წლის თებერვალში დააგვირგვინა სერბეთის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და საერთაშორისო სამართლის არნახული დარღვევით, – ყოველმხრივ შეუწყო ხელი „გაალბანელებული" კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივ აღიარებას. ეს, ერთი შეხედვით ლოგიკას მოკლებული მხარდაჭერა რამდენიმე კურდღლის დაჭერას ისახავს მიზნად: ახალი მსოფლიო წესრიგისათვის პრეცედენტის შექმნას, ეროვნული სახელმწიფოების სუვერენიტეტის ბოლომდე „გამორეცხვას", ევროპისთვის „ადგილის მიჩენას", მსოფლიოს იმაში დარწმუნებას, რომ მუსლიმების მიმართ მოწყალენი არიან, როცა ისინი მსხვერპლს წარმოადგენენ, რუსეთისა და ისლამური სამყაროს დაპირისპირებას, მეორე მსოფლიო ომის შედეგების სრულ გადახედვას და ა. შ.

გაეროს უშიშროების საბჭოს 2008 წლის 17 თებერვლის სამარცხვინო სხდომის შემდეგ სერბეთში სახალხო მღელვარების ტალღამ აშკარად ანტიამერიკული ხასიათი მიიღო. საოცარია, მაგრამ ამგვარი განწყობილებები ყველაზე მკვეთრ სახეს სწორედ იქ იღებს, რომელთა „დახმარებას" და დემოკრატიზაციასაც აცხადებენ ამერიკელები პრიორიტეტულ ამოცანად. აშშ-მ ისიც კი მოახერხა, რომ ანტიამერიკული განწყობილებები დაეთესა ყოფილ იუგოსლავიაში, რომელიც ორ ბანაკად გაყოფის პირობებში ვარშავის ბლოკის ყველაზე დასავლური ქვეყანა იყო როგორც ეკონომიკით, ისე მენტალიტეტით. ამ უკანონობისა და უსამართლობის ხილული მიზეზები თითქოს არ ჩანს, თუმცა კარგად იკითხება სამი მოტივი: მუსლიმებისთვის თავის მოქონვა შუაგულ ევროპაში ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბების სახით, რუსეთისათვის კიდევ ერთი სერიოზული დარტყმის მიყენება მართლმადიდებელი ხალხისთვის ტერიტორიის თავხედური ჩამოჭრით და ევროპისთვის იმის დემონსტრირება, თუ ვინ არის მსოფლიოს მმართველი. თითქოს საკმარისია, ხომ? ნურას

უკაცრავად, არავინ ლაპარაკობს ამერიკელების ჭეშმარიტ მიზანზე კოსოვოში; ჩვენთვის კარგად ნაცნობი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გარდა, არსებობდა კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების კიდევ ერთი მარშრუტი – ნავთობსადენი კოსოვოს გავლით ადრიატიკის სანაპირომდე, საიდანაც ნავთობი ტანკერებით გადაიზიდებოდა დასავლეთ ევროპის ბაზარზე. ნიკოლას ჰაგერის გამოკვლევით, 2001 წელს დაიწყო 920-კილომეტრიანი ტრანსბალკანური ნავთობსადენის მშენებლობა, რომელიც 2005 წელს უნდა ამოქმედებულიყო. პროექტის ღირებულება 1,2 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ბაქოდან სუფსაში ტრანსპორტირებული ნავთობი ტანკერებით უნდა გადაზიდულიყო ბურგასამდე და შემდეგ ბალკანეთისა და მაკედონიის გავლით ადრიატიკის პორტ ვლორამდე ალბანეთში. ნავთობსადენის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს საერთაშორისო სამშვიდობო ძალები გენერალ მაიკლ ჯექსონის ხელმძღვანელობით. დღეში ნავთობსადენის დაგეგმილი სიმძლავრე 750.000 ბარელს შეადგენს. ამ ნავთობსადენის მშენებლობაზე ალბანელებთან, მაკედონიელებთან და ბულგარელებთან (AMBO – აშშ კომპანიაა) ერთად მუშაობენ ისეთი გიგანტები, როგორც ტექსაკო, შევრონი, ექსონი, მობილი, ბიპი, ამოკო, აგიპი და ტოტალ ფინა ელფი (Texaco, Chevron, Exxon, Mobil, BP, AMOCO, Agip და Total Fina elf). კომპანია „ჰალიბარტონმა" (Halliburton), რომელიც პირდაპირ უკავშირდება აშშ ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის სახელს, 1999 წელს უდიდესი ამერიკული სამხედრო ბაზა „კემპ ბონდსტილი" (Camp Bondsteel) ააშენა, რომელიც ბალკანეთში ჩაყენებულ სამხედროებს ემსახურება. იგი *„360.000 კვ.მ ტერიტორიას იკავებს და მისი პერიმეტრი 11,2 კმ-ს შეადგენს. ბაზას 2,5 მ სიმაღლის მიწაყრილი აქვს შემოვლებული."* ინფორმაცია სამხედრო ბაზის შესახებ „კვირის პალიტრამ" დაბეჭდა, თუმცა დასკვნას იმის შესახებ, რომ *„ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, კოსოვოს აღიარების მთავარი მიზეზი ეს სამხედრო ბაზაა"*, ვერ გავიზიარებთ. საქმე უფრო იმასთან უნდა გვქონდეს, რომ ეს სამხედრო ბაზაც და კოსოვოს დამოუკიდებლობაც მხოლოდ ნავთობსადენის დასაცა-

ვად გახდა საჭირო. ნავთობსადენის გასწვრივ ამერიკული პროტექტორატები უნდა შეიქმნას. ზოგიერთი ექსპერტის ინფორმაციით, აშშ-მ ალბანეთს აღუთქვა „დიდი ალბანეთის" შექმნა, რომელსაც კოსოვოს გარდა, საბერძნეთის ტერიტორიის ნაწილსაც შეჰპირდა. ალბანელების მეშვეობით ამერიკას სურს, მაკედონია, ბულგარეთი და ალბანეთი ევროკავშირის წევრობის მიუხედავად, წმინდა ამერიკულ პროტექტორატებად აქციოს.[113]

ასე გამოიყურება ეს ერთი შეხედვით ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული ამერიკული ფინტი ბალკანეთში. როდესაც კონდოლიზა რაისი სერბებს ჭკუას ასწავლის, რომ 1383-მა წელმა (სერბების „დიდგორი" – ბრძოლა კოსოვოს ველზე) დიდი ხანია, რაც ჩაიარა, მას არ ახსენდება, რომ სწორედ ამ ისტორიული ბრძოლის თარიღს დაამთხვია 1914 წელს გავრილო პრინციპმა ავსტრიის ერცჰერცოგის მოკვლა, ხოლო 11 სექტემბრის ტერაქტი ზუსტად იმ დღეს მოაწყვეს, რომელსაც უკავშირდება მუსლიმების განადგურება ვენასთან. ამდენად, ერთიც და მეორეც ერთგვარი რევანშის სახეს ატარებდა. თუმცა კონდოლიზა რაისისთვის ერთი სერბული თარიღის დამახსოვრებაც დიდი საქმეა, რადგან საყოველთაოდაა ცნობილი ამერიკელების სრული გაუთვითცნობიერებლობა მსოფლიო ისტორიაში.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დავით გამყრელიძე „პრაიმ-ტაიმში" ჩიოდა, რომ სააკაშვილის ძალმომრეობის გამო საქართველოში ნატოს მომხრეთა რაოდენობა სულ ორ თვეში 84-დან 63%-მდე დაეცა. ორი კვირის შემდგომ ამ ციფრმა სასწაულებრივად აიწია 77%-მდე (ეს კი მით უფრო გასაკვირია, რომ წინასწარ მონაცემებთან შედარებით პრეზიდენტობის კანდიდატთა მონაცემები 1-2%-ით თუ მერყეობდა). *„მე უკვე მიჭირს ამერიკის დაცვა"*, – აღნიშნა მან. უნდა დაიცვას თუ არა მან ამერიკა, ეს მთლიანად მისი გადასაწყვეტია, მაგრამ ქართული ოპოზიციის მცდელობა, აჩვენოს ამერიკას, რომ იგი ხელისუფლებაზე უფრო პროამერიკელია და უფრო დემოკრატი, თანაც პერიოდული

113. Н. Хаггер, «Синдикат», М. «Столица принт», 2008, გვ. 218-220.

შეგონებებით, „ნუ შეაზიზღებენ ქართველებს თავს", ერთხელ უკვე ნანახ სპექტაკლს ჰგავს.

ამავე საკითხზე მეტად საყურადღებოა „ინტერნეშენლ ჰერალდ ტრიბუნში" (The International Herald Tribune) 2007 წლის 13 ნოემბერს (ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნისთანავე) გამოქვეყნებული წერილი, რომლის ავტორი, ისტორიკოსი მარკ ალმონდი 1992 წლიდან საქართველოში ჩატარებულ ყველა არჩევნებს ესწრებოდა, როგორც საერთაშორისო დამკვირვებელი. აი, რას წერს იგი: *„ქართულ პოლიტიკურ კლასში ჯერ კიდევ ვერ განმტკიცდა ისეთი ცნებები, როგორიცაა „წაგებულის თავშეკავება" და „მოგებულის დიდსულოვნება... დღეს ვაშინგტონმა და ევროკავშირმა უკან უნდა დაიხიონ და უარი თქვან მომავალ არჩევნებში „შესაფერისი" გამარჯვებულის შერჩევაზე, რადგან თუ ასეთი მოიძებნა, ალბათ, იგი კიდევ ერთხელ აქცევს ყველა რიგით ქართველს წაგებულად. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველი ხალხი არ ივიწყებს დასავლეთის შეცდომებს, – მაშინაც კი, როცა მათ ჩვენ თვითონ ვივიწყებთ".*[114]

დასანანია, მაგრამ ამერიკის ხელისუფლება არც ალმონდს უჯერებს და, მით უფრო, არც ქართულ საზოგადოებას.

ალმონდის წერილს კვლავ მივუბრუნდეთ, რადგან იგი 90 წლის წინანდელ მოვლენებს ეხება, როცა საქართველოს და სამხრეთ კავკასიის ბედი წყდებოდა, აქ კი ყურბან საიდის არაჩვეულებრივი რომანი „ალი და ნინო" გავიხსენოთ, რომელიც სწორედ იმ დროის კავკასიისა და ირანის ცხოვრებას ასახავს და, გარდა მისი ესთეტიკური ღირებულებისა, წმინდა ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

„– მართალია, რომ ჩვენი პრემიერ-მინისტრი ინგლისთან ახალი ხელშეკრულების დადებას აპირებს?

– დიახ, მართლაც კარგი ხელშეკრულებაა, რადგან ამის შემდეგ

114. http://inosmi.ru/translation/237792.html Марк Алмонд «Хватит Западу назначать проигравших».

ბარბაროსები ჩვენი მონები გახდებიან... ინგლისელებს მუშაობა უყვართ, ჩვენ – სიმშვიდე. ერთი სიტყვით, შევკავშირდებით. ჩვენ აღარ დაგვჭირდება ჩვენი საზღვრების დაცვაზე ზრუნვა. ინგლისმა ირანის დაცვა იკისრა; ქუჩებს დააგებს, შენობებს აღმართავს და თანაც ფულსაც ჩაგვითვლის. ინგლისმა იცის, რომ მსოფლიო კულტურა ჩვენ უნდა გვიმადლოდეს.

– როგორ ფიქრობთ, ინგლისი ჩვენი კულტურის გამო გვიცავს, თუ ჩვენი ნავთობის?

– ორივე ანათებს მსოფლიოს და ორივეს სჭირდება დაცვა, ყოველ შემთხვევაში, ჯარისკაცებად ყოფნა ჩვენ არ მოგვიწევს...“ [115]

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ევროპაში და ნატოში ინტეგრაციას ჩვენი ხალხი და პოლიტიკოსების დიდი ნაწილიც სწორედ ამგვარად უყურებს; მოვლენ ევროპელები (ამერიკელები), მსოფლიო კულტურაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას გვეტყვიან და აქეთ „ფულსაც ჩაგვითვლიან“. ახლა კვლავ ალმონდის სტატიას მივუბრუნდეთ და ვნახოთ, რით დამთავრდა ყველაფერი:

„დასავლეთს ზურგს უკან უკვე აქვს დემოკრატიისა და ეკონომიკური რეფორმების გავრცელების მცდელობათა ხანგრძლივი ისტორია, რომელსაც არსად მივყავდით. უკანასკნელად კავკასიაში ინტერვენციის შესახებ კამათი ბრიტანეთის იმპერიის ორ გიგანტს შორის წარმოებდა ზუსტად 90 წლის წინ. ლორდი კერზონი ამტკიცებდა, რომ კავკასიაში ბრიტანეთის ყოფნა აუცილებელია იმისათვის, რომ არ შევუშვათ იქ რუსები და უზრუნველვყოთ ადგილობრივი სახელმწიფოების ნორმალური განვითარება. „ჩვენ უნდა დავრჩეთ კავკასიაში, რათა ფეხზე დავაყენოთ კავკასიის ხალხები.“ კერზონს ეწინააღმდეგებოდა არტურ ბელფური, რომლის აზრით, საეჭვოა, დასავლურ ნეოკოლონიალიზმს საერთოდ შეეძლოს რაიმეს კეთება, გარდა საკუთარი ინტერესების დაცვისა. „თუ მათ საკუთარი თავის გამათრახება სურთ, რატომ უნდა შევაჩეროთ?.. უნდა დავიცვათ

115. ყ. საიდი, „ალი და ნინო“, „დიოგენე“, 2002, გვ. 209.

ბათუმი, ბაქო, რკინიგზა მათ შორის და მილსადენი". მერე კი მოვიდა წითელი არმია და ბოლო მოუღო როგორც კერზონის ნათელ იმედებს, ასევე ბელფურის შავ ცინიზმსაც..."[116]

ანტიამერიკანიზმი, რომლითაც ჩვენი პოლიტიკოსები ვაშინგტონს აშინებენ, ამერიკისთვის გაცილებით უფრო სერიოზული პრობლემაა, ვიდრე ჩვენში ჰგონიათ. „ინტერნეშენლ ჰერალდ ტრიბუნის" პუბლიკაციის თანახმად, 2007 წლის მარტში კომპანია „გლობ სკანმა" მერილენდის უნივერსიტეტთან ერთობლივად ჩაატარა 27 ქვეყანაში 28.000 ადამიანის გამოკითხვა ბი-ბი-სის მსოფლიო სამსახურისათვის. გამოკითხულთა აზრით, აშშ-ზე უფრო ნეგატიურ ზემოქმედებას საერთაშორისო ვითარებაზე ახდენენ მხოლოდ ისრაელი, ირანი და ჩრდილოეთ კორეა. 2002-2006 წლებში ევროპელთა რაოდენობა, ვინც აშშ-ს მიიჩნევდა ლიდერად საერთაშორისო საკითხებში, დაეცა 64-დან 37%-მდე, მაშინ როცა საწინააღმდეგო პოზიციის მქონეთა რიცხვი გაიზარდა 31-დან 57%-მდე.

ზ. ბჟეზინსკი „ორიანს" უწერს ბუშს მისი „კატასტროფული ლიდერობის" გამო თავის ახალ წიგნში „მეორე შანსი". ბუშის პოპულარობის რეიტინგი უკიდურესად დაბალია აშშ-ს მოკავშირე მუსლიმურ ქვეყნებში პაკისტანის, ეგვიპტისა და ინდონეზიის სახით და 8-დან 20%-მდე შეადგენს. დიდ ბრიტანეთში 30% ენდობა ბუშს, გერმანიაში – 25%, საფრანგეთში – 15%, ესპანეთში – 7%. მხოლოდ ინდოეთში – 50%, ჩინეთში – 34%, რუსეთში – 21%, თურქეთში – 3%. ანტიამერიკულ განწყობათა გაძლიერებაში ძირითადი როლი ერაყმა შეასრულა. 14 ქვეყნის გამოკითხვისას 10-ში უმრავლესობამ განაცხადა, რომ ერაყში ომის დაწყების შემდეგ მსოფლიოში საფრთხე გაიზარდა. დიდ ბრიტანეთში 60% ეთანხმება ამ აზრს. ზბიგნევ ბჟეზინსკი აღნიშნავს, რომ დღეს აშშ-ს ყველაზე მძლავრი სიმბოლო გუანტანამოა და არა თავისუფლების ქანდაკება. ასევე სწრაფად ეცემა ნატოს მიმართ პოზიტიური განწყობაც.[117]

116. http://inosmi.ru/translation/237792.html Марк Алмонд «Хватит Западу назначать проигравших»

117. „International Gerald Tribune", 2007 წლის 23 აგვისტო.

საერთოდ, დემოკრატიის „ექსპორტის" ამერიკული იდეა ცალკე კვლევას იმსახურებს. როგორ არ უნდა გაგახსენდეს დიდი ამერიკელის, გორ ვიდალის სიტყვები: *„დემოკრატია? კი მაგრამ, ამერიკის შეერთებული შტატები არასოდეს ყოფილა დემოკრატია – იგი რესპუბლიკაა... ამერიკული პლურალიზმი ერთ პარტიაშია ორი ფრთით, ოღონდ ორივე ფრთა მარჯვენაა".*[118] ესეც ლიპსეტისეული „პროტესტანტული" პლურალიზმი!

იტალიური ჟურნალიზმის მეტრი ჯულიეტო კიეზა ამერიკულ ინდივიდუალიზმზე (რომელიც ხშირად ასევე პროტესტანტულ ღირებულებად და არადასავლური კულტურებისგან დასავლეთის ცენტრალურ განმასხვავებელ ნიშნად სახელდება) წერს: *„ამერიკელების ჰიპერტროფირებული, პათოლოგიის ზღვარზე მდგომი ინდივიდუალიზმი იდეოლოგიით, ფალსიფიცირებული ცნობიერებითაა გამსჭვალული... ყველას წარმატების წყურვილი კლავს, ყველა იძულებულია, კონკურენციაში, კონფლიქტში შევიდეს გარშემო მყოფებთან, სხვა ადამიანებში მხოლოდ წინააღმდეგობა დაინახოს საკუთარი წარმატების, გამდიდრების გზაზე... ვინც მოიგო, მართალიც ის არის, ვინც წააგო, თავის თავს დააბრალოს. ვინც აგებს, უკვე ამ ფაქტის ძალით უნდა განიკითხო. ასე ევროპაში არასოდეს ყოფილა და, მადლობა ღმერთს, არც დღეს არის... ყოველდღე მასმედიით ცდილობენ ჩაგვაგონონ, რომ ისინი ჩვენზე ეფექტურები არიან, რომ ჩვენ მათ უნდა მივბაძოთ. მაგრამ ჩვენ სხვა ისტორია გვაქვს და ვერ შევძლებთ, დავემსგავსოთ მათ, ძალიანაც რომ გვინდოდეს. მე ვამბობ: საბედნიეროდ".*[119]

შესაძლოა, იტალიელი კიეზა ასე იმიტომ ფიქრობს, რომ კათოლიკეა?

შეიხი განუში, რომელსაც კათოლიციზმთან არაფერი აქვს საერთო, ამბობს: *„ჩვენი საზოგადოება ეყრდნობა ღირებულებებს, რომლებიც დასავლურისგან განსხვავდება".* ერთ-ერთი ეგვიპ-

118. Дж. Кьеза, «Война империй», М. «Эксмо», 2006, გვ. 35.
119. იქვე, გვ. 36-37.

ტელი მაღალჩინოსნის განცხადებით *„ამერიკელები გამოცხადდნენ და უნდათ, ჩვენ მათნაირები გავხდეთ. თვითონ კი არაფერი გაეგებათ ჩვენი მორალური ღირებულებების და კულტურისა."* ერთ-ერთი ეგვიპტელი ჟურნალისტი წერს: *„ჩვენ განსხვავებულები ვართ. ჩვენ სხვადასხვა წარმოშობა და სხვადასხვა ისტორია გვაქვს. ე. ი. სხვადასხვა მომავლის უფლებაც".*

„დასავლური" ავსტრალია, პირიქით, მთელი არსებით ესწრაფვის აზიასთან ინტეგრაციას. აზიის პასუხი ასეთია: *„საქმე კანის ფერში კი არა, კულტურაშია. ჩვენ, აზიატებს არ გვახასიათებს სხვა ქვეყნების დაუფარავი კრიტიკა და მათი განსჯა. ავსტრალია, როგორც ევროპული კულტურის ქვეყანა, თავს უფლებას აძლევს, მიუთითოს სხვას, რა აკეთოს და რა არა, რა არის მართებული და უმართებულო."* [120]

თავის მხრივ, აზიელები ძირითადად საკუთარ ეკონომიკურ აღმავლობას სწორედ იმას უკავშირებენ, რომ მათ კულტურებში არ არის დასავლური ინდივიდუალიზმი, თავდაჯერებულობა, გაუნათლებლობა, უპატივცემულობა და ა. შ.

ამგვარი დამოკიდებულება დასავლეთის (უპირატესად ამერიკის) მიმართ ცარიელ ადგილზე არ ჩამოყალიბებულა. დიდი ბრიტანელი მწერალი და მოაზროვნე ჰერბერტ უელსი ჯერ კიდევ 1941 წელს შეერთებულ შტატებში მოგზაურობის შემდეგ წერდა: *„ყველაზე განსაცვიფრებელია მოქმედების უხეში პირდაპირობა, რომელიც შემდგომში ყოველგვარ ყოყმანს გამორიცხავს. ძირითადი მიზანია – თამაში მოგებისათვის და არა „თამაშისადმი ინტერესის" გამო... ჩხუბში ტიპური ამერიკელი უბრალოდ კი არ ურტყამს, არამედ – მთელი ძალით. საქმეში ფსონს მოგებაზე ჩადის, აქ მისთვის კომპრომისი არ არსებობს და იგი თითქმის მოკლებულია შემოქმედის სიამაყეს. შემოქმედი მისთვის ის კი არ არის, ვინც მშვენიერ ნივთებს ქმნის, არამედ საქმოსანი, რომელმაც დიდი ფული დააგროვა. თუმცა... მომენტის*

120. ჩამოთვლილი მაგალითები მოხმობილია სამუელ ჰანტინგტონის წიგნიდან «Столкновение цивилизаций», М. «Аст», 2006, გვ. 235.

ზეგავლენით იგი კეთილიც იქნება და ხელგაშლილიც, მაგრამ მხოლოდ იქამდე, ვიდრე მეტოქის სუნს არ იგრძნობს. და მაშინ ატლანტიკიდან წყნარ ოკეანემდე არ მოიძებნება უფრო სასტიკი მეტოქე.“[121]

უკანასკნელ წლებში (განსაკუთრებით 11 სექტემბრის შემდეგ) ამერიკელები სულ უფრო ხშირად უსვამენ საკუთარ თავს შეკითხვას: „რატომ ვძულვართ ასე?“ პრეზიდენტმა ბუშმა კონგრესში განაცხადა: *„მათ სძულთ ჩვენი თავისუფლება, აღმსარებლობის, სიტყვის, არჩევნების თავისუფლება, ჩვენი თავისუფლება – არ ვეთანხმებოდეთ სხვას“*. როგორც პატრიკ ბიუკენენი ამბობს, ამგვარი მსჯელობა მეორეკლასელის ინტელექტსაც კი შეურაცხყოფს. იგი პირუთვნელად აცხადებს: *„ჩვენ ვძულვართ არა იმიტომ, რომ ჩვენ ვარსებობთ. ჩვენ ვძულვართ იმისთვის, რასაც ჩავდივართ“*. ბიუკენენის აზრით, მუსლიმებს სძულთ ამერიკა შემდეგი მიზეზების გამო:

1. ჩვენ ვადიდებთ დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს, მაგრამ მხარს ვუჭერთ დიქტატორებს და ოლიგარქებს, რომლებიც ჩაგრავენ ისლამურ ხალხებს და ძარცვავენ მათ სიმდიდრეს.
2. ათასობით ამერიკელი ჯარისკაცის, მათ შორის ქალების გადასროლით არაბეთის წმინდა მიწაზე ჩვენ შეურაცხვყავით არაბები და წავბილწეთ მიწა, რომელზეც არაბული სიწმინდეებია დაცული.
3. ამერიკული ნეოწარმართული კულტურა – ალკოჰოლი, ნარკოტიკები, აბორტები, „ბინძური“ ჟურნალები, ღვთის მგმობელი წიგნები, უზნეო ფილმები, სატანური მუსიკა – ეს ეშმაკეულის ცდუნებაა, რომელიც რყვნის მართლმორწმუნე მუსლიმს.
4. ამერიკელები ფარისევლურად სარგებლობენ ორმაგი სტანდარტებით არაბებთან და ისრაელთან ურთიერთობაში. როცა სადამ ჰუსეინმა უარი თქვა გაეროს რეზოლუციის შესრულებაზე, ჩვენ ემბარგო დავადეთ ერაყს და ბლოკადაში მო-

121. Г. Уэллс, «Неприглядная сторона Америки», თხზულებათა კრ. 15 ტომად, изд. «Правда», 1964, ტ.15, გვ. 453.

ვაქციეთ, რომლის საფასურიც ათეულობით ათასი ერაყელი ბავშვის სიცოცხლე აღმოჩნდა. ამავე დროს ჩვენ ვეხმარებოდით ისრაელს რეზოლუციების შეუსრულებლობაში, არაბთა დასახლებების დაკავებაში და პალესტინელებისთვის იმ უფლებების ჩამორთმევაში, რომელთა დაცვასაც ამერიკა იფიცებს.

5. ჩვენ თავს დავესხით სუვერენულ არაბულ სახელმწიფოს, რომელიც ჩვენ თავს არ დაგვსხმია, არ უნდოდა ჩვენთან ომი და ვერ გაგვიწევდა წინააღმდეგობას, ოკუპაცია ვუყავით იმ საბაბით, რომ თითქოს ერაყი დაკავშირებულია 11 სექტემბრის მოვლენებთან და ახორციელებს მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის პროგრამას აშშ-ზე თავდასხმისათვის. ამ სიცრუით ვნიღბავდით ჩვენს სწრაფვას, – ხელში ჩაგვეგდო ერაყის ნავთობის მარაგი, გაგვენადგურებინა დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფო და გაგვევრცელებინა ამერიკული გავლენა ახლო აღმოსავლეთში.
6. მილიონობით მუსლიმის თვალში ჩვენ განვასახიერებთ „ბოროტების იმპერიას“.[122]

ახლა შევჩერდეთ და საკუთარ თავს ვკითხოთ, ნუთუ ქართველი ხალხის უკანასკნელი 17 წლის ტანჯვა იმისთვის იყო საჭირო, რომ ბოროტების ერთი იმპერიიდან მეორეში ამოგვეყო თავი?

რაც შეეხება ერაყზე თავდასხმას, რომელსაც პრეზიდენტი ბუში და მისი გუნდი 11 სექტემბრის ტერაქტს უკავშირებენ, აქაც ისეთივე მითთან გვაქვს საქმე, როგორც 1999 წელს ყოფილი იუგოსლავიის დაბომბვისას. ჯერ კიდევ 1992 წელს (11 სექტემბრამდე 9 წლით ადრე!), როცა პოლ ვულფოვიცი თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო, მისი უწყებიდან ინფორმაციამ გაჟონა; ვულფოვიცმა და მისმა თანაშემწემ ლუის ლიბიმ მინისტრის – დიკ ჩეინის სახელზე მოამზადეს დოკუმენტი სახელწოდებით „ეროვნული სამხედრო სტრატეგიის საფუძვლები“. მასში დასაბუთებული იყო აშშ შეიარაღებული ძალების ყოფნის აუცილებლობა ექვსივე კონტინენტზე, რათა არ დაეშვათ რო-

122. П. Бьюкенен, «Правые и не-правые», М. «Аст», 2006, გვ. 117.

მელიმე ქვეყნის მცდელობაც კი, უფრო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ რომელიმე რეგიონში ან მსოფლიოში. შეკავების სტრატეგია მოძველებულად იქნა მიჩნეული და იგი იცვლებოდა ახალი სტრატეგიით: „ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება და განმტკიცება". ვოლფოვიცის მიხედვით, აშშ არ მისცემს უფლებას არავის – რუსეთს, გერმანიას, იაპონიას, ჩინეთს ან ინდოეთს, რომ რეგიონული ზესახელმწიფო გახდეს. პენტაგონი ომებისთვის მზადებას გეგმავდა, რომელთა მიზნები შორს სცილდებოდა აშშ ინტერესების დაცვის სფეროს.

„შეერთებული შტატები ვერ გახდება მსოფლიოს პოლიციელი და ვერ აიღებს საკუთარ თავზე მსოფლიოში ყველა ბოროტების ამოძირკვას, მაგრამ ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, მივაყენოთ პრევენციული წერტილოვანი დარტყმები მათ, ვინც არა მხოლოდ ჩვენს ინტერესებს, არამედ ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეების ინტერესებს დაემუქრება და, ვისაც მსოფლიოში ვითარების დესტაბილიზაციის ძალა შესწევს". როგორც ხედავთ, ამ დოკუმენტში უკვე ფიგურირებს „პრევენციული დარტყმები" და „ბოროტების ამოძირკვა".

დოკუმენტმა მძაფრი რეაქცია გამოიწვია. მამა-ბუში იძულებული გახდა, უარი ეთქვა მასზე და დოკუმენტი დაივიწყეს 2002 წლამდე, როცა უმცროს ბუშთან ერთად ხელისუფლებაში ჩეინი, ვულფოვიცი და ლიბიც დაბრუნდნენ.

11 სექტემბრის ტრაგედიამდე 4 წლით ადრე (!) პრეზიდენტ კლინტონს წერილით მიმართეს ელიოტ აბრამსმა, ბილ ბენეტმა, ჯონ ბოლტონმა, პოლ ვულფოვიცმა, რობერტ კაგანმა, უილიამ კრისტოლმა, რიჩარდ პერლმა და დონალდ რამსფელდმა (სხვათა შორის, ამ წერილის ხელმომწერთა შორის ფრენსის ფუკუიამაც არის, რომელიც დღეს უკვე ემიჯნება ერაყის მიმართ ამერიკის პოლიტიკას). მათ მოითხოვეს აშშ-ს შეჭრა ერაყში. *„11 სექტემბრის ტერაქტები მხოლოდ ხელსაყრელი საბაბი იყო ომისთვის, რომელსაც ისინი ათწლეულის განმავლობაში გეგმავდნენ"*, – წერს პატრიკ ბიუკენენი.

პრეზიდენტის თანაშემწე ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში რიჩარდ კლარკი იხსენებს, რომ 12 სექტემბერს, როცა თეთრ სახლში მივიდა, იმის ნაცვლად, რომ ტერაქტების შესაძლო გამეორების საფრთხეზე ეთათბირათ, ერაყზე საუბრით დახვდნენ. *„როგორც იქნა, მივხვდი, რომ რამსფელდს და ვულფოვიცს უნდოდათ ეროვნული ტრაგედიით ესარგებლათ და სისრულეში მოეყვანათ საკუთარი ჩანაფიქრი ერაყის მიმართ."* ადმინისტრაციაში მოსვლის დღიდან და უფრო ადრეც ორივენი ერაყთან ომისკენ მოუწოდებდნენ. როცა კოლინ პაუელმა აღნიშნა, რომ ჯობდა, უფრო არსებით პრობლემებზე, მაგალითად, „ალ-ქაიდაზე" ემსჯელათ, რამსფელდმა წაუყრუა. კლარკი იხსენებს: *„რამსფელდი ჩიოდა, რომ ავღანეთში არ მოიძებნა დაბომბვის ღირსი ობიექტები; მისი სიტყვებით, ერაყი უნდა დაგვებომბა, სადაც ამგვარი სამიზნეები უხვად იყო."*

პ. ბიუკენენის შეფასებით, ნეოკონსერვატორებმა იპოვეს „ღირსეული" მტერი – *„რადიკალური ისლამი. გაჩნდა ახალი იდეოლოგია – იმპერიის იდეოლოგია, და ახალი დოქტრინა – დემოკრატიზმი, „მეოთხე მსოფლიო ომის" მომზადება „მსოფლიო მასშტაბით დემოკრატიული რევოლუციის" უზრუნველსაყოფად".*[123]

გაეროს უშიშროების საბჭოზე კოლინ პაუელის მგზნებარე საბრალდებო სიტყვა, რომლითაც იგი ერაყში შეჭრას ასაბუთებდა,[124] მთლიანად ეყრდნობოდა ისეთივე სატელეფონო საუბრებს, როგორისთვისაც ირაკლი ბათიაშვილი დააპატიმრეს. მათში არავითარი „მამხილებელი" ინფორმაცია არ ყოფილა და არც დაზვერვას „შეშლია" რამე, როცა ამტკიცებდა, რომ სადამი მასობრივი განადგურების იარაღს ფლობს. ერაყი უკვე განწირული იყო, ეს ყველაფერი კი მისი განადგურების სათანადო გამართლებას ემსახურებოდა. როგორ არ უნდა გაგახსენდეს დიდი ჩეხი მწერლის, კარელ ჩაპეკის გენიალური „აპოკრიფი": *„ტირანმა*

123. П. Бьюкенен, «Правые и не-правые», М. «Аст», 2006, გვ. 74-83.

124. www.politnauka.org/mpimo/powell.php «Доказательства виновности», კოლინ პაუელის მოხსენება გაეროს უშიშროების საბჭოს ღია სხდომაზე ერაყთან დაკავშირებით.

ფილოსოფოსები დაიბარა: – ახლა მე ვიმოქმედებ, თქვენ კი ჩემს მოქმედებებს დაასაბუთებთ და გაამართლებთო!"

დიდი იტალიელი ფილოსოფოსი და მწერალი უმბერტო ეკო ამბობს: „ბუშის მმართველობისას აშშ-მ უზარმაზარი ნაბიჯით დაიხია უკან იდეოლოგიის თვალსაზრისით. სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის წინ, 1940 წელს, როცა ამერიკა იაპონიასთან ომს აპირებდა, ქვეყნის ხელმძღვანელობა ანტროპოლოგ რუთ ბენედიქტთან არკვევდა იაპონელთა მენტალიტეტის თავისებურებებს. ახლა ისინი, ყოფილი ბრიტანული იმპერიის სიდიადის დევნაში არიან და საჭიროდ არ მიიჩნევენ, რაიმეზე ესაუბრონ მსხვილ აღმოსავლეთმცოდნეებს იქამდე, ვიდრე ომს გააჩაღებენ ახლო აღმოსავლეთში".[125]

ნაომი კლაინი თავის წიგნში „ერაყის განადგურება" წერს იმის შესახებ, რის ფასადაც შეიტანა აშშ-მ დემოკრატია ამ ქვეყანაში: *„ეროვნული მუზეუმი გაიძარცვა. 170.000 ფასდაუდებელი ექსპონატიდან 80% გაიტაცეს. ისტორია სატვირთო მანქანებით „გაზიდეს". ეროვნული ბიბლიოთეკა გაანადგურეს. რელიგიის საქმეთა სამინისტროდან ათასწლოვანი ყურანები გაქრა. ჩიკაგოს უნივერსიტეტის არქეოლოგი მაკ-გაირ გიბსონი ამბობს: „ეს ძალიან ჰგავს ლობოტომიას: განადგურებულია მთელი კულტურის სილრმისეული მეხსიერება, რომელიც ათასობით წელი არსებობდა". ბევრი ერაყელი დარწმუნებულია, რომ ეს ლობოტომია განზრახ ჩაუტარეს – ამერიკული სტრატეგიის ჩარჩოებში, რომელიც კულტურის ფესვების განადგურებასა და მის სანაცვლოდ საკუთარის დანერგვის მიზანს ისახავს. ერაყის ავიაკომპანიამ 100 მლნ. დოლარის ზარალი განიცადა ამერიკელი სამხედროების ძარცვა-ვანდალიზმის გამო. იგი სასწრაფოდ ჩასვეს საპრივატიზაციო ნუსხაში. უმაღლესი განათლების რეკონსტრუქციის პროგრამის დირექტორი ჯონ აგრესტო თავის მიზნად ნულიდან ახალი განათლების სისტემის შექმნას მიიჩნევს. მისი სიტყვებით, „უნივერსიტეტის ძარცვა მშვენიერი შესაძლებლობაა*

125. http://www.politizdat.ru/interview/46.

ყველაფრის თავიდან დასაწყებად." იგი გამოტყდა, რომ ერაყის შესახებ არაფერი იცის. ორიოდე წიგნი რომ წაეკითხა, გაიგებდა, რომ საერთაშორისო სანქციების შემოღებამდე ერაყს რეგიონში საუკეთესო განათლების სისტემა ჰქონდა, არაბულ სამყაროში ყველაზე მაღალი მაჩვენებელით (89%). შედარებისთვის: აგრესტოს მშობლიურ შტატში ნიუ-მექსიკოში ფუნქციურად წერა-კითხვის არმცოდნეა 46%, 20%-ს არ შეუძლია გონებაში აწარმოოს ელემენტარული არითმეტიკული გამოთვლები, რათა მაღაზიაში ქვითარი დააჯამოს. მაგრამ აგრესტო 100%-ით არის დარწმუნებული ამერიკის უპირატესობაში და არც უფიქრია, რომ ერაყელები თავიანთი კულტურის გადარჩენას მოინდომებდნენ.

პოლ ბრემერმა – ერაყის საოკუპაციო ხელისუფლების ხელმძღვანელმა შექმნილი კრიზისის გადასაჭრელად გახსნა საზღვრები შეუზღუდავი იმპორტისათვის ტარიფების, გადასახადების, მოსაკრებლების გარეშე. 2 კვირაში მან გამოაცხადა, რომ ერაყი „ბიზნესისთვის მზად არის". ერთ ღამეში ყველაზე ჩაკეტილი ბაზარი ყველაზე ღია ბაზრად იქცა.

2006 წლისათვის ბავშვების ორი მესამედი სკოლაში არ დადიოდა. ქალები იმალებოდნენ, დაიწყეს ჩადრის ტარება. დაიხვრიტა 300 მეცნიერი, რამდენიმე ფაკულტეტის დეკანი. 2007 წლის თებერვლისათვის დაღუპული იყო 2.000 ექიმი, 12.000 ქვეყნიდან გაიქცა. გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის მონაცემებით ერაყიდან ყოველდღიურად 3.000 ადამიანი გარბოდა. 2007 წლის აპრილში 4-მა მილიონმა ადამიანმა საკუთარი სახლი დატოვა".[126]

ასე გამოიყურება ამერიკული დემოკრატიის საექსპორტო მოდელი ერაყის მაგალითზე. ტრადიციული კულტურის ხალხებისათვის (და არა მხოლოდ მუსლიმებისთვის, როგორც ამის წარმოჩენა უნდათ) ეს ყოველივე გლობალური მასშტაბის კულტურული კატასტროფაა, რადგან დღევანდელი ერაყი მსოფლიო ცივილიზაციის აკვანია. ისტორიული მეხსიერების ასეთი მასშტაბური განადგურების ფონზე ქართული უნივერსიტეტისა და

126. http://politizdat.ru/articles/3.

მეცნიერებათა აკადემიის პრობლემები აქტუალობას კარგავს. ერაყში ხელოვნურად შექმნილი ვითარება ნათელყოფს იმ რეფორმების ჭეშმარიტ სახეს, რომლებიც უომრად დაპყრობილ ქვეყნებში, შესაძლოა ნაკლები სისასტიკით, მაგრამ შინაარსობრივად იმავე ეკვივალენტის შედეგებზეა ორიენტირებული.

ჩვენი პროამერიკული ხელისუფლება და ოპოზიცია ამერიკას ჩვენი მომავალი საზოგადო მოწყობის მაგალითად გვისახავენ ხოლმე. იგულისხმება, რომ, როცა რეფორმებს ჩავატარებთ, ამერიკას დავეწევით (ისევ?), ყველაფერი გამოსწორდება და ვიცხოვრებთ თავისუფალ, დემოკრატიულ, მდიდარ ქვეყანაში. ვნახოთ, როგორია ის ამერიკა, რომელიც უნდა „გავხდეთ", თავად ამერიკელების თვალით. მაიკლ ვენტურამ ამერიკული კვლევების მიხედვით დაწერა სტატია *„ამერიკა ციფრებში. ნომერი 1?"* მასში მოყვანილია შემდეგი მონაცემები:

„აშშ 49-ე ადგილზეა მსოფლიოში მოსახლეობის წერა-კითხვის მაჩვენებლით.

28-ე ადგილზე – მათემატიკის ცოდნით.

ამერიკელთა 20% ფიქრობს, რომ მზე დედამიწის გარშემო ბრუნავს.

17%-ს ჰგონია, რომ დედამიწა გარს უვლის მზეს ერთ დღე-ღამეში.

აშშ-ში პირველად ბოლო 30 წლის მანძილზე შემცირდა უცხოელი სტუდენტების რიცხვი; ჩინელების – 56%-მდე, ინდუსების – 51%-მდე, სამხრეთ კორეელებისა – 28%-ით.

ბავშვთა სილატაკით აშშ განვითარებულ ქვეყნებში 22-ე ადგილზეა, ანუ ბოლოდან მეორე.

ოჯახების რაოდენობამ, რომლებიც შიმშილობდნენ, 2003 წელს 3,9 მლნ. შეადგინა.

41-ე ადგილზეა ბავშვთა სიკვდილიანობის მიხედვით.

მშობიარობისას სიკვდილის რისკი 70%-ით უფრო მაღალია ევროპულ მაჩვენებელთან შედარებით.

1995-2005 წლებში აშშ-მ 1,3 მლნ. სამუშაო ადგილი დაკარგა ჩინეთის სასარგებლოდ.

ამერიკელების 43%-ს მიაჩნია, რომ წამება ზოგჯერ გამართლებულია.

ფეხმძიმეთა დაღუპვის მიზეზებში პირველ ადგილზეა მკვლელობა".[127]

ასე რომ, ამერიკული დემოკრატიის საშინაო მოდელიც ვერ გამოიყურება მიმზიდველად. მართლაცდა, რატომ უნდა უნდოდეს ჰეგემონს რაიმე ნიშნით მასზე უპირატესი ვასალების ყოლა? ჩვენ გვაჩვევენ, რომ ჩვენი ისტორია უძველესი კი არა, „მოძველებულია", რომ ჩვენი ტრადიციები ის კი არ არის, რამაც გადაგვარჩინა, არამედ ის, რაც წარსულისაკენ გვეწევა, რომ „ღირსეული ცხოვრებისათვის" უკვე შემუშავებულია ერთადერთი მოდელი და აღარ არის საჭირო ველოსიპედის გამოგონება და ა. შ. და ა. შ.

იქნებ ჩვენ ვცდებით და აშშ-ს მოქმედება ერაყში მართლაც საერთაშორისო ტერორიზმის განადგურებას ემსახურებოდა? მაშინ რა ვუყოთ ამერიკული საგარეო ჩარევების იმ სტატისტიკას, რომელიც „ტერორიზმამდელ" ეპოქას უკავშირდება?

მაიკლ პარენტი გვამცნობს: *„აშშ-მ დაამხო რეფორმისტული მთავრობები ირანში (1951), გვატემალაში (1954), კონგოში (1961), დომინიკის რესპუბლიკაში (1962), ბრაზილიაში (1964), ჩილესა და ურუგვაიში (1973). საბერძნეთში, ფილიპინებზე, ინდონეზიაში, აღმოსავლეთ ტიმორში და კიდევ 10 ლათინურ-ამერიკულ ქვეყანაში, სამხედრო ოლიგარქებმა, რომლებსაც პენტაგონმა და ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ასწავლეს და დააფინანსეს, დაამხეს ხალხის მიერ არჩეული მთავრობები. აშშ მხარს უჭერდა გვატემალაში უწესრიგობებს (1962-96), რომლებშიც 200.000 ადამიანი დაიღუპა, სალვადორში (1980-94), სადაც 75.000 ადამიანი დაიღუპა, ჰაიტიზე (1987-94), ტაილანდში (1965-73), ვიეტნამში (1945-73), კამბოჯაში (1955-73), ლაოსში (1957-1973)."*

აშშ საზღვაო ქვეითები შეიჭრნენ და დაიკავეს ნიკარაგუა 1912 წელს, განმეორებით – 1926-33 წწ., ჰაიტი – 1915 და 1934 წ., კუბაზე – 1898-1902 წწ., მექსიკაში 1914 და 1916 წწ. 1911-25 წწ.

127. http://inosmi.ru/stories/05/09/02/3453/222155.html.

ჰონდურასი ექვსჯერ დალაშქრეს, პანამის ოკუპაცია გრძელდებოდა 1903-1914 წწ. აქ მხოლოდ სამხედრო ოპერაციებია ჩამოთვლილი, მაგრამ ამ თარიღებს შორის შინაურ საქმეებში ჩარევას სისხლიანი ქრონოლოგია აქვს.[128]

როდესაც „ვარდების რევოლუციის" შემდეგ დახურულ სატელევიზიო ტოკ-შოუებზე ვდარდობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ 1991-93 წწ. ჰაიტიზე ტოკ-შოუების სამი წამყვანი მოკლეს რეპრესიების წინააღმდეგ გამოთქმული პროტესტის გამო. რეპრესიები კი უშუალოდ აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მხარდაჭერით ხორციელდებოდა.

ამერიკული პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება სხვა ხალხების მიმართ კარგად ჩანს ერთ ამერიკულ ანეკდოტში; დიკ ჩეინი და დონალდ რამსფელდი ბარში სხედან. ვიღაცამ იცნო და მივიდა:

– უკაცრავად, თქვენ მართლა ჩეინი და რამსფელდი ბრძანდებით?

მათ დაუდასტურეს.

– შეიძლება, გავიგო, რაზე საუბრობდით?

– როგორ, არა, ჩვენ ახლა გეგმას ვაწყობდით, როგორ გავანადგუროთ 20 მილიონი ავღანელი და ერთი ამერიკელი დურგალი.

– კი მაგრამ, რა დაგიშავათ ამერიკელმა დურგალმა?

რამსფელდი მიუბრუნდა ჩეინის:

– ხომ გითხარი, დიკ, ყველას ფეხებზე ჰკიდია 20 მილიონი ავღანელი!

გაეროს ტელე-რადიო სამსახურის ყოფილი დირექტორი ნიუიორკში აიმან ელ-ამირი სტატიაში „იმპერიის დაისი" წერს: *„ამერიკულმა პოლიტიკურმა ელიტამ ან არ იცის მსოფლიო ისტორია (თავად აშშ-ს ისტორია საკმარისად მიაჩნია), ან საკუთარი დაუმარცხებლობის ქედმაღლური რწმენის ტყვეობაშია (დაავადებისა, რომელიც ბევრ იმპერიას ახასიათებდა). ერაყის ომი – ამერიკული იმპერიის სტრატეგიის ცენტრალური ელემენტი –*

128. М. Паренти «Демократия для избранных» М. «Поколение», 2006, გვ. 117.

შეიძლება მისი მესაფლავე აღმოჩნდეს... შეჭრის ერთ-ერთი მიზეზი იყო – ამერიკული ჰეგემონიის დამყარება სპარსეთის ყურის ნავთობით მდიდარ რეგიონში, „ძნელად აღსაზრდელი" არაბული რეჟიმების ორიენტაციის შეცვლა, აგრეთვე ირანის დესტაბილიზება და დასუსტება ისრაელის ინტერესების გამო... ომის დაწყებიდან 4 წლის შემდეგ თვალსაჩინოა: აშშ კამპანია ერაყსა და რეგიონში მთლიანად ჩავარდა... ერაყი აღმოჩნდა „სრული ქაოსისა და სახელმწიფოებრიობის რღვევის" წინაშე „იმპერიის მშენებელთა" უვიცობისა და გაუმართლებელი ავანტიურის გამო. როგორი პროპაგანდისტული „შეფუთვაც" არ უნდა მოუძებნოს ვაშინგტონმა თავისი ჯარების გაყვანას ერაყიდან, მთელი მსოფლიო გარდაუვალად მივა იმ დასკვნამდე, რომ შეჭრა კატასტროფული ჩავარდნით დაგვირგვინდა. დღეს აშშ-ს მარცხი ერაყში გახდება მისი მცირეხნოვანი იმპერიული ბატონობის დასასრულის დასაწყისი.").[129]

ნავთობის მარაგით მსოფლიოში დიდი უპირატესობით ლიდერობს ერაყი, შემდეგ ქუვეითი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები მოდიან, მეორე სამეულს საუდის არაბეთი, ირანი და ვენესუელა შეადგენენ. რუსეთი მეცხრე ადგილზეა ნიგერიისა და მექსიკის შემდეგ, ხოლო მას ნორვეგია, ჩინეთი, აშშ, კანადა და დიდი ბრიტანეთი მოსდევენ. ყველა ეს რესურსი მოხმარების დღევანდელი ტემპით 50-100 წლის მარაგს შეადგენს.

წარმოების თვალსაზრისით პირველ ადგილზე საუდის არაბეთია, მეორეზე – ერაყი, შემდეგ – ემირატები, ირანი, ქუვეითი, ვენესუელა, ნიგერია, კანადა, ჩინეთი, ნორვეგია, მექსიკა, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი და შეერთებული შტატები. ამასთანავე, აშშ-სა და ბრიტანეთში ნავთობის მხოლოდ 5 წლის მარაგია დარჩენილი (EIA და Oil and Gaz Journal-ის მონაცემებით). ამ მონაცემების ფონზე დასავლური „დემოკრატიის ექსპორტს" სინამდვილეში ნავთობისა და გაზის სუნი ასდის.[130]

129. http://www.inosmi.ru/translation/232243.html.
130. Н. Хаггер. «Синдикат», М. «Столица принт», 2008. გვ. 15-16.

ის, რომ ნავთობი და პოლიტიკა ურთიერთგანმაპირობებელ კავშირშია ერთმანეთთან, კარგად ჩანს აშშ უმაღლესი ეშელონების დოსიეებიდან; ბუშების ოჯახის საყოველთაოდ ცნობილ ნავთობინტერესებზე რომ არაფერი ვთქვათ, დიკ ჩეინი კომპანია „ჰალიბარტონის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და პრეზიდენტი იყო, ჩეინი და აშშ ვაჭრობის მინისტრი დონალდ ევანსი ერთად მართავდნენ ენერგოკომპანიებს. კონდოლიზა რაისი 1991-2001 წლებში „შევრონის" დირექტორი იყო. კომპანიას მისი სახელობის ტანკერიც კი ჰყავს. ბრენტ სკოუკროფტი, კონდოლიზა რაისისა და პრეზიდენტ ბუშის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში „პენზოილ კვაკერ კომპანის" (Pennzoil-Quaker State Co.) და „ენრონ გლობალ პაუერ ენდ პაიპლაინსის" (Enron Global Power & Pipelines) დირექტორი იყო, რომელიც კორპორაცია „ენრონის" (Enron Corp.) ქვედანაყოფს წარმოადგენდა. გარემოს დაცვის სააგენტოს ადმინისტრატორი კრისტინა ტოდ უიტმენი ტეხასისა და კოლორადოს ნავთობმომპოვებელი კომპანიების აქციებს ფლობს. ჯეიმს ბეიკერი, ბუშების ოჯახის მრჩეველი და ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ფლობს იურიდიულ ფირმას, რომელიც აზერბაიჯანში მომუშავე ნავთობის კომპანიების ინტერესებს წარმოადგენს, მათ შორის – „ექსონ მობილის" (Exxon-Mobil) კორპორაციისას. მისი მოადგილე – რიჩარდ არმიტიჯი ამერიკულ-აზერბაიჯანული სავაჭრო პალატის თანათავმჯდომარე იყო. უცხოელი ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ თანამედროვე მსოფლიოში საომარი კონფლიქტების უდიდესი უმრავლესობა სწორედ ნავთობის მარაგების და მათი ტრანსპორტირების ხელში ჩაგდების მისწრაფებით აიხსნება.[131]

ამას ადასტურებს აშშ პრეზიდენტობის კანდიდატი მაკ-კეინიც: *„მე მკვეთრად ვუპირისპირდები სენატორების – კლინტონისა და ობამას იდეას ერაყიდან ჩვენი ჯარისკაცების სასწრაფო გამოყვანის შესახებ იმიტომ, რომ ეს ჩვენი ეკონომიკის კატასტროფის რეცეპტია, ვინაიდან ნავთობის ფასი დაუყოვნებლივ*

131. Н. Хаггер, «Синдикат», М. «Столица принт», 2008. გვ. 17.

ავარდება".[132] საქართველოს საკუთარი ნავთობის მარაგი არ გააჩნია. სამაგიეროდ, მისი ტრანსპორტირება (ისევე, როგორც გაზისა) საქართველოს ტერიტორიის გავლით ხორციელდება. თითქოს იგულისხმება, რომ დასავლეთის დაინტერესება ამ მხრივ საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტია უნდა იყოს. სხვა მხრივ, ნავთობისა და გაზსადენის სიკეთე მოსახლეობის უმეტესობისათვის წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით რომ სრულიად არასაგრძნობია, ამას ცხოვრება ყოველდღიურად გვიჩვენებს. სამწუხაროდ, „ენერგოდერეფნის" ფუნქცია არც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების მოგვარებას უწყობს ხელს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ენერგორესურსებით დაინტერესებულ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს არანაირად არ აწუხებთ (ისევე, როგორც საუკუნის წინ ბრიტანელებს), რადგან საატრანსპორტო ტრასები უშუალოდ მათ სიახლოვეს არ გადის, ხოლო თავად ამ ტრასების დაცვა კონფლიქტურ რეგიონებთან კავშირში არ არის. იქნებ ენერგეტიკულმა დერეფანმა იმდენად განავითაროს ინფრასტრუქტურა საქართველოში, რომ სიღარიბის დაძლევა შევძლოთ? აშშ ხომ მხოლოდ საქართველოს „სტრატეგიული პარტნიორი" არ არის, სხვა ქვეყნებში როგორ ახორციელებს იგი ამ „სტრატეგიულ პარტნიორობას"? დაიძლია რომელიმე მათგანში სიღატაკის პრობლემა?

ჯორჯ სოროსი გლობალური კაპიტალიზმის ნაკლოვანებებზე (რომელთა გამოსწორებისთვისაც იღვწის) მსჯელობისას საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს იმოწმებს: *„მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების 1% იმდენივე შემოსავალს იღებს, რამდენსაც ულატაკესთა 57%. მილიარდ ადამიანზე მეტი დღეში ერთ დოლარზე ნაკლებ თანხად ცხოვრობს. მილიარდს ხელი არ მიუწვდება სასმელ წყალზე, 826 მილიონი შიმშილობს, 10 მილიონი ყოველწლიურად იღუპება ელემენტარული სამედიცინო მომსახურების არქონის გამო".*[133]

132. მაკ-კეინის ინტერვიუ პოლონურ გაზეთში „ვიბორჩა", 11.03.2008.
133. Дж. Сорос, «О глобализации», М. «Эксмо», 2004. გვ. 25.

მხოლოდ ერაყის მაგალითი ცხადყოფს, რომ მთელი ქვეყანა იავარქმნილ იქნა გამოგონილი მიზეზებით და უმწვავესი სილატაკე ჩამოყალიბდა იქ, სადაც აშშ-ს შესვლამდე სულაც არ იყო მძიმე მდგომარეობა. იქნებ ამგვარი სასჯელი მხოლოდ იმ ქვეყნებს ემუქრება, რომლებიც აშშ-ს მტრების სიაში ნებაყოფლობით ჩაეწერნენ? თუ „ჭკვიანად მოვიქცევით", იქნებ ამერიკელებმა ხელი შეუწყონ საქართველოს ფეხზე წამოდგომაში?

უაღრესად საინტერესო წიგნის „რატომ სძულთ ამერიკა?" ავტორებს, ზიაუდდინ სარდარსა და მერილ ვინ დევისს მოყვანილი აქვთ აშშ-ს მიერ სხვა ქვეყნების ეკონომიკური მანიპულირების 8 ტიპი:

- **ოქროს სტანდარტზე** უარის თქმით აშშ-მ, როგორც მსოფლიოს სავალუტო ლიდერმა, მოგების მილება დაიწყო. დოლარი მოძრაობს ყველა ქვეყანაში. აშშ საკუთარი ინტერესების მიხედვით აწესებს საპროცენტო განაკვეთებს, ხოლო განაკვეთების აწევა მთელი ქვეყნების ეკონომიკურ კრიზისს იწვევს. ბევრი სახელმწიფო დილემის წინაშე დგება: დააწესოს თავისი ვალუტისთვის „მცურავი" კურსი, ან მიაბას იგი დოლარს.
- აშშ მსოფლიოს მოსახლეობის ორ მესამედზე მეტ მოსახლეობაზე საკუთარი ეკონომიკური ზემოქმედების დემოკრატიულ კონტროლს დაუშვებლად მიიჩნევს. აშშ-ს ბატონობა მსოფლიო ეკონომიკაში, განსაკუთრებით საწარმოო და საფინანსო საკითხებში, კარგად ჩანს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ სესხების გაცემის პროცედურაში. მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ფონდმა მოითხოვა, რომ ტაილანდს და სამხრეთ კორეას დაეშვა თავიანთ ეკონომიკაში საერთაშორისო ჩარევა (ეს იყო აშშ-ს დაჟინებული მოთხოვნა). სხვა პირობების გარდა, რასაც ჩვეულებრივ სსფ აყენებს (საპროცენტო განაკვეთების ზრდა, სამთავრობო ხარჯების შემცირება, ეკონომიკური ზრდა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი), ტაილანდს უნდა მიეცა უცხოური ბანკებისათვის ადგილობრივ საბანკო სექტორში მნიშ-

ვნელოვანი წილები. სესხების ამგვარი პირობებით ამერიკული კორპორაციები განვითარებადი ქვეყნების ბანკების, საფინანსო დაწესებულებების და ძირითადი ტექნოლოგიური სექტორების მთლიანად ან ნაწილობრივ დასაკუთრებას ახერხებენ.

- აშშ „ვაჭრობის ლიბერალიზაციაში" ცალსახად გულისხმობს ამერიკული ფირმებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მოქმედების თავისუფლებას. ვაჭრობის ლიბერალიზაცია (საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობისთვის ბარიერების მოხსნა ან შესუსტება) 80-იანი წლებიდან დაიწყო. განვითარებად ქვეყნებს მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით უწევთ სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შეცვლა იმგვარად, რომ მათი ეკონომიკა ღია გახდეს იაფი სასურსათო იმპორტისათვის. საკუთარი ფერმერების მხარდაჭერა უნდა შეიზღუდოს. სწორედ ამ ორგანიზაციების მოთხოვნაა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია, სუბსიდიების გაუქმება და ფასების კონტროლი. ეს აშშ და ევროკავშირს საკუთარი პროდუქციის იაფად ექსპორტირების საშუალებას აძლევს მაშინ, როცა ადგილობრივი მწარმოებელი კოტრდება. იაფი იმპორტი და დემპინგური ფასები განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკურ სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს. მაგ., განაში ადგილობრივი ფერმერები მარცვლეულს, ბრინჯს, სოიოს, ბოცვერს, ცხვარს, თხას საბაზრო ღირებულებით სოფლის ბაზარზეც კი ვეღარ ყიდიან. იმპორტული სასუქებისა და პესტიციდების სიძვირის გამო წარმოებული პროდუქცია საკუთარ ხარჯებს ვეღარ ანაზღაურებს, საკვებზე საცალო ფასები კი არ ეცემა. ადგილობრივი სოფლის მეურნეობა ნადგურდება.
- აშშ-ს „ეკონომიკური თავისუფლება" ასე გამოიყურება: საკუთარ თავს უზრუნველყოფს თავისუფალი შესვლით მსოფლიო ბაზარზე, ხოლო განვითარებად ქვეყნებს ხელს უშლის საკუთარი პროდუქციის გატანაში და გამოდევნის აშშ ბაზრიდან. საბოლოო ჯამში, მვო-ის და სსფ-ის მხარდაჭერილი

„თავისუფალი ვაჭრობა" „ნამდვილი ძარცვაა, რომელიც მხოლოდ მდიდარ ქვეყნებს აძლევს მოგებას, ხოლო ღარიბი ქვეყნები შიმშილის საფრთხის წინაშე დგებიან, – ამბობს ენდრიუ სიმსი, „ახალი ეკონომიკის ფონდის" მსოფლიო ეკონომიკური პროგრამის ხელმძღვანელი, – ამერიკული გლობალიზაციის პოლიტიკისა და თაღლითური საერთაშორისო ვაჭრობის გამო ღარიბი ქვეყნები ყოველდღიურად კარგავენ 2 მლრდ. დოლარს, 30.000 ბავშვი იღუპება დაავადებებისგან, რომელთა თავიდან აცილება შეიძლებოდა, ხოლო 60 მლნ. დოლარი გადაედინება ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარში ვალის დასაფარად."

- აშშ სისტემატურად უშლის ხელს განვითარებადი ქვეყნების მცდელობას, დაძლიონ სიღარიბე და დააპურონ საკუთარი მოსახლეობა. ამერიკამ დააწესა უზარმაზარი საბაჟო განაკვეთები ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე: ბრინჯზე, შაქარზე, ყავაზე (არაქისზე ეს განაკვეთი 100%-ს აღწევს!). ამ შეზღუდვით უღარიბესი ქვეყნების შემოსავალი წელიწადში 2,5 მლრდ. დოლარით ზარალდება.
- აშშ განვითარებად ქვეყნებს კიდევ უფრო აღატაკებს. ჯ. ბუშის მიერ 2001 წელს ხელმოწერილი „აფრიკის განვითარებისა და შესაძლებლობების" აქტით აფრიკული საქონელი აშშ-ში დაუბეგრავად უნდა შესულიყო ამერიკული კომპანიებისა და თავად აშშ-სთვის გარკვეული დათმობების საფასურად. მაგალითად, აფრიკაში დაუბეგრავად უნდა შესულიყო ამერიკული ტექსტილი და ტანსაცმელი, სინამდვილეში შედის მხოლოდ ქსოვილები და ნართავი, ხოლო მისგან აფრიკაში დამზადებულ საქონელზე შეზღუდვები წესდება. აშშ თავის ბაზარზე არ უშვებს აფრიკულ ყავას, შაქარს და მისთვის მომგებიან სხვა პროდუქციას.
- აშშ მუდმივად უწყობს ხელს განვითარებად ქვეყნებში სამომხმარებლო საქონელზე ფასების დაცემას. მვო და სსფ ხელს უწყობენ ექსპორტის საშუალებით ვალების გასტუმრებას.

მათი ზეწოლით ხდება ჭარბი პროდუქციის გატანა, მაგრამ, ნავთობის ექსპორტიორებისგან განსხვავებით, მათ არა აქვთ (OPEC-ის მაგვარი) კარტელი, რომელიც მოთხოვნასა და მიწოდებას დააბალანსებდა. ასეთია ბაზრის კონიუნქტურა, რომელიც მყიდველზეა ორიენტირებული, სადაც მთავარი დამკვეთი ამერიკელი მომხმარებელია. შედეგად აშშ მოქალაქეები ღებულობენ სტაბილურ ფასებს, ხოლო ეკონომიკურ მაჩვენებელთა რყევები მწარმოებელ ქვეყნებში იგრძნობა. შესაბამისად, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ერის ცხოვრების საფუძველია იაფი საკვები, რომელიც უღარიბესი ქვეყნების მძიმე შრომით არის უზრუნველყოფილი.

- თუ ეს ყოველივე არასაკმარისია, აშშ ცალმხრივ სანქციებს მიმართავს. ბოლო 80 წლის განმავლობაში სანქციები 120-ჯერ იქნა გამოყენებული, მათგან 104 – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მხოლოდ 1998 წელს აშშ-მ სანქციები გამოიყენა 75 ქვეყნის წინააღმდეგ, რაც მსოფლიოს მოსახლეობის 52%-ს მოიცავს.[134]

„ოქროს სტანდარტი“ – ფულადი სისტემა, რომელშიც ნაღდი ფული თავისუფლად შეიძლება გადაიცვალოს ოქროზე. თანაფარდობა ოქროსა და ვალუტის ერთეულს შორის საკანონმდებლო წესით დგინდება. 1944 წელს შეიქმნა ე. წ. ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემა. აშშ-მ, რომლის ეკონომიკა ყველაზე ძლიერი იყო, იკისრა ვალდებულება, რომ დოლარი სარეზერვო ვალუტა იქნებოდა. ირიბად ოქროს სტანდარტი შენარჩუნებული იყო, მაგრამ 1972 წელს რ. ნიქსონმა ამ ვალდებულებაზე უარი თქვა. დღეს დოლარი აღარ არის ოქროთი უზრუნველყოფილი. მისი ღირებულება მსოფლიოში ემყარება მხოლოდ იმ ნდობას, რომელსაც მას უცხადებენ. თუმცა, ამ ნდობის დეფიციტი 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა თვალნათელი გახადა.

134. http://www.gumer.info/bibliotek_buks/Culture/Sard/index.php.

ამ კვლევის გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ცხოვრების დონის გაუმჯობესებასაც, სხვა სიკეთეებივით, აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორობისგან არ უნდა ველოდეთ. მაშ, რას იძლევა იგი, მამლისა არ იყოს?

როცა არგუმენტები აღარა აქვთ, ჩვენი პროამერიკული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები აბსტრაქტულ „ღირებულებებსა და ფასეულობებზე" იწყებენ ხოლმე ლაპარაკს. იგულისხმება, რომ ჩვენ და დასავლეთს ისინი საერთო გვაქვს. იგივე ტაქტიკა აქვთ ხოლმე ამერიკელ პოლიტიკოსებს: როცა სხვა ქვეყნის შინაურ ცხოვრებაში ჩარევისათვის მიზეზები შემოელევათ, იქ „დემოკრატიის დამკვიდრებაზე" კეთდება აქცენტი. დემოკრატია ხომ დასავლური ღირებულებაა! ესეც იდეოლოგიური კლიშეა – დემოკრატია, როგორც ღირებულება, ჩვენ და დასავლეთს საერთო გვაქვს, მაგრამ მისი იმპორტი ჩვენში მხოლოდ მათი ხელით შეიძლება მოხერხდეს.

თავი VII. „შეთანხმდეთ, რომ ლიბერალები ვართ!“

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, ტელევიზიაში განსახორციელებელი რეფორმების შესახებ საუბარი ამ ფრაზით დაიწყო. დანარჩენებიც დაეთანხმნენ. რას გულისხმობდნენ ყველანი ერთად ამ შეთანხმებაში?

„ლიბერალიზმშიც“ ისევე, როგორც სხვა ტერმინებში, საქართველოში სრულიად განსხვავებულ შინაარსს გულისხმობენ. ფართო გაგებით, ყველაზე ხშირად ამ სიტყვით სხვათა მიმართ ლმობიერ დამოკიდებულებას აღნიშნავენ. ცხადია, შემწყნარებლობა ლიბერალიზმის ერთ-ერთი მახასიათებელია, მაგრამ ვნახოთ, როგორია მისი სხვა კომპონენტების მიმართ წმინდა ქართული დამოკიდებულება.

ლიბერალიზმის უპირველესი, წმიდათაწმიდა ცნებაა ***ინდივიდუალიზმი,*** რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სოციალურ ჯგუფთან და ნებისმიერ კოლექტივთან შედარებით. ადამიანი უნიკალურია და თანაბარი მორალური ღირსებითაა აღჭურვილი. ამიტომ ლიბერალიზმი მოწოდებულია, შექმნას საზოგადოება, რომელშიც ყოველ ინდივიდს განვითარება და კეთილდღეობა უზრუნველყოფილი ექნება.

პიროვნების თავისუფლება ლიბერალიზმის ასევე ფუძემდებლური ფასეულობაა, რომელსაც უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე თანასწორობას, სამართლიანობას ან ძალაუფლებას. იგი პირდაპირ გამომდინარეობს ინდივიდუალიზმის აღიარებიდან და ყოველი ცალკეული ადამიანისთვის მისი შეხედულებით მოქმედების შესაძლებლობას გულისხმობს.

გონი. ლიბერალებს სწამთ, რომ სამყარო გონებით შეცნობას ექვემდებარება. ამიტომ გულისხმობენ, რომ ინდივიდს შეუძლია, დამოუკიდებლად მიიღოს გონივრული გადაწყვეტილებანი და საკუთარი საქმეების საუკეთესო მსაჯული იყოს. ამავე წარმოშო-

ბისაა ლიბერალების მიერ პროგრესის აღიარება და რწმენა, რომ ადამიანებს ნებისმიერი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების უნარი აქვთ, – მოლაპარაკებით და არა ძალადობით.

თანასწორობა. ინდივიდუალიზმი გულისხმობს იმასაც, რომ ადამიანები დაბადებით თანასწორნი არიან. აქედან გამომდინარეობს ლიბერალიზმის ერთგულება თანასწორობის პრინციპისადმი როგორც სამართლის, ისე პოლიტიკის სფეროში. მაგრამ ლიბერალები არ ცნობენ სოციალურ სამართლიანობას, ვინაიდან „დაბადებით თანასწორი" ადამიანები არ არიან თანასწორი უნარის თვალსაზრისით. ამიტომ ლიბერალები „შესაძლებლობათა თანასწორობაზე" აკეთებენ აქცენტს.

ტოლერანტობა. ლიბერალებს სწამთ, რომ სხვა ადამიანის უფლების აღიარება, – იფიქროს, ილაპარაკოს და იმოქმედოს საკუთარი შეხედულებით, – არის როგორც პიროვნების თავისუფლების, ისე საზოგადოების კულტურული და სხვა სახის გამდიდრების გარანტია. ამ ტრადიციისათვის საზოგადოების სიჯანსაღის მაჩვენებელია პლურალიზმი, რომელიც გამოიხატება კულტურულ ან პოლიტიკურ მრავალფეროვნებაში. პლურალიზმი ხელს უწყობს აზრთა გაცვლას საზოგადოებაში და მის განვითარებას, რადგან მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ამა თუ იმ თვალსაზრისის ჭეშმარიტებაში დარწმუნება იდეათა „თავისუფალ ბაზარზე".

საზოგადოებრივი თანხმობა, კონსენსუსი. ძალაუფლება და საზოგადოებრივი ურთიერთობანი უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოებრივ თანხმობას და ნებაყოფლობით შეთანხმებებს. ყოველგვარი მმართველობა უნდა ეყრდნობოდეს „მართულთა თანხმობას". ამიტომ ლიბერალები დემოკრატიისა და პოლიტიკური წარმომადგენლობითობის დოქტრინით ხელმძღვანელობენ. ასეთივე სქემა ვრცელდება საზოგადოებაზე მთლიანობაში; ორგანიზაციები და გაერთიანებები იქმნება ნებაყოფლობით, რომელშიც ადამიანები საერთო მიზნებით ერთიანდებიან. ამგვარად ძალაუფლება „ქვემოდან ზემოთ" მიემართება და საფუძველშივე ლეგიტიმურია.

კონსტიტუციონალიზმი. სახელმწიფო საზოგადოებაში წეს-

რიგისა და სტაბილურობის გარანტიაა, მაგრამ ძალაუფლება, თუ იგი არ შეიზღუდა, შეიძლება ტირანიად იქცეს. ეს ამოცანა ხელისუფლების დაყოფის, შეკავებისა და გაწონასწორების გზით და კოდიფიცირებული ან წერილობით გაფორმებული კონსტიტუციის მიღებით წყდება, რომელშიც უნდა გაიწეროს დამოკიდებულება სახელმწიფოსა და ადამიანს შორის.

აი ასე გამოიყურება ლიბერალიზმი ზოგადი პრინციპების დონეზე. ახლა ვეცადოთ, პუნქტობრივად გავაანალიზოთ, შესაძლებელია თუ არა ჩვენი შეთანხმება იმაზე, რომ „ლიბერალები ვართ"?

დავიწყოთ ინდივიდუალიზმით. რამდენად ინდივიდუალისტები ვართ? ვაღიარებთ თუ არა იმას, რომ ადამიანი უფრო ფასეულია, ვიდრე რომელიმე ერთობა, მაგალითად, „ქართველობა" ან „მართლმადიდებლობა"? ვაღიარებთ თუ არა იმას, რომ სხვა ინდივიდებიც უფრო ფასეული არიან, ვიდრე ეს ერთობები, მათ შორის ისინიც, ვისი აზრებიც და ცხოვრების წესიც ამ ერთობისთვის მიუღებელია? ყველას მაგივრად ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ ძალზე ხშირად ისმის საზოგადოებაში „ერთობისაკენ" მოწოდება, რომელიც უფრო ამ „ერთობაში" მიპატიჟებას ნიშნავს, ვიდრე ყოველი ცალკეული ადამიანის უპირატესობის აღიარებას კოლექტივის წინაშე. ჩვენში ჯერაც ძლიერია ლოგიკა „რას იტყვის ხალხი".

მზად ვართ თუ არა იმის აღიარებისთვის, რომ ადამიანი, რომელიც თავისი შეხედულებებითა და ქცევით ეწინააღმდეგება საყოველთაოდ მიღებულ თვალსაზრისს, ასევე ფასეულია და არ უნდა ვცადოთ მისი „გადაკეთება"?

ყოველთვის გვჯერა, რომ ადამიანის გონებას ყველაფრის ჩაწვდომა ძალუძს? რომ ადამიანი ყოველთვის გონივრულ გადაწყვეტილებებს იღებს? მზად ვართ, რომ სხვას არ ვასწავლოთ, როგორ იცხოვროს? გვჯერა, რომ ყოველი კონფლიქტის მოგვარება მოლაპარაკებით შეიძლება?

გვწამს, რომ ყველანი თანასწორნი ვართ? რომ კანონი ყველასთვის ერთია? რომ შეიძლება არსებობდეს „თანასწორი შესაძლებლობები"?

მოგვწონს თუ არა პლურალიზმი? ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ყველაფერზე შეიძლება არსებობდეს განსხვავებული აზრი? შეგვიძლია მოვითმინოთ ჩვენთვის მიუღებელი აზრი ან, მით უფრო, მოქმედება?

რას ნიშნავს ჩვენთვის საზოგადოებრივი თანხმობა? ყოველთვის ვეთანხმებით სახელმწიფოს მიერ დაწესებულ შეზღუდვებს (კანონი სწორედ შეზღუდვაა)? იზიარებს ხელისუფლება კანონების მიღებისას მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მოსაზრებას?

თუ დასმული შეკითხვების ნახევარზე მეტს დადებითი პასუხი ვერ გავეცით, როგორც ჩანს, ლიბერალიზმის პრინციპებზე შეთანხმებასთან მთლად კარგად არ უნდა გვქონდეს საქმე. ჩემი გამოცდილებით, თუ თავს არ მოვიტყუებთ, პასუხების ორი მესამედი მაინც უარყოფითი უნდა იყოს. კარგია ეს თუ ცუდი? ვერაფერს გეტყვით; როგორც უნდა იყოს, ხალხი თავს მოხვეულ იდეოლოგიებს არასოდეს ღებულობს. მან შეიძლება ისწავლოს არსებობა ამა თუ იმ იდეოლოგიის ბატონობისას, მაგრამ „ზემოდან" ან „გარედან" ზეწოლით იგი მისთვის ორგანული ვერ გახდება.

იქნებ ჩვენ **კონსერვატორები** ვართ?

კონსერვატორებისთვის ფუძემდებლური პრინციპია ***ტრადიციონალიზმი***, ანუ მისწრაფება, შეინარჩუნონ დროის გამოცდაგავლილი ტრადიციები და ინსტიტუტები. ტრადიცია წარსულში დაგროვილი სიბრძნე და გამოცდილებაა. იგი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ადამიანებს დროში განფენილი საზოგადოებრივი და ისტორიული კავშირების გრძნობას უღვივებს.

კონსერვატორები სამყაროს უსასრულო სირთულის წინაშე ადამიანის გონის შეზღუდულობზე მიუთითებენ და ***პრაგმატიზმს*** ეყრდნობიან. ისინი არ ენდობიან აბსტრაქტულ პრინციპებსა და თეორიებს, მიაჩნიათ, რომ პრაქტიკული ვითარებისა და მიზნების შესაბამისად უნდა იმოქმედონ.

ადამიანი არასრულქმნილია. იგი ხშირად უმწეო და სულმოკლეა, ეშინია იმ ფარგლების დატოვებისა, რომლებშიც ყველაფერი გამოცდილია, ისწრაფვის წყნარი, მოწესრიგებული ცხოვ-

რებისაკენ. ადამიანს აფუჭებს ეგოიზმი, სიხარბე და ძალაუფლებისკენ სწრაფვა. ამიტომ წესრიგის დასაცავად ძლიერი სახელმწიფო და მკაცრი კანონებია საჭირო.

ორგანიციზმი. სახელმწიფოს კონსერვატორები განიხილავენ არა როგორც ადამიანთა მოქმედების შედეგს, არამედ როგორც ორგანულ მთლიანობას, თითქმის ცოცხალ ორგანიზმს. შესაბამისად, საზოგადოება ბუნებრივი აუცილებლობის შედეგია, ხოლო სოციალური ინსტიტუტები – ოჯახი, თემი, ერი – საზოგადოების „ცოცხალი ქსოვილია" ან მისი ორგანოები. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კულტურა და საზოგადოებრივი ფასეულობები, ანუ ტრადიციები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრებისა და შიდასოციალური კავშირების შენარჩუნება.

იერარქია. კონსერვატორების რწმენით, ორგანულ საზოგადოებაში ბუნებრივი და გარდაუვალია განსხვავებანი სოციალური მდგომარეობისა და სოციალური სტატუსის მიხედვით. ადამიანებს სხვადასხვა როლები და მოვალეობები აქვთ, მაგალითად, მასწავლებელი და მოსწავლე, მშობელი და შვილი, დამსაქმებელი და დაქირავებული და ა. შ. მაგრამ ამ უთანასწორობას კონფლიქტი არ მოაქვს, რადგან საზოგადოება შიდა კავშირებით, ურთიერთვალდებულებებითაა შეკრული. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა საზოგადოების ზედა ფენებს ეკისრება: თუ მათ ბედმა გაუღიმა, ისინი ვალდებულნი არიან, იზრუნონ მათზე, ვისაც ნაკლებად სწყალობს ბედი.

ძალაუფლება და ავტორიტეტი. კონსერვატორებისთვის ავტორიტეტი და ძალაუფლება ქვემოდან კი არა, ზემოდან მოდის: მხოლოდ ჭეშმარიტ ლიდერს შეუძლია მისცეს საზოგადოებას მიმართულება და დაეხმაროს მათ, ვისაც თავად არ ჰყოფნის ცოდნა ან გამოცდილება. თუ ადრე ეს „ბუნებრივი არისტოკრატიიდან" მოდიოდა, ახლა ავტორიტეტი და ლიდერობა ცოდნითა და გამოცდილებით მიიღწევა.

კონსერვატორები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ***საკუთრებას,*** ანუ იმას, რაც ადამიანს დაცულობის გრძნობას ანი-

ჭებს, დამოუკიდებელს ხდის სახელმწიფოსაგან და აიძულებს, პატივი სცეს კანონსა და სხვის საკუთრებას. საკუთრება არა მხოლოდ უფლებებთან, არამედ მოვალეობებთანაც არის დაკავშირებული. გარკვეულწილად, ჩვენ მხოლოდ მეურვენი ვართ იმ საკუთრებისა, რომელიც წინაპარმა დაგვიტოვა, ხოლო ჩვენ ჩვენს შთამომავლობას უნდა გადავცეთ.

აქაც შეიძლებოდა პუნქტობრივად გაგვერკვია, რამდენად ახლოსაა ჩვენთან თითოეული პრინციპი, მაგრამ თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ მათ უმრავლესობაზე ჩვენი საზოგადოება უთუოდ დადებით პასუხს გასცემდა.

ზემოთ, როდესაც „ტეტჩერიზმზე" და „ვაშინგტონის კონსენსუსზე" ვსაუბრობდით, პარალელმა ჩვენი სოციალური ობიექტების გაყიდვასა და ყველაფრის საბაზრო ეკონომიკის ამარა მიტოვებაზე ჩვენი გულისწყრომა გამოიწვია. მართლაც, შეუძლებელია საზოგადოების ყველა სიკეთე მხოლოდ „მომგებიანობით" განისაზღვროს. სწორედ ამის გამო, რაკი თვალნათელი გახდა ბრიტანეთის ორად გაყოფა – „მდიდრებისა და ღარიბების ერად", ბენჯამინ დიზრაელიმ თავის დროზე მოუწოდა მმართველ წრეებს, გაეტარებინათ „რეფორმა ზემოდან", სანამ არ მომხდარა „რევოლუცია ქვემოდან". გასული საუკუნის 50-იან წლებში ბრიტანელმა კონსერვატორებმა „შუალედური გზის" დოქტრინა აღიარეს და სოციალური რეფორმების გზას დაადგნენ. ამავე დროს ისინი ეკონომიკის მიმართ პრაგმატულ მიდგომას ამჟღავნებდნენ. ეს ე. წ. **პატერნალისტური კონსერვატიზმია.**

„ახალი მემარჯვენეები" 1970-იან წლებში ჩამოყალიბდა. სწორედ მას უწოდებენ „ტეტჩერიზმსა" და „რეიგანიზმს". „თავისუფალი ეკონომიკა და ძლიერი სახელმწიფო" – ასეთია მათი ლოზუნგი.

ნეოლიბერალიზმის ორი საყრდენია ბაზარი და ინდივიდი. მისი ამოცანაა სახელმწიფოს როლის შემცირება იმ იმედით, რომ რეგულირებისგან განთავისუფლებული კაპიტალისტური ეკონომიკა თავად მოიტანს ეკონომიკის ეფექტიანობას, ზრდას და კეთილდღეობას. მათი რწმენით, „ყველაფერი კერძო კარგია,

ყველაფერი საზოგადო – ცუდი". სახელმწიფო-ძიძამ წარმოშვა დამოკიდებული საზოგადოება და სრულიად გააძევა თავისუფლება, რომელიც ბაზარზე არჩევანის თავისუფლებას გულისხმობს. ამას ნეოლიბერალიზმი ინდივიდის თვითკმარობას, მის პასუხისმგებლობასა და მოხერხებულობას უპირისპირებს. დღეს ეს იდეები გლობალურ სივრცეზე გადის და ნეოლიბერალური გლობალიზაციის სახეს იღებს.

ნეოკონსერვატიზმი მთავარ მიზნად მიიჩნევს ააღორძინოს ტრადიციული ღირებულებები, განსაკუთრებით, ოჯახთან, რელიგიასთან და ერთან დაკავშირებული. მათი აზრით, მხოლოდ ავტორიტეტს შეუძლია საზოგადოებაში სტაბილურობის გარანტირება, ვინაიდან იგი დისციპლინასა და ტრადიციების პატივისცემას განაპირობებს. ნეოკონსერვატორების შეშფოთებას იწვევს პოლიკულტურულობა და პოლირელიგიურობა, რაც, მათი აზრით, კონფლიქტების და არასტაბილურობის საფრთხეს შეიცავს. ისინი ეჭვის თვალით უყურებენ ზეეროვნული წარმონაქმნების (გაერო, ევროკავშირი) ზრდას.

სოციალიზმი, რომელიც ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწი
დასაფლავებული ჰგონია, თავს მშვენივრად გრძნობს (თუ
მას, ცხადია, საბჭოთა კავშირთან საერთო არაფერი აქვს). მ
ძირითადი ელემენტებია:

საზოგადოება. მთავარი სოციალიზმში ის არის, რომ იგი ადამიანს საზოგადოებრივ არსებად მიიჩნევს, რომელიც თავისი არსებით მთელ კაცობრიობასთან არის დაკავშირებული. საზოგადოება ადამიანის განვითარების უმთავრესი ფაქტორია. პიროვნება სწორედ საზოგადოებრივი ურთიერთობების, სოციალური ჯგუფებისა და კოლექტივების ზემოქმედებით ყალიბდება.

ძმობა. სოციალისტები აღიარებენ თანამშრომლობის პრიორიტეტს კონკურენციის საპირისპიროდ, კოლექტივიზმისას – ინდივიდუალიზმის საწინააღმდეგოდ. თანამშრომლობა საზოგადოებრივ თანხმობას ბადებს, ხოლო კონკურენცია – კონფლიქტებს.

საზოგადოებრივი თანასწორობა. ეს სოციალიზმის ფუძემდებლური პრინციპია. განსაკუთრებული მნიშვნელობა სოციალურ

თანასწორობას ენიჭება. იგი ასევე საზოგადოების სტაბილურობის გარანტად არის მიჩნეული.

მოთხოვნილება. სოციალური თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, მატერიალური სიკეთე საზოგადოებაში უნდა ნაწილდებოდეს მოთხოვნილების მიხედვით. ალბათ გვახსოვს მარქსის კლასიკური ფორმულა „თითოეულისაგან შესაძლებლობის მიხედვით, თითოეულს – მოთხოვნილების შესაბამისად", რომელიც კომუნიზმის პირობებს გულისხმობდა. ადამიანი მხოლოდ პირველადი მოთხოვნილების (სურსათი, წყალი, თავშესაფარი, უსაფრთხოება და ა. შ.) დაკმაყოფილების შემდეგ იწყებს მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საზოგადოებრივი კლასი. საზოგადოებას გარკვეული კლასობრივი სტრუქტურა აქვს, თუმცა, იგი წარმავალია და სოციალისტების ამოცანაა ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა ან შერბილება.

საზოგადოებრივი საკუთრება. წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება საშუალებას იძლევა, მატერიალური რესურსები საერთო სიკეთისათვის იქნას მოხმარებული, მაშინ როცა კერძო საკუთრება იწვევს ეგოიზმს, სიხარბეს და საზოგადოებას ურთიერთდაპირისპირებულ მდიდრებად და ღატაკებად ყოფს. თუმცა, დღეს სულ უფრო ხშირია „შერეული ეკონომიკის" მოდელები.

მარქსიზმზე, ფაშიზმზე, ანარქიზმზე და **ეკოლოგიზმზე** აღარ შევჩერდები. მით უფრო, რომ ეს იდეოლოგიები საქართველოში წარმოდგენილი არ არის („მწვანეთა პარტიის" გარდა). პარტიები ამომრჩევლისთვის მხოლოდ პერსონალიებით არის ცნობადი, ხოლო რაც შეეხება იდეოლოგიას, მან, როგორც ჩანს, იმდენად მოაბეზრა თავი საბჭოთა სინამდვილიდან ადამიანებს, რომ დღესაც კი, 20 წლის შემდეგ მაინცდამაინც დიდი ნდობით არ ეკიდებიან. არადა, პარტიის დასახელება მის იდეოლოგიაზე მიანიშნებს სწორედ და ამ „პაროლით" უნდა ხვდებოდეს ამომრჩეველი, თუ რას უპირებს მას ესა თუ ის პარტია ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. ამის ნაცვლად არჩევანი კვლავ „მგზნებარე" რიტორიკის მიხედვით კეთდება.

ალბათ ამ თემაზე საზოგადოებაში კარგა ხნის წინ უნდა გაშლილიყო ფართო მსჯელობა, მაგრამ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ეს არ მოხდა. ცალკეულ „გამოფხიზლებას" შედეგი არ მოუტანია. ამიტომაცაა, რომ უკვე 16 წელია, ვერავინ იტყვის დანამდვილებით, თუ რა იდეოლოგიის ძალა მართავს ქვეყანას. 1998 წლამდე „მოქალაქეთა კავშირი" აშკარა ლიბერალურ რეფორმებს ატარებდა, მაგრამ, როგორც კი გამოიკვეთა ელექტორატის მხარდაჭერა მემარცხენე პარტიებისადმი (ლეიბორისტები, სოციალისტები), „მოქალაქეთა კავშირი" სასწრაფოდ გაწევრიანდა სოციალისტურ ინტერნაციონალში. ახლაც, როცა მაშინდელი „მოქკავშირის" ბირთვმა ნაციონალურ მოძრაობაში „დემოკრატების" გავლით გადაინაცვლა, მათ მიერ გატარებული პოლიტიკა რაიმე მკაფიო პოლიტიკური მიმდინარეობის პრინციპებს არ ექვემდებარება. ამიტომ ხდება, რომ სალარო აპარატები ხან შემოაქვთ, ხან აუქმებენ, მცირე ბიზნესს ხან საგადასახადო შეღავათებს ჰპირდებიან, ხანაც ივიწყებენ. ხან კოსმოპოლიტები არიან, ხან (როცა გაუჭირდებათ) „ეროვნულები". ხან ლოტოტრონით ნიშნავენ დირექტორებს, ხანაც გაოცებით კითხულობენ, ეს როგორ დაგვემართაო.

ჩვენმა პარტიებმა და მათმა ლიდერებმაც მშვენივრად აუღეს ალღო არსებულ ვითარებას და პერიოდულად იმგვარ ლოზუნგებს ისვრიან, მათ ორიენტაციასთან რომ საერთო არაფერი შეიძლება ჰქონდეს. მემარჯვენე პარტიები აშკარად სოციალისტურ რიტორიკაში ვარჯიშობენ, მემარცხენეები კონსერვატორულ პრინციპებს ქადაგებენ და ყველა ერთად ხალხს ეკეკლუცება.

ელექტორატი მიეჩვია ამგვარ ყოფას და მხოლოდ იმ პერიოდში „ხეირობს", როცა პარტიები წინასაარჩევნოდ „უქონავენ თავს". ეს მახინჯი პრაქტიკა მანანდე არ დამთავრდება, ვიდრე ამომრჩეველი მკაფიოდ არ მოსთხოვს პასუხს იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც პლატფორმებს ხელთათმანივით იცვლიან.

შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ეს არ არის დიდი მნიშვნელობის საკითხი; ბოლოს და ბოლოს, მთავარია, ამ მოცემულ მომენტში ხალხმა შვება იგრძნოს და პარტია რომელი მიმართულებისა იქ-

ნება, ეს სულ ერთია. ასეც იქნებოდა, რომ არა მარტივი ჭეშ-მარიტება: ყოველ გადადგმულ ნაბიჯს პოლიტიკაში თითქმის დაუყოვნებლად მოჰყვება შედეგი, რომელიც შემდგომ ნაბიჯებს განაპირობებს. მაგალითისათვის, თავდაცვაც და სოციალური სფეროც ერთი ბიუჯეტიდან საზრდოობს. ყველაფერს დანარჩენს რომ დავანებოთ თავი, ერთის პრიორიტეტულობა მეორის შეზ-ღუდვას იწვევს და პირიქით.

დღევანდელი მრავალპარტიულობის მიუხედავად, ჩვენი პო-ლიტიკური სპექტრი მეტად ღარიბია. ძირითად საკითხებზე, რო-გორიცაა აშშ სტრატეგიული პარტნიორობა, საბაზრო ფუნდა-მენტალიზმი, სახელმწიფოს მიერ სოციალურ ფუნქციებზე უარის თქმა, – თითქმის ყველა პარტია საერთო აზრისაა. აქედან მოდის ეს ზოგადი ფრაზაც, – „შევთანხმდეთ იმაზე, რომ ლიბერალები ვართ!" შევთანხმდეთ, მაგრამ მერე ნულარავის ვუსაყვედურებთ ყოველივე იმაზე, რაც ასე არ მოგვწონს ჩვენს გარშემო.

როდესაც ტეტჩერის სოციალურ პოლიტიკას ვიწუნებთ, მხედ-ველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით იგი შეუვალი იყო ნებისმიერი საფრთხის მიმართ, რომელიც ბრიტანეთის სუვერენიტეტს ემუქრებოდა. იგი უმალ საერთაშორისო კონვენციებიდან გასვლას მოაწერდა ხელს, ვიდ-რე ბრიტანულ კანონმდებლობაში გარე ჩარევას.

არ არსებობს იდეალური იდეოლოგიები, არსებობს ამოცანები, რომელთა გადაჭრა გადაუდებელია და სხვა თუ არაფერი, ამომ-რჩეველმა ეს მაინც უნდა გადაწყვიტოს. დღეს ხშირად გაიგონებთ: „საზოგადოების დაკვეთაა ოპოზიციის გაერთიანება!" თითქოს ოპოზიცია იყო საქართველოს მიზანი! მიზანი წმინდა პოლიტიკური უნდა იყოს, მაგალითად, ტერიტორიული მთლიანობა, სოციალური პირობები, სამართლიანი სასამართლო (ეს სია გრძელია დღე-ვანდელ საქართველოში) და მის შესრულებას ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს უნდა ასწრებდნენ. თუ არა და ხელში ხე-ლისუფლებაში მოსული „გაერთიანებული ოპოზიცია" შეგვრჩება, ხოლო ყველა პრობლემა – ისევ მოუგვარებელი.

თავი VIII. „საქართველო პრეზიდენტის გარეშე!“

პრეზიდენტის კურსით უკმაყოფილების გამო ახლა მეტად პოპულარული გახდა საპარლამენტო რესპუბლიკის იდეა. რატომღაც მიჩნეულია, რომ ეს მოდელი უფრო დემოკრატიულია და საზოგადოების განწყობილებების შეცვლას უფრო ოპერატიულად უპასუხებს, რადგან პრემიერ-მინისტრი არა პირდაპირი წესით, არამედ საპარლამენტო უმრავლესობით აირჩევა. ეს იყო ზურაბ ჟვანიასთვის მეტად ხელსაყრელი მოდელი, ვინაიდან მას პირდაპირი წესით მოსახლეობა პრეზიდენტად არ აირჩევდა, ხოლო პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა არჩევნებში მიღებული ხმების მიუხედავად მისი, ხათუნა გოგორიშვილისა და კიდევ რამდენიმე მოქკავშირელის „ნოუჰაუ“ იყო. ჟვანიას რომ დასცლოდა, დღეს, შესაძლოა, მართლაც საპარლამენტო რესპუბლიკა გვქონოდა. თუმცა, ისტორია ვერ იტანს ამგვარ დაშვებებს. ისტორია ის არის, რაც უკვე იყო და არა ის, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო.

საპარლამენტო მოდელი არც ასე მარტივია. პრემიერ-მინისტრი, რომელსაც პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს, სინამდვილეში პრეზიდენტზე უფრო ძლიერია. უმრავლესობა ვალდებულია, ხმა მისცეს ბიუჯეტს, მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტებს, სხვა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კაბინეტი უნდა გადადგეს და დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ოპოზიციას გავლენა ამ მოდელში არა აქვს.

პრეზიდენტი და მისი კაბინეტი არ არიან დამოკიდებული პარლამენტის კენჭისყრაზე. მისი ვადა განსაზღვრულია. დეპუტატები, რომელთაც თავიანთი ოლქების ამომრჩეველთა მხარდაჭერა სჭირდებათ, შეიძლება არ დაეთანხმონ თავიანთი პარტიის ან პრეზიდენტის წინადადებას.

კოალიციური მთავრობისას (როცა არც ერთ პარტიას არ ჰყავს უმრავლესობა), მინისტრთა კაბინეტი სუსტია.

ახლა, 5 იანვრის არჩევნების შემდეგ, როცა სააკაშვილს აღარ დარჩა „სათადარიგო" საპრეზიდენტო ვადა, კვლავ საპარლამენტო მოდელზე საუბარი მის წისქვილზე ასხამს წყალს. თუ 2008 წლის იანვრის არჩევნებზე მის 53%-ს ვენდობით, მას უჩნდება შანსი, მეორე ვადის შემდეგ უკვე პრემიერ-მინისტრად მოგვევლინოს. თუ ეს პროცენტი, როგორც ამბობენ, გაყალბებულია, მაშინ უმრავლესობა არავის ეყოლება და კოალიციური მთავრობა, ანუ მყიფე წონასწორობა გველის. პერმანენტული საპარლამენტო არჩევნები კი ქვეყნის სტაბილურობას აშკარად დააზარალებს.

2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნებმა ნათლად აჩვენა, რომ სააკაშვილი ძალაუფლების განაწილებას არავისთან აპირებდა. ამ არჩევნების შემდეგ ოპოზიციის ძირითადმა ნაწილმა უარი თქვა საპარლამენტო მანდატებზე, ხოლო პრეზიდენტმა კოალიციურ მთავრობაზე დაიწყო ლაპარაკი. ანუ ისე გამოვიდა, რომ ოპოზიციამ კი ვერ მოიპოვა კოალიციისთვის საჭირო მხარდაჭერა (ნაციონალურმა მოძრაობამ საკონსტიტუციო უმრავლესობა მიიღო პარლამენტში), მაგრამ სააკაშვილი „დიდსულოვნად" სთავაზობდა მას წარმომადგენლობას ხელისუფლებაში, რაც, რა თქმა უნდა, ვერანაირად ვერ ჯდება ნორმალური პოლიტიკური პროცესის ჩარჩოებში.

პოლიტიკურ ძალთა შეთანხმებაზე და „პროფესიონალთა მთავრობაზე" ფიქრი შეიძლებოდა 2003 წლის არჩევნების შედეგებით, როცა ოპოზიციამ ერთობლიობაში ხმათა უმრავლესობა მიიღო, მაგრამ მაშინ „ვარდების რევოლუციის" ერთადერთი ნამდვილი მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ის იყო, რომ რევოლუციურ პოლიტიკურ ძალებს არავისთვის არ სურდათ ანგარიშის გაწევა. ხელისუფლება მონოპოლიზებული უნდა ყოფილიყო და რევოლუციის გზით მიაღწიეს კიდეც ამას. თუ რა მოაქვს ამგვარ „მონოპოლიას", ჩვენმა საზოგადოებამ სრულად იწვნია.

საოცარია ის ერთსულოვნება, რომლითაც პოლიტიკური პარტიები დუმან 2003 წლის არჩევნების ირგვლივ (თუ არ ჩავთვლით ზოგად ფრაზებს გაყალბების შესახებ). როდესაც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ერთ-ერთი ოლქის თავმჯომარე გენერალურ პროკურატურაში დაიბარეს. „არჩევნები გაყალბდა!" განუცხადა მას გამომძიებელმა. „დიახ, ბატონო" – დაეთანხმა იგი. „როგორ, მეთანხმებით?" – გაიკვირვა გამომძიებელმა. „როგორ არ დაგეთანხმოთ, აბა, ამხელა რევოლუცია ტყუილად ხომ არ მოხდებოდაო" – მიუგო კომისის თავმჯდომარემ. „კი, მაგრამ, ვინ გააყალბა არჩევნები?" – იკითხა გამომძიებელმა. „რა ვიცი, ბატონო, ვინც მოიგო, ის გააყალბებდაო", – უპასუხა თავმჯდომარემ. „მერედა, ვინ მოიგო?" „მთაწმინდაზე – გიგი წერეთელმა, სამგორში – მიხეილ მაჭავარიანმა, საბურთალოზე – გივი თარგამაძემ, გლდანში – კობა დავითაშვილმა, დიდუბეში – გია ბარამიძემ, ვაკეში – ლევან გაჩეჩილაძემ, კრწანისში – გია გეწაძემ, ჩულურეთში – ბესო ჯუღელმა, თელავში – თამაზ ხიდაშელმა, ვანში – ბეჟან ხურციძემ, გორში – ირაკლი ოქრუაშვილმა, ქუთაისში ნინო ბურჯანაძემ, საკმარისია, პატივცემულო, თუ კიდევ გავაგრძელოო?"

მართლაც, სრულიად გაუგებარი იყო არჩევნების გაყალბება იმგვარად, რომ ოპოზიციას მოეგო. ან როგორ მოხდა, რომ ერთსა და იმავე უბნებზე, ერთსა და იმავე დღეს, ერთ კონვერტში ჩადებული სამი ბიულეტენიდან ორი გაუყალბებელი აღმოჩნდა და ერთი – პარტიული სიით ასარჩევი – გაყალბებული! დღეს ხშირად ისმის საყვედურები ხელისუფლების მისამართით იმასთან დაკავშირებით, რომ არ გააუქმეს 2003 წლის მაჟორიტარული არჩევნების შედეგები. არგუმენტად ის მოჰყავთ, რომ მაჟორიტარები, როგორც წესი, ფულით იმარჯვებდნენ და თანაც, ყოველთვის სახელისუფლებო ძალის ერთგულნი იყვნენ, განურჩევლად იმისა, თუ რომელი ხელისუფლება იქნებოდა. სინამდვილეში მიზეზი სულ სხვაა. 2003 წლის არჩევნებში გამარჯვებულ მაჟორიტართა შორის უმეტესობა ჟვანია-ბურჯანაძის ბლოკის წევრები იყვნენ, ხოლო ხელახალი არჩევნებისას ამ ადგილებს

მათ ნაცვლად უკვე რადიკალი „ნაციონალები" მოიპოვებდნენ და ჟვანია პარლამენტში, ფაქტობრივად, დასაყრდენის გარეშე დარჩებოდა (ამის ნათელი დადასტურება იყო ის, რაც სიაში ადგილების გამო მოხდა ნაციონალებსა და დემოკრატებს, ხოლო დემოკრატებში – ჟვანიასა და ბურჯანაძეს შორის). ამიტომ მოხდა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით თავისთავად საეჭვო გადაწყვეტილება იქნა მიღებული და არჩევნების მხოლოდ ის ნაწილი გააუქმეს, რომელიც ხელს აძლევდათ. თუმცა, ეს მაინცდამაინც არ უნდა გვიკვირდეს, თუ ყირგიზეთის „ტიტების" რევოლუციას გავიხსენებთ: იქ საერთოდ ძალაში დატოვეს არჩევნების შედეგები, რომელთა გაყალბების საბაბითაც მოხდა რევოლუცია! ნათქვამია, „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო".

რაც შეეხება 2003 წლის პროპორციულ (პარტიული სიებით) არჩევნებს, მაშინ სახელისუფლებო ბლოკმა უპრეცედენტოდ დაბალი პროცენტი მოიპოვა. უკანასკნელ, 5 იანვრის არჩევნებზე ხშირად გაიგონებდით, რომ სააკაშვილს ხმების 30% ისედაც „ჯიბეში უდევს". კი მაგრამ, 2003 წელს ხელისუფლებაში მარტო ობლები იყვნენ? ან ოჯახის წევრები არ ჰყავდათ, ან ნათესავები, ან მეგობრები, ან თანამშრომლები? რატომ გაუკვირდათ მაშინ სახელისუფლებო ბლოკის 22%?

პარლამენტის წევრი გუგული მაღრაძე (ნაციონალური მოძრაობის სიით) უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ინტერვიუში ამბობს: *„მე ვერ გეტყვით, რამდენი პროცენტით გაყალბდა არჩევნები, მაგრამ რამდენი პროცენტიც უნდა იყოს, ხელისუფლებას ეს არ უნდა დაეშვა. მაშინ, ოთხი წლის წინათ, არჩევნების მხოლოდ 4%-ით გაყალბებაზე იყო ლაპარაკი. დიახ, „ნაციონალურ მოძრაობაზე"* ***ოთხი თუ ხუთი პროცენტით მეტი დაუწერეს თუ მიიღო*** *სახელისუფლებო გუნდმა და ამას მოჰყვა ხელისუფლების შეცვლა!.. დასავლეთმა შევარდნაძეც დიდხანს ინახა, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ის აღარ იყო სტაბილურობის გარანტი, მაშინვე შეცვალა!"* [135] ასე ხდება

135. გაზეთი „ასავალ-დასავალი", №3, 2008.

ხოლმე: 2003 წელს 4% რევოლუციის საბაბად იქცევა, ხოლო 2008-ში – მეორე ტურისთვისაც არ კმარა! ყველაზე საინტერესო კი უკანასკნელი ფრაზაა, რომელიც პირდაპირ მიუთითებს რევოლუციის წყაროზე. ხოლო თუ რატომ „აღარ იყო შევარდნაძე სტაბილურობის გარანტი", ეს უკვე რევოლუციური საფანელის ფუნქციას ასრულებს და სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო (ფაქტობრივად, შევარდნაძემ „სტაბილურობის გარანტის" ფუნქცია გადადგომის შემდეგაც შეასრულა, თორემ სხვა შემთხვევაში რამდენად ხავერდოვანი აღმოჩნდებოდა ის რევოლუცია, რთული სათქმელია).

კიდევ ერთი მეტად საინტერესო საკითხია არჩევნების მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულება. ბრიტანელი პოლიტოლოგი ჯ. ლაფლენდი, რომელიც თავად არაერთხელ იყო დამკვირვებელი არჩევნებზე, სატელევიზიო ინტერვიუში აცხადებს, რომ დსთ-ს პროდასავლურ რესპუბლიკებში ეუთო-ს სადამკვირვებლო მისია არჩევნების შედეგებს აღიარებს, ხოლო არადასავლურში – არა. მისი აზრით, ეს ერთგვარი სასჯელია დამოუკიდებელი გადაწყვეტილებებისთვის. დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ეუთოს 2008 წლის დასკვნა კიდევ უფრო მძიმეა, ვიდრე 2003 წელს. არავინ ამბობს, რომ მაშინ ეუთოს საბოლოო დასკვნას არავინ დალოდებია. რევოლუციის შემდგომ დასკვნა მხოლოდ სტატუს-კვოს გამყარებას ემსახურებოდა. ხოლო რევოლუციის გარეშე ამ დასკვნებს რა ფასიცა აქვს, ეს ქართულმა საზოგადოებამ 2008 წელს კარგად დაინახა. სომხეთში ჩატარებული არჩევნების შემდეგ „უოლ სტრიტ ჯორნალმა" საბინა ფრეიზერის (International Crisis Group-ის წარმომადგენელი) წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც ვკითხულობთ: *„ამ რეგიონში არჩევნებზე დაკვირვება ეუთოს მოვალეობაში შედის, თუმცა ბევრი საერთაშორისო დამკვირვებელი სრულ და საბოლოო შეჯამებას არ ელოდება და საკუთარ მოსაზრებებს თვითონ გამოთქვამს. უცხოელი დეპუტატები, რომლებიც დაკვირვებაში მონაწილეობენ მხოლოდ ხმის მიცემის დღეს,*

რომელიც, ბუნებრივია, ყველას ინტერესს იწვევს, ძალზე ხშირად ზედმეტ ენთუზიაზმს ავლენენ არჩევნების შედეგების დამაკმაყოფილებლად ჩათვლის მზადყოფნაში. ხელისუფლებაში მყოფთა ან ამ ხელისუფლების კანდიდატის მხარდაჭერით ისინი, ჩვეულებრივ, „რეგიონული სტაბილურობის" სახელით საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იღვწიან ან, უბრალოდ, ცდილობენ, მათ მოკავშირეებს სახელისუფლებო უფლებამოსილების შენარჩუნებაში დაეხმარონ.

მაგრამ ეუთოს აქვს კიდევ ერთი ქვეგანყოფილება – ბევრად უფრო ტექნოკრატიული – დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ბიურო (ODIHR), რომელიც თავის დამკვირვებლებს კვირაობით ან თვეობითაც კი გზავნის, რათა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას ობიექტური შეფასება მისცენ. აღნიშნული ბიუროს პერსონალი არ ცდილობს, გამოჩნდეს პრესის სათაურებში, ისე, როგორც მცირე ხნით ჩასული ოფიციალური პირები, თუმცა, ჩვეულებრივ, მათი შეფასებები ბევრად უფრო დიდ ნდობას იმსახურებს.

ასეთი ორმაგი შეფასების შედეგი ამგვარია: მსოფლიო საზოგადოება ჯერ იჯერებს არჩევნების იმ შედეგებს, რომლის შესახებაც იუწყება ხელისუფლება და ამით ამყარებს მათ პრეტენზიებს ლეგიტიმურობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ ჩნდება დარღვევების შესახებ დეტალური ანგარიშები, რომლებიც არჩევნებში გამარჯვებას პეწსა და მიმზიდველობას უკარგავს. საბოლოო ჯამში, გამარჯვებულებსაც და დამარცხებულებსაც უჩნდებათ ძლიერი არგუმენტები საკუთარი თავის სასარგებლოდ, ხოლო ნდობა საარჩევნო პროცესისადმი კიდევ უფრო მცირდება".[136]

ეს ვრცელი ამონარიდი მრავალმხრივ საინტერესოა. თუ ავტორს ვენდობით, ხანმოკლე დამკვირვებლები სუბიექტურად მოქმედებენ და გარკვეულ ძალებს მხარს უჭერენ (რაც სულაც არ არის სიმართლისგან შორს. ამის მაგალითები 2003 წელსაც უხვად იყო). მაშინ რისთვის ჩამოჰყავს ისინი ეუთოს? იმისთვის,

136. http://www.inosmi.ru/translation/240200.html.

რომ, მაგალითად, მათ საბოლოო დასკვნასთან წინააღმდეგობაში მოვიდნენ? სინამდვილეში ამ დილემას მარტივი გასაღები აქვს: საბოლოო დასკვნის დადებამდე პერიოდი სჭირდებათ იმისათვის, რომ ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა (ძირითადად, აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა, რომლებმაც უკანასკნელ წლებში უპირობო გავლენა მოიპოვეს ეუთოზე) შეიმუშაონ საერთო მიდგომა და მათთვის მნიშვნელოვან სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე ვაჭრობა გააჩაღონ „ცალ ფეხზე მდგომ“ ხელისუფლებასთან. სწორედ ამ ვაჭრობის შედეგად ირკვევა, საკმარისია თუ არა ეუთოს საბოლოო დასკვნებში მოყვანილი დარღვევები, რომ ამ სახელმწიფოებმა არჩევნების შედეგები არ ცნონ.

სწორედ ამიტომ არ დაელოდნენ ჩვენი რევოლუციონერები ეუთოს საბოლოო დასკვნას. ხოლო დარდი „საარჩევნო პროცესისადმი ნდობის შემცირების“ შესახებ მაშინ არავის აწუხებდა, მათ შორის არც დღევანდელი ოპოზიციის იმ ნაწილს, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემოქმედთა გვერდით იდგა. დღეს ისინი ეუთოს სთხოვენ მხარდაჭერას, როცა კარგად იციან, რომ ეუთო მხოლოდ იმ პოლიტიკური მხარდაჭერის გამხმოვანებელია, რომელსაც წევრი სახელმწიფოების ლიდერები ჩასძახებენ. თუმცა, აქ ოპოზიციაზე მთლიანობაში ვერ ვისაუბრებთ; მისმა ნაწილმა მშვენივრად მოახერხა დღევანდელ ხელისუფლებასთან მომავალი საპარლამენტო ადგილებით პოლიტიკური ვაჭრობა, სანამ სხვები ახალი რევოლუციის მხარდაჭერას უცხოეთიდან ელოდნენ. ამითვე აიხსნება ისიც, თუ რატომ არ გამოიყენა გაერთიანებულმა ოპოზიციამ ხალხის 200.000-იანი მასა, რომელიც ახალ რევოლუციას მოითხოვდა; მიზეზი იმაში კი არ იყო, რომ „სხვების სიცოცხლეს გაუფრთხილდნენ“, არამედ იმაში, რომ დასავლეთიდან მათთვის მწვანე შუქი არ აუნთიათ, როგორც ეს 2003 წელს მოხდა.

ლოზუნგი „საქართველო შევარდნაძის გარეშე“ ოთხი წლის შემდეგ შეცვალა ლოზუნგმა „საქართველო სააკაშვილის გარეშე“, მაგრამ ხანგრძლივი და ინტენსიური კონსულტაციების შემდეგ

აშშ-სა და დასავლეთ ევროპასთან ჩვენმა ოპოზიციამ ეს ლოზუნგი რბილად ჩაანაცვლა ახლით: „საქართველო პრეზიდენტის გარეშე", ხოლო სულ მალე რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატურების მთელი წყება წარმოადგინა! არგუმენტი, რომ ახლად არჩეული ოპოზიციონერი პრეზიდენტი ამ პოსტს საკუთარი სურვილით გააუქმებდა, სრულიად უსაფუძვლო იყო, რადგან „ნაციონალური პარლამენტის" პირობებში სასურველ საკონსტიტუციო შესწორებებზე ფიქრიც და ზოგადად, ქვეყნის მართვის რეალური ბერკეტების დაუფლებაც, ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა. საპარლამენტო არჩევნების წინაც იმის დაპირება, რომ „მაშინვე დაიწყებდნენ პრეზიდენტ სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურას", ასევე საფუძველს მოკლებული იყო, რადგან იმპიჩმენტის პროცედურის მხოლოდ წამოწყებას პარლამენტის წევრთა ერთი მესამედის ხელმოწერა სჭირდება, შემდგომ კი საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაამტკიცოს, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია (რაც ასევე ძნელად დასაჯერებელია), ხოლო პროცედურის ბოლომდე მიყვანა იმდენად რთულია, რომ ამის, ალბათ, არც იმათ სჯერათ, ვინც ამგვარ დაპირებებს იძლევა. დასანანია, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ხალხს ამდენად მიამიტად მიიჩნევს და ამავე მიზეზით, ხალხი ორივეს უნდობლობით უპასუხებს, რაც ოპოზიციის შიმშილობისას თვალსაჩინოდ გამოჩნდა. ამომრჩევლის იმედგაცრუება კარგს არაფერს მოასწავებს პოლიტიკური აქტორებისათვის, მაგრამ, როცა ასარჩევად გაქვს საქმე, – საკუთარ ხალხს დაეყრდნო, თუ დასავლეთს, რომლის თანხმობის გარეშეც რევოლუციის დაწყებას ვერ ბედავ, – როგორც ჩანს, ამომრჩეველი ნაგებისათვისაა განწირული.

თავი IX. ნეიტრალიტეტი და ინტეგრაცია

„ნატო იმისათვის შეიქმნა, რომ ამერიკელები ევროპაში ყოფილიყვნენ, გერმანელები – ევროპის ქვეშ, ხოლო რუსები – ევროპის მიღმა“.

ჯულიან ემერი
ბრიტანეთის პარლამენტის წევრი

სულ ახლახან გახსნილი რუსული საიდუმლო არქივები ნათელყოფს, რომ 1952 წლის მარტში სტალინმა (გარდაცვალებამდე ზუსტად ერთი წლით ადრე) შესთავაზა აშშ-ს ორად გაყოფილი გერმანიის გაერთიანება იმ პირობით, რომ ახალი გერმანული სახელმწიფო არ შეუერთდებოდა სამხედრო ალიანსს (ნატო) საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ვაშინგტონმა უყოყმანოდ უარყო ეს წინადადება, თუმცა ითვლებოდა, რომ აშშ-მ მთელი ძალისხმევა სწორედ გერმანიის გაერთიანებას მიუძღვნა 1989 წლის ჩათვლით. *„ამას წინათ გამოქვეყნებულმა საარქივო დოკუმენტებმა ამ სფეროს მრავალი სპეციალისტი გააოცა. ისინი შეიცავდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ ლავრენტი ბერია მიმართავდა დასავლეთის ქვეყნებს წინადადებით, გერმანია გაეერთიანებინათ და ექციათ იგი სამხედრო თვლსაზრისით ნეიტრალურ ქვეყანად. მან ღიად გამოხატა სურვილი, „დაეთმოთ ევროპაში კომუნისტური საყრდენი, რათა შეესუსტებინათ დასალეთისა და კომუნისტების წინააღმდეგობანი და მტრობა“ და გაეუმჯობესებინათ პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები საბჭოთა კავშირის შიგნით. ჯეიმს უორბურგის აზრით, იმ პერიოდის საერთაშორისო პოლიტიკაში ამგვარი შესაძლებლობა არსებობდა, მაგრამ არჩევანი გაკეთდა დასავლეთ გერმანიის ნატოში წევრობის სასარგებლოდ.“*[137] 1955 წელს დასავლეთ გერმანია ნატოში შევიდა.

137. Н. Хомский, «Гегемония или борьба за выживание», М. «Столица принт», 2007, გვ. 364.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „გაყოფილი" საქართველოსათვის, რომლის ავტონომიები რუსეთისკენ ისწრაფვიან. დღეს ნატოს სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება, სულ მცირე, ათწლეულებით გადაავადებს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაჭრას. ძნელად სავარაუდოა, რომ აშშ-ს გერმანიის გაერთიანებაზე მეტად ადარდებდეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოსათვის დაბრუნების საკითხი. ამის ნიშან-წყალიც არ ჩანს. მეტიც, ისევე, როგორც გერმანიის შემთხვევაში, ტერიტორიების საკითხი აქაც ნაკლებად მნიშვნელოვანია ნატოს წევრობასთან შედარებით (2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ამ თვალსაზრისის მართებულობა).

სანამ უშუალოდ ნატოს შექმნაზე ვისაუბრებთ, მისი მცირე წინა ისტორია:

ჰოვარდ ზინი, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი თავის წიგნში „ამერიკის სახალხო ისტორია" განიხილავს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აშშ-ს მიერ დასავლეთ ევროპისთვის აღმოჩენილი დახმარების საკითხებს და მიუთითებს, რომ 1948 წელს მიღებული ე. წ. „მარშალის გეგმა", რომლის მიხედვითაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა 4 წელიწადში 16 მლრდ. დოლარის ღირებულების დახმარება მიიღეს, წმინდა ეკონომიკურ მიზნებს ისახავდა. ამით იქმნებოდა ბაზრები ამერიკული ექსპორტისათვის. 1948 წლის დასაწყისში თავად გენერალი ჯ. მარშალი (შემდგომში – აშშ სახელმწიფო მდივანი) ამბობდა: *„ფუჭი აზრია, თითქოს საკუთარ თავს მინდობილი ევროპა... ღია დარჩება ამერიკული ბიზნესისათვის, როგორც მანამდე."* [138]

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მარშალის გეგმის პოლიტიკური მოტივაცია. იტალიისა და საფრანგეთის კომპარტიები საკმაოდ ძლიერნი იყვნენ და აშშ-მ გადაწყვიტა, არ დაეშვა მათი მონაწილეობა ამ ქვეყნების მართვაში. გეგმის განხორციელების დაწყებისთანავე ტრუმენის ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივანმა დინ აჩესონმა თქვა: *„ჩვენი დახმარება აღდგენაში მხოლოდ*

138. Г. Зинн «Народная история США», М. «Весь мир», გვ. 542.

ნაწილობრივაა ფილანტროპიით ნაკარნახევი. კონგრესი და მთავრობა... დახმარების პოლიტიკას ახორციელებენ, უმთავრესად, საკუთარი ნაციონალური ინტერესების კარნახით."

> არა მარტო 60 წლის წინ, არამედ დღესაც ამერიკული დახმარების ხასიათი კარგად ჩანს USAID-ის ოფიციალური საიტიდან, სადაც ნათქვამია: „საერთაშორისო დახმარების ამერიკული პროგრამის მთავარი ბენეფიციარი თავად შეერთებული შტატებია". მათი კონტრაქტების და სუბსიდიების 80%-ს უშუალოდ ამერიკული კომპანიები ღებულობენ.

1951 წლის ბოლოს „მარშალის გეგმამ" ოფიციალურად დაასრულა არსებობა. სულ ამ გეგმით 17 მლრდ. დოლარი დაიხარჯა. ძირითადი მიმღები ქვეყნები იყვნენ ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და დასავლეთ გერმანია. 1952 წლიდან სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ აშშ დახმარება არაკომუნისტური ქვეყნების სამხედრო გაძლიერებას ისახავდა მიზნად. 10 წლის განმავლობაში აშშ-ს მიერ 90 ქვეყნისთვის გამოყოფილი 50 მლრდ. დოლარიდან მხოლოდ 5 მლრდ. (ანუ ერთი მეათედი) მოხმარდა წმინდა ეკონომიკურ განვითარებას.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე ეხმარებოდნენ. 1948 წელს 16 ქვეყანა – ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქემბურგი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, ირლანდია, ისლანდია, პორტუგალია, ავსტრია, შვეიცარია, საბერძნეთი და თურქეთი გახდნენ მარშალის გეგმის მონაწილენი. ორმხრივი ხელშეკრულება ავალდებულებდა ამ ქვეყნებს „თავისუფალი მეწარმეობისთვის" ხელის შეწყობას, ამერიკული ინვესტიციებისათვის უპირატესი პირობების შექმნას, საბაჟო ტარიფების დაწევაში თანამშრომლობას, აშშ-ში ზოგიერთი დეფიციტური პროდუქციის გატანას, ამერიკული დახმარების შედეგად გამოთავისუფლდებული ნაციონალური ვალუტის სპეცფონდების შექმნას, რომელსაც თავად აშშ აკონტროლებდა. ამ ხელშეკრულების ხელმოწერაზე ნეიტრალურმა შვეიცარიამ უარი

განაცხადა, თუმცა „მარშალის გეგმის“ მონაწილედ რჩებოდა.

1955 წელს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა (ცხადია, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით) დააფუძნეს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. წინადადებებს, დაედოთ ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტი, ან ორივე ალიანსს ერთდროულად შეეწყვიტა არსებობა, ნატო ყოველთვის უარყოფდა.

დღეს „მარშალის გეგმაზე“ საუბრისას არავინ იხსენებს, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა აშშ დახმარებისა ევროპისა და, კერძოდ, გერმანიისათვის. იგი უშუალო გაგრძელებაა მისი ორი წინამორბედისა: ე. წ. „დაუესის“ და „იუნგის“ გეგმებისა. ამ ორმა გეგმამ დიდწილად განაპირობა ნაცისტების მოსვლა გერმანიის ხელისუფლებაში. თითქოს პარადოქსია, თუმცა ამერიკული პოლიტიკის ამგვარი პარადოქსები უახლეს ისტორიაში მრავლად გვხვდება.

დღეს ხშირად ახსენებენ ალენ დალესს, როგორც საბჭოთა კავშირის ნგრევის პროგრამის ერთ-ერთ პირველ ავტორს, მაგრამ სრულიად დაუმსახურებლად არის მივიწყებული მისი ძმა – ჯონ ფოსტერ დალესი. იგი 1927 წლიდან ხელმძღვანელობდა იურიდიულ ფირმა „სალივან ენდ კრომუელს“, რომელიც აფორმებდა გარიგებებს ამერიკულ და გერმანულ მონოპოლიებს შორის 20-30-იან წლებში. სხვადასხვა დროს იგი დირექტორობდა „ინტერნ. ნიკლ კომპანის“, იყო „ნიუ-იორკ სიტი ბანკის“ გამგეობის წევრი, „როკფელერის ფონდის“ მეურვეთა საბჭოს თავმჯდომარე. 1907 წელს ჰააგის კონფერენციაზე აშშ-ს დელეგაციის მდივანი იყო. 1919-20 წწ. – აშშ-ს დელეგაციის მრჩეველი. 1924 წლიდან მონაწილეობს „დაუესის გეგმის“ შემუშავებაში, ხოლო 1939-45 წწ. – „მარშალის გეგმის“ და 1949 წ. ნატოს მომზადებაში. ბოლოს და ბოლოს, 1953-59 წლებში იგი აშშ სახელმწიფო მდივანი ხდება, ხოლო მისი ძმა – ალენი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორად ინიშნება (თუმცა, ძნელია თავად ამ უკანასკნელის „დამსახურებების“ უარყოფა).[139]

ახლა თავად „დაუესის გეგმის“ შესახებ: იგი წარმოადგენდა

139. БС «Энциклопедия, М. «Советская Энциклопедия», 1972, ტ. 7, გვ. 512, 562

სარეპარაციო გეგმას გერმანიისათვის, რომელიც 1924 წელს მიიღეს ლონდონის კონფერენციაზე I მსოფლიო ომში გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა და რომელსაც გერმანიაც დაეთანხმა. მას უნდა უზრუნველეყო გამარჯვებული სახელმწიფოებისათვის გერმანიის მიერ რეპარაციის გადახდა და გაემარტივებინა ამერიკული კაპიტალის შესვლა გერმანიაში ეკონომიკის წამყვანი დარგების ხელში ჩასაგდებად, რათა ამერიკულ მონოპოლიებს მაღალი მოგება მიეღოთ სესხებზე პროცენტებისა და პირდაპირი ინვესტიციების დივიდენდების სახით. გეგმის ავტორების ვარაუდით, აღდგენილი გერმანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კოალიციის შექმნას შეუწყობდა ხელს. ვალის გადახდისათვის მოკავშირეებს უნდა გაეკონტროლებინათ გერმანიის ბიუჯეტი, ფულის ბრუნვა და რკინიგზა. 1930 წლისათვის გერმანიაში ჩადებული იყო ამერიკული კაპიტალი 26-27 მლრდ. მარკის ოდენობით, რეპარაციული გადახდა კი 10 მლრდ. მარკას აღწევდა. 1927 წელს გერმანული მრეწველობა ომამდელს გაუთანაბრდა. გერმანულმა მონოპოლიებმა გაძლიერების შემდეგ „დაუესის გეგმის" წინააღმდეგ გაილაშქრეს, რადგან იგი მსოფლიო ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობას აზარალებდა. 1929 წელს, იმის შიშით, რომ გერმანია ცალმხრივად შეწყვეტდა „დაუესის გეგმის" მოქმედებას, სასწრაფოდ დაიწყო „იუნგის გეგმის" მზადება. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა რეპარაციული გადასახადის გაუქმებას, წლიური განაკვეთებისა და ტრანსპორტის დაბეგვრის შემცირებას, უცხოური მაკონტროლებელი ორგანოების ლიკვიდაციას. გეგმა ოფიციალურად 1932 წელს გაუქმდა. ექსპერტების აზრით, ამ „დახმარების გეგმებით" გერმანელების უკმაყოფილებამ დიდწილად შეუწყო ხელი გერმანელ ხალხში შოვინისტური განწყობილებების ზრდას. ეროვნული სუვერენიტეტის დამცრობამ, „დასჯილის სინდრომმა" და გერმანიის ეკონომიკისადმი მძარცველურმა დამოკიდებულებამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ნაციონალ-სოციალიზმს. თუმცა, ერთია განწყობილებები და სულ სხვაა რეალური მხარდაჭერა. ამერიკელ ფინანსისტებსა

და მეწარმეებს არც ამაზე უთქვამთ უარი ჰიტლერისათვის. როკ-ფელერები (როგენფელდერები), რომლებსაც გერმანული ფესვები ჰქონდათ, აფინანსებდნენ ჰიტლერს შრედერის ბანკის გავლით, რომლის მთავარი იურისტი ჯონ ფოსტერ დალესი იყო. სწორედ მისი დახმარებით შეიქმნა გერმანიამ ნიკელის მარაგი მომავალი ომისათვის (იმ „ინტერნ. ნიკლ. კომპანიის" მეშვეობით, რომლის დირექტორიც, როგორც ზემოთ მივუთითე, იყო ჯ. ფ. დალესი. ამ დრისათვის მისი ადგილი ძმამ – ალენ დალესმა დაიკავა. ძმები დალესები როკფელერების ბიძაშვილები იყვნენ). როკფელერებმა დაფინანსების 45% გაიღეს საარჩევნო კამპანიისათვის, რომლის შედეგად გერმანიაში ნაცისტებმა გაიმარჯვეს. 1933 წლის 4 იანვარს კელნში ჰიტლერი შეხვდა ძმებ დალესებს. დალესებმა მას ფინანსური დახმარება აღუთქვეს და იმავე თვეში ჰიტლერი კანცლერი გახდა. იმავე „ამერიკული დახმარების" გეგმით 1929 წელს როკფელერების კუთვნილმა კომპანია „სტანდარტ ოილ ნიუ-ჯერსიმ" (ახლა ექსონი) თავისივე ფირმა „ი. გ. ფარბენინ-დუსტრისთან" დადო შეთანხმება (ეს უკანასკნელი გერმანული ქიმიური და ფარმაცევტიული კომპანიების ბაზაზე ჩამოყალიბდა 1926 წ.) სწორედ ეს ფირმები ამარაგებდნენ ჰიტლერს ნავთობით და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებით. 1934 წელს „სტანდარტ ოილ ნიუ- ჯერსიმ" გერმანიაში 730.000 აკრი მიწა შეისყიდა და მსხვილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები ააშენა. ეს ქარხნები ომის დროსაც მუშაობდა. 1933-1944 წლებში „სტანდარტ ოილ ნიუ-ჯერსი" და „იტტ"-ს შვილობილი კომპანია რეგულარულად უხდიდნენ ფულს ჰიმლერს. გერმანული ტანკების ყველაზე მსხვილი მწარმოებლები: „ოპელი" – „ჯენერალ მოტორსის" შვილობილი კომპანია და „ფორდი" – „აგ ფორდის" შვილობილი კომპანია იყვნენ. კომპანია „იტტ"-მ ინვესტიცია ჩადო მსხვილ გერმანულ ავიამშენებელ ფირმა „ფოკე-ვულფში". რა გამოვიდა ამ ყველაფრისგან, დღეს უკვე ცნობილია.[140]

აშშ-ს ამ ისტორიულმა გაკვეთილმა ჭკუა ვერ ასწავლა; დღესაც,

140. Н. Хаггер, «Синдикат», М. «Столица принт», 2008. გვ. 102-107.

თავისი გაუაზრებელი პოლიტიკით იგი მუდმივად ქმნის ახალ პრობლემებს იქ, სადაც ძველი პრობლემების „გადასაწყვეტად" შედის. ასე იყო ინდოჩინეთში, ავღანეთში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, აფრიკაში, იუგოსლავიაში, ერაყში და სხვა მრავალ ადგილას. საკუთარი მარცხის გამარჯვებად წარმოჩენის ტაქტიკაც არახალია. თუმცა, კვლავ ნატოს დავუბრუნდეთ.

ჩვენი მოსახლეობის უმეტესობას მიაჩნია, რომ ნატო სამხედრო ორგანიზაციაა. არავინ ლაპარაკობს იმაზე, რომ, მაგალითად, საფრანგეთმა 1966 წელს დატოვა ნატოს სამხედრო ორგანიზაცია, მაგრამ დარჩა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრად. ასევე მოიქცა საბერძნეთი 1974 წელს. განსაკუთრებით საყურადღებოა საფრანგეთის მიერ გასვლის დასახელებული მოტივი: *„აღედგინა საფრანგეთის ტერიტორიაზე საკუთარი სუვერენიტეტი სრული სახით"* (ახლა, სარკოზის გაპრეზიდენტების შემდეგ, ექსპერტები ელიან, რომ საფრანგეთი კვლავ დაუბრუნდება ნატოს სამხედრო ხელშეკრულებას).

ჩვენში არის ზოგადი ლაპარაკი ნატოზე, მასში ყოფნის სიკეთეზე, მაგრამ თითქმის არავინ ამბობს, თუ კონკრეტულად რას უნდა მოველოდეთ ამ ალიანსში წევრობისგან. რა უპირატესობებს გვპირდება იგი? თუ მხოლოდ რუსეთის „ჯიბრით" უნდა შევიდეთ? საკითხი მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის, – საქართველოსთვის ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას როდი ეხება, იგი პირდაპირ ზეგავლენას მოახდენს ქართული სახელმწიფოს ფუნქციონირების ყველა მხარეზე. მაგრამ მხოლოდ სამხედრო შემადგენელზეც რომ ვილაპარაკოთ, აქაც არცთუ მომხიბლავი პერსპექტივა მოჩანს.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე დღეს უკვე ინტერვიუში ამბობს: *„ნატოს აქვს თავისი კვოტა, განსაზღვრული აქვს, რომელი ქვეყნის სამხედროები რისთვის სჭირდება მას და როგორ გამოიყენოს. ბულგარეთი, რუმინეთი, ჩეხეთი პრაქტიკულად განიარაღებული დარჩნენ ალიანსში გაწევრიანების შემდეგ. როგორც კი მათ განესაზღვრათ, თუ რას გააკეთებდნენ*

ნატოში, მოუწიათ, კატასტროფულად შეემცირებინათ თავიანთი შეიარაღებული ძალები. ხვალ რომ სიტუაცია შეიცვალოს, ამ ქვეყნების შიდა პოტენციალი აბსოლუტურად დაუცველი რჩება... ნეიტრალიტეტის გამოცხადება ასე იოლი არ არის. საკმაოდ რთულია იმ თვალსაზრისით, რომ ქვეყანამ თავად უნდა შეძლოს ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა. ნეიტრალიტეტი, რომელიც ვილაცის პროტექტორატით ან ვილაცის გარანტიით ხორციელდება, ძალიან ცუდია, ამას სჯობს, იყო ალიანსის წევრი... თუ ნატოში შევალთ, გავხდებით პირველი დარტყმის ობიექტი რუსეთისთვის, და თუ ამის თავიდან აცილება არ მოხერხდება – პირველი ობიექტი სწრაფი რეაგირებისთვის ნატოს მხრიდან არის თურქეთი... ჩემთვის გაცილებით მიმზიდველი ჩანს ევროპაში ინტეგრაცია ყოველგვარი სამხედრო ვალდებულების გარეშე. რეალურად, გარანტიები ერთი და იგივეა. რომც ვიყოთ ნატოს წევრი, ჯარით არავინ დაგვეხმარება. ერთადერთი კომპონენტი, რომელიც ნატოს აქვს დასახმარებლად, ეს არის თურქეთი, რომელსაც შეუძლია სწრაფი რეაგირება. სწრაფი რეაგირება კი ნიშნავს საქართველოს გადაქცევას ომის არენად." [141]

ვერაფერი პერსპექტივაა, დამეთანხმებით. თურქეთის ფაქტორი მხოლოდ სომხურ მოსახლეობას როდი აწუხებს. ქართველთა უმეტესობისათვის ახალი მითი ჩვენი „ისტორიული მეგობრობის" შესახებ გაუგებარია. ამ უკანასკნელი ვერსიით, რუსული და საბჭოთა განათლების „დამსახურება" ყოფილა თურქეთისაგან მტრის ხატის შექმნა. დავიწყებას ეძლევა ისიც, რომ საქართველოს კარგა გვარიანი ნაწილი თურქეთს 300 წლის განმავლობაში ჰქონდა მიტაცებული.

საოცარია ჩვენი საზოგადოების გაუთვითცნობიერებლობა ნატოს მიმართ. აქაც „პირუკუ ეფექტი" მოქმედებს: – რაც ცუდი იყო საბჭოთა იდეოლოგიისთვის, ის მექანიკურად კარგი გახდა საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ. ნატო მართლაც მხოლოდ საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ რომ ყოფილიყო შექმნილი, იგი

141. გაზეთი „ასავალ-დასავალი", №4, 2008.

ვარშავის ბლოკის ლიკვიდაციის შემდეგ უნდა დაშლილიყო. ამის საპირისპიროდ ნატო ფართოვდება ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისა და ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ხარჯზე. ჰანტინგტონი წერს: *„ცივი ომის დასრულებით ნატოს ერთი მთავარი და მკაფიო ამოცანა გაუჩნდა: უზრუნველყოს თავისი არსებობა და არ დაუშვას ცენტრალურ ევროპაში რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო კონტროლი“.*[142] დღეს რუსეთის მიმართ აშშ-ს პრეტენზიები ძირითადად იმას შეეხება, თუ რატომ მიხვდა ბოლოს და ბოლოს რუსეთი, რომ ნატო მისთვის პირდაპირი საფრთხეა!

როდესაც აშშ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას (система ПРО) რუსეთის პერიმეტრზე განალაგებს, სულ ცოტა, გაუგებარია დასავლეთის მხრიდან მიამიტური სახის მიღება იმის მტკიცებისას, რომ პრო-ს სისტემა რუსეთს არაფერს უქადის. ამ აზრის მოწინააღმდეგე ამერიკელი ექსპერტების პროგნოზი გამართლდა; ნ. ჩომსკის აზრით *„აშშ ПРО-ს ახალი სისტემის შექმნის საპასუხოდ რუსეთს სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა საკუთარი ბირთვული შეიარაღების წარმოების ზრდა.“* ჰანტინგტონი კი 10 წლის წინ მიიჩნევდა, რომ რუსეთი გამოვა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის (OCBE) ხელშეკრულებიდან. ამ ეტაპზე რუსეთმა ჯერჯერობით წევრობა შეაჩერა ამ ხელშეკრულებაში.

შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ რუსეთი გადაჭარბებულად აფასებს ამერიკულ საფრთხეს, მაგრამ 1918-21 წლებშიც კი, როცა ამერიკელები ასე არ იყვნენ მოდებული მთელს მსოფლიოს, მისი სამხედრო ნაწილები შეიჭრნენ რუსეთის ტერიტორიაზე. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ოკუპაცია „საბჭოთა სენისგან“ რუსეთის განთავისუფლებას ემსახურებოდა, მოიკითხეთ ე. სატონის წიგნი „უოლ-სტრიტი და ბოლშევიკური რევოლუცია“. გერმანიის მთავრობის მიერ რუსი ბოლშევიკების დაფინანსების საკითხი, როგორც იქნა, სააშკარაოზე გამოვიდა, ხოლო ამერიკელი ბანკირების მიერ რევოლუციისთვის გაწეული დახმარების შესახებ დღესაც ჯიუტად დუმან.

142. С. Хантингтон, «Столкновение цивилизаций», М. «Аст», 2006, გვ. 247.

მეტად საყურადღებოა ზ. ბჟეზინსკის მიერ დანახული ნატოს პერსპექტივა. 2004 წელს გამოცემულ წიგნში „არჩევანი: მსოფლიო ბატონობა თუ გლობალური ლიდერობა" იგი საგულისხმო პარალელს ავლებს: *„XX საუკუნის 90-იან წლებში ნატო ახალ როლში გამოვიდა, როცა მღელვარებითა და ძალადობრივი კონფლიქტებით მოცულ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სტაბილურობა დაამყარა. შემდგომი ათწლეულის დასაწყისში ნათელი გახდა, რომ ვერ ავცდებით ერთგვარ სტაბილურობის პაქტს კავკასიისათვის – სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის პაქტის მსგავსს".*[143] თუ როგორ გამოიყურება ეს „სტაბილურობა" ბალკანეთის მაგალითზე, კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობამ უკვე ცხადყო. ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე უარის თქმა საქართველოსთვის ვერაფერი სახარბიელოა. მოყვანილ წიგნში ბჟეზინსკი შემდგომ იმ აზრს ავითარებს, რომ ნატოს შემდგომი შეღწევა ყოფილ საბჭოთა სივრცეში გარდაუვალია, რაკი რუსეთმა აღიარა ატლანტიკური თანამეგობრობის უზენაესობა გლობალური უსაფრთხოების სტრუქტურაში.

განვლილმა ოთხმა წელიწადმა ცხადყო, რომ რუსეთის (და არა მარტო მისი) დამოკიდებულება ნატოსადმი რადიკალურად შეიცვალა. ეს არც არის გასაკვირი; რამდენიმე წლის წინ დიდი სკანდალი მოჰყვა მადლენ ოლბრაიტის განცხადებას ერთ-ერთ კონფერენციაზე, რომელშიც მან ციმბირის ბუნებრივი რესურსების მხოლოდ რუსეთის საკუთრებაში არსებობა არასამართლიანად მიიჩნია. მძაფრი რეაქციის გამო ოლბრაითმა ეს გამონათქვამი უარყო. თუმცა ამ უარყოფას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მისი მასწავლებელი – ზ. ბჟეზინსკი დაუფარავად წერს: *„ციმბირის აურაცხელი ბუნებრივი რესურსები – აი, რა ჰპირდება რუსეთს საუკეთესო პერსპექტივებს, მაგრამ დასავლეთის დახმარების გარეშე რუსეთი ვერ იქნება დარწმუნებული ამ მიწაზე საკუთარი სუვერენიტეტის შენარჩუნებაში(!). შესაბამისად,*

143. З. Бжезинский, «Выбор: мировое господство или глобальное лидерство», М. «Международные отношения», 2005, გვ. 135.

ტრანსნაციონალური ძალისხმევა ციმბირის განვითარებისა და დასახლებისათვის ევროპისა და რუსეთის დაახლოების მასტიმულირებელი იქნება. ევროპელებისათვის ციმბირს შეუძლია იგივე გახდეს, რაც ალასკა და კალიფორნია, ერთად აღებული – ამერიკელებისათვის: უზარმაზარი სიმდიდრის წყარო, კაპიტალის მომგებიანი დაბანდების ველი, ერთგვარი „ელდორადო" ყველაზე მოხერებული ჩასახლებულებისათვის. ციმბირის შესანარჩუნებლად რუსეთს დახმარება დასჭირდება; მას ამ ამოცანის დამოუკიდებლად დაძლევის ძალა არ შესწევს თავისი დემოგრაფიული დაქვეითებისა და მეზობელ ჩინეთში არსებული ახალი ტენდენციების პირობებში. მასშტაბური ევროპული შეღწევის წყალობით ციმბირი შეიძლება საერთო ევრაზიულ მონაპოვრად იქცეს, რომლის გამოყენებაც მრავალმხრივობის საფუძველზე მოხდება."[144]

როგორ უნდა „დაიცვას" რუსეთი იმ ევროპამ, რომელიც თავად განიცდის გლობალურ დაბერებასა და დეპოპულაციას? მომუშავეთა შეფარდება 65 წელზე უფროსი მოსახლეობის მიმართ ევროკავშირში 2000 წლისათვის იყო 5:1, ხოლო 2015 წლისათვის 3:1 მიაღწევს. უახლოეს მომავალში ეს ევროპაში შიდა ვალის ზრდასა და დეფოლტებსაც კი გამოიწვევს! ჟურნალ „ეკონომისტის" 2002 წლის 31 ოქტომბრის მონაცემებით შრომისუნარიანი მოსახლეობის არსებული რაოდენობის შესანარჩუნებლად იაპონიას წელიწადში 5 მლნ. მიგრანტი დასჭირდება, გერმანიას – 6 მლნ, იტალიას – 6,5 მლნ. ყველაზე პარადოქსული კი ის არის, რომ ეს მონაცემები თავად ბჟეზინსკისა აქვს მოყვანილი იმავე წიგნში, ოღონდ სხვა თავში. ამდენად, ევროპის „დახმარება" იმას ემსგავსება, ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსში რომ ჟღერს: „გახსოვს, მე რომ მოგეხმარე კამფეტების ჭამაში?" თავად უმუშახელო ევროპა ამ სცენარის მიხედვით ციმბირის ასაყვავებლად ჩინელების მიგრაციას გამოიყენებს, რითაც ასე აშინებდა ბჟეზინსკი რუსეთს. ოღონდ საკითხავი ის არის, რაში სჭირდება რუსეთს ჩინელების ციმბირში შემოსაყვანად ევროპელების „დახმარება"?

144. იქვე, გვ. 139-140.

საბჭოთა იდეოლოგიას არ შეუშლია ხელი დასავლეთის კორპორაციებისათვის, ეთანამშრომლათ სტალინთან (როგორც ფაშისტურს არ შეუშლია ხელი გერმანიაში ინვესტიციებისათვის); მათ კონცესიები აიღეს კასპიის ნავთობზე, ჭიათურის მანგანუმზე (სხვათა შორის, ამ **კონცესიას** უილიამ ავერელ ჰარიმანის ოჯახი ფლობდა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა კავშირში აშშ-ის ელჩი იყო) და სხვა წიაღისეულზე. მთელი ეს საუბრები დასავლურ „დახმარებაზე" და დემოკრატიის შემოტანაზე სხვა არაფერია, თუ არა საფანელი სხვა ქვეყნების ნედლეულის მიტაცებისათვის. ნებისმიერი სახის დახმარებაც მხოლოდ ამ პროცესის უზრუნველყოფას ემსახურება.

კონცესია – ხელშეკრულება გარკვეული პირობებით ბუნებრივი რესურსების, საწარმოების ან სხვა სამეურნეო ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის შესახებ. იმპერიალისტური სახელმწიფოები კონცესიებს იყენებდნენ ნედლეულით საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და განვითარებად ქვეყნებზე გავლენის შესანარჩუნებლად. ამ ხელშეკრულებებს უზარმაზარი მასშტაბები და ხანგრძლივი მოქმედების ვადა გააჩნდა. სსრკ-ში 1937 წლისათვის ყველა კონცესია გაუქმდა.

„ნიუ-იორკ ტაიმსის" მონაცემებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის მიერ სხვა სახელმწიფოებისთვის გაწეული დახმარება 230 მლნ. დოლარს შეადგენს. ამ სახელმწიფოებისთვის მათ მოამზადეს და აღჭურვეს 2 მილიონზე მეტი სამხედრო და პოლიციელი. მიზანი ამ სახელმწიფოების დაცვა როდია გარეშე თავდასხმისაგან, არამედ ამერიკული ინვესტიციების და მმართველი ოლიგარქების დაცვა ადგილობრივი მოსახლეობის მღელვარებისაგან.

ამერიკული „დახმარების" ფული მიემართება უცხო სახელმწიფოებში კერძო კორპორაციული ინვესტორებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის: პორტების, გზების, კომუნიკაციების და

სხვ. შესაქმნელად... ამ ყველაფრით, როგორც წესი, ადგილობრივი პროდასავლური ხელისუფლებები ხშირად იწონებენ ხოლმე თავს. სიტყვამ მოიტანა და, ბიბლიური მეფე ჰეროდე, ყრმების გაჟლეტის გარდა იმითაც არის ცნობილი, რომ პორტებს, გზებს და სასახლეებს აშენებდა.[145]

დახმარება, რომლის იმედიც ჩვენში ზოგიერთებს დღემდე შემორჩათ, ზუსტად იმგვარია, როგორც პრეფერანსის თამაშისას მიღებული „ამერიკული დახმარება": უპირატესი მდგომარეობის მქონე მოთამაშე ეხმარება მის შემდეგ ყველაზე მომგებიან მდგომარეობაში მყოფს (თანაც, ამ უკანასკნელს უფლება არა აქვს, უარი თქვას მის დახმარებაზე), ოღონდ ისე, რომ მის მიერ მიცემული ყოველი ორი ქულა ათმაგად უბრუნდება „დამხმარეს" საბოლოო შედეგების დათვლისას!

ოფიციალური ვერსიით მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი სახელმწიფოთა ეკონომიკურ განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს. მაიკლ პარენტი ასე ხსნის ამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მოქმედების მექანიზმს: *„წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ღარიბმა ქვეყანამ ისესხოს მსოფლიო ბანკისგან ფული თავისი ეკონომიკის რომელიღაც დარგის განვითარებისათვის. თუ იგი საექსპორტო ფასების დაწევის ან სხვა მიზეზების გამო მსხვილ პროცენტებს ვერ გადაიხდის, მას კვლავ მოუწევს ფულის სესხება, ოღონდ ამჯერად საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან. მაგრამ ეს უკანასკნელი თავს ახვევს ამ ქვეყანას „რესტრუქტურიზაციის პროგრამას", რომელიც მოვალე ქვეყნისაგან მოითხოვს საგადასახადო შეღავათებს ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის, მშრომელთა ხელფასების დაწევას, და უარის თქმას უცხოური იმპორტისაგან და უცხოური კომპანიების მიერ მათი შთანთქმისაგან ადგილობრივი წარმოების დაცვაზე. მოვალე ქვეყანაზე ხორციელდება ზეწოლა მისი ეკონომიკის პრივატიზების, ანუ კერძო კორპორაციების-*

145. В. Л. Теуш «О духовной истории еврейского народа», «Присцельс». 1998, გვ. 137.

თვის სკანდალურად დაბალ ფასებში სახელმწიფო შახტების, რკინიგზის, კომუნალური საწარმოების მიყიდვისათვის. ქვეყანას აიძულებენ, მისი ტყეების გაჩეხვის ნება დართოს და მოიპოვოს წიაღისეული ღია წესით, მიუხედავად იმ ეკოლოგიური ზარალისა, რომელიც მათ ადგება. მოვალე-ქვეყანას აგრეთვე აიძულებენ, დასწიოს სუბსიდიები ჯანდაცვაზე, განათლებაზე, სატრანსპორტო სისტემაზე...“ [146]

დასავლური „დახმარების“ ამ ჩამონათვალის ყველა პუნქტი საქართველოში სასწრაფო წესით ხორციელდება, განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ.

არამცთუ მსოფლიო ბანკი ან საერთაშორისო სავალუტო ფონდი, არამედ ჩვენმა „ისტორიულმა“ მეგობარმა თურქეთმაც კი, რომელმაც 1993 წელს 50 მლნ. დოლარის კრედიტი მისცა საქართველოს, პირობად ის ჩადო, რომ მთელი ტექნიკური აღჭურვილობა სწორედ თურქეთისაგან უნდა შეეძინათ სესხის მიმღებ კომპანიებს. ამგვარი პირობები ახლავს სხვა კრედიტებსაც. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან კიდევ ერთი პირობაც ემატება: უცხოელი ექსპერტების ჩართვა პროექტებში, რომელთა ანაზღაურებას, მგზავრობას, სასტუმროს და სამივლინებო თანხებს კრედიტის სოლიდური ნაწილი გამცემ ქვეყნებში მიაქვს, კრედიტს კი ჩვენი მოქალაქეები ფარავენ თავიანთი გაღატაკებული ყოფის ხარჯზე.

ამგვარი „დახმარების“ წყალობით სულ უფრო მზარდი ინვესტიციებისა და კრედიტების მიუხედავად, „მესამე სამყაროში“ 50 წლის განმავლობაში კატასტროფულად გაიზარდა სიღატაკე. ეს ის თემებია, რომელზეც გოგი თოფაძე 10 წელს მიუთითებდა დიდსა და პატარას, მაგრამ უშედეგოდ.

როდესაც ხელისუფლება გაყვანილ გზებზე, ინვესტიციებზე, კარგად აღჭურვილ პოლიციასა და მოდერნიზებულ ჯარზე ლაპარაკობს, ეს ყველაფერი საქართველოს ღატაკი მოსახლეობისთვის როდი კეთდება. ჩვენ ბედნიერი უნდა ვიყოთ უკვე იმით,

146. М. Паренти «Демократия для избранных» М. «Поколение», 2006, გვ. 115.

რომ აქ ჩამოსული უცხოელი ისევე ბედნიერად იგრძნობს თავს, როგორც მსოფლიოს სხვა ნებისმიერ კუთხეში, სადაც ინვესტიცია ჩადო და საიდანაც მხოლოდ მოგების მიღება აინტერესებს.

როცა ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციაზე ვლაპარაკობთ, უპრიანი იქნება ჩვენი უახლოესი მეზობლის, თურქეთის მაგალითი გავიხსენოთ. ამ ორ საკითხს, როგორც წესი, ერთდროულად ახსენებენ ხოლმე. თურქეთი ნატოს წევრი 1952 წელს გახდა და მის ტერიტორიაზე ნატოს ბაზები განლაგდა. დასავლეთი (უპირველესად აშშ) მას განიხილავდა, როგორც ფორპოსტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. (სხვათა შორის, 1955 წელს მიუმხრობელი ქვეყნების კონფერენციაზე ისლამურმა სახელმწიფოებმა „ღვთის გმობად" შეაფასეს თურქეთის ეს გადაწყვეტილება).

1980-იანი წლებიდან თურქეთი რიგში დგას ევროკავშირში შესასვლელად. ოფიციალური განაცხადი 1987 წელს შეიტანეს. 21 წელი გავიდა და თურქეთს არა მარტო იმ ქვეყნებმა გადაუსწრეს, რომლებმაც ნატოს წევრობისაგან შეიკავეს თავი, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმაც და ყოფილმა ბალტიისპირა საბჭოთა რესპუბლიკებმაც. ოფიციალურ დონეებზე საამისო მიზეზი არ გამოილია (ძირითადად „დემოკრატიის" წრეში რომ შედის, ის საკითხები, ანუ ადამიანის უფლებები, რომლებიც მაშინ ახსენდებათ, როცა პოლიტიკური მიზეზების შენიღბვა ესაჭიროებათ), ხოლო არაოფიციალურად კარგად არის ცნობილი, რომ ამას ორი მიზეზი აქვს: საბერძნეთის წინააღმდეგობა და თურქეთის ისლამურობა (თუმცა იგი ჯერჯერობით საერო სახელმწიფოა). ერთი სიტყვით, ევროპელებს მიაჩნიათ, რომ „მუსლიმებს ევროპაში არაფერი ესაქმებათ". რამდენად მწვავედ განიცდიან ამ საკითხს თურქები, იქიდანაც ჩანს, თუ როგორი ოპერატიულობით გამოეხმაურა 2002 წელს თურქეთის იუსტიციის მინისტრი ჩემს, საქართველოს სახალხო დამცველის წერილს იმის შესახებ, რომ ქართველი პატიმრების უფლებების დარღვევის გამო ევროკავშირს დაწვრილებით ანგარიშს წარვუდგენდი. ძალიან მალე იგი

თვითონ ჩამოვიდა საქართველოში და შემხვდა, რის შემდეგაც რამდენიმე პატიმრის საკითხი დადებითად გადაწყდა.

იქნებ ეს ისტორია იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს, ბალტიის რესპუბლიკების მსგავსად, თურქეთზე უფრო ადრე მიიღებენ ევროკავშირში? ჰანტინგტონი, რომელიც ნატოსა და ევროკავშირის შემდგომ გაფართოებაზე მსჯელობს, მიუთითებს: *„ყველაზე მკაფიო პასუხს, რომელსაც ძნელია შეეწინააღმდეგო, იძლევა დიდი ისტორიული გაყოფის ის ხაზი, რომელიც ასწლეულობით არსებობს და რომელიც ყოფს დასავლეთის ქრისტიანულ ხალხებს მუსლიმი და მართლმადიდებელი ხალხებისაგან. ეს ხაზი ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ IV საუკუნეში რომის იმპერიის გაყოფისა და წმინდა რომის იმპერიის შექმნისას X საუკუნეში. ეს ხაზი დაახლოებით იქვეა უკანასკნელი 500 წლის განმავლობაში. ჩრდილოეთიდან დაწყებული, იგი მიჰყვება რუსეთის საზღვრებს ფინეთსა და ბალტიისპირეთთან, დასავლეთ ბელორუსიას, უკრაინას ყოფს უნიატურ დასავლეთად და მართლმადიდებელ აღმოსავლეთად; გასდევს რუმინეთს უნგრელი კათოლიკეებით დასახლებულ ტრანსილვანიასა და ქვეყნის დანარჩენ ნაწილს შორის, შემდეგ ყოფილ იუგოსლავიას, ყოფს სლოვენიას და ხორვატიას დანარჩენი რესპუბლიკებისგან. ბალკანეთში ეს ხაზი ემთხვევა ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალთა იმპერიის ისტორიულ საზღვრებს. ეს არის ევროპის კუტურული საზღვარი, ხოლო ცივი ომის შემდეგ იგი გახდა ევროპისა და დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვარი... ევროპა მთავრდება იქ, სადაც მთავრდება დასავლური ქრისტიანობა და იწყება ისლამი და მართლმადიდებლობა.“* [147] ევროპელ ექსპერტთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ეს ხაზი გადის დიდ რელიგიურ განხეთქილებაზე აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკლესიებს შორის, ანუ იმ ხალხებს შორის, ვინც ქრისტიანობა პირდაპირ რომიდან მიიღო და აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მიწებს შორის, სადაც ქრისტიანობა კონსტანტინოპოლიდან (ბიზანტიიდან) შევიდა.

147. С. Хантингтон, «Столкновение цивилизаций», М. «Аст», 2006, გვ. 243.

2004 წელს, ინაუგურაციის შემდგომ მალევე სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში „ბიზანტიური პოლიტიკა დამთავრდა". მას არ განუმარტავს, თუ რას ნიშნავდა ეს; თუმცა ძირითადად „დასავლურ ფასეულობებზე" ისაუბრა. თუ აქ ცივილიზაციური, კულტურულ-რელიგიური ბედისწერის შეცვლა იგულისხმებოდა, აქ ისევ ჰანტინგტონს უნდა დავესესხოთ, რადგან ეს საკითხები მას გამოწვლილვით აქვს შესწავლილი. ჩვენნაირ ქვეყნებს ის „გაგლეჯილი ქვეყნებს" უწოდებს. მაგალითად, მექსიკა, რომელიც აშშ-ს საპირისპიროდ თავს ლათინური ამერიკის ქვეყანად მიიჩნევდა, 1980 წლიდან მისმა ლიდერებმა „გაგლეჯილ ქვეყანად" აქციეს და თავი ჩრდილოამერიკულ კულტურას მიაკუთვნეს.

სამუელ ჰანტინგტონის კლასიფიკაციით *„გაგლეჯილ ქვეყანას ერთი გაბატონებული კულტურა აქვს, რომელიც მას გარკვეულ ცივილიზაციას მიაკუთვნებს, ხოლო მისი ლიდერები სხვა ცივილიზაციას ესწრაფვიან. ისინი თითქოს ამბობენ: „ჩვენ ერთი ხალხი ვართ და ყველანი ერთად ერთ ადგილს მივეკუთვნებით, მაგრამ ჩვენ ამ ადგილის შეცვლა გვსურს"... როგორც წესი, ამგვარი ქვეყნების ლიდერთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქემალისტურ სტრატეგიას ემხრობა და მიიჩნევს, რომ მათმა საზოგადოებამ უარი უნდა თქვას არა-დასავლურ კულტურაზე და ინსტიტუტებზე და დასავლეთს შეუერთდეს".*[148]

თუ გაიხსენებთ სააკაშვილის ერთ-ერთ საჯარო გამოსვლას, რომელშიც იგი მუსტაფა ქემალ ათათურქს პოლიტიკაში თავის იდეალს უწოდებდა, ნათელი ხდება საქართველოს ერთი ცივილიზაციიდან მეორეში „გადაყვანის" მცდელობა. საქართველოს ცივილიზაციურ „მისამართს" კიდევ მივუბრუნდეთ, ახლა კი ჰანტინგტონისეული დასკვნა ვნახოთ, თუ რა ელის ამგვარ „გაგლეჯილ" ქვეყანას ქემალისტური ექსპერიმენტების შედეგად.

„პოლიტიკურ ლიდერებს, როლებიც ქედმაღლურად მიიჩნევენ, რომ შეუძლიათ კარდინალურად შეცვალონ თავიანთი ქვეყ-

148. С. Хантингтон, «Столкновение цивилизаций», М. «Аст», 2006, გვ. 209.

ნის კულტურა, გარდაუვალი მარცხი ელით. ისინი ახერხებენ დასავლური კულტურის ელემენტების სესხებას, მაგრამ ვერ შეძლებენ მუდმივად დათრგუნონ ან მოიშორონ ადგილობრივი კულტურის ელემენტები. და პირიქით, თუ დასავლური ვირუსი სხვა საზოგადოებაში შეაღწევს, მისი მოკვლა ძალიან ძნელია. ვირუსი გამძლეა, მაგრამ მომაკვდინებელი არ არის: პაციენტი ცოცხლობს, მაგრამ ვერ იკურნება. პოლიტიკურ ლიდერებს შეუძლიათ შექმნან ისტორია, მაგრამ ისტორიას ვერ აცდებიან. ისინი წარმოშობენ გაგლეჯილ ქვეყნებს, მაგრამ ვერ ქმნიან დასავლურ ქვეყნებს. მათ შეუძლიათ ქვეყანა კულტურული შიზოფრენია შეჰყარონ, რომელიც დიდი ხნით დარჩება მისი განმსაზღვრელი მახასიათებელი." [149]

ნიშანდობლივია გია ნოდიას მიერ რადიო „თავისუფლებისთვის" მიცემულ ინტერვიუში ნათქვამი ფრაზა: *„შევარდნაძეც პროდასავლური იყო, მაგრამ მას დასავლეთის მფარველობა უნდოდა. სააკაშვილს კი უნდა, დასავლეთი გახდეს."* [150] საქართველოსათვის ცივილიზაციური „მისამართის შეცვლის" მცდელობა სრულიად გააზრებული და წინასწარ განზრახული ტენდენციაა. სხვა ყოველივე მხოლოდ ამ ტენდენციის თანმხლები პროცესებია.

„დასავლეთად გადაქცევა" ისეთივე ფუჭი სურვილია, როგორც ახალი, საბჭოთა ადამიანის „გამოყვანის" ამაო მცდელობა.

ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში რუსეთის ყოფილმა ვიცე-პრემიერმა, ახლა – მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარემ ა. შოხინმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრობასთან დაკავშირებით პირდაპირ თქვა, რომ რუსეთს პირობებს უყენებენ შესვლასთან დაკავშირებით მაშინ, როცა მისი შესვლა სწორედ დასავლეთს სჭირდება და არა რუსეთს. ჩვენნაირი ქვეყნისათვის მით უფრო თვალნათელია ეს აბსურდი: საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა უფრო მეტ ვალდებულებასთან არის დაკავშირებული, ვიდრე რაიმე მოგებასთან. მაგალითისთვის ის პრეფერენციებიც იკ-

149. С. Хантингтон, «Столкновение цивилизаций», М. «Аст», 2006, გვ. 237.
150. http://www.svoboda.org/programs/tw/2005/tw.060905.asp.

მარებს, რაც თევზჭერაში მოგვცეს, როცა თევზსაჭერი ფლოტი არ გაგვაჩნია და ახლა ეროვნულ დროშას ვაქირავებთ იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც თევზჭერის საკუთარი კვოტა შევსებული აქვთ, შემდეგ კი მათგანვე ვყიდულობთ ჩვენი დროშის ქვეშ დაჭერილ თევზს!

ევროკავშირისაკენ საქართველოს სწრაფვა ასეთივე პარადოქსს შეიცავს; ევროპის დაბერების ყველაზე მტკივნეული შედეგი ის არის, რომ ევროკავშირის ქვეყნები ვერ შეინარჩუნებენ ცხოვრების არსებულ დონეს და არამომუშავე მოსახლეობის მიმართ სახელმწიფო ვალდებულებებს ვეღარ შეასრულებენ. ამიტომ ევროკავშირისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მიგრაციის დაშვებას. გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, – უცხოტომელების, – სხვა რასისა და რელიგიის წარმომადგენლების მასობრივად შეშვება თავიანთ ქვეყნებში არც ევროპელებს სურთ. ამ პრობლემის შემსუბუქება მოხდა ევროკავშირში სწორედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიღებით. ბჟეზინსკი პირდაპირ აცხადებს: „იმიგრანტთა ასიმილაციის პროცესი იოლდება, თუ მათ საერთო კულტურული მემკვიდრეობა აქვთ და სამართლებრივი ბარიერები არ უშლით ხელს. მაგალითად, საფრანგეთსა და გერმანიაში პოლონელი იმიგრანტების ინტეგრაცია უფრო სწრაფად მოხდება და სოციალურად მისაღები გახდება, ვიდრე ჩრდილოეთ აფრიკიდან და თურქეთიდან გამოსულებისა, რომ აღარაფერი ვთქვათ სამხრეთ აზიიდან მიგრანტთა გაზრდილ რაოდენობაზე."[151]

ერთი სიტყვით, ჩვენ ხვეწნა გვიწევს იმისათვის, რაც ევროკავშირს თავად სჭირდება ჰაერივით: კავკასიური რასის, ქრისტიანი ხალხის შესვლა ევროპაში! ნატოსა და ევროკავშირში შესვლა პარადოქსულ ვითარებას ქმნის: არც ერთი და არც მეორე არ გვპირდება ჩვენთვის სასიცოცხლო პრობლემების მოგვარებას, ჩვენგან კი იმგვარი პირობების დაკმაყოფილებას მოითხოვს,

151. З. Бжезинский «Выбор: мировое господство или глобальное лидерство». М. «Международные отношения». 2005, გვ. 218-219.

რომ თუ ეს მოვახერხეთ, შეიძლება რუსეთმაც კი გვთხოვოს საქართველოს შემადგენლობაში მიღება!

უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში, ხელისუფლების მონდომების მიუხედავად, საქართველოში სულ უფრო მეტმა პოლიტიკოსმა დაიწყო ლაპარაკი ნეიტრალიტეტის შესახებ. ნატოს მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებაც შეიცვალა, – იგი აღარ არის ერთგვაროვანი და პოზიტიური. ეს არც არის გასაკვირი, – ნატო სულ უფრო და უფრო ემსგავსება მსოფლიო ჟანდარმს. ერთადერთი, რამაც შეიძლება უბიძგოს საქართველოს ამ ჟანდარმისკენ, საქართველოს ტერიტორიის გამთლიანებაა. ეს კი ის საკითხია, რომელშიც ნატო არც აპირებს ჩარევას. თუ ჩვენი „მეგობარი ქვეყნების" ნელთბილ პოზიციებს გადავხედავთ რუსეთ-საქართველოსა და გაყინული კონფლიქტების მიმართ, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნება, რომ ნატოში ჩვენი წევრობა მხოლოდ დასავლეთს სჭირდება საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად. სამაგიეროდ, რუსეთს არაფერში სჭირდება, რომ მისი სამხრეთ საზღვარი ნატომ დაიკავოს. იმდენად არ სჭირდება, რომ ნატო სულაც არ არის ურიგო საპირწონე საქართველოს სასიცოცხლო საკითხების მოსაგვარებლად რუსეთთან დიალოგში. კოსოვოს მაგალითმა მშვენივრად გვიჩვენა, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ის საკითხი არ არის, რომელსაც დასავლეთი ვერ გადააბიჯებს. ამიტომ ჩვენთვის აუცილებელია ნეიტრალიტეტი სწორედ იმ პირობით, რომ რუსეთთან მოლაპარაკების გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება.

თავი X. „ვინ ჰკითხავს გორბაჩოვს?“

„პერესტროიკის“ დროს ერთი ქუთაისური ანეკდოტი იყო მოდაში; ხიდთან ორი ძმაკაცი დგას და დაინახეს, რომ მესამე მოდის. დეკემბერია, ყინვა და ერთი მეორეს ეუბნება, გინდა, ჭიჭიკია ამ ყინვაში რიონში გადავახტუნოო? – თავის ნებითო? – გაიკვირვა მეორემ. – აგერ ნახავო, მიუგო ძმაკაცმა და ჭიჭიკიას გასძახა: – ჭიჭიკია, გეიგე, გორბაჩოვს ახალი უკაზი გამოუციაო? – რა უკაზიო? – იკითხა ჭიჭიკიამ. – რა და, ხიდიდან რიონში გადახტომა აუკრძალიაო! – ვინ ჰკითხავს, ბიჭო, გორბაჩოვს? – ფეხი იშვირა და გადახტა რიონში ჭიჭიკია.

მას შემდეგ „გორბაჩოვის ჯინაზე“ ბევრი რამ მომხდარა საქართველოში (მანამდეც!) და ჩვენი ფსიქოლოგიის ამ უცნაურობას ბევრჯერაც დავუზარალებივართ. მაგრამ ვერაფერს იზამ, როგორც ქართული ანდაზა გვეუბნება, „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია“.

ჯორჯ ორუელი, „ცხოველების ფერმის“ დაუვიწყარი ავტორი, გასული საუკუნის 40-იან წლებში წერდა: *„თუ გამომცემლები და რედაქტორები ასე ცდილობენ, არ მიუშვან ზოგიერთი თემა დაბეჭდვამდე, ეს დევნის შიშით კი არ ხდება, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოებრივი აზრისა ეშინიათ. ყველაზე დიდი მტერი, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში მწერალი ან ჟურნალისტი ეჯახება, – ეს არის ინტელექტუალური სიმხდალე... ყველაზე საშინელი ინგლისის ლიტერატურულ ცენზურაში ის არის, რომ იგი დიდწილად ნებაყოფლობითია. არაპოპულარულ იდეებს ახშობენ, უხერხულ ფაქტებს აჩუმათებენ, – ასე რომ ოფიციალური აკრძალვა აღარც არის საჭირო... ყოველ მოცემულ მომენტში არსებობს „მართებული“ თვალსაზრისი, შეხედულე-*

ბათა ერთიანობა, რომელთა შესახებ მიჩნეულია, რომ წესიერი ადამიანები მათ განსჯის გარეშე ეთანხმებიან. ისე კი არ არის, რომ აზრთა სხვადასხვაობა იკრძალებოდეს, მაგრამ მისი ხმამაღლა გამოთქმა „მიღებული არ არის"... ყველა, ვინც დაეჭვებას გაბედავს ამ „მართებულ" აზრში, უცებ აღმოაჩენს, რომ მას დიდი ძალისხმევის გარეშე გააჩუმებენ. არაპოპულარულ აზრს პრაქტიკულად არა აქვს შანსი, გაიჟღეროს ყოველდღიურ გაზეთში ან ინტელექტუალურ ჟურნალში... გარდა მარქსისტული განცხადებისა, რომ „ბურჟუაზიული თავისუფლება" – ილუზიაა, ახლა კიდევ გავრცელდა რწმენა, რომ დემოკრატიის დაცვა მხოლოდ ტოტალიტარული მეთოდებით არის შესაძლებელი. ეს რწმენა გვამცნობს, რომ თუ დემოკრატია გიყვარს, იგი ნებისმიერი ხერხით უნდა დაიცვა და მისი მტრები გაანადგურო. ვინ არიან მისი მტრები? აქ ყოველთვის ირკვევა, რომ მტრები მხოლოდ ისინი კი არ არიან, ვინც მას ღიად ესხმის თავს, არამედ ისინიც, ვინც „ობიექტურად" წარმოადგენს მისთვის საფრთხეს, ანუ ისინი, ვინც „არასწორ" თეორიებს ავრცელებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დემოკრატიის დაცვა ყოველი დამოუკიდებელი აზრის განადგურებას გულისხმობს... ამ ადამიანებს არ ესმით, რომ თუ ტოტალიტარულ მეთოდებს უჭერ მხარს, უცილობლად დადგება მომენტი, როცა ისინი შენ სასარგებლოდ კი არა, შენ წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

...ახლა მოდაშია რუსეთით აღფრთოვანება. სრულიად დასაშვებია, რომ ეს მოდა დიდხანს არ გაგრძელდეს. ვინ იცის, იქნებ, როცა ეს წიგნი დაიბეჭდება, ჩემი აზრი საბჭოთა კავშირის შესახებ საყოველთაოდ მიღებულიც კი აღმოჩნდეს. მერედა, რა სარგებელია აქედან თავისთავად? ერთი „მართებული" აზრის შეცვლა მეორით ჯერ კიდევ არ არის წინ გადადგმული ნაბიჯი. მტრულია ცნობიერება, რომელიც გრამოფონის პრინციპით მოქმედებს და სულაც არა აქვს მნიშვნელობა იმას, მოგვწონს თუ არა ამ წუთში მასზე დადებული ფირფიტა...

მე ვიცი, რომ ინგლისის ინტელიგენციას უამრავი მიზეზი

მოეძებნება საკუთარი სიმხდალისა და არაკეთილსინდისიერ-ბის ასახსნელად. უფრო მეტიც, ზეპირად ვიცი ყველა არგუმენტი, რომელიც მოჰყავთ თავის გასამართლებლად. მაგრამ მაშინ მოდი ნულარ ვილაპარაკებთ ფაშიზმისაგან თავისუფლების დაცვაზე. თუ თავისუფლება რაიმეს ნიშნავს, იგი ნიშნავს უფლებას, უთხრა ადამიანებს ის, რის მოსმენაც მათ არ სურთ." [152]

როდესაც ორუელი ამ სტრიქონებს წერდა, მისთვის რამდენიმე გამომცემლობას უკვე ნათქვამი ჰქონდა უარი „ცხოველების ფერმის" გამოქვეყნებაზე სწორედ იმ მოტივით, რომ ბრიტანულ საზოგადოებას დაუშვებლად მიაჩნდა მოკავშირე ქვეყნის (სსრკ-ს) მძაფრი კრიტიკა. რამდენიმე წლის შემდეგ ორუელის წინასწარმეტყველება ახდა; ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა 1946 წლის 5 მარტს ფულტონში ისტორიული სიტყვა წარმოთქვა. ეს დღე „ცივი ომის" გამოცხადების თარიღად არის აღიარებული. დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ კარდინალურად შეიცვალა, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ იდეოლოგიური თვალსაზრისით თვით სსრკ რაიმეთი უარესი გახდა, ვიდრე რამდენიმე წლით ადრე იყო. საქმე, რაღა თქმა უნდა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გავლენის სფეროთა განაწილებაში იყო, თუმცა იდეოლოგიის ექსპანსიის საფრთხეც არსებობდა; დასავლური სამყაროს დიდ ნაწილში (მათ შორის ინტელექტუალურ წრეებში) კომუნისტური იდეებით გატაცება აშკარა იყო. როგორ „დემოკრატიულად" გადაწყვიტა ეს პრობლემა დასავლეთმა, ამაზე – ნაწილობრივ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი, აქ კი კვლავ ორუელის გაფრთხილებას მივუბრუნდეთ. განა იგივე ვითარება არ არის შექმნილი საქართველოში დღეს, როცა ერთმა დეპუტატმა ითხოვა, აეხსნათ ნატოში შესვლის აუცილებლობა, და ეს მთელი პარლამენტის აღშფოთების მიზეზი გახდა? თუ დეპუტატთაგან ვინმეს კიდევ აწუხებდა ეს საკითხი, ხმამაღლა ამის თქმის სურვილს, ალბათ, სამუდამოდ დაკარგავდა.

152. Дж. Оруелл, «Скотское хозяйство», С.Пт. «Азбука-классика», 2005, გვ. 141-143.

ყველაზე „აღშფოთებულ“ დეპუტატთა შორის ისინიც იყვნენ, ვინც, ბოროტ ენებს თუ დავუჯერებთ, ნატოს გლობუსზე ეძებდა.

საერთოდ, გარკვეულ თემებზე ტაბუს დადება სიმპტომატურია. „მართებულ“ ან გაბატონებულ აზრს არც უნდა შეეწინააღმდეგო, არც კითხვა უნდა გაგიჩნდეს. უკანასკნელ თვეებამდე ნატოზე, ევროკავშირზე ან ამერიკაზე აუგის თქმა ისეთივე მიუღებელი იყო, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის გმობა საბჭოთა კავშირში, ხოლო რუსეთზე ერთ კეთილ სიტყვასაც კი შეიძლება აგენტის „ბილეთის“ გამოწერა, ან „სამშობლოს ღალატში“ ბრალდება მოჰყოლოდა.

ლაშა ბაქრაძე „თავისუფლების დღიურებში“ წერს: *„მზეზე“ ვიყავი „ტაბუს“ ჩაწერაზე. რა ტაბუა „რუსულ-ქართული ურთიერთობები“, გაუგებარია. დისკუსია, როგორც ყოველთვის საქართველოში, აბდაუბდაა. ყველა თავისას უბერავს. მოვისმინე იგივე, რასაც ბოლო 15 წელიწადზე მეტია, ვისმენ: რა კარგები არიან დასტაევსკი და ტალსტოი! თუ ესენი არ წაიკითხე ორიგინალში, ვერ შედგები ადამიანად. სანამ რუსულს ვისწავლიდით, ფირდოუსის სხლავდნენ ქართველები ათი საუკუნე სპარსულად და მალე კი დავივიწყეთ. სულ ყოველთვის მონები ვიყავით. სანამ ამას არ გავაცნობიერებთ, ბუშის ქუჩას ვერ ავცდებით!“* [153]

მართალია, ქართველებს „მორიგე რუსი“ არ გამოელიათ, ახლა, როგორც ჩანს, ამ როლზე აშშ არის შეგულებული. აი, ტაბუს რაც შეხება, აქ ცოტა თვალთმაქცობს ლაშა. ტაბუ არც „დასტაევსკიზეა“ დადებული და არც „ტალსტოიზე“, ისევე, როგორც ფირდოუსი არ დაუვიწყებიათ ქართველებს, უბრალოდ, სპარსეთის ორბიტაზე აღარ არიან. ტაბუ საგარეო პოლიტიკას ადევს მთლიანად. რატომღაც მიჩნეულია, რომ ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციაზე საერთო კონსენსუსი უნდა იყოს და ამ საკითხებზე ჯამათი, ორუელისა არ იყოს, „მართებული“ არ არის.

თუ ჩვენ მართლმადიდებლური ცივილიზაციის ნაწილი ვართ

153. „თავისუფლების დღიურები – 2006“, პრაღა-თბილისი, პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა, 2007, გვ. 22.

(ამაში ეჭვის შეტანა უფრო სხვა ქვეყნებზე შეიძლება, ვიდრე საქართველოზე), არ უნდა გაგვიკვირდეს ჩვენი დასავლელი მეგობრების ხშირი მითითება იმაზე, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა მოვაგვაროთ, რომ მეტი დიპლომატიურობა გვმართებს და ა. შ. 1995 წელს ისტორიულ სამშობლოში ჩამოსულმა ჯონ-მალხაზ შალიკაშვილმა ინტერვიუში განაცხადა: *„რუსეთი მეტად ანგარიშგასაწევი ძალაა. მიმაჩნია, რომ მის პირველ პირებთან შეიძლება საერთო ენის გამონახვა. ეჭვგარეშეა, რომ ყოველთვის იგებს ის ქვეყანა, რომელსაც კარგი მეზობლობა შეუძლია. ჩემი რჩევა იქნება, მარტო ცუდს ნუ გაიხსენებთ! გახსოვდეთ, რომ ბევრი კარგიც იყო თქვენ შორის... ვიცი, რომ ხშირად გტკენიათ გული, მაგრამ მოდით ხვალინდელ დღეზე ვიფიქროთ. თქვენ აუცილებლად უნდა მონახოთ გასაღები რუსეთთან. დამერწმუნეთ, სხვა ისე ვერავინ დაგეხმარებათ, როგორც ისინი. თქვენ დღეს ძალიან გაგიჭირდებათ დამოუკიდებლად ფეხზე წამოდგომა..."* [154] ამ ინტერვიუს შემდეგ 13 წელი გავიდა. იქნებ რაიმე შეიცვალა? ბევრი არაფერი, რადგან ჩვენი დასავლელი პარტნიორები პერიოდულად კვლავ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე მიგვანიშნებენ. თავად ისინი დიდი სიფრთხილით ეკიდებიან რუსეთს და ეს არც არის გასაკვირი; მაგალითად, გერმანიის საქონელბრუნვამ რუსეთთან 2007 წელს 52,8 მილიარდი დოლარი შეადგინა! ჩვენ კი ამასობაში რუსული ბაზარი დავკარგეთ. ქვეყნის მასშტაბით ეს ყოველივე უცხოელი ინვესტორის მიერ შესყიდულ და გაჩერებულ ჩაის ქარხნებს წააგავს, რომლის ამუშავება მას არც უფიქრია; უბრალოდ, სხვას არავის მისცა კონკურენტი საწარმოების ამუშავების საშუალება. ვიდრე ჩვენ რუსეთის ბაზარს ვკარგავთ, მას მკვიდრად იკავებენ ჩვენი დასავლელი მეგობრები, რომელთათვის თავის მოსაწონებლად ჩვენი პოლიტიკოსები მკვახე-მკვახე განცხადებებით უმასპინძლდებიან რუსეთს (ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ).

ხელისუფლების ადვოკატად ვერ გამოვდგები, მაგრამ, რო-

154. მ. ბერაძე „ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი", თბ. 1998, გვ. 25.

დესაც ოპოზიცია ამბობს, რომ საქართველოში დემოკრატია არ არის და ამიტომ არ შემოდის დასავლური ინვესტიციები, მანაც მშვენივრად უწყის, რომ ეს სიცრუეა. ინვესტორები დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს რომ უყურებდნენ, შვეიცარიის გარდა, ფულს არსად დააბანდებდნენ (ისიც ალბათ მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულებში, რადგან შვეიცარიაში ქალებმა საერთო-ეროვნულ დონეზე საარჩევნო უფლება მხოლოდ 1971 წელს მოიპოვეს, ხოლო ორ კანტონში – 90-იანი წლების დასაწყისში!. მთელი აზიური და ახლოაღმოსავლური ინვესტიციების პრაქტიკაც სწორედ ამას ადასტურებს. სხვა საკითხია, საერთოდ რესურსების გაყიდვის მიზანშეწონილობა, თორემ რუსეთი რომ პირველ რიგში იყიდის ყველაფერს, რაც საქართველოში გაიყიდება, ეს არც გასაკვირია და არც საკრიტიკო. საბაზრო ეკონომიკისადმი ქართული მიდგომაც ისეთივე პარადოქსულია, როგორც სხვა „ღირებულებებისადმი"; ხან იმას ვამბობთ, რომ „ყველაფერს ბაზარი დაარეგულირებს", ხანაც რუსეთს ეკონომიკის პოლიტიკური მიზნებით გამოყენებაში ვადანაშაულებთ.

ჩვენი ბუნებრივი ეკონომიკური პარტნიორები სწორედ ყოფილი საბჭოთა ქვეყნები არიან იმის გამო, რომ ჩვენ მოდერნიზაცია და ინდუსტრიალიზაცია ერთად გავიარეთ და ჩვენი ეკონომიკები თავსებადად აშენდა (აქ ეკონომიკის მართვის პოლიტიკურ მეთოდებზე არ ვსაუბრობ). ამიტომ იყო ასეთი მტკივნეული რუსეთის ბაზრის გადაკეტვა. ახალ ბაზრებზე რომ ჩვენ ასე მარტივად და უმტკივნეულოდ არავინ შეგვიშვებს, ეს წინა თავებიდანაც კარგად ჩანს.

ჩვენი მოსახლეობა საკუთარ თავზეც კარგად გრძნობს რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვის ფასს. პრინსტონის უნივერსიტეტის რუსული და ევროპული კვლევების პროგრამის ხელმძღვანელის, სტივენ კოტკინის მონაცემებით 2007 წელს რუსეთიდან გაგზავნილი თანხები შეადგენდა ტაჯიკეთისა და მოლდოვის მთლიანი შიდა პროდუქტის 30%-ს, ყირგიზეთის – 20%-ს, ხოლო საქართველოს და სომხეთის – 10-20%-ს. ეს მასობრივი დეპორ-

ტაციის შემდგომ (თუმცა, რამდენად მასობრივი იყო იგი, იხ. ციფრები თავში „გვეშველება?")!

2002 წელს ლონდონში ვიზიტისას ჩვენმა კონსულმა მითხრა, რომ ორი სტუდენტი გოგონა სამუშაო საათების გადაჭარბებისთვის პოლიციამ დააპატიმრა და დეპორტაციისთვის ამზადებდნენ (ჩასულ სტუდენტებს შეუძლიათ იმუშაონ არა უმეტეს განსაზღვრული რაოდენობის საათებისა). იმის გამო, რომ გოგონებმა ორი საათით მეტი იმუშავეს, ისინი ციხეში მოათავსეს. სხვა დარღვევა ან დანაშაული მათ არ ჩაუდენიათ. კატეგორიულად მოვითხოვე მათი განთავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიზიტის შეწყვეტას დავპირდი. ორიოდე საათში ისინი გაათავისუფლეს. ერთ-ერთმა მათგანმა, მიუხედავად იმისა, რომ სწავლობდა, ქვეყანაში დარჩენა აღარ ისურვა. მეორე დარჩა, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია მისი განწყობა და დამოკიდებულება იმ ქვეყნისადმი, რომელიც ადამიანის უფლებებს სხვებს ასწავლის, თავად კი მცირე დარღვევისთვის სტუდენტი გოგონების ციხეში ჩასმა არ ეთაკილება.

ს. ჰანტინგტონი პირდაპირ მიუთითებს რუსეთის, როგორც მართლმადიდებლური ცივილიზაციის „ღერძი" სახელმწიფოს ფუნქციაზე, რომელიც პასუხისმგებელია მართლმადიდებლობის საზღვრის გასწვრივ წესრიგის შენარჩუნებაზე. უკრაინაზე საუბრისას იგი ხაზს უსვამს ცივილიზაციურ ნაპრალს დასავლეთ და აღმოსავლეთ უკრაინას შორის. სხვათა შორის, სამიოდე წლის წინ, პოლიტიკური კრიზისის პერიოდში, დასავლეთის ქცევა აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ ისინი უკრაინის ორად გაყოფაზეც არ დაიხევდნენ უკან. ამგვარი სცენარის განვითარებას არც რუსეთი გამორიცხავდა. ჰანტინგტონი სომხეთს, სრულიად სამართლიანად, რუსეთის ყველაზე ერთგულ პარტნიორად მიიჩნევს. მას 1-მილიონიანი დიასპორა მხოლოდ აშშ-ში ჰყავს, ხოლო 450.000-იანი საფრანგეთში. 90-იანი წლების შუაგულში დიასპორის დახმარება სომხეთისთვის 50-75 მლნ. დოლარს შეადგენდა. აშშ-ში ყველაზე მეტი სომეხი „საკვანძო" შტატებში – კალიფორნიაში, მასაჩუსეტსსა და

ნიუ-ჯერსიში ცხოვრობს. ამიტომ აშშ კონგრესმა 90-იან წლებში ყოველგვარი დახმარება აკრძალა აზერბაიჯანისთვის, ხოლო სომხეთი ერთ სულ მოსახლეზე ამერიკული დახმარებით მსოფლიოში მესამე ადგილზე გავიდა. აქედან მოდის მისი მეტსახელი – „კავკასიის ისრაელი".[155] ამის გათვალისწინებით, უცნაურია, რომ „ობოლი" საქართველო უფრო ისწრაფვის დასავლეთისკენ, ვიდრე სომხეთი.

დღეს საქართველოშიც და რუსეთშიც ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ურთიერთობების აღდგენა უკიდურესად რთულია; თუმცა, ნებისმიერი კონფლიქტი რთული მოსაგვარებელია სწორედ იმიტომ, რომ ურთიერთწყენა და შეცდომებისა თუ დანაშაულის შეხსენება კიდევ უფრო ამწვავებს მას. და მაინც, არის საკითხები, რომელთა ხმამაღლა განსჯისა და დასკვნების გამოტანის გარეშე ურთიერთობების აღდგენა ვერ მოხერხდება. ყოფილი ზესახელმწიფოს მოქალაქეთათვის (წარმოიდგინეთ საკუთარი თავი მათ ადგილას) უმძიმესია იმის გადალახვა, რომ მისი ნაწილები უბრალოდ კი არ ჩამოშორდნენ, არამედ მტრის ბანაკში აღმოჩნდნენ. საქართველოსთვის ვერაფერი ხეირია იმ მოძრაობის ავანგარდში ყოფნა, რომლის მიზანი რუსეთის საბოლოო დაშლაა. ზოგიერთი პოლიტიკოსი ისეთი აღტყინებით მიანიშნებს ამაზე, რომ სურვილი გიჩნდება, ქართული ანდაზა შეახსენო: „აქლემი ისე არ დავარდება, ვირის საპალნე ვერ ზიდოს!". ან რა ლოგიკით შეიძლება საკუთარი ნაწილების დაბრუნება გეიმედებოდეს, როცა მეზობლის დაშლაზე აგებ ვარაუდს! ერთხელ ბავშვობაში საკურორტო რესტორანში შევესწარი სცენას, რომელიც არასოდეს დამავიწყდება: რუსი ქალი და მამაკაცი სტუმრად იყვნენ ქართველებთან. რუსულად პირში ქების შემდეგ ქართულად ერთმანეთის გასაგონად დასცინოდნენ. ამაზრზენი სანახავი იყო. ამაზე უფრო დიდი სიმდაბლე წარმოუდგენელია. ამასთან არც პატრიოტიზმსა აქვს რაიმე საერთო და არც ანტიიმპერიალიზმს. „სტუმარ-მასპინძელის" პატრონი ერი ამას არ კადრულობს. თუ ვინმეს ჰგო-

155. С. Хантингтон, «Столкновение цивилизаций», М. «Аст», 2006, გვ. 455-456.

ნია, რომ დღეს ამერიკელების მიმართ სხვა განწყობაა, ძალიან ცდება. 2003 წელს მაღალ ამერიკელ სტუმართან შეხვედრიდან გამოსვლის შემდეგ დღევანდელი მმართველი წრეების წარმომადგენლებისგან ზუსტად ისეთივე დაცინვა მოვისმინე, როგორც იმ სუფრაზე. ერთი მხრივ, ეს ისეთივე მიუღებელია, როგორც რუსების შემთხვევაში, მეორე მხრივ კი იმედი ჩნდება, რომ არც ამერიკელების მიმართ გაჩენილა მონური დამოკიდებულება.

ალბათ გვახსოვს, როგორი უმძიმესი რეაქცია გამოიწვია ჩვენში ვ. ასტაფიევის ოპუსმა „ციმორის ჭერა საქართველოში". არადა, დასკვნები რომ გამოგვეტანა, დღეს ბევრი ის პრობლემა არ გვექნებოდა, რომელთა მოგვარებასაც, წლებია, ვცდილობთ. ფაქტობრივად, ასტაფიევი სწორედ იმ ორპირობაზე მიუთითებდა, რომელიც ზემოთ აღვწერე. ასეთივე ორპირია ქართული პოლიტიკაც რუსეთის მიმართ. ანტირუსული რიტორიკა (ხშირად შეურაცხმყოფელიც) და რუსეთისგან შეღავათების მოთხოვნა ისე მონაცვლეობს, თითქოს ვინმეს სჯეროდეს, რომ გინების შემდეგ გაზს ნახევარ ფასში მოგაწვდიან! კარგა ხნის წინ ჩამოყალიბდა ორი უკიდურესობა ქართველი პოლიტიკოსების მიდგომისა რუსეთის მიმართ: ან სრული მიუღებლობა, ან სრული მონური მორჩილება. არც ერთი რომ არაფრის მომტანია, ცხადია. და მაინც, ამ საკითხზე საღი და მიუკერძოებელი მსჯელობა ვერ ხერხდება. დიდწილად იმის გამო, რასაც გიორგი წიქარიშვილი (დათო გამცემლიძის ფსევდონიმი) „საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიურ დომინანტს" უწოდებს: *„ეს ფენომენი აიძულებს პიროვნებას, სძლიოს განწყობას და (ნუ გაიკვირვებთ) საკუთარ თავს მოახვიოს მისთვის შინაგანად უცხო სტერეოტიპი, ვინაიდან იგი საზოგადოებაში აბსოლუტურ, ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებადაა მიჩნეული. მაგალითად, 1988-89 წლებში, ასიდან ოთხმოცდაათ (ანუ ათიდან ცხრა) ქართველს არ მოსწონდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის (ე. წ. „შინდისფერი") დროშა, რომელიც „მოძრაობის" ლიდერებს გამოჰქონდათ მიტინგებზე... მაგრამ მის არსებობას არათუ ურიგდებოდნენ, არამედ აიძულებდნენ*

საკუთარ თავს, დროშისადმი დადებითად ყოფილიყვნენ განწყობილნი. იგივე ითქმის ჩვენს ჰიმნზეც, ისევე როგორც გერბზე, ან თუნდაც თვით ლიდერებზე. არავითარ ბუნებრივ სიმპათიას მათი ქცევა და იმიჯი არ ბადებდა, მაგრამ საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური დომინანტი მაინც თავისას სჩადიოდა. ეს ურთულესი ფსიქოლოგიური და, ამავე დროს სოციალური ფენომენია, რომელმაც (გადაუჭარბებლად) უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს უახლეს ისტორიაში. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ, თუ რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ ან პიროვნებამ შეძლო ამგვარი დომინანტის შექმნა და მასთან გაიგივება, შემდეგ ეს ფსიქოლოგიური ფენომენი თავად აიძულებს საზოგადოებასაც და ინდივიდსაც, იმოქმედოს საკუთარი სურვილისა და შეგრძნების საწინააღმდეგოდ".[156]

საინტერესო მოსაზრებაა, როგორც სხვა მრავალი მის წიგნში „ჟამი ჭეშმარიტი". ეს სწორედ ის არის, რასაც ორუელი „მართებულ თვალსაზრისს" უწოდებდა, მაგრამ ადგილობრივი კოლორიტის გათვალისწინებით მან „აგრესიული დომინანტის" სახე შეიძინა. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს რუსეთთან დამოკიდებულებაშიც, როცა ხალხის უმრავლესობა გრძნობს, რომ ამ ურთიერთობას ალტერნატივა არა აქვს, მაგრამ ვერავინ ბედავს ამის ხმამაღლა თქმას. პოლიტიკოსებს ამ „დომინანტის" გამო ამომრჩევლებისა ეშინიათ, ხალხს კი, სულ მცირე, არაპატრიოტულობაში ბრალდების. ასეთივე ვითარებაა ახლა აფხაზეთშიც, სადაც მოსახლეობის უმეტესობა მიხვდა, რომ ქართველებთან ერთ სახელმწიფოში ცხოვრება ერთადერთი შესაძლო ვარიანტია, მაგრამ ამის განცხადებას ვერც ხალხი ბედავს და ვერც პოლიტიკოსები. საუბედუროდ, ქართული ინტელიგენციაც კი უფრთხის ამ არაპოპულარულ თემას და იმავე შიშების გამო რუსეთთან მხოლოდ კულტურულ კავშირებზე მიმანიშნებელ რბილ განცხადებებს აკეთებს.

არ ვაპირებ დოსტოევსკისა და ტოლსტოიზე ლაპარაკს. თუ

156. გ. ნიქარიშვილი „ჟამი ჭეშმარიტი (დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა)", თბ. 2003, გვ. 493-494.

„საკლუბო კულტურაზე" მიდგა საქმე, სხვადასხვა ეროვნების ინტელექტუალები გაცილებით უფრო იოლად პოულობენ საერთო ენას ერთმანეთთან, ვიდრე საკუთარ თანამემამულესთან, რომლის ინტერესების სფერო ლიტერატურის (ან სხვა რომელიმე ჰუმანიტარული დარგის) მიღმა არსებობს. ლაპარაკია ქვეყნებს შორის ურთიერთობაზე, ეს კი პოლიტიკის სფეროა და მისი მოტივირება მხოლოდ კულტურით შეუძლებელია.

ჩვენს შეცდომებს და ახირებებს მეტ-ნაკლებად შევეხე, ახლა – რუსეთზე. სანამ რუსეთი არ გააცნობიერებს, თუ რა ვერ აპატიეს ქართველებმა, ამ ურთიერთობას ნორმალურ კალაპოტში დაბრუნება არ უწერია. რომ არ დავწვრილმანდეთ, მხოლოდ მონარქიის, ერთმორწმუნე ეკლესიისა და ქვეყნის მთლიანობის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე შევჩერდეთ. სამეფო ტახტის გაუქმება და ორ გუბერნიად მისი მიერთება იყო შეთანხმების ღალატი, რომელმაც დიდწილად განაპირობა გუშინდელი და დღევანდელი უნდობლობა რუსეთის მიმართ. ბიბლიური დავითის შთამომავალი ბაგრატიონების 1000-წლოვანი მეფობის გაუქმება, პოლიტიკურის გარდა, წმინდა მისტიკური და მეტაფიზიკური თვალსაზრისით იყო დაუშვებელი. ამასწინანდელი ბესტსელერი, „და ვინჩის კოდი" სწორედ ამ თემით იყო საინტერესო (სხვა მხრივ იგი გამართული თრილერ-დეტექტივის იქით არ წასულა); გრაალის თასი, ანუ მაცხოვრის სისხლი, რომელიც ასევე დავითის სისხლია, არის მისტიკური დატვირთვის მატარებელი. ეს გრაალი სწორედ ბაგრატიონების დინასტიაშია განსხეულებული (ცხადია, დენ ბრაუნს ამაზე არაფერი უწერია), სხვა აღარც ერთ მოქმედ ქრისტიანულ დინასტიაში ეს სისხლი კარგა ხანია, აღარ მოედინება. არაერთხელ მიუთითეს ბაგრატიონებმა „რუსთ ხელმწიფეს", რომ ამგვარად მაჰმადიანი ქვეყნებიც კი არ მოჰქცევიან საქართველოს, მაგრამ ამაოდ. რუსეთის ეკლესიაზე საუკუნეებით უფროსი და ღირსებით უპირატესი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და კათალიკოს-პატრიარქის ნაცვლად საეგზარქოსო მმართველობის შემოღება ღვთის წინაშე ჩადენილი ცოდვა და დანაშაული იყო.

1921 წლის ანექსიამ, თან იმ მთავრობის პირობებში, რომელიც მათი იდეოლოგიური მტერი ნამდვილად არ ყოფილა, საბოლოოდ ახადა ფარდა რუსეთის პოლიტიკას ქართველების თვალში. მხოლოდ ამ სამი უდიდესი ცოდვის წინაშე ქართველების მიერ დაშვებული გამოხდომები ფერმკრთალდება. ვიდრე რუსეთში ამას არ გააცნობიერებენ, ურთიერთობათა მოგვარებაში ნდობა არ იქნება.

ამ საკითხების გადაწყვეტის დროულობაზე მიანიშნა სწორედ უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, როდესაც, ბევრისთვის სრულიად მოულოდნელად, გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში მონარქიის აღდგენაზე გააკეთა განცხადება.

მონარქიაზე მსჯელობისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს რაღაც შორეული და არარეალური ამბავია. საერთოდ, ისტორიის „გაზღაპრება", მისი მითოლოგიზება ძველი ისტორიის ხალხებში ჩვეულებრივი რამ არის. ამის გამო რეალობასა და მითოსურ წარმოდგენებს შორის ზღვარი იშლება. როდესაც ზოგიერთი პოლიტოლოგი მონარქიას „შუასაუკუნეობრივ სიბნელეს" უწოდებს, მას, როგორც ჩანს, შვედეთი, დანია, ბრიტანეთი, ბელგია, ჰოლანდია, ესპანეთი და სხვა ქვეყნები შუა საუკუნეებში ჩარჩენილებად მიაჩნია. სინამდვილეში მონარქია არც ჩამორჩენილობას ნიშნავს და არც ისტორიულ ჩიხს. რომანოვების საიმპერატორო სახლის მეთაურმა, მარია ვლადიმიროვნამ ზუსტი ფორმულირება მოძებნა: *„რესპუბლიკა არის სახელმწიფო, რომელიც სააქციო საზოგადოებასავით არის მოწყობილი; მასში არის ანგარიში, ფხიზელი გათვლა, მაგრამ არ არის სული. მონარქია, ბევრი ნაკლის მიუხედავად, უფრო ადამიანურია".* [157]

თუმცა ზოგადად მონარქიის ავ-კარგზე აქ ნუ ვიმსჯელებთ; ისევე, როგორც მიწის საკითხში, აქაც ქართველებისთვის მონარქიის აღდგენა სულაც არ არის მხოლოდ სახელმწიფო მართვა-გამგეობის საკითხი. იგი უფრო იმ ისტორიული უსამართლობისა და უკანონობის გამოსწორებას ნიშნავს, რომელიც რუსეთმა დაუშვა

157. http://3-07.mysob.ru/news/politic/85166.html.

თავის დროზე. რომანოვების ტრაგედია ყველა ბუნებრივი და ზებუნებრივი კანონით წინასწარ განსაზღვრული და გარდაუვალი იყო სწორედ იმ დანაშაულის გამო, რომელიც მათ ბაგრატიონების დინასტიის წინაშე დაუშვეს. მაგრამ დავბრუნდეთ XX საუკუნეში და ვნახოთ, რა ბედი ეწიათ დევნილობაში მყოფ ბაგრატიონებსა და რომანოვებს.

თავადმა ირაკლი გიორგის ძე ბაგრატიონ-მუხრანელმა, პირველმა გადაწყვიტა თავისი გვარის უფლებების შეხსენება. 1942 წელს ქართული ემიგრანტული ორგანიზაციების ყრილობამ რომში თავადი ირაკლი ერთიანი საქართველოს ტახტის კანონიერ პრეტენდენტად აღიარა. მისი და მისი ოჯახის მდგომარეობა ესპანეთის პრინცესა ინფანტა მარია მერსედეს დე ბურბონ-ი-ბავიერთან ქორწინებამ განამტკიცა. ინფანტა ესპანეთის მეფის, ალფონს XIII-ის დისწული იყო. მამამისმა, ბავარიის პრინცმა დონ ფერნანდომ შეკითხვით მიმართა რუსეთის საიმპერატორო სახლის მეთაურს, დიდ თავადს, ვლადიმირ კირილოვიჩს: შეიძლება თუ არა ჩაითვალოს თავად ბაგრატიონის ქორწინება ბურბონების სახლის პრინცესასთან თანასწორად?

1946 წლის 5 დეკემბერს დიდმა თავადმა თავისი შეხედულება ბაგრატიონების დინასტიაზე განსაკუთრებული აქტით გადმოსცა. ***„რათა დაკმაყოფილდეს ქართველი ხალხის სამართლიანი ეროვნული გრძნობები"***, ვლადიმირ კირილოვიჩმა აღიარა ბაგრატიონების უფროსი შტოს – ბაგრატიონ-მუხრანელების სამეფო ღირსება. ქართული სამეფო სახლის მეთაურად აღიარებულ იქნა თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე, ხოლო მისი სიკვდილის შემდგომ 1957 წელს – გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელი. თავად გიორგის ასული ლეონიდა 1948 წლის აგვისტოში ცოლად გაჰყვა რომანოვების სახლის მეთაურს, დიდ თავადს ვლადიმირ კირილოვიჩს. მათი ქალიშვილი, მარია ვლადიმიროვნა მამის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის საიმპერატორო სახლის მეთაური გახდა.[158] ამდენად, რუსეთის ტახტის პრეტენდენტი დედით ბაგრატიონია, ხოლო

158. http://3-07.mysob.ru/news/politic/85166.html.

ქართული ტახტის მემკვიდრეები მას ბიძაშვილებად ეკუთვნიან.

ამ ინფორმაციით გამოდის, რომ ბაგრატიონთა დინასტია აღდგენილია უფლებებში რომანოვების მიერ 62 წლის წინ. ამით მათ ფაქტობრივად აღიარეს ის დანაშაული, რაც მიუძღოდათ, ოღონდ ამას მთელი სამეფო ოჯახის მოწამებრივი სიკვდილი და დევნილობა დასჭირდა (სხვათა შორის, სწორედ ამ თემას უკავშირებენ იმპერატორ პავლე I-ის იმ იდუმალ წერილსაც, რომელიც ნიკოლოზ მეორემ რომანოვების 300 წლის იუბილეს წინ წაიკითხა და რომელიც, როგორც ამბობენ, რომანოვთა დინასტიის წყევლას შეიცავდა). ახლა უკვე ერთადერთი დარჩა – ქართველებმა საკუთარი ნებით აღადგინონ დინასტია, რომლის ასაკისა დღეს ევროპის არც ერთი მოქმედი სამეფო დინასტია არ არის.

თბილისში ასეთი ამბავი დადის: ერთ-ერთ სუფრაზე, როგორც ხდება ხოლმე, საქართველოს წარსულსა და მომავალზე ჩამოვარდა საუბარი. იყო განცხადებები, რომ „ერეკლემ დაგვლუპა", „საქართველო რუსეთს ჩააბარა" და ა. შ. ბოლოს თამადამ სუფრაზე მყოფ აკა მორჩილაძეს (ჩემის აზრით, თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს მწერალს) მიმართა: „შენ რას იტყვი, შენ ხომ კარგად იცი ეს ამბები". მანაც უპასუხა: „მე მეკითხებით? 80 წელს მიტანებული ერეკლე მეფე რომ გარდაიცვალა, მიცვალებულის განბანისას უნახავთ, რომ 80-მდე ჭრილობა ჰქონდა საქართველოსთვის ომებში მიღებული. მე ერთი ნაკაწრიც არა მაქვს და, აბა, მე რა უნდა გითხრათო?" მართლაც, ნუთუ დღეს ვინმეს ჰგონია, რომ მეფეზე მეტად უყვარს თავისი სამშობლო? ერეკლე მეფე დღესაც ხალხისთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მეფეა, რადგან მან საკუთარ თავსა და ოჯახს სამშობლო და ხალხი ამჯობინა. გამოუვალ ვითარებაში მან საკუთარი ხალხის გადარჩენას მიანიჭა უპირველესი მნიშვნელობა.

2007 წლის ნოემბერში კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა, რომელზეც ფართო საზოგადოება არ არის ინფორმირებული. ნოემბრის პოლიტიკური კრიზისის უკიდურესად გამწვავების შემდეგ საზოგადო მოღვაწეთა ნაწილმა მიმართა პატრიარქს თხოვნით, რომლის წერილობით ვერსიას ქვემოთ გთავაზობთ:

მიმართვა
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს
უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს

თქვენი, ეკლესიის საჭეთმპყრობლისა და ერის სულიერი წინამძღოლის მტკიცე და თანმიმდევრულმა პოზიციამ, მოწოდებამ მშვიდობისაკენ გაგვაბედვინა, მოგმართოთ ერისათვის ამ მეტად მძიმე და გადამწყვეტ ჟამს.

2-7 ნოემბერს თბილისში შექმნილმა ვითარებამ აშკარა გახადა ის ღრმა დაპირისპირება საზოგადოებაში, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ მწვავდებოდა, მაგრამ მხარეებს შორის დიალოგის სახე ვერ მიიღო. ოთხიოდე წლით ადრე ჩატარებული არჩევნების შემდეგ მხარეებმა არ ცნეს არჩევნების შედეგები და მასობრივმა მღელვარებამ ქვეყანა რევოლუციური გზით წაიყვანა. ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელსა და საზოგადოებას შორის გაუცხოებამ შემაშფოთებელი ტენდენციის სახე მიიღო. ახლაც, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია კვლავ დაპირისპირებისა და შეურიგებლობის ესკალაციის ფონზე მიმდინარეობს. თქვენი უკანასკნელი ქადაგებაც ამ წუხილს შეიცავდა; რა იქნება 5 იანვრის შემდგომ? ცნობს და აღიარებს მის შედეგებს ქართველი ერი და მსოფლიო? როგორ მოიქცევიან გამარჯვებული და დამარცხებული მხარეები? რას მოუტანს საქართველოს ძველი ან ახალი პრეზიდენტი იმ პირობებში, როდესაც დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობა აშკარად ვერ პასუხობს ხალხის მოთხოვნებს? ერის გულშემატკივარს არ შეიძლება ეს საკითხები არ აშფოთებდეს.

საქართველოში უკანასკნელ ხანს განვითარებული მოვლენები მოწმობს, რომ ერი და ქვეყანა კიდევ ერთხელ აღმოჩნდა გზაგასაყარზე, რომლის დაძლევა გარეშე, მზა რეცეპტებით ვერ მოხერხდება. სწორედ ამის გამოძახილი იყო თქვენი ერთ-ერთი უკანასკნელი ქადაგება, რომელშიც თქვენ, კონსტიტუციური მონარქიის ერთი შეხედვით შორეულ პერსპექტივაზე ბრძანებდით. ამ მოსაზრებას ერისა და პოლიტიკური ელიტის უდიდესი უმ-

რავლესობა იზიარებს. ცხადია, მის განხორციელებას დრო, მოთმინება და კომპრომისების უნარი სჭირდება, რასაც ხშირ შემთხვევაში პოლიტიკურ დაპირისპირებაში შესული მხარეები ვერ ახერხებენ ან, თუ ახერხებენ, მხოლოდ თქვენი უწმინდესობის ინიციატივით, თანდასწრებით და მონაწილეობით. ამდენად, თქვენი უშუალო მონაწილეობის გარეშე არჩევნების შემდგომაც შეუძლებელი იქნება შეთანხმება იმაზე, თუ როგორი პოლიტიკური წყობის სახელმწიფოში ვიცხოვრებთ.

ქვეყნისათვის, ერისათვის მძიმე განსაცდელის ჟამს მართლმადიდებელ ეკლესიას წარსულშიც არაერთხელ აუღია საკუთარ თავზე ერის გადარჩენის პოლიტიკური ფუნქციაც. ამის ისტორიული პრეცედენტები გვაქვს შორეულ წარსულშიც და XX საუკუნეშიც. ჭყონდიდელი მღვდელმთავარი მეფის პირველი ვაზირისა და მწიგნობართუხუცესის ფუნქციას ასრულებდა სწორედ იმ ეპოქაში, რომელიც დღესაც სანატრელია ყოველი ქართველისათვის და რომელიც საქართველოს გამთლიანება-აღმშენებლობასთან არის გაიგივებული. წარსულში ძნელბედობის ჟამს არავის უკვირდა ეპისკოპოსის მიერ სადროშოს მეთაურობა.

კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსი ბერძენი ერის პოლიტიკური ლიდერი და „ერის მამა" გახდა ოსმალთა იმპერიის ზეობისას. მიტროპოლიტმა ანთიმოზ ივერიელმა ვლახეთის მთავარის, ანუ პოლიტიკური და სამხედრო ლიდერის ფუნქცია იტვირთა. კვიპროსისათვის უმძიმეს ჟამს მთავარეპისკოპოსი მაკარიოსი ქვეყნის პრეზიდენტი იყო 1960-77 წლებში.

დღეს ოპოზიციური ლიდერები ამომრჩეველს გაპრეზიდენტების შემთხვევაში პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებას ჰპირდებიან. ვფიქრობთ, ყველაზე უმტკივნეულოდ ამ ნაბიჯის გადადგმას ერის სულიერი მამა მოახერხებს და არა საერო პირი. კონსტიტუციური მონარქია და საპარლამენტო რესპუბლიკა განუყოფელია ერთმანეთისაგან და საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის ცხადია, რომ ამ მიზნამდე ერის მიყვანა ერთადერთ პიროვნებას ხელეწიფება: მას, ვინც მთელი თავისი ცხოვრებითა და

მოღვაწეობით ხალხის უდიდესი სიყვარული და ნდობა მოიპოვა.

სწორედ საქართველოს პატრიარქის უკიდეგანო შემწყნარებლობა არის იმის წინაპირობა, რომ მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში, ნებისმიერი აღმსარებლობის, პოლიტიკური კუთვნილებისა თუ განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანს ექნება საშუალება, ემსახუროს საქვეყნო საქმეს და აქტიურად ჩაებას სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

საზოგადოების მხრიდან ეს იყო განწირულის მცდელობა 7 ნოემბრის აგრესიის შემდეგ რაიმე გზით მოხერხებულიყო ყველაზე ავტორიტეტული პირის ირგვლივ გაერთიანება. ეს არ მოხდა, დიდწილად იმის გამოც, რომ შექმნილი ვითარებიდან იოლი გამოსავალი ვერ იარსებებდა. იმის გამოც, რომ ყველაფერი უნდა გაცხადდეს და ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. იმის გამოც, რომ, როგორც პატრიარქმა ბრძანა, „ერი არ აღმოჩნდა მზად მონარქიისათვის". მან დაგვზოგა, თორემ ერი კიდევ ძალიან ბევრი რამისათვის არ აღმოჩნდა მზად.

თუკი მონარქიის აღდგენისათვის მოძრაობა რუსეთშიც დაიწყება (გარკვეულ წრეებში იგი დაწყებულია, ოღონდ არა საერთო-ეროვნული მასშტაბით) და საქართველოშიც, უნდა ვიფიქროთ, რომ ორი ერის შერიგებისა და თანასწორუფლებიანი ურთიერთობის პერსპექტივა რეალური გახდება. შეუძლებელია მართლმადიდებლური ცივილიზაციის გამთლიანება საქართველოს გარეშე და თუკი ამას, მაგალითად, კ. ზატულინი ვერ ხვდება, ეს მისი პრობლემაა და არა საქართველოსი ან რუსეთის.

2005 წლის აპრილში ჩვენთვის კარგად ცნობილი კონსტანტინე ზატულინი ათენში ჩატარებულ მართლმადიდებლობის საპარლამენტო ასამბლეის კონფერენციაზე გამოვიდა. მან მართლმადიდებლური ცივილიზაციის პრობლემებზე ილაპარაკა. *„მართლმადიდებლურ სამყაროს სჭირდება ძლიერი რუსეთი, როგორც ერთადერთი მართლმადიდებლური ზესახელმწიფო. რუსეთს სჭირდება მართლმადიდებლური სამყარო, როგორც ერთადერთი*

კულტურულ-პოლიტიკური სივრცე, რომელშიც იგი შეიძლება ცენტრის როლს ასრულებდეს".[159] შემდეგ იგი დაასკვნის: *„ელინიზმი და სლავობა – მართლმადიდებელი ცივილიზაციის ორი საყრდენია".* მას ერთი სიტყვითაც არ უხსენებია საქართველო, თითქოს განაცალკევა იგი მართლმადიდებელი სამყაროსაგან. საქართველო ხომ არც ელინური და არც სლავური ქვეყანა არ არის. თუმცა, თავის დროზე პოლონეთი ასე იცავდა ხოლმე თავს: დასავლეთს ეუბნებოდა – დიახ, ჩვენ კათოლიკეები ვართ, მაგრამ ამავე დროს სლავები. რუსეთს პასუხობდნენ – დიახ, ჩვენ სლავები ვართ, მაგრამ კათოლიკეებიო. ზატულინის სულიერება და პოლიტიკური ალღო ამ საკითხების გადაწყვეტას აშკარად არ ჰყოფნის.

რუსეთში ახლა ნეოკონსერვატორებიც გამოჩნდნენ, რომლებსაც ძველი კონსერვატორები „მართლმადიდებელ გლობალისტებს" უწოდებენ. რუსი „ნეოკონების" მთავარი ორიენტირებია: მართლმადიდებლური პერსონალიზმი, მართლმადიდებლური უნივერსალიზმი და მართლმადიდებლური ექსპანსიონიზმი.[160] ეს არის აშკარა ნიმუში მართლმადიდებლობაში პროტესტანტული ღირებულებების ჩანერგვისა, რომელიც თავად მართლმადიდებლობას ფიქციად აქცევს.

როგორ უნდა მოგვარდეს ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის, როცა, მაგალითად, არქიმანდრიტი ტიხონი (სკანდალურად ცნობილი ანტიდასავლური ფილმის „ბიზანტიის დაღუპვის" ავტორი) ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ აცხადებს: *„რუსეთს მხოლოდ იმპერიის სახით შეუძლია არსებობა. ჩვენ ვშიშობთ და ვიმორცხვებთ იმის გამო, რაც სხვა ქვეყნებს ასე ეძვირფასებათ. ნახეთ, ვაშინგტონში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმპერიული სიმბოლიკაა. ეჭვიც არ შეგეპარება, რომ დიადი იმპერიის დედაქალაქში იმყოფები. კაპიტოლიუმი, იმპერიული არწივები, სენატი... მათ არ რცხვენიათ, დაარქვან ყოველივეს თავისი სახელი, თავი იგრძნონ იმად, რაც არიან. და უკვე მხო-*

159. http://www.zatulin.ru/index.php?section=news&id=58.

160. http://www.zavtra.ru/cgi/veil/data/zavtra/07/733/4.

ლოდ ეს შეგნება დიდწილად ქმნის ადამიანებსაც და ქვეყანასაც".[161] არ ვიცი, ვის გულისხმობს მამა ტიხონი, მაგრამ ამერიკელი ხალხის საუკეთესო ნაწილს იმპერიაში ცხოვრება არ უნდა. დიდი მწერალი და დრამატურგი ჰაროლდ პინტერი ამერიკის შეერთებულ შტატებს „თაღლითურ ქვეყანას" უწოდებს: *„აშშ სახეზე მორგებული სიკეთის ნიღბით ეწეოდა განუწყვეტელ, სისტემატურ, დაუნდობელ მანიპულაციებს ძალაუფლებით მთელს მსოფლიოში. ამერიკას რომ შეხედავ, არ შეიძლება არ განიცადო ზიზღი ძალის მანიფესტაციისა და გლობალური კაპიტალიზმის გამო, რომელიც მთელ მსოფლიოს მოედო და საძაგელია თავისი ყოვლისშემძლეობით".*

რაც შეეხება იმპერიას, მისი შენარჩუნება რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ბრიტანეთი კვლავაც იმპერია იქნებოდა და არა „თანამეგობრობა", რომელსაც დაესესხნენ სახელს დსთ-ს – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შემქმნელები. ჩვენ, როგორც ყველაფერში, აქაც ვერაფრით ვიხეირეთ, ხოლო მასში წევრობას დღესაც აყვედრის ოპოზიცია ხელისუფლებას. ბევრი საყვედურის შემდგომ, გიორგი ბარამიძემ ბოლოს და ბოლოს ახსნა, რომ დსთ-ში „შეთრევას" (როგორც დღესაც ხშირად ამბობს ზოგიერთი პოლიტიკოსი) საქართველოსთვის არაფერი დაუკლია, ხოლო მისი დატოვება მხოლოდ დროულად და მაქსიმალური მოგებით იქნება გონივრული (სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს ომში მარცხის შემდეგ დსთ-ს დატოვება უკვე არავითარი მოგების მომტანი აღარ აღმოჩნდა.). რას იზამ, აქაც „საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიურ დომინანტთან" გვაქვს საქმე, თორემ დსთ-ს წევრობის სიავეს რიგითი მოქალაქეები რომ ვერაფერში გრძნობენ, ეს ფაქტია. სამაგიეროდ, სომხებისგან განსხვავებით, ჩვენ არ ვსარგებლობთ იმ საშუალებებით, რასაც დსთ-ს წევრობა გვაძლევს. ეს არის ადგილები რუსულ უმაღლეს სასწავლებლებში (რომლებიც ადრეც და დღესაც უკეთეს განათლებას იძლევა, ვიდრე დასავლური კურსები), მკურნა-

161. გაზეთი «Известия», 22.11.2008.

ლობისთვის გამოყოფილი უფასო ადგილები და სხვ. თუმცა, მოსახლეობა ამის თაობაზე ინფორმირებულიც კი არ არის. და ეს მხოლოდ ქართული ხელისუფლების ბრალი როდია. რუსეთშიც პოლიტიკოსები გაცილებით მეტ დროსა და ენერგიას იმპერიულ რიტორიკას უთმობენ, ვიდრე რეალურ პოლიტიკას. არადა, ეს რომ რაიმე კარგის მომტანი იყოს, ისინი ბრიტანელებს (მათ მუდმივ კონკურენტს საგარეო პოლიტიკურ არენაზე) ვერ დაასწრებდნენ, რომლებიც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებზე ლაპარაკით საკუთარ „თანამეგობრობას" კიდევ უფრო აფართოებენ; დღეს ბრიტანული ერთა თანამეგობრობა 53 ქვეყანას მოიცავს 1,8 მილიარდი ადამიანით. 2006 წელს სერიოზულად განიხილებოდა მასში ისრაელის, ალჟირის, რუანდის, იემენისა და სომალის შესვლის საკითხი. სხვათა შორის, ბევრი ექსპერტის აზრით, დღევანდელი ამერიკული იმპერიალიზმისგან განსხვავებით, რუსეთმა და ბრიტანეთმა ყოფილ კოლონიებში შექმნა ის ინფრასტრუქტურა, რომელზეც დეკოლონიზაციის შემდგომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აშენება იყო შესაძლებელი, მაშინ როცა ამერიკელები იქ არაფერს ქმნიან, საკუთარი ინტერესების დაცვის გარდა.

რუსეთი დღეს, როგორც არასოდეს მანამდე, თვითგამორკვევის მტკივნეულ პროცესშია. ეს პროცესი რადიკალიზმისა და გადახრების გარეშე არსად მიმდინარეობდა (გაიხსენეთ საქართველო 80-90-იანი წლების მიჯნაზე), მაგრამ ახალი რეალობის წინაშე რუსეთმა იმპერიული რეციდივები უნდა დაძლიოს, წყალი უნდა დაიწმინდოს და მაშინ ჩვენი ურთიერთობები ხარისხობრივად სხვა საფეხურზე ავა, ხოლო ბევრი მტკივნეული საკითხი აქტუალობას დაკარგავს. დღეს რუსეთს ბევრის სწავლა შეუძლია თუნდაც საქართველოს შეცდომებზე და მით უფრო, იმ პოზიტივზე, რომლის გარეშე არც ერთ ქართულ დანაკარგს არ ჩაუვლია. მაგრამ ამისათვის რუსეთმა თავად უნდა იპოვოს საკუთარ თავში ძალა და უარი თქვას საკითხების მარტივად, ძალით გადაწყვეტის ცდუნებაზე. დღეს ხშირად გაიგონებ, რომ რუსეთი დიდია და მას

მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. ეს ასეცაა, მაგრამ საქართველო სახელმწიფოებრივად და რელიგიურად ასაკით უფროსია და ჩვენი პასუხისმგებლობაც არ არის მცირე.

ჩვენთვის ჩვეული გახდა იმის გამეორება, რომ საქართველო „გზაჯვარედინია", ხიდია ევროპასა და აზიას შორის, მაგრამ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიის არც ერთი ქვეყანა ცალკე არ წარმოადგენს სრულფასოვან ხიდს. სინამდვილეში ასეთი ხიდის ფუნქცია მთლიანად რეგიონმა შეიძლება იტვირთოს. ამდენად, რეგიონის სამივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორები თუ არ დაბალანსდა, ხიდი ვერ გაიდება.

ვახტანგ რჩეულიშვილის მიერ შემუშავებული ჯვარისებრი საგარეოპოლიტიკური კონცეფცია, ანუ უსაფრთხოების სამკუთხედი თბილისი-მოსკოვი-ვაშინგტონი პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 2003 წელს ოფიციალურად გამოაცხადა ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკის საფუძვლად. კონცეფცია შევიდა სახელისუფლებო საარჩევნო ბლოკ „ახალი საქართველოს" პროგრამაში და გულისხმობდა პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას როგორც აშშ-სა და დასავლეთთან, ასევე რუსეთთან. სწორედ აღმოსავლურ-დასავლური და ჩრდილოურ-სამხრეთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვექტორების გადაკვეთით მიიღება მრავალვექტორული ჯვარი. კონცეფციის მიზანია საქართველოს და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიის გადაქცევა ზესახელმწიფოთა, კერძოდ აშშ-სა და რუსეთის თანამშრომლობის და არა დაპირისპირების ზონად".[162]

2008 წლის აგვისტოს საომარ მოქმედებებამდე რამდენიმე თვით ადრე ვახტანგ რჩეულიშვილი წერდა: „დემოკრატიულობის თვალსაზრისით პუტინის რუსეთი დიდი არაფრით განსხვავდება მილოშევიჩის სერბეთისაგან – დასავლური ღირებულებები და თავისუფლებები რუსეთისათვის კიდევ უფრო უცხოა, ვიდრე ევროპული სერბეთისათვის. მაგრამ ცხადია, რომ ისეთი ძლიერი და მდიდარი

162. www.politscience.ge/index15/html.

ბირთვული სახელმწიფო, როგორც რუსეთია, სერბეთის ან ერაყის მსგავსად თავს არავის დააჩაგვრინებს. პირიქით, ის უკვე სხვის დასასჯელად არის განწყობილი. სამწუხაროდ, აშშ-მ და დასავლეთმა ალბანური სეპარატიზმის მხარდაჭერით რუსეთს ცუდი მაგალითი უჩვენეს.

თუ რუსეთი და დასავლეთი შეთანხმდნენ, რომ საქართველო შეიძლება ინტეგრირებული იყოს დასავლეთში ნატოს სამხედრო სტრუქტურაში მონაწილეობის მიღების გარეშე ან სულაც ნეიტრალიტეტის შენარჩუნებით და ამასთან მისი ტერიტორიული მთლიანობა უზრუნველყოფილი იქნება, ეს ყველაზე უმტკივნეულო, მაგრამ ნაკლებრეალური ვარიანტია. თუმცა მოლდოვა-დნესტრისპირეთის მაგალითზე რუსეთი ამჟამად ცდილობს მის რეალიზაციას. მოლდოვამ ნატოზე უარი განაცხადა, მაგრამ ევროკავშირში სამომავლო შესვლის იმედს იტოვებს რუსეთთან ურთიერობების შენარჩუნების ფონზე. ამიტომაც რუსეთის ოფიციალური პირები (რუსეთის დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კოსაჩოვი) უკვე ოფიციალურად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობის შესაძლებლობასაც კი."

ერთ იუმორისტულ რადიოგადაცემაში დასმულ შეკითხვაზე, როგორ მიხვდით, რომ „რუსეთი ჩვენი მეზობელიაო", ვახტანგ რჩეულიშვილმა ჩვეული გულღიაობით უპასუხა: „გეოგრაფიის მასწავლებელი მყავდა კარგიო!" მართლაც, სამშობლო ბინა არ არის, რომელსაც გადაცვლი და სხვაგან გადახვალ. გვინდა თუ არ გვინდა, რუსეთთან ურთიერთობები უნდა მოვაგვაროთ. უკანასკნელ ხანს ამერიკელი ექსპერტები უკვე საკუთარ ისტებლიშმენტსაც იმას მოუწოდებენ, რომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე იზრუნონ. საქართველოს ხელისუფლებაც სიტყვიერად ხშირად იმავეს იმეორებს, მაგრამ ამის გაკეთება ნატოს წევრობასთან ერთად რომ ვერ მოხერხდება, ეს ყველამ კარგად იცის. არის საკითხები, რომელთა მიმართ

პოლიტიკურ სპექტრს სირაქლემას პოზიცია უჭირავს იმის შიშით, რომ პრორუსულობა არ დასწამონ. გახსოვთ ალბათ ბრძნული ზღაპარი „მოლა და ვირი"; იმის შიშით, ვინმეს რამე არ ეთქვა, მოლა ხან ვირზე შეჯდა, ხან ჩამოვიდა, ხან შვილიშვილი შესვა, ხან თვითონაც გვერდზე მიუჯდა. მთქმელიც არ გამოელია: ზოგმა იმაზე იცინა, რომ ერთ ვირზე ორი ვირი შემჯდარიყო, ზოგმაც იმაზე, რომ ვირი ცარიელი მიდიოდა, მოხუცი და ბავშვი კი ფეხით მისდევდნენ, სხვამ ვირზე მჯდომ მოხუცს ბავშვის დაჩაგვრა დააბრალა, ისეთებიც გამოჩნდნენ, ბავშვის ვირზე ჯდომა და მოხუცის ფეხით სიარული რომ შეიცხადეს. გაბრაზდა მოლა და როგორც მის საქმეს მოუხდებოდა, ისე მოიქცა: შეჯდა ბავშვთან ერთად ვირზე და თავის გზას დაადგა. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. ქვეყანა უნდა გავამთლიანოთ, ფეხზე დავაყენოთ, ადამიანს ადამიანური ცხოვრების საშუალება მივცეთ, რჯული და ადათი შევინარჩუნოთ. სხვა გზა არ არის.

თავი XI. გვეშველება?

უკანასკნელი წლების განმავლობაში ეს ყველაზე პოპულარული შეკითხვაა, რომელსაც ქართველები საკუთარ თავსა და ერთმანეთს უსვამენ. ასეთი უიმედოა ჩვენი მდგომარეობა? არის თუ არა გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან? როგორ ახერხებენ სხვა ქვეყნები გაუმკლავდნენ გლობალიზაციის და ერთი ქვეყნის დიქტატის „ახალ გამოწვევებს" (ესეც გლობალიზატორთა ტერმინია)?

> გამოწვევა-პასუხი – ინგლისელი ისტორიკოსის, ფილოსოფოსისა და კულტუროლოგის, არნოლდ ტოინბის ნაშრომის დასახელება, რომელიც 10-ტომიანი გამოკვლევის „ისტორიის შემეცნების" ნაწილს წარმოადგენს. ტოინბის მწყობრი ფილოსოფიური სისტემიდან ეს ამოგლეჯილი ტერმინი მხოლოდ მის გამარტივებულ გაგებას ასახავს. „საზოგადოება თავისი არსებობის განმავლობაში მთელ რიგ პრობლემებს აწყდება, ყოველი პრობლემა კი არის გამოწვევა, რომელიც ერთგვარი გამოცდის ხასიათს ატარებს". ფართო გაგებით ტოინბი იმ ფაქტორებს იკვლევს, რომლებიც განაპირობებს ცივილიზაციათა განუმეორებლობას და არა, მაგალითად, ვალუტის კურსის მერყეობის გამო წარმოშობილ „გამოწვევებს".

როდესაც ვინმე ტუჩებს დაბრეცს და ქედმაღლურად განაცხადებს, რომ „შეთქმულებების თეორიისა" არ სჯერა, დანამდვილებით შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ ან წარმოდგენა არა აქვს მიმდინარე მოვლენებზე, ან თავად არის იმათგანი, ვინც შეთქმული თუ არა, რაღაც ფარული ინტერესების გამტარებელი მაინცაა.[163] ყველაზე გასაოცარი კი ის არის, რომ შეთქმულებას მუდმივად სწორედ ის ადამიანები ეძებენ (და, რაც უნდა გასაკვირი

163. М. Паренти, «Власть над миром», М. «Поколение», 2006, გვ. 211.

იყოს, პოულობენ კიდეც!), რომელთაც „შეთქმულებების თეორიისა“ არ სჯერათ! ბოლოს და ბოლოს, გააჩნია, რას დაარქმევ შეთქმულებას; როცა საერთო ინტერესების მქონე ადამიანები ერთად ჩაიფიქრებენ რაიმეს შეცვლას, საერთო ძალებით განახორციელებენ ამ გეგმას და სასურველ შედეგსაც მიაღწევენ, ჰქვია თუ არა ამას შეთქმულება? თუ ადამიანების ერთი ჯგუფი შეიძლება იყოს რუსეთის ფარული აგენტი, რატომ არ არიან მათი მოწინააღმდეგენი ამერიკის აგენტები? რატომ არის სამარცხვინო КГБ-ს აგენტობა, ხოლო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, ან სხვა რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურისა – ღირსეული საქმე? აქაც, როგორც სხვა უამრავ საკითხში, საქმე გვაქვს ცნებათა ხელოვნურ აღრევასთან, საზოგადოებრივ ცნობიერებაში ცრუ სტერეოტიპების ჩანერგვასთან (სტერეოტიპი, თუნდაც არ იყოს ცრუ, მაინც ვერაფერი გამოსადეგია მოვლენათა ანალიზისას, ხოლო სიცრუეზე დაფუძნებული, საერთოდ სწყვეტს ადამიანს რელურ სამყაროს და ვირტუალურ, სასურველ გარემოში ამყოფებს).

და მიუხედავად ამისა, არასოდეს მიტაცებდა მასონოლოგიური ლიტერატურა, რადგან მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ნებსით თუ უნებლიეთ მისი უდიდესი ნაწილი სწორედ მასონთა ყოვლისშემძლეობისა და უძლეველობის მითს ნერგავს. სხვა საქმეა, რა სახელი უნდა დაერქვას იმ ჯგუფს, რომელიც ზემოთ აღწერილ „მსოფლიო წესრიგს“ ნერგავს. ზოგისთვის ეს მასონებია, სხვათათვის – ებრაელები, რუსები ან ამერიკელები. ჩემთვის საკითხი სხვაგვარად იხსნება: ამ ყველაფრის უკან სიმდიდრის პათოლოგიური სიყვარული და მისი ნებისმიერი გზით მოხვეჭა დგას. ეს კი სწორედ ის არის, რაც საქართველოში არასოდეს იყო მთავარი. ამას კარგად დაინახავთ, მხოლოდ ქართველი მეფეების სასახლეებს რომ შეავლოთ თვალი. პირადად ჩემთვის ჭკუის სასწავლებელი იყო ბაბუაჩემის პასუხი, როცა ვკითხე, თუ რატომ არა გვაქვს აგარაკები მთასა თუ ზღვაზე. „ბაბუ, მთელი საქართველო მაბარია და შენ რას მთავაზობ, ცალკე შემოვილობოო?“ – მიპასუხა პატრიარქმა.

ყოვლისშემძლეობას რაც შეეხება, ორიოდე წლის წინ ასევე იქმნებოდა, მაგალითად, მითი კახა ლომაიას ყოვლისშემძლეობის შესახებ, რომლის სურვილი „საკმარისია" ქართული ლიტერატურისა და ისტორიის დასავიწყებლად. ვერ დავეთანხმები მის ამგვარ დემონიზაციას, რაც სულაც არ ნიშნავს მის მიერ გატარებული რეფორმის დადებითად შეფასებას. საქართველოს ისტორიას მასზე უფრო „დახვეწილი" რეფორმატორებიც ახსოვს, მაგრამ ქართული თვითშეგნება გადარჩა და დღემდე მოვიდა. ერთ-ერთ აღდგომას, როცა კომკავშირული რეიდის დროს ახალგაზრდა მრევლს ისევ დაერივნენ, პატრიარქი რეზიდენციის (მაშინ იგი სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში, ორსართულიან სახლში იყო) აივანზე გადმოდგა და დაიყვირა: „ნუ შედრკებით, ქართველებო! საქართველომ ამათზე უარესი დამპყრობლები მოინელა: მურვან ყრუ, თემურ-ლენგი, აღა-მაჰმად ხანი... ამათაც მოინელებს!" მაშინ ვინ იფიქრებდა, მაგრამ თხუთმეტიოდე წელინადში მართლაც ასე მოხდა. ასე რომ, გუმილიოვისა არ იყოს, ეს ყველაფერი „სიახლოვის აბერაციაა", – როცა თანამედროვე მოვლენები მარადიულად გეჩვენება. სინამდვილეში არც ამერიკის შეერთებული შტატები და მით უფრო, ლომაია, არც მარადიულნი არიან და არც ყოვლისშემძლენი. მითი ყოვლისშემძლეობის შესახებ მიზანმიმართულად ინერგება, რათა აღარავის გაუჩნდეს დაპირისპირების სურვილიც კი.

ამერიკელები (აშშ პოლიტიკურ და ბიზნესწრეებს ვგულისხმობ, რომლებიც ისე არიან შეზრდილი, რომ მათი მოტივაციების ერთმანეთისგან გამიჯვნა უკვე შეუძლებელი ხდება) იქ არიან მაგრები, სადაც გასდით და რაც უფრო მეტი გასდით, მით უფრო თავხედურად იქცევიან. სადაც წინააღმდეგობებს აწყდებიან, ჩუმად იხევენ უკან და ამ უკანდახევას „დემოკრატიის გამარჯვებად" ასაღებენ ხოლმე.

ს. ჰანტინგტონი ერთობ კორექტულად აღნიშნავს: *„საკითხთა ფართო წრეში იაპონელმა და სხვა აზიელმა ლიდერებმა ისწავლეს „არას" თქმა თავიანთი ამერიკელი კოლეგებისათვის, ზოგჯერ*

აზიური თავაზიანობით, მაგრამ ჩვენებურად რომ ვთარგმნოთ, ეს ასე ჟღერს: „დაახვიე აქედან!". შემობრუნების ამგვარ წერტილად იქცა 1994 წლის თებერვალი, როცა პრემიერ-მინისტრმა მორიხირო ჰოკოსავამ მტკიცე უარით უპასუხა კლინტონის მოთხოვნას ამერიკული სამრეწველო საქონლის იაპონური იმპორტის სტრატეგიულ გაზრდაზე".[164]

ეს „არა" ერთგვარ პაროლადაც კი იქცა ჩინეთისა და იაპონიისათვის; იგი შორს სცდება კონკრეტულ საკითხზე უარის თქმას. 1996 წელს გამოიცა ჩინური ბესტსელერი „ჩინეთს შეუძლია თქვას „არა" და „ჩინური გზა: გლობალიზაციის ჩრდილში" (1997 წელი). პირველი ძალიან ჰგავს იაპონელი ნაციონალისტის წიგნს „იაპონია, რომელსაც შეუძლია თქვას „არა". ორივე წიგნი აშკარად ანტიამერიკულია და გლობალიზაციას განიხილავს, როგორც ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური ჰეგემონიზმის ინსტრუმენტს. ჩინური „არას" ავტორები ამტკიცებენ, რომ მათი პროდასავლური ილუზიები დაიმსხვრა და მათ უარი თქვეს ამერიკული კულტურით ადრინდელ გატაცებაზე. წიგნის რვავე ავტორმა განათლება აშშ-ში მიიღო, რამაც მათ ნაშრომს მეტი დამაჯერებლობა შესძინა.[165] დღეს უკვე საფრანგეთში ამბობენ „niet!" – ეს რუსული სიტყვა ბევრად უფრო კატეგორიული უარის აღმნიშვნელად დამკვიდრდა, ვიდრე ფრანგული „non" გულისხმობს.[166]

ვიდრე ჩვენ საკუთარი წარმოების გაჩანაგებას მივხვდებოდით და განგაშს ავტეხდით, დასავლეთში ახალი ფორმულა დაიბადა: „თანამედროვე სამყაროში მომგებიანი წარმოება კი არა, გამოგონება და გასაღებაა".[167] შესაძლებელია, დასავლურ სამყაროში დღემდე ასეც იყო, მაგრამ ბოლო წლებში მილიონობით სამუშაო ადგილმა დასავლეთის საწარმოო სფეროდან ჩინეთში გადაინაცვლა. ფაქტობრივად, ამერიკული გამოგონება – გლობალიზაცია

164. С. Хантингтон, «Столкновение цивилизаций», М. «Аст», 2006, გვ. 359.
165. Я. Янь «Управляемая глобализация», «Многоликая глобализация» М. 2004. გვ. 46.
166. http://www.idelo.ru/374/1.html.
167. http://www.gumer.info/bibliotek_buks/Culture/Sard/index.php.

– ყველაზე ეფექტურად მის ნაცვლად სწორედ ჩინეთმა გამოიყენა. დასავლეთი ჩინეთში მისი ჭარბი მოსახლეობის გამო გიგანტურ გასაღების ბაზარს ხედავდა, მაგრამ ჩინეთმა მსოფლიო მწარმოებლის ფუნქცია აიღო საკუთარ თავზე (იმავე ჭარბი მოსახლეობის – იაფი მუშახელის წყალობით), მიიზიდა დასავლური ინვესტიციები. ჩინეთმა უკვე სასწრაფოდ შეისყიდა მთელ მსოფლიოში ნედლეულის გადამამუშავებელი ქარხნები, კომპიუტერების საწარმოები, აფრიკაში – ნავთობის საბადოები, ირანული და რუსული ნავთობი. მან ეს ყველაფერი მოასწრო დოლარის გაუფასურებამდე და არც კი უვაჭრია – ხშირად საბაზრო ღირებულებაზე მეტს იხდიდა, რათა ხელი დაეცალა დოლარისგან, რომელიც არაფრით არის გამაგრებული. დღეს ჩინეთს უზარმაზარი მოგება აქვს. ახლა იგი უკვე სასოფლო-სამეურნეო მიწებს ყიდულობს მთელ მსოფლიოში. რაც შეეხება გამოგონებებს, ჩინეთმა ამ მხრივ მსოფლიოს წინაშე ვალი ათასი წლის წინ მოიხადა, როცა ქაღალდი, ფაიფური და დენთი გამოიგონა, დღეს კი იგი თავისი პროდუქციის გასაღებით მსოფლიო ლიდერი გახდა. ასე რომ, 90-იანების ლოზუნგი „ჩინეთი მსოფლიოსათვის და მსოფლიო ჩინეთისათვის" დღეს უკვე ასე შეიძლება წავიკითხოთ – „მსოფლიო ჩინეთისათვის".

ინდოეთში ჩატარებულმა ატომურმა ცდებმა აშშ და სხვა დასავლური ქვეყნების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. ინდოეთის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის კი ეს წარმატებული გამოცდა ეროვნული სიამაყის საგნად და დამოუკიდებლობის დემონსტრაციად იქცა. ამერიკის მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე, ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე ატომური გამოცდების საყოველთაო აკრძალვის შესახებ, ინდოეთმა უარით უპასუხა, რამაც ნათლად დაანახვა ინდოელებს, რომ მათ მთავრობას შეუძლია, მტკიცედ დაიცვას საკუთარი ეროვნული ინტერესები. იაპონიისა და ჩინეთის კვალდაკვალ ინდოეთმაც ისწავლა „არას" თქმა.[168]

168. Т. Шринивас «Свидание с судьбой», «Многоликая глобализация» М. 2004. გვ. 103.

მალაიზიის პრემიერ-მინისტრი მაჰატჰირი ამბობდა, რომ „ჯგუფი და ქვეყანა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკეული ადამიანი".[169] ეს არსებითად დასავლური ინდივიდუალიზმის ანტითეზაა. საქართველო მხოლოდ კომუნიკაციურად როდია დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაჯვარედინი, იგი ფასეულობათა სისტემაშიც ხშირად ახერხებდა დასავლური და აღმოსავლური დამოკიდებულების სინთეზს. ჩვენთვისაც ჩვენი „ქართული" ერთობა, ქვეყანა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინდივიდი, მაგრამ ამავე დროს არც ერთი ცალკეული ადამიანი არ დათმობს საკუთარი თავისუფლების ხარისხს ან ღირსებას. ბევრი რამ, რაც აუხსნელია ქართულ ხასიათში, ხშირად სწორედ ამგვარი სინკრეტულობით არის გამოწვეული.

ის „მთლიანობა", რომელზეც აკაკი ბაქრაძე წერდა, სწორედ პოლიტიკური ერის სახელმწიფოებრივი გამოხატულებაა. გასულ საუკუნეში ქართველი ისტორიკოსები თანხმდებოდნენ, რომ საქართველო XIV საუკუნის შემდეგ აღარ წარმოადგენდა პოლიტიკურ ცნებას, ის ეთნიკური ცნება იყო. არ შეიძლება ერთი და იმავე წესით იცხოვრო იმპერიის შემადგენლობაშიც და დამოუკიდებელ სახელმწიფოშიც. საქართველო ვერ შედგება როგორც სახელმწიფო, თუ მისთვის ამოსავალი წერტილი ეთნიკური იდენტობა იქნება.

თუ ჩვენ „კულტურული ერის" მდგომარეობა არ გვეთმობა, მაშინ განწირული ვართ დაქუცმაცებისა და კონფლიქტებისათვის. „პოლიტიკურ ერზე" ორიენტაცია სულაც არ ნიშნავს წარსულსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე უარის თქმას (რაც ხშირად ემართებათ ჩვენი ახალგაზრდა ხელისუფლების წარმომადგენლებს). საქართველო ძლიერი და მთლიანი იყო მაშინ, როცა ის მხოლოდ ქართველების სახელმწიფოს არ წარმოადგენდა. სასაცილოა, აიდეალებდე დავითის დროინდელ საქართველოს და ამავე დროს სხვა ეროვნების მოქალაქეებს „მოსულებს", „სტუმრებს" ეძახდე. ხალხის დაყოფა ეროვნებისა და რჯულის მიხედვით საქართვე-

169. С. Хантингтон, «Столкновение цивилизаций», М. «Аст», 2006, გვ. 159.

ლოს ერთიანობის არც ერთ პერიოდში არ ხდებოდა. არსებობს მხოლოდ ორი კატეგორია: ქართული სახელმწიფოს მშენებელი და მისი დამანგრეველი. შეიძლება გაუთავებლად ვიდაოთ იმაზე, თუ ვინ უფრო „ჭეშმარიტი ქართველია" (ეს კუთხეების წარმომადგენლებსაც ეხება, მაგრამ ასე მწვავედ არ აღიქმება, რადგან მათ ქართველობაში ეჭვი არავის შეაქვს), მაგრამ ყველა, ვინც ქართული სახელმწიფოს აშენებისათვის ძალას არ იშურებს, უთუოდ ქართველია. ამიტომ არის ქართველი მირიან მეფე, რომელმაც ქართლი ქრისტიანობის დროშის ქვეშ გააერთიანა, თორემ წარმოშობით იგი სპარსელი იყო. მეფეებს რომ თავი დავანებოთ, უზარმაზარი ჩამონათვალია გვარებისა, რომელთა ფუძე არაქართულ წარმომავლობაზე აშკარად მიუთითებს, მაგრამ მათ ქართველობაში ეჭვი არავის შეუტანია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სრულიად განსხვავებული ფენომენია ქართველი ებრაელი, ქართველი რუსი, ქართველი სომეხი (უფრო თბილისელს რომ უწოდებენ თავს), ქართველი პოლონელი და ა.შ. საქართველოში ყოველთვის უპრობლემოდ ხდებოდა ნებისმიერი ერისა თუ რჯულის ადამიანის ინტეგრირება, თუკი იგი უმთავრესს – ქართულ ფასეულობათა სისტემას არ უპირისპირდებოდა.

ერთხელ სტრასბურგში ჰიჯაბიანი გოგონა შემხვდა. სადაურობა ვკითხე. „I am French, Turkish origine" – ფრანგი ვარ, თურქული წარმოშობისაო, მომიგო მან. მისი თურქობა არც მას და არც სხვას არ უარუყვიათ, მაგრამ იგი ფრანგული სახელმწიფოს საქმეს აკეთებს და, ამდენად, „ფრანგია". საფრანგეთშიც აპროტესტებენ დემოგრაფიული სურათის შეცვლას, მაგრამ ეს, როგორც დემოგრაფები ამბობენ, „ლოგინში მოგებული ბრძოლაა". ამიტომ სახელმწიფოს მკვეთრად განსაზღვრული დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა ჰქონდეს, თორემ თვითიზოლაციით ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია.

XX ს. დასაწყისში ბრიტანეთში აფრიკული წარმოშობის 500 ადამიანი ცხოვრობდა და ამდენივე ვესტ-ინდოელი. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთში საშოვარზე 78 556 ალჟირელი,

42 840 ინდოჩინელი, 35 506 მაროკოელი, 18 248 ტუნისელი, 3 590 მალგაში, 35 109 ჩინელი ჩავიდა. კოლონიებმა საფრანგეთს 220.000 მიგრანტი „აჩუქა". 1968 წლისათვის საფრანგეთში ცხოვრობდა 619.000 არაბი, 215.000 – ანტილის კუნძულებიდან, მარტინიკიდან, რეიუნიონიდან. გერმანიაში დღეს 2 მილიონზე მეტი თურქი ცხოვრობს (1968 წელს 205.000 იყო), საერთოდ კი – 7 მლნ. მიგრანტი. შვეიცარიაში 1950-70 წლებში მოსახლეობის სამი მეოთხედის მატება იმიგრანტებზე მოდიოდა, ერთი მეოთხედი კი – ადგილობრივებზე.[170] 90-იანი წლების შუახანს საფრანგეთში 4 მლნ. მუსლიმი ცხოვრობდა, მთელ დასავლეთ ევროპაში კი მუსლიმთა რაოდენობამ 13 მლნ. შეადგინა. აშშ-ში 1950-იან წლებში იმიგრანტთა ორი მესამედი ევროპიდან და კანადიდან იყო ჩასული, 80-იანებში იმიგრაციის ახალი ტალღის 35% უკვე აზიიდან იყო, 45% – ლათინური ამერიკიდან და 15%-ზე ნაკლები – ევროპიდან. მოსახლეობის ბუნებრივი მატება აშშ-ში ძალზე დაბალია, ხოლო ევროპაში – ნულოვანი.[171]

შერეული ქორწინებები არც ისე ხშირია, როგორც ეგონათ და „ახალი რასის" ჩამოყალიბების ნაცვლად ევროპულ რასას სხვა რასები ჩაანაცვლებენ. იმიგრანტები გამოირჩევიან მაღალი შობადობით და ტრადიციების ერთგულებით.

მითი „ახალი, რასებზე მაღლა მდგომი ადამიანის" შესახებ ისეთივე ფიქცია აღმოჩნდა, როგორც მითი „ახალ, საბჭოთა ადამიანზე", რომელსაც ეროვნული სხვადასხვაგვარობა უნდა გადაელახა. მოსახლეობის მატება დასავლეთის ქვეყნებში ძირითადად არაევროპელებზე მოდის. ამიტომაა, რომ, როგორც მ. ვეინერი „გლობალურ მიგრაციულ კრიზისში" ამბობს, ევროპელები სულ უფრო მეტად შიშობენ, რომ *„შეესიათ არა არმიები და ტანკები, არამედ მიგრანტები, რომლებიც სხვა ენებზე ლაპარაკობენ, სხვა ღმერთებზე ლოცულობენ, სხვა კულტურებს განეკუთვნებიან და ჩნდება შიში, რომ ისინი წაართმევენ ევროპელებს სამუშაოს,*

170. А. Севостьянов «Время быть русским!», М. «Яуза», 2004, გვ. 47-48.
171. С. Хантингтон, «Столкновение цивилизаций», М. «Аст», 2006, გვ. 309.

დაიკავებენ მათ მიწებს, შეჭამენ სოცუზრუნველყოფის თანხებს და მათი ცხოვრების წესს დაემუქრებიან".[172] ასე რომ, მარტო ქართველებს არ ეშინიათ უცხოტომელთა მომრავლებისა. მთელი ევროპა სერიოზული საფრთხის წინაშეა.

ევროპის „ისლამიზაცია" მიგრაციასთან ერთად თვალსაჩინოა. გერმანიაში, სადაც უკვე 2 მილიონზე მეტი მუსლიმი ცხოვრობს, უკვე შემუშავებულია პროგრამა, რომლითაც მუსლიმი ბავშვები სკოლაში ყურანის სწავლას შეძლებენ.

დღეს მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში დაახლოებით 1,5 მილიარდი მუსლიმი ცხოვრობს. იმ ვითარებაში, როცა სახელმწიფოთა სუვერენიტეტი „ხელის შემშლელ" გარემოებად არის მიჩნეული გლობალიზაციის პროცესში, ისლამი ერთგვარად მომგებიან პოზიციაშია. **უმა** – მუსლიმ მორწმუნეთა თემი ადამიანებს მხოლოდ სარწმუნოების საფუძველზე აერთიანებს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გარეშე. მუჰამედის სიკვდილის შემდეგ მუსლიმური **უმა** გახდა უზენაესი სუვერენიტეტის მატარებელი დედამიწაზე. მოგვიანებით **უმა** ხალხის, ერის ტოლფასი გახდა. თანამედროვე ცნება **„ალ-უმა ალ-არაბია"** – არაბ ერს აღნიშნავს. სირიის კონსტიტუციით კი *„არაბი ერი ერთია და მას მარადიული მისია აქვს."*[173] თუ პროცესები ასე გაგრძელდა, ევროპაში ინტეგრირებული ქართველები შეიძლება „ქრისტიანულ უმცირესობაში" აღმოჩნდნენ.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე ტელეგადაცემაში „ღამის საუბრები" ნოდარ ლადარია საკაშვილის მეუღლეს, სანდრა რულოვსს ევროპაში საქართველოს ინტეგრაციის ავ-კარგზე ესაუბრა.

ლადარიას მსუბუქ ოპტიმიზმს იმის თაობაზე, რომ ევროპაში ჩვენი ინტეგრაცია არ ემუქრება ჩვენს ჩვევებს, რომ საქართველო თავისი განსხვავებულობით და მრავალფეროვნებით ევროპაში თავის ადგილს იპოვის და ეს მრავალფეროვნება უკეთესიც გახ-

172. С. Хантингтон, «Столкновение цивилизаций», М. «Аст», 2006, გვ. 308.
173. „ისლამი" ენციკლოპედიური ცნობარი, თბ. 1999. გვ. 183-184.

დება, სანდრა რულოვსმა მხარი არ აუბა. მან სწორედ იმაზე ილაპარაკა, რომ იმიგრაციის ტალღის მატებამ გააძლიერა დაპირისპირება ჰოლანდიელებსა და იმიგრანტებს შორის. *„ტოლერანტობა მცირედება. დარღვეულია ბალანსი. ეს ის ჰოლანდია აღარ არის, სადაც მშვიდობა და ტოლერანტობა იყო."* მართალია, ლადარიას სასაცილოდ არ ჰყოფნის, რომ რუსეთიდან ხშირად ისმის, თითქოს *„ევროპას შეჭამს იმიგრაცია"*, მაგრამ სანდრა რულოვსის ნალაპარაკევიც და ევროპული წყაროებიც სწორედ ამაზე მიანიშნებს.

ტოლერანტობის შემცირებისა და ნაციონალიზმის ზრდის ტენდენცია საერთოა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ქართველების ჩვევების შენარჩუნებაზე რაღა ითქმის, როცა მიგრაციის დღევანდელი ტალღის ფონზე ევროპული ჩვევებიც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა?

რუსეთში, რომელიც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე გახდა, იგივე პროცესები მიმდინარეობს. მილიონობით ადამიანი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან საშოვარზე სწორედ იქით დაიძრა. არალეგალური მიგრანტების დეპორტაციას, კარგა ხანია, ითხოვდნენ რუსი ნაციონალისტები და როცა რუსეთმა ქართველები (და ყველა სხვა არალეგალიც) გამოაძევა, იგივე პროცესები ხდებოდა თურქეთში. მაგალითისათვის, 2007 წელს რუსეთიდან საქართველოს 2.047 მოქალაქის დეპორტაცია განახორციელა, ხოლო თურქეთიდან – 5.139 (2,5-ჯერ მეტი!). უკრაინიდან – 920, გერმანიიდან – 297, ბელორუსიიდან – 209, საბერძნეთიდან – 204, ისრაელიდან – 203. მაგრამ პოლიტკონიუნქტურიდან გამომდინარე, ხელისუფლებაც და მედიაც მხოლოდ რუსეთიდან დეპორტაციის საკითხებს აშუქებდნენ.

საერთოდ, იმიგრანტების „შემოსევა" სწორედ ყოფილი კოლონიებიდან ხდება ყოფილ მეტროპოლიებში. ეს არის გარდაუვალი საფასური იმ მძარცველური პოლიტიკისა, რომელსაც დასავლეთ ევროპის ქვეყნები აფრიკისა და აზიის ქვეყნებში ეწეოდნენ.

2001 წელს დურბანში (სამხრეთ აფრიკა) გაეროს მიერ რასიზ-

მის, ქსენოფობიისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ჩატარებულ მსოფლიო კონფერენციაზე აფრიკის სახელმწიფოთა მეთაურებმა ერთიმეორის მიყოლებით დააყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ დასავლურმა ცივილიზაციამ საკუთარი კეთილდღეობა შავი კონტინენტის ძარცვისა და მისი მოსახლეობის მონობის ხარჯზე შეიქმნა. მათ უზარმაზარი ფულადი კომპენსაცია მოითხოვეს დასავლეთ ევროპისა და აშშ-სგან. ვიჯექი სხდომათა დარბაზში და ჩემთვის ვფიქრობდი, ვისთვის უნდა მოგვეთხოვა ქართველებს სტამბოლის ბაზარზე მონებად გაყიდული თანამოძმეების გამო კომპენსაცია? ხშირად მოისმენ, რომ ისინი მოღალატე ქართველებმა გაყიდეს; აფრიკელებსაც მოძმეები ყიდდნენ და უნდა მოვეშვათ ყველაფრის საკუთარი თავისთვის დაბრალებას.

> ვახტანგ VI, რომელსაც ხარკის სახით ტყვეებიც უნდა გაეგზავნა სპარსეთში, ამ მიზნით საქართველოს გარეთ ყიდულობდა მათ. (იხ. ივ. სურგულაძე, „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“, ტ. I, გვ. 121)

ერთი შეხედვით, ქართველები მისთვის ორგანული ევროპული საზოგადოებისკენ ისწრაფვიან („ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“), მაგრამ თავად ევროპა სულ უფრო ნაკლებად ევროპული ხდება გლობალური პროცესების ფონზე. ოდესღაც საქართველო „ქრისტიანული ცივილიზაციის გოდოლი იყო აღმოსავლეთში“, ახლა, მგონი, ევროპული რასის აღმოსავლეთ გოდლის ფუნქციას ეჭიდება. მართლაც რა ისტორიული ბედისწერაა! თუ ადრე ქრისტიანობა იყო მისი ჯვარი მუსლიმურ გარემოცვაში, ახლა შეიძლება, ევროპელობა გახდეს მისი მძიმე ხვედრის მიზეზი.

თუ ქართველების ევროპელობაზე ვისაუბრებთ, აქ ალბათ, უპირველესად მოსახლეობის მატების ევროპული, ანუ ძალიან დაბალი მაჩვენებელი უნდა ვიგულისხმოთ. სამაგიეროდ, მოკვდაობით ჩვენი ტემპები აფრიკულსა და აზიურსა ჰგავს.

ზოგადად, არც ერთ ხელისუფლებას არ მოსწონს დემოგრაფიაზე ლაპარაკი (ყოველ შემთხვევაში, მე რომელი ხელისუფ-

ლებებიც მახსოვს საქართველოში). 1988 წელს, როცა საქართველოს ტელევიზიაში ვმუშაობდი, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში გამოქვეყნებული დემოგრაფიული მონაცემების გამო, საიდანაც ჩანდა, რომ საქართველოში მოსახლეობის მატება ძირითადად არაქართული მოსახლეობის მატების ხარჯზე ხდებოდა, ჩემს კოლეგას, ჟურნალისტ ლალი ლეჟავას კინაღამ სამსახური დაატოვებინეს. მეც, რაკი გამოვესარჩლე, კინაღამ ზედ მიმაყოლეს. მარტო იმან გვიშველა, რომ ამ სწორი ციფრებით „მოსკოვამდე მისვლით" და აქაური ხელმძღვანელობის დასჯით დავიქადნე. ახლა სად ვიჩივლოთ, ნიუ-იორკში თუ ჟენევაში?

გაეროს მოსახლეობის ფონდმა მთელი რიგი ზომების გატარება დაიწყო, რათა პლანეტა ჭარბი მოსახლეობისაგან ეხსნა დედამიწის რესურსების შეზღუდულობის გამო. სხვათა შორის, მალთუსის ავად სახსენებელი თეორია სწორედ მოსახლეობის შემცირებას გულისხმობდა (და არა მხოლოდ ომების პროპაგანდას). ოფიციალურად დღეს ამას „შობადობის კონტროლი" ჰქვია. მთელი პროგრამები არსებობს, მაგრამ ამ პროგრამებმა ვერ იმუშავა სწორედ იმ ხალხებში, რომელთა შობადობა სულ უფრო მატულობს. სამაგიეროდ, ევროპული რასის დეპოპულაცია კვლავაც იზრდება. კანადელი დემოგრაფების მონაცემებით, ჩრდილოეთ ამერიკაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და ევროპის ყველა ქვეყანაში (ალბანეთის გარდა) შობადობის ჯამობრივი მაჩვენებელი, კარგა ხანია, 2,0-ზე ნაკლებია. არადა, მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის (ე. ი. იმავე რაოდენობის შენარჩუნებისთვის) ეს მონაცემი 2,1-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? დემოგრაფ ა. სულაბერიძის მონაცემებით, შობადობის ჯამობრივი მაჩვენებელი 1991 წლის შემდეგ 2,1-ის დონეზე აღარ დაფიქსირებულა, ხოლო 2005 წლისათვის იგი 1,722-ს შეადგენდა. *„დეპოპულაციაზე მეტყველებს მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი, რომელიც 1-ის ზემოთ (რაც აუცილებელია მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის), ასევე 1991 წლის შემდეგ აღარ დაფიქსირებულა და 2000-2005 წლებში*

0,8-ის ფარგლებში იყო. პოპულარულ ენაზე რომ ვთქვათ, დღეს დაბადებულ გოგონათაგან დედის ასაკს 2025 წლისთვის დაახლოებით 20%-ით ნაკლები მიაღწევს, მაშინ, როცა 1970-იანი წლების ბოლოსთვის დედათა თაობა 10%-ით მეტი აღიწარმოებდა, ხოლო 1980-1990 წლებში კი 5-7%-ის მეტობის ფარგლებში."[174]

2006 წლის ნოემბერში თბილისში სტუდენტებს შორის ჩატარებული სოციო-დემოგრაფიული გამოკვლევის თანახმად, სტუდენტთა 80%-ზე მეტი ორი შვილის ყოლაზეა ორიენტირებული, 74,6%-ს საზღვარგარეთ სურთ სწავლის გაგრძელება, 5,4% კი აპირებს მუდმივ საცხოვრებლად უცხოეთში წასვლას.

ა. სულაბერიძე თავის კვლევაში მიუთითებს მოკვდაობის მაღალ მაჩვენებელზე: *„ჩვენთან ყოველ 1000 დაბადებულ ბავშვზე, 1 წლის ასაკის მიღწევამდე 25 ბავშვი კვდება, რაც განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს 6-ჯერ აღემატება... გარდაცვლილთა სტრუქტურაში მაღალი ინტენსივობით ხასიათდება 65 წლამდე ასაკის მოსახლეობა".*[175] მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ 80 და მეტი წელი შეადგინა. „კვირის პალიტრის" 4-10 თებერვლის ნომრის მონაცემებით (ვაჟა ლორთქიფანიძისა და ანზორ თოთაძის მიხედვით) XX ს. 80-იან წლებში საქართველოში ყოველწლიურად 94 ათასი ბავშვი იბადებოდა. ყველაზე მეტი ახალშობილი 1961 წელს მოევლინა ქვეყანას – 104 ათასი. 2005 წელს 46 ათასი (!) ბავშვი დაიბადა. 1941-45 წლებში, დიდი სამამულო ომის დროს, როცა საქართველომ 300.000 ვაჟკაცი შესწირა ფაშიზმთან ბრძოლას, ჩვენი ბუნებრივი მატება 135.000 ადამიანი იყო. 2001-2005 წლებში კი 6.000-ს ვერ მივაღწიეთ. 1989 წელს ყოველი ათასი დედა შემცვლელად 1003 გოგონას შობდა. 2004 წელს ეს მაჩვენებელი 662-მდე დავიდა. 1981-90 წლებში საქართველოში 456.000 გოგონა დაიბადა. 1995-2004 წლებში კი 283.000 (!). შობადობის თანამედროვე პარამეტრები, რომელიც თაობათა ცვლისთვისაა სა-

174. ა. სულაბერიძე, „ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე", თბ. 2007, გვ. 14.

175. იქვე, გვ. 18.

ჭირო, თითქმის განახევრდა. 1979 წელს საქართველოში 52.000 ყმაწვილი დაქორწინდა, 2002 წელს კი – 12 500. საქართველოს დღევანდელი მონაცემებით თითქმის ნახევარი მილიონი გაუთხოვარი ქალი ჰყავს, ხოლო 76.000 განქორწინებულია.[176]

სწორედ ამ ტენდენციებზე პასუხს წარმოადგენდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივა ოჯახში ყოველი მესამე ახალშობილის პირადად მის მიერ მონათვლის შესახებ, რადგან მხოლოდ სამი და მეტი შვილის ყოლა თუ გამოგვიყვანს ამ საგანგაშო დემოგრაფიული ვითარებიდან.

ანალოგიურ ვითარებაში მყოფი 150-მილიონიანი რუსეთიც კი არ აძლევს საკუთარ თავს იმის უფლებას, რომ სახელმწიფომ გულზე ხელი დაიკრიფოს და შეეგუოს მოსახლეობის მუდმივ შემცირებას. იქ უკვე ამოქმედდა სახელმწიფო პროგრამა, რომლის თანახმადაც შვილის გაჩენისთანავე დედა ერთჯერადი დახმარების სახით 300 დოლარის ეკვივალენტს იღებს, ბავშვის დაბადებიდან წელიწად-ნახევრის მანძილზე ყოველთვიურად 100 დოლარის ეკვივალენტი ეძლევა. მეორე შვილის გაჩენის შემთხვევაში, როცა ბავშვი სამი წლის გახდება, დედას 10.000 დოლარის ექვივალენტი ეძლევა. საბავშვო ბაღის გადასახადი მეორე ბავშვის ყოლის შემთხვევაში ნახევრდება, ხოლო მესამე შვილის ყოლისას 30%-მდე ეცემა.

როგორც კი ვინმე გენოფონდზე იწყებს ლაპარაკს, მწარედ რისკავს, რომ ფაშისტის იარლიყს მიაკერებენ. დღეს უფრო გადაშენების პირას მყოფ ცხოველებზეა ლაპარაკი მიღებული, ვიდრე ერებზე. მსოფლიოში ყოველ ორ კვირაში ერთი ენა კვდება. დადგენილია, რომ XXI საუკუნის ბოლოსთვის 6.000-დან 5.500 ენა მოკვდება. როგორც ამბობენ, ლინგვისტების საყვარელი გამოთქმაა: *„ენა დიალექტია, რომლის უკანაც არმია დგას“*. სულ ახლახან კიდევ ერთ ენა მოკვდა. გარდაიცვალა უკანასკნელი ალასკელი, რომელიც ამ ენას ფლობდა. მსოფლიო მასმედიამ სიხარულით გვამცნო, რომ მის გარდაცვალებამდე ენის სახელმძღვანელოს ჩაწერა

176. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2008 წლის 4-10 თებერვალი.

მოუსწრიათ.[177] არავის დაუზუსტებია, ვინ ილაპარაკებს ამ ენაზე.

თუ არ იარსებებს ხალხი, ტრიადა – „მამული, ენა, სარწმუნოება", აზრს კარგავს. თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ზეეროვნული წარმონაქმნებისა და „ახალი ადამიანის" გამოყვანის მანიაკალური იდეები ცოცხლობს და იფურჩქნება, ქართველებისთვის უპირველესი მნიშვნელობისაა სწორედ ფიზიკურად გადარჩენა.

დღეს სამსახურში მიღებისას ყველასგან ინგლისური ენის ცოდნას მოითხოვენ ნაცვლად იმისა, რომ არც ერთ სამსახურში ქართული ენის არმცოდნეს არ ღებულობდნენ. სახელმწიფო ენისადმი ასეთი უდიერი მოპყრობა არც ერთ თანამედროვე პოლიტიკურ ერს არ ახასიათებს.

პრობლემა ისაა, რომ საქართველოში არც ხელისუფლებას, არც ოპოზიციას მწყობრი პოლიტიკური პროგრამა არ გააჩნია. ზოგადი განცხადებები ეროვნულობასა და სარწმუნოებაზე აბსტრაქტულია. მათ არ მოჰყვება ის პოლიტიკური კონსტრუქციები, რომელთა გარეშე სახელმწიფო ვერ შენდება. ამ კონსტრუქციებში მხოლოდ „დემოკრატია", კანონი და ხელისუფლების სტრუქტურა როდი იგულისხმება; იაპონია, მაგალითად, ვერასოდეს იტყოდა რაიმეზე „არას", თუკი უარყოფდა ხანგრძლივი დასაქმების წესს. ამ საყოველთაო წესის თანახმად, იაპონური კორპორაციის თანამშრომლები დიდ ოჯახს წარმოადგენენ, საიდანაც არავის აგდებენ ასაკის მატების გამო. არც ის მოუვა თავში ვინმეს, რომ ცხვირმოუხოცავი ბავშვი უფროსად დაუნიშნოს. ეს იაპონური ხელმძღვანელობის სტილია, როცა ადამიანს აქვს სტაბილური სამუშაო. შესაბამისად, მისი გადამზადებაც ხერხდება, იგი წინაურდება სწორედ ასაკისა და გამოცდილების გათვალისწინებით. დაწინაურების ამგვარი პრინციპი მოდის XVII საუკუნიდან და ეფუძნება იმ იდეას, რომ სამუშაო ადგილზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება წარმოების ზრდას განაპირობებს. მართალია, საავტომობილო კომპანია „ტოიოტა"

177. http://www.liveinternet.ru/community/865060/blog.

ხანგრძლივი დასაქმების სისტემის გამო Moody's Investor Service-მა საკმაოდ დაბალი ქულებით შეაფასა, მაგრამ „ტოიოტა" არც ამ დაბალ შეფასებასთან შეგუებას აპირებს და არც დასაქმების სისტემის შეცვლას.[178]

ჩინეთშიც ვერ შეძლებდნენ „არას" თქმას, რომ არ ეარსებათ ისეთ ადამიანებს, როგორიცაა ქალბატონი ვუ, რომელიც კომპანია „მაიკროსოფტის" პეკინის ფილიალის აღმასრულებელი დირექტორობიდან გადადგა, რადგან მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ის მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც „მაიკროსოფტმა" ჩინური ბაზარი ჩაიგდო ხელში. მისი აზრით, ჩინურ კომპანიებთან კონკურირებისას გამოყენებული სტრატეგიები უზნეო და ამდენად, დაუშვებელი იყო. მან პროტესტი გამოუცხადა „მაიკროსოფტის" ხელმძღვანელობას და სამსახური დატოვა. „უპირველეს ყოვლისა, მე ჩინელი ვარ" – განაცხადა მან.[179]

გლობალური ალტერნატივები – თეზა და ანტითეზა – ორივე ამერიკული წარმოშობისაა. გლობალიზაციის მკვლევარები ხშირად აპელირებენ იმით, რომ გლობალიზაციის მოწინააღმდეგენიც ერთ-ერთ გაბატონებულ გლობალურ იდეოლოგიურ ბანაკში ამოყოფენ ხოლმე თავს.[180] ამის მარტივად დანახვა შეიძლება აბორტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მოძრაობებში. განვითარებად ქვეყნებში შედიან როგორც ერთი, ისე მეორე მოძრაობის წარმომადგენლები და რომელ პოზიციაზეც არ უნდა დადგე, მას უკვე ადევს იარლიყი Made in USA („დამზადებულია ამერიკაში"). საკითხი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი შეხედვით გამოიყურება; თეზაც და ანტითეზაც ერთი წყაროდან მოდის. ორივე გლობალურია და უნივერსალური. საკუთარი, „ადგილობრივი" იდეოლოგიები გლობალურ საფრთხეს არ შეიცავენ და ვერც ზეგავლენის მოხდენას ახერხებენ. ეს დაახლოებით იგი-

178. T. Аоки «Некоторые аспекты глобализации в современной Японии», «Многоликая глобализация» M. 2004. გვ. 90-91.

179. Я. Янь «Управляемая глобализация», «Многоликая глобализация» M. 2004. გვ. 29.

180. «Многоликая глобализация» M. 2004. გვ. 344-350.

ვეა, რაც პატარა ტელეკომპანია „კავკასია“ გლობალური CNN-ის წინააღმდეგ. მათი ზეგავლენა შეუდარებელია, მაგრამ ქართველი მაყურებლისთვის „კავკასია“ გაცილებით უფრო ახლობელია, ვიდრე მთელ მსოფლიოზე ორიენტირებული CNN. როდესაც „იმედის“ თანამფლობელი რუპერტ მერდოკი გახდა, საქართველოში ამას დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. სინამდვილეში ახალი პატრონის ხელში იგი გლობალური კორპორაციის ნაწილი ხდებოდა, რომელსაც ტელეკომპანიები მთელ მსოფლიოში აქვს და რომლის პროდუქტი ისევე სტანდარტულია, როგორც ნებისმიერი სხვა გლობალური კორპორაციისა. უკვე აღარავის უკვირს, როცა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ჩასული, ტელევიზიით ერთსა და იმავე „პროექტებს“ ხედავს, რომლის სტუდიური ანტურაჟი და მუსიკალური გაფორმებაც იგივეა. წარმატებული პროექტები დახეტიალებენ ქვეყნიდან ქვეყნაში, ტელეკომპანიიდან ტელეკომპანიაში. გმირები ერთნაირად იქცევიან, იცმევენ, გამოხატავენ ერთსა და იმავე გრძნობებს. იქმნება ილუზია, რომ ჩვენ ყველანი ერთნაირები ვართ, ხოლო ჩვენი გარეგნული განსხვავებები თითქოს მხოლოდ რეკლამის „ზონირებისთვის“ არის საჭირო (ზონალური რეკლამაც სტანდარტულია, ოღონდ „ზონის“ შესაბამისი გარეგნობის პერსონაჟები არიან შერჩეული. ამგვარი პირობითობის წყალობით, როგორც ჩანს, სათავო ოფისში ვიღაცამ გადაწყვიტა, რომ საქართველოში მონღოლოიდური რასის ხალხი ცხოვრობს და კარგა ხანს ტრიალებდა იქიდან გამოგზავნილი სარეკლამო რგოლი, რომლის გმირებს ქართულ სინამდვილესთან არაფერი ჰქონდათ საერთო). მთავარი არ არის ჩვენი განსხვავებულობა, მთავარია, ყველა ერთსა და იმავე საქონელს მოვიხმარდეთ. არც ის არის მთავარი, რომ ნივთი ჯერაც გემსახურება, იგი მაინც უნდა გამოცვალო, რადგან ბაზარზე ახალი გამოჩნდა და ყველა კუთხიდან იმას ჩაგჩიჩინებენ, რომ წარმატება, ბედნიერება, ტკბობა მხოლოდ ამ ნივთის შეძენამ შეიძლება მოგანიჭოს. თავისთავად იგულისხმება, რომ ადამიანი სწორედ ტკბობისათვის დაიბადა; იმისათვის, რომ სიამოვნება მიიღო, ყველაფერი შე-

იძლება. ერთ-ერთი რევოლუციონერის შვილს ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე" უკითხავს: – „და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი" რას ნიშნავს? აქ რატომ არ შეიძლება განცხრომით ყოფნაო". შეიძლება, თუ ასარჩევად გაქვს საქმე. გლობალური მედია გამალებით ცდილობს, შექმნას ადამიანი-მომხმარებელი, რომელსაც მართლაც სჯერა, რომ ადამიანის დანიშნულება განცხრომაა, რომ სამშობლო ის არის, სადაც კარგად ცხოვრობ, რომ ყველაფერი ისე იოლია, როგორც „კოკა-კოლას" რეკლამაში. სტანდარტული ტელეპროდუქტი აცემენტებს ილუზიას, წარმატებით ანაცვლებს რეალურ ცხოვრებას ვირტუალური „ცხოვრებით". მართლაც, თუ ყველა ამ ცხოვრებით ცხოვრობს, შენ ხომ არ გამოაკლდები? სწორედ ამის გამო ჩამოაყალიბა ჟან ბოდრიარმა კონცეფცია „სიმულაკრი" – ადამიანის და საგანთა სამყაროს ურთიერთობისა, რომელშიც საგანი იძენს ძალაუფლებას ადამიანზე.[181]

ვითარება, როდესაც მეცნიერები, ჟურნალისტები, ბიზნესმენები იძულებით ერთვებიან პოლიტიკაში, კარგს არაფერს მოასწავებს. სულ მცირე, გაუკეთებელი რჩება ის საქმეები, რომელიც მათ ნორმალურ ვითარებაში უნდა ეკეთებინათ. გაუცნობიერებელი და გაუაზრებელი რჩება ის ძირითადი საგარეო და საშინაო ტენდენციები, რომლებიც განმაპირობებელია ხვალინდელი საქართველოსათვის. ამ მხრივ სიტყვის თავისუფლებასა და მეწარმეობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა. იმ ეპოქამ, როდესაც „მონები ვიყავით", დაგვიტოვა უდიდეს ქართველ მეცნიერთა ფუნდამენტური კვლევები, ხოლო დამოუკიდებლობის ხანამ თავი ვერაფრით ისახელა. ახალ ვითარებაში საქართველოს ადგილისა და როლის სერიოზული კვლევები არ ჩანს; ეს სფერო პოლიტიკანების სარბიელად იქცა. ისიც ფაქტია, რომ საკუთარი იდეოლოგიის საწინააღმდეგო თეორიებს არავინ დააფინანსებს. ქართულმა საზოგადოებამ თავად უნდა იპოვოს საკუთარ თავში ძალა და

181. http://politizdat.ru/interview/51.

რესურსი, რათა ამგვარი იდეოლოგიური ნააზრევი შეიქმნას. მით უფრო, რომ ამის შემძლე მეცნიერები ხელისუფლებამ „დიდსულოვნად" გაათავისუფლა სამსახურებიდან და, ამდენად, მათ დასაკარგიც აღარაფერი აქვთ. სხვათა შორის, დასავლეთში კონტრიდეოლოგიის დაბადების სერიოზული შიშები აქვთ, მაგრამ თავს იმით იწყნარებენ, რომ ამგვარი მწყობრი სისტემის შექმნის საფრთხე დღეს ჯერჯერობით რეალურად არ ჩანს. ზბიგნევ ბჟეზინსკი მიუთითებს, რომ ამერიკული ცხოვრების წესის უარყოფა ძირითადად ინტელიგენციაშია გავრცელებული, რომელიც კულტურულ ჰომოგენიზაციასა და ტრადიციული ღირებულებების დევალვაციას უპირისპირდება, მაგრამ მიმზიდველი ალტერნატივის არარსებობა აიძულებს ამ ელიტებს, კულტურული კონტრიდენტიფიკაციის მიზნით მიმართონ ადგილობრივ ტრადიციებს ან გლობალიზაციის ზოგად უარყოფას. *„როდესაც ამერიკული პოლიტიკა განსაკუთრებით ოდიოზური ხდება, სწორედ კულტურული კონტრიდენტიფიკაციის მომხრეები იღებენ საკუთარ თავზე პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და იწვევენ მასების საყოველთაო უკმაყოფილებას ამერიკის უუნარობის გამო, გაამართლოს პოპულისტური იმედები".* [182]

საკითხი მხოლოდ კულტურულ იდენტიფიკაციასა და კონტრიდენტიფიკაციას როდი ეხება. მზარდი უთანასწორობა პიროვნულ და სახელმწიფოებრივ დონეებზე ასევე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. დემოკრატიის სახელით ელემენტარული დემოკრატიული ნორმების უგულებელყოფა თვალსაჩინო ხდება. ამიტომ ანტიგლობალისტური კონტრკრედოს ჩამოყალიბება სულ უფრო რეალური ხდება. სიტყვა „იდეოლოგია" ისევე დისკრედიტებული აღმოჩნდა, როგორც ბევრი სხვა ტერმინი და საბჭოთა ადამიანებს კავშირის დაშლის შემდეგ მართლაც ეგონათ, რომ უიდეოლოგიო ხანა დადგა, მაგრამ სინამდვილეში ერთი „გაბატონებული" იდეოლოგია მეორემ შეცვალა. წლები დასჭირდა იმის გაცნობიერებას, რომ

182. З. Бжезинский «Выбор: мировое господство или глобальное лидерство». М. «Международные отношения». 2005, გვ. 239.

ეს ერთი მედლის ორი მხარე იყო: მარქსიზმიც და ლიბერალიზმიც უარყოფენ ერების ისტორიულ ფუნქციას. მარქსიზმში ისტორიის მამოძრავებელი ძალა კლასია, ლიბერალიზმში – ინდივიდი. ორივე იდეოლოგია, საბოლოო ჯამში, ეროვნული სახელმწიფოების გაქრობისა და გლობალური სამყაროსკენ ისწრაფვის. საქართველო, როგორც ძველი სამყაროს ქვეყანა, რომელმაც ნაციონალური სახელმწიფო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღადგინა, ვერ შეეგუება ამ ორი იდეოლოგიის განაჩენს ისევე, როგორც ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, მალაიზია და სხვ. ამდენად, მეცნიერული კვლევები არა მარტო ისტორიისა და ლიტერატურის, არამედ პოლიტიკის, ეკონომიკისა და სამართლის სფეროებშიც უმნიშვნელოვანესია საქართველოს მომავლისათვის. როდესაც ამ საკითხებისადმი მიძღვნილ ილია ჭავჭავაძის (და არა მხოლოდ მის) წერილებს კითხულობ, მათი სქოლიოები მოწმობს, რომ იგი ღრმად იცნობს იმ დროის ყველა თანამედროვე სამეცნიერო აზრის ტენდენციასა თუ მიმართულებას. დღეს ეს ცოდნა პროდასავლურ ადგილობრივ ლიბერალებს აქვთ „პრივატიზებული". სხვა თემებს რომ არ შევეხოთ, მხოლოდ საკუთრების საკითხისადმი ქართული დამოკიდებულებაც იკმარებს, რომლის სათანადო მეცნიერული კვლევა საქართველოს წინაშე დღეს მდგომ ბევრ დილემას გადაწყვეტდა.

წიგნში ხშირად არის გამოყენებული ფრენსის ფუკუიამას ციტატები, მაგრამ სხვაგვარად ვერც იქნებოდა; მისი იდეოლოგიური თეზა მსოფლიოში ლიბერალიზმის საბოლო გამარჯვებასა და ისტორიის დასასრულზე ისეთივე ხასიათს ატარებს, როგორც მარქსის მოძღვრება ასი წლის წინ. თუ ბოლშევიკები კომუნიზმს განიხილავდნენ, როგორც კაცობრიობის ისტორიის უკანასკნელ, გამარჯვებულ იდეოლოგიას, ფუკუიამამ ამგვარი ფუნქცია ლიბერალიზმს მიაწერა. თუ უფრო დავაზუსტებთ, ლიბერალური დემოკრატიის ამერიკულ მოდელს. ფუკუიამას თეორიული ნააზრევი წრმოადგენს მსოფლიოში ამერიკული ჰეგემონიის გამართლებისა და დასაბუთების მცდელობას. დღეს შექმნილმა

ვითარებამ მისი შეფასებები და შეხედულებანი სერიოზულად შეცვალა. ამერიკელთა შიში მსოფლიოში მათი ბატონობის კონტრიდეოლოგიის შექმნის საფრთხის გამო სულაც არ არის უსაფუძვლო, მით უფრო, რომ ნეოკონსერვატორთა (ფუკუიამა ერთი მათგანი იყო, დღეს იგი უკვე „რეალისტურ ვილსონიანობას" ქადაგებს) მიერ შექმნილი იდეოლოგია სტიქიურად როდი დაიბადა; მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში კარგად გააცნობიერეს, რომ თუ მარქსიზმის, როგორც უნივერსალური და საკმაოდ მომხიბლავი მოძღვრების საპირწონე არ შეიქმნებოდა, ადრე თუ გვიან, ამერიკული სისტემის ყოფნა-არყოფნის საკითხი მთელი სიმწვავით დადგებოდა. არც ის არის შემთხვევითი, რომ შემდგომ „ნეოკონსერვატორთა" სახელით ცნობილი თეორეტიკოსების დიდი ნაწილი მანამდე კომუნისტი ან ტროცკისტი იყო.[183] ისინიც ისევე „დაასაქმეს" ახალი იდეოლოგიის შესაქმნელად, როგორც დღეს იყიდეს და გადაანაწილეს საქართველოში ჟურნალისტები სხვადასხვა კონტროლირებად მედიასაშუალებებში. შიშები კი სრულიად რეალური აქვთ: მართლაც, თუკი მათ შეძლეს ამ გზით ახალი იდეოლოგიის შექმნა, განა გამორიცხულია, იმავე ხერხს სხვამაც მიმართოს?

საქართველოს დღესაც, როგორც მრავალჯერ მისი ისტორიის მანძილზე, „გამარჯვებული იდეოლოგიის" პირობებში უწევს ცხოვრება, უფრო სწორად, თავის გადარჩენა. იდეოლოგია არ

183. Ф. Фукуяма, «Америка на распутье», М. «Аст», გვ. 30-32: „ნეოკონსერვატიზმის საწყისები უნდა ვეძიოთ ინტელექტუალთა (უპირატესად ებრაული წარმოშობის) შესამჩნევი ჯგუფის მოღვაწეობაში, რომლებიც 1930-40-იანი წლების მეორე ნახევარში ნიუ-იორკის საქალაქო კოლეჯში სწავლობდნენ. ამ ჯგუფის წევრები იყვნენ ირვინგ კრისტოლი, დენიელ ბელი, ირვინგ ჰაუ, სეიმურ მარტინ ლიპსეტი, ფილიპ სელზნიკი, ნათან გლეიზერი; მოგვიანებით მათ შეუერთდა დენიელ მოინიჰენი... ყველანი – მუშათა კლასიდან, ემიგრანტთა ოჯახებიდან გამოვიდნენ. ისინი საქალაქო კოლეჯის სტუდენტები იყვნენ, რაკი კოლუმბიისა და ჰარვარდის მსგავსი ელიტური უნივერსიტეტების კარი მათთვის დახურული იყო. მაშინაც, როგორც ახლა, მსოფლიოში მწვავე პოლიტიკური კრიზისი იყო, საქალაქო კოლეჯის სტუდენტები პოლიტიზირებულნი იყვნენ და მემარცხენე შეხედულებებისკენ იხრებოდნენ. საქალაქო კოლეჯის კაფეტერიის I ლოჟა ტროცკისტული იყო, ხოლო II ლოჟა – სტალინური".

შეიძლება იყოს ბუდმიანი და ერთადერთი, ეს უკვე გაგიარეთ. ნებისმიერი იდეოლოგია მხოლოდ ინსტრუმენტია და მან დროის ამა თუ იმ მონაკვეთში სწორედ ერის წინაშე მდგარი სასიცოცხლო პრობლემების მოგვარება უნდა უზრუნველყოს. ბანალობაა, მაგრამ საქართველოს სჭირდება სტრატეგია, რომელიც გადაარჩენს ფიზიკურად, შეუნარჩუნებს მიწა-წყალს, ღირსებას, თავისუფლებას, იმ განუმეორებელ თვისებებსა და ნაკვთებს, რომელიც ასე ხიბლავს კეთილგანწყობილ უცხოტომელს. ეს ვერ იქნება ვერც მსოფლიო ჰეგემონის სტრატეგია, ვერც მისი ვასალის ტვირთი. შესაძლოა, როგორც ბევრჯერ მანამდეც, ეს „ლერწმის სტრატეგია" იყოს, რომელიც ქარტეხილს გადაატარებს და კვლავაც ფეხზე წამოდგება.

თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე თვალსაჩინოდ „ლერწმის სტრატეგია" ორი სახელმწიფოს, გერმანიისა და იაპონიის მაგალითზე იკითხება. ორივე დამარცხდა მეორე მსოფლიო ომში და ორივემ მოახერხა საკმაოდ მოკლე ისტორიულ ვადაში ფეხზე წამოდგომა. მათ შორის განსხვავებაც საგრძნობია: გერმანია დღესაც ვერ გამოსულა ნაციზმის კომპლექსისაგან, მაშინ როცა იაპონიამ ისე გადაატარა ამერიკული გავლენის ტალღა, რომ იგი ახლოს არ მიაკარა იაპონურ ფასეულობათა სისტემას. შემთხვევითი როდია, რომ ორივე ქვეყანა უმოწყალოდ დაიბომბა (და არა მხოლოდ იაპონია. დრეზდენისა და ჰამბურგის ბარბაროსული დაბომბვების შესახებ, რომელთაც ასეულობით ათასი მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა, დღეს დასავლეთში აღარ იხსენებენ) უკვე მაშინ, როცა ომში მათი დამარცხება ეჭვს აღარ იწვევდა. მათ „დროულად" აგრძნობინეს, რომელი ბანაკის სასარგებლოდ უნდა გაეკეთებინათ არჩევანი გამარჯვებულ მოკავშირეებს შორის. ამდენად, როგორც კი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე აღმოჩნდნენ, მათ სწორედ იმ სტრატეგიის არჩევა მოუწიათ, რომელიც საქართველოსთვის გამოცდილიც იყო და ორგანულიც.

დღეს საქართველოში პოლიტიკოსების კამათში ხშირად მოისმენ სიტყვათა შეთანხმებას „ერთხელ და სამუდამოდ". როგორც

წესი, ეს რომელიმე საკითხის სასურველი სახით გადაწყვეტას ეხება ხოლმე. ამ დამოკიდებულებამ დაღუპა საბჭოთა კავშირი და არა რეიგანმა (მან მხოლოდ ისარგებლა მისით). არ არსებობს ამაზე უფრო არასწორი ფორმულირება; სამყაროში არაფერია ერთხელ და სამუდამოდ განპირობებული, არაფერია უცვლელი და მარადიული ღვთის გარდა. ადამიანები ერთხელ და სამუდამოდ მიდიოდნენ ემიგრაციაში, ერთხელ და სამუდამოდ არჩეული იდეოლოგიით ცხოვრობდნენ, ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრულ ავტორებს კითხულობდნენ... ცხოვრებამ დაამტკიცა ამ ფორმულის უვარგისობა და ხელოვნურობა. მეტიც: ერთი ცნობილი ფრაზისა არ იყოს, „ბრიტანეთს არა ჰყავს მარადიული მეგობრები, მისი ინტერესებია მარადიული", – თვით ამ ინტერესებმაც კი დაკარგა მარადიულობის პრეტენზია. ყოველივე იცვლება, მათ შორის ინტერესებიც, სტრატეგიული პარტნიორებიც, იდეოლოგიებიც... თუკი ყურადღებით გადაიკითხავთ ბიბლიას, თვალნათლივ დაინახავთ, რომ ყველაზე ნაკლებად სწორედ ადამიანი, მისი ვნებები და მისწრაფებანი შეიცვალა. ადამიანია სწორედ ის მთავარი, რომლისთვისაც უნდა არსებობდეს სახელმწიფო, მისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა, მმართველები და მენეჯერები, პოლიციელები და უფლებადამცველები, ციხეები და საავადმყოფოები, სკოლები და ტაძრები. ქართველებმა ხანგრძლივი არსებობის მანძილზე კარგად გაათვითცნობიერეს ეს; ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე ცხოვრებამ ჩვენს წინაპრებს კარგად ასწავლა დროებითისა და მარადიულის, მთავარისა და არაარსებითის, ჭეშმარიტისა და ყალბის გარჩევა. ეს უნარი არც დღეს გამქრალა. როდესაც მოდის ძალაუფლების წყურვილით შეპყრობილი ძალა (შიდა თუ გარე), მას ხალხი პასუხობს: „გსურს ძალაუფლება? კეთილი. აიღე და შეასრულე, ოღონდ ისე, რომ არ შეეხო ჩემს ღირსებას, ფასეულობებს, ცხოვრების წესს". თუ ეს პირობები არ არის დაცული, პასუხი დაუყოვნებელია ხოლმე. სოციალური ბუნტები საქართველოს არ ახსოვს, წინააღმდეგობას ყოველთვის ფასეულობათა ძალად თავს მოხვევა იწვევდა.

საქართველოში მარტო საკუთარ ფასეულობებს არ უფრთხილდებოდნენ. სხვათა მიმართაც ასეთივე დამოკიდებულება იყო. ქრესტომათიული მაგალითი დავით აღმაშენებლის მიერ მუსლიმთა უბნებში ღორის დაკვლის აკრძალვის შესახებ ტოლერანტობის ეპიზოდს როდი წარმოადგენს; იგი საქართველოში საუკუნეების განმავლობაში არსებული სამართლებრივი კულტურისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპის ამსახველია. ვახტანგ VI-მ კანონთა კრებულში ებრაული, სომხური, ბერძნული სამართალი შეიტანა (ეს პრაქტიკა ბევრად ადრე იყო 1705-1709 წლებზე, როცა ვახტანგ VI-ის სამართალი დაიწერა), არსებობდა არჩევანის საშუალება, თუ რომელი სამართლით განსჯილიყო ესა თუ ის სარჩელი. „განჩინებული წიგნები შევკრიბეთ და რომელიც გენებოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ, მით სჯიდეთ და მართალსა სამართალსა იქმოდეთ", – მიუთითებს ვახტანგი. იქვე იგი მიულებლად მიიჩნევს ქართლში სხვა ქვეყნების სამართლის წიგნების მოქმედებას, რადგან „ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მოჰგავს სხვათა ქვეყნისა რიგთა და ქცეულობითა".[184] ქართველი არც თავად აიძულებდა სხვას, მისი რწმენისა და ფასეულობების საწინააღმდეგოდ ეცხოვრა და, მით უფრო, არც საკუთარი თავის მიმართ უშვებდა ამას.

მიუხედავად საზოგადო წუხილისა და საფუძვლიანი შიშებისა „შეკუმშულ" გლობალიზებულ სამყაროში ქართული სახელმწიფოს ხვალინდელი დღის გამო, ცხადია, ფასეულობათა კრიზისს საქართველო ჯერჯერობით არ განიცდის, მაგრამ ეს სულაც არ წარმოადგენს არხეინობის საბაბს; *„პლურალისტურ სამყაროში თქვენ ვერ გექნებათ იმის იმედი, რომ შვილები თქვენი ცხოვრების წესს მემკვიდრეობით მიიღებენ. მათ შეუძლიათ აირჩიონ, მუსლიმები გახდნენ, თუ ბუდისტები, თავად შეუძლიათ გადაწყვიტონ, ჰომოსექსუალურ თუ ჰეტეროსექსუალურ ქორწინებაში*

184. ივ. სურგულაძე, „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის", ტ. I, გვ. 79-94.

იყვნენ, იყოლიონ თუ არა ბავშვები... მათთვის, ვინც კონსერვატორულ-კათოლიკურ ან ევანგელისტურ ოჯახში გაიზარდა, ყოველივე ეს მეტად სერიოზულია: ისინი ეჭვობენ, რომ რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობითობის ძაფი გაწყდა და ამასთან ერთად ყოველგვარი აზრი დაკარგა იდენტურობის გრძნობამაც. მეორე მხრივ, ეს უთუოდ იმის ნაწილია, რაც გვესმის, როგორც პირადი ავტონომია და თავისუფლება. როგორც კი არჩევანის თანამედროვე „ვირუსი" ჩნდება, ადამიანები ველარ იგულისხმებენ, რომ ტრადიციული ფასეულობების აღწარმოება ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე მოხდება. საკუთარი „მე" მნიშვნელოვანწილად პირად პროექტად იქცევა. იმისათვის, რომ იგი მომდევნო თაობებს გადაეცეს, თქვენ სათანადოდ უნდა იზრუნოთ თქვენს შვილებზე, შეუქმნათ პირობები, რათა მათ თავიანთი ბედი თქვენი ცხოვრების წესის ჩარჩოებში წარმართონ. თქვენ გსურთ, რომ ისინი მიეკუთვნებოდნენ იმ საზოგადოებას, რომელშიც ჩამოყალიბდა და გაცნობიერდა თქვენი ეგზისტენციალური გადაწყვეტილებები. ადამიანებს სურთ არა მარტო საკუთარი გენების, არამედ დაგროვილი გამოცდილების გადაცემაც, რაც, მათი აზრით, დაეხმარება შვილებს ამ ურთულეს სამყაროში."[185] ჩილელი მკვლევარის ეს სიტყვები თანაბრად მტკივნეულია „მესამე სამყაროში" გადაგდებული ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისათვის, რომელთაც ვერა და ვერ დაუკავშირებიათ ერთმანეთთან ქვეყნისა და საკუთარი თავისუფლება.

ცხოვრების წესისა და ფასეულობების შენარჩუნება მართლაც უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. გლობალური პროპაგანდისტული მანქანის ყოველდღიური ზემოქმედება იმდენად ძლიერია, რომ მისი ალტერნატივის შექმნა თითქმის შეუძლებლად გამოიყურება. არის ასეთი ამერიკული პრაქტიკაც: ტრადიციული ფასეულობებისა და ცხოვრების წესის დაცვის მიზნით ადამიანები დახურულ თემებს ქმნიან (მორმონები, ამიშები და სხვ.), რაც ძალიან ჰგავს ინდიელთა რეზერვაციებს. ზოგადად, „საშინაო და საგარეო" ფასეულობების პრაქტიკას ეს მოაქვს. ადამიანებისთვის უდიდესი მნიშვნელობა

185. А. Фонтане Талавера, «Тенденции глобализации в Чили», «Многоликая глобализация» М. 2004. გვ. 309.

აქვს, რომ მათ ცხოვრების წესს, თუ არ იზიარებენ, აღიარებდნენ მაინც. აღიარების ეს მოთხოვნილება დასავლელი მკვლევარების ერთ ნაწილს ისტორიის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალადაც კი მიაჩნია. წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ ქართული ცხოვრების წესმა (რომელზე ქილიკიც უკვე სიმპტომატური გახდა. „ჭეშმარიტ ქართველებსა და ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს" სულ უფრო ხშირად აქცევენ ირონიის ობიექტად) არასაჯარო ხასიათი შეიძინოს; იგი მყისვე რაღაც სასირცხვილოსთან, დასამალთან გაიგივდება. „ღვთისმშობლის წილხვედრობაზე" ლაპარაკი მავანს დღეს უხერხულად ეჩვენება, სამაგიეროდ, უხერხულობას ვერ ხედავენ ჩვენი ამერიკელი მეგობრების მხრიდან ამერიკის „ღვთივრჩეულობის" მტკიცებისას[186]. სამართლიანობისათვის აქვე უნდა

186. ორი საუკუნის განმავლობაში საკუთარი „ღვთივრჩეულობის" თვითშთაგონებამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა აშშ-ს მსოფლიოში ჰეგემონობის დაუძლეველ წყურვილს. თუ ქართველებისათვის „ღვთისმშობლის წილხვედრობა" ხსნის აღმნიშვნელია, ამერიკელებისათვის საკუთარი „რჩეულობა" ყველა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში პირდაპირი ჩარევის ინდულგენციას წარმოადგენს. 2006 წელს გამოცემულ წიგნში „ამერიკა გზის გასაყარზე" ფრენსის ფუკუიამა „პრევენტიული ომის" და მის შედეგად წარმოშობილი ანტიამერიკანიზმის მიზეზების ანალიზისას დაასკვნის: „დასახელებულ წინააღმდეგობათა წარმოშობის დასაბუთება მოყვანილია „ნაციონალური ინტერესის" დოქტრინაში პრევენტიული ომის შესახებ: ეს არის ამერიკული განსაკუთრებულობის მდუმარე აღიარება. გასაგებია, რომ პრევენტიული ომის დოქტრინა იოლად არ აღიქმება საერთაშორისო საზოგადოების მიერ. ბევრი ქვეყანა უფრთხის ტერორის გამოვლინებებს და არ ემხრობა ქმედებათა წინასწარ აღსაკვეთად, ან რეჟიმების შესაცვლელად შეჭრას იმ ქვეყნებში, რომლებიც, ივარაუდება, რომ ტერორისტებს იფარავენ. ქვეყნების ამ კატეგორიას განეკუთვნებიან რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი, მაგრამ რომელიმე მათგანს რომ ტერორიზმთან ბრძოლის საშუალებად გამოეცხადებინა წინმსწრები ზომების ან პრევენტიული ომის საერთო სტრატეგია, შეერთებული შტატები პირველი გამოვიდოდა ამის წინააღმდეგ. ის ფაქტი, რომ აშშ მემორანდუმში ეროვნული უსაფრთხოების შესახებ ითვისებს უფლებას, რომელზეც უარს ეუბნება სხვა ქვეყნებს, ეყრდნობა არაპირდაპირ გამოთქმულ ვარაუდს, რომ აშშ განსხვავდება სხვა ქვეყნებისაგან და უნდა გვჯეროდეს, რომ იგი საკუთარ სამხედრო ძალას გამოიყენებს სამართლიანად და გონივრულად, რის უნარიც სხვა სახელმწიფოებს არ გააჩნიათ. ამერიკელების ამგვარ შეხედულებას საკუთარ თავზე გრძელი ისტორია აქვს. იგი პირდაპირ უკავშირდება ჯორჯ ვაშინგტონის გამოსათხოვარ მიმართვას და რწმენას, რომ ამერიკული რესპუბლიკა უმანკო ჩასახებით დაიბადა და იგი შეიძლება წაიბილწოს, თუკი იმ სამხედრო-პოლიტიკურ თამაშებში ჩაერთვება, რომელიც ევროპაშია მიღებული". Ф. Фукуяма, «Америка на распутье», М. 2007. გვ. 136-137.

ვთქვათ, რომ ქრისტიანული დოგმატით ღვთისმშობელი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კაცობრიობის მფარველად არის აღიარებული. განა ქართველების ბრალია, რომ დასავლურმა ქრისტიანობამ ეს დაივიწყა, ქართველებს კი კარგად გვახსოვს?

ზოგადად ქართული მენტალიტეტისათვის ეს თვისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია; თიმოსი, ანუ აღიარების სურვილი, მეტად მძაფრია ჩვენში. ის, რის აღიარებაც არ ან ვერ ხერხდება, საქართველოში დიდი პოპულარობით ვერ სარგებლობს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ არ ყოფილა საქართველოში არასოდეს „საიდუმლო საზოგადოებები" ან მასონთა ლოჟები (თუმცა, თავად ქართველობა უკვე ნიშნავდა და ნიშნავს რაღაც განსაკუთრებული ერთობის წევრობას, რომელსაც დამატებითი სტრუქტურების შექმნა არ სჭირდება. ფრაზა – „ქართველი ხარ, ბიჭო?", რომელიც უკვე ირონიის საგნად იქცა, სწორედ ამ დამოკიდებულებას მოიცავს: თუ ქართველი ხარ, ე. ი. იცი რაღაც ისეთი, რაც სხვებისთვის მიუწვდომელია). შეიძლება ამგვარი დამოკიდებულების გამო იყო, რომ „პერესტროიკის" დაწყებისთანავე, საქართველოს გარდა, თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში აღმოჩნდა „თაროზე შემოდებული" ნაწარმოებები, რომელიც საბჭოთა პერიოდში არ იბეჭდებოდა. თუმცა, ეს სულაც არ ამცირებს იმ ნაწარმოებების ფასეულობას, რომლებიც საქართველოში მაინც გამოდიოდა და რომელთა გამოსვლისათვის საქართველოში ბევრად უკეთესი პირობები არსებობდა, ვიდრე სადმე სხვაგან საბჭოთა კავშირში. ეს მხოლოდ ლიტერატურას როდი ეხება: ანალოგიური ვითარება იყო კინოშიც, სახვით ხელოვნებაშიც, მეცნიერებაშიც.

„ქართულობის" კვლევა გადაუდებელი აუცილებლობაა. თანამედროვე ქართული მეცნიერება კი ამით მაინც და მაინც არ იტკივებს თავს. როდესაც ილია ამ „ქართულობას" იკვლევდა, მან საგანგებოდ გამოყო ქართული მრავალხმიანობა და მას „თვითნაჩენი"

უწოდა.[187] ასი წლის შემდეგ კაცობრიობამ არამიწიერ ცივილიზაციებთან კონტაქტისათვის კოსმოსურ გზავნილში სწორედ „ჩაკრულო“ ჩადო და არა მძიმე როკი. ამ ქართული „თვითნაჩენობის“ კვლევა აუცილებელია არა მარტო ქართველების, არამედ მსოფლიოსათვის, თუ მას ღვთით ბოძებული მრავალფეროვნების შენარჩუნება სურს; ისევე, როგორც იაპონური, ფრანგული, ჩინური, არაბული, ყველა არსებული კულტურისა – ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, რომელიც მხოლოდ სახელოვნებო კულტურას კი არა, არამედ კაცობრიობის არსებობის ყველა მხარეს მოიცავს.

ყოველივე ახალი, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოდის, უთუოდ რაიმე ადრინდელის ადგილზე იმკვიდრებს თავს. მთავარი საკითხია, თუ რის ხარჯზე ვართ მზად, მივიღოთ ახალი. თაობათა შორის დაპირისპირების საგანიც სწორედ ეს არის ხოლმე, თორემ კარგი და ახალი ძველსა და უვარგისს რომ სჯობს, ეს ყველას კარგად ესმის. ზოგადად ამ საკითხებზე ადამიანები ყოველ ეპოქაში უჯანყდებოდნენ მამების თაობას, მაგრამ ყოველი ეპოქის „ბესტსელერი“ ბოლოს და ბოლოს მაინც უძღები შვილის დაბრუნება იყო. უძველესი დროიდან უჩიოდნენ მამები შვილების თაობას, მაგრამ დღევანდელ აჩქარებულ სამყაროში შვილები საკმაოდ სწრაფად ავლებენ ზღვარს მარადიულსა და წარმავალს შორის. პარადოქსია, მაგრამ ახალგაზრდები დღეს უფრო ფლობენ იმუნიტეტს თავს მოხვეული ფასეულობების მიმართ, ვიდრე მათგან დიდი ხნის განმავლობაში ხელოვნურად დაცული მამების თაობა. ამიტომ არა მგონია, ისე უსაშველოდ გვქონდეს საქმე, როგორც ეს ხანდახან გამოიყურება. არა ღირს შიშველ ჭიპთან პატრიოტიზმის დაპირისპირება. ოცი წლის წინ „კევიღეჭია“ გოგო-ბიჭებმა ერთხელ უკვე დაადასტურეს, რომ არის რაღაც მთავარი, რომლის წინაშეც ყველაფერი დანარჩენი კარგავს მნიშვნელობას. სწორედ იმ გოგო-ბიჭებმა დააყენეს დამოუკიდებლობის საკითხი ისე მძაფრად მაშინ (სხვა საკითხია, ახალგაზრდული რადიკალიზმი რამდენად სასარგებლოა ყოველდღიურობაში და შეიძლება თუ

187. ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული 9 ტომად, ტფ. 1927, ტ. V, გვ. 263.

არა, იგი სახელმწიფოს მართვის ძირითად სტილად იქცეს, რამაც თავისი არარაციონალურობა დღეს თვალნათლივ დაამტკიცა).

ეს ოპტიმიზმი რომ საფუძვლიანია, იქიდანაც ჩანს, რომ 2008 წლის არჩევნებზე დაპატიმრებული ახალგაზრდების გათავისუფლების სანაცვლოდ სტუდენტები მასობრივად აგროვებდნენ მხარდამჭერებს სახელისუფლებო პარტიისთვის. ჩვენი საზოგადოება სამართლიანად აღშფოთდა ამგვარი საარჩევნო „ტაქტიკით", მაგრამ საკმარისია, ოდნავ შეცვალო ხედვის კუთხე, რომ მიხვდები: არც ერთი „ლიბერალი ინდივიდუალისტი" მეგობრის ციხიდან დასახსნელად არ ირბენდა ამდენს, რომ მმართველი პარტიისთვის ხმები მოეგროვებინა. გამოდის, რომ გლობალიზატორები, რომლებიც ახალი „ფასეულობების" დანერგვას ცდილობენ, თავად ხდებიან იძულებულნი, იმ ტრადიციულ ფასეულობებს დაეყრდნონ, რომელიც ახალგაზრდებისთვის ორგანულია.

მაინც რა არის ის მთავარი, რაც დავკარგეთ დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე? ცხადია, სამაჩაბლო და აფხაზეთი, მაგრამ საკითხის მთელი სიმძიმისა და მისი ადამიანური ტრაგიზმის გარდა, ეს მხოლოდ ფიზიკური გამოხატულებაა რაღაც უფრო დიდისა, რაც საქართველომ დაკარგა. XIX საუკუნის ბოლომდე კავკასიაში „ლინგვა ფრანკას" ფუნქციას ქართული ენა ასრულებდა. თბილისი იყო კავკასიის ცენტრი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, კავკასიური ენებისა და კულტურების კვლევის კერა და კავკასიელთათვის (როგორც იმიერ, ისე ამიერ) სამყაროში საკუთარი ადგილისა და ორიენტირების განსაზღვრის საშუალება.[188] ეს ფუნქცია საქართველომ ნაწილობრივ საბჭოთა პერიოდშიც შეინარჩუნა. საქართველოს ორი სრულიად განსხვავებული პრეზიდენტი – გამსახურდია და შევარდნაძე სწორედ ამ ფუნქციით ხედავდნენ საქართველოს ხვალინდელ დღეს; ერთი „კავკასიური სახლის", მეორე – „მშვიდობიანი კავკასიის" სახით. ყველაზე დიდი დანაკარგი საქართველოსთვის სწორედ ამ ფუნქციის ჩამორთმევა იყო, რომელმაც მთლიანად რეგიონის

188. ა. ბაქრაძე, „სულის ზრდა", თბ. 1986, გვ. 149.

არასტაბილურობა გამოიწვია. კავკასიის განაწილება „მეგა-მოთამაშეებს“ შორის და ამ გეოპოლიტიკური მთლიანობის დარღვევა კავკასიის არც ერთი ხალხისთვის არ შეიძლება იყოს სასურველი. ვინაიდან დიდი სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის სრულფასოვნად შესრულება მთელ რეგიონს შეუძლია და არა მის რომელიმე ნაწილს, მხოლოდ საქართველოს ნეიტრალიტეტზე ლაპარაკი საკითხის გამარტივება იქნებოდა. ირანის მიმართ აშშ-ს აგრესიული გეგმები არც საქართველოს უქადის რაიმე კარგს (მიუხედავად აშშ-სთან მისი მოკავშირეობისა) და არც მთლიანობაში რეგიონს. დასავლეთის „ნავთობის წყურვილის“ დასაკმაყოფილებლად მთელი კავკასია მოსალოდნელი საომარი მოქმედებების პოლიგონად შეიძლება იქცეს. დასავლეთი რომ ამაზე უკან არ დაიხევს, ამას შუაგულ ევროპაში – ბალკანეთში განვითარებული მოვლენებიც ცხადყოფს. რუსეთის ინტერესები ამ რეგიონში ასევე ამძაფრებს მოსალოდნელ კონფლიქტს. აქედან გამომდინარე, გამოსავალი მხოლოდ ერთია: დაინტერესებული მხარეების შეთანხმება რეგიონის ნეიტრალიტეტზე. მით უფრო, რომ თურქეთისთვის ევროკავშირის მირაჟის ნაცვლად მისი ისტორიული აქტივობის რეგიონი ბევრად უფრო მიმზიდველია, ხოლო რუსეთისთვის აქტუალური ჩრდილოკავკასიური პრობლემატიკა სიმწვავეს დაკარგავს, როგორც კი იგი ორგანული კავშირების აღდგენას იგრძნობს. რაც შეეხება ირანს, მასთან ერაყული „კარტის გათამაშება“ ვეღარ უნდა მოხერხდეს; დაუშვებელია, ნავთზე მონადირე დასავლეთმა კაცობრიობის კიდევ ერთი უძველესი კულტურის კერა შეინიროს. კავკასიაში იმ სცენარის განვითარება, რომელიც ქრისტიანული და მუსლიმური ცივილიზაციების შეჯახებისა და ურთიერთგანადგურების მომტანია, ორივე რელიგიის საფუძვლების შერყევისა და ღვთის გმობის გამოხატულება იქნებოდა. ისტორიული „დიდი კავკასია“ ყოველთვის ფლობდა მშვიდობიანი თანაარსებობის წესებს; სხვაგვარად იგი დღემდე თავს ვერ შეინარჩუნებდა. ყველა ომი, რომელიც კავკასიას ახსოვს, მხოლოდ ეკონომიკურ მოგებას ისახავდა მიზ-

ნად, ცეცხლი და მახვილი არც ქრისტიანს ზოგავდა და არც მუსლიმს. რელიგიური დაპირისპირების წამოწევა მხოლოდ ექსპანსიონიზმის შეფუთვას წარმოადგენდა ხოლმე. ყურანი ამბობს: „სხვა წინასწარმეტყველთა კვალდაკვალ მოვავლინეთ იესო, მარიამის ძე, დაბადების განსამტკიცებლად. მივმადლეთ მას სახარება, რომელიც წარმართებასა და სინათლეს შეიცავს; დაბადებას განამტკიცებს; სახარება აგრეთვე შეიცავს წარმართებასა და გაფრთხილებას მათთვის, რომელთაც ღვთის ეშინიათ. სახარების ხალხმა სახარებისამებრ განსაჯოს. ვინც ღვთის წიგნისამებრ არ განსაჯოს, ურჯულოა... ღმერთს რო ენებებინა, თქვენგან მხოლოდ ერთს ხალხს შექმნიდა; მაგრამ ინება, თქვენი ერთგულება გამოეცადა, დაიცავდით თუ არა მას, რაც გებოძათ".[189]

ჩვენს ისტორიაში უკვე იყო შეცდომები, დღეს მათი გამეორება ყველასათვის თანაბრად დამღუპველი იქნება. საქართველოს დღეს კიდევ შეუძლია რეგიონის ნეიტრალობის მიმართულებით პროცესების წამოწყებაში უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება. შესაძლოა, დღეს სწორედ ეს იყოს მისი ისტორიული მისია.

2007 წლის ნოემბერი – 2008 წლის ივლისი
წეროვანი

189. ყურანი, თბ. ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა", 1906, V, 50-53.

პირთა საძიებელი

ა

აბაშიძე ასლან 61
აბო 31-34, 37, 142.
აბულაძე თენგიზ 141
აბრამსი ელიოტ 186
აგრესტო ჯონ 189
ათა-თურქი მუსტაფა ქემალ 235
ალმონდი მარკ 68, 179-181
ალფონს XIII 251
ანანი კოფი 84
ანთიმოზ ივერიელი 50
არმიტიჯი რიჩარდ 194
არქიმანდრიტი რაფაელი 145
არჩილ სტეფანოზის ძე 148
ასათიანი აკაკი 62
ასათიანი გურამ 34
ასტაფიევი ვიქტორ 247
აურენცი ჰელმუტ 149
აჩესონი დინ 221

ბ

ბაგრატიონი ლეონიდა 251
ბაგრატიონ-მუხრანელი ირაკლი 251
ბათიაშვილი ირაკლი 159, 187
ბარამიძე გია 213, 257
ბაქრაძე აკაკი 34-35, 38-39, 267, 290
ბაქრაძე ლაშა 73, 242
ბაჩევიჩი ენდრიუ 175
ბეთჰოვენი ლუდვიგ ვან 47, 80
ბეიკერი ჯეიმს 194
ბელფური არტურ ჯეიმსი 180-181
ბენდუქიძე კახა 71
ბენედიქტი რუთ 198
ბენეტი ბილ 186
ბერეზოვსკი ბორის 24
ბერია ლავრენტი 67, 219
ბერგერი პიტერ 101-103
ბერდიაევი ნიკოლაი 112
ბერძენიშვილი ნიკო 35, 37
ბირსი შარლოტა 100
ბლერი ტონი 122
ბლუმი უილიამ 170
ბოდრიარი ჟან 135, 170, 279
ბოვე ჟოზე 82
ბოლტონი ჯონ 186
ბჟეზინსკი ზბიგნევ 91, 128-129, 181, 228-229, 237, 280
ბრაუნი დენ 249
ბრეგვაძე ნანი 28
ბრემერი პოლ 189
ბრეჟნევი ლეონიდ 68
ბულგაკოვი მიხეილ 18
ბურბონ-ი-ბავიერი მარია მერსედეს დე 251
ბურჯანაძე ნინო 57, 213-214
ბუში ჯორჯ 128-129, 155, 168-169, 171, 181, 184-188, 194, 188

გ

გალი ბუტროს ბუტროს 88
გამსახურდია ზვიად 29, 41, 124-126, 145, 290
გამსახურდია კონსტანტინე 101-102
გამყრელიძე დავით 178
გარეტი ტომას 85
გაუტამა ბუდა 21
გაჩეჩილაძე ლევან 213
გელაშვილი ლევან 90-91
გელნერი ერნსტ 119
გერასი ჯონ 162
გეწაძე გია 213
გვარამია ნიკა 18
გიბსონი მაკ-გაირ188

გოგიჩაიშვილი აკაკი 67
გოგორიშვილი ხათუნა 211
გორი ელ (ალბერტ) 168-169
გრამში ანტონიო 27
გრიგალაშვილი ნოდარ 62
გურამიშვილი დავით 50

დ

დავით აღმაშენებელი 285
დავითაშვილი კობა 213
დავითი 20, 152, 249, 267
დავით იმამ-ყულიხანი 34
დალესი ალენ 222, 224
დალესი ჯონ ფოსტერ 222, 224
დანტე ალიგიერი 129
დარვინი ჩარლზ 21
დევისი მერილ ვინ 7, 196
დელორი ჟაკ 94
დიდრო დენი 26
დონ ფერნანდო (ბავარიის პრინცი) 251
დოსტოევსკი ფიოდორ 249
დუმბაძე ნოდარ 26, 66, 229

ე

ევანსი დონალდ 194
ეზრა 21
ეკო უმბერტო 188
ელ-ამირი აიმან 192
ელცინი ბორის 41, 125
ემერი ჯულიან 219
ერეკლე I ნაზარ-ალიხანი 34
ერეკლე II 148, 252

ვ

ვახტანგ V შაჰნავაზი 34, 37, 272
ვახტანგ VI 37, 285
ვაშაყმაძე ჯულიეტა 28
ვაშინგტონი ჯორჯ 173, 174, 287
ვედრინი იუბერ 94, 135
ვეინერი მ. 269
ვენტურა მაიკლ 190
ვიდალი გორ 8, 182
ვილსონი ვუდრო 94
ვინსენტი ენდრიუ 86-87
ვულფი ნაომი 156
ვულფოვიცი პოლ 185-187

ზ

ზატულინი კონსტანტინე 254, 256
ზაქარეიშვილი პაატა 242
ზვორიკინი კონსტანტინე 104
ზინი ჰოვარდ 220

თ

თარგამაძე გივი 213
თევზაძე დავით 225
თომა აკვინელი 27
თოფაძე გოგი 232

ი

იალოვიცი კენეტ 106
იგნატიუს ლოიოლა 132
იგნატიეფი მაიკლ 175
იეიტსი ჯოშუა 41
იესე ალი-ყულიხანი 34
ილია მეორე 250, 253
ისა (იესო) 20
იოანე-პავლე II 130
იოსელიანი ჯაბა 15
იურგენსმაიერი მარკ 115

კ

კაგანი რობერტ 186
კალინინი მიხეილ 68
კალისტრატე II 294
კარტოზია მანანა 50
კენედი ედვარდ 157
კენედი ტედ 169

კერზონი ჯორჯ ნათანიელ 180-181
კისინჯერი ჰენრი 88
კიწმარიშვილი ეროსი 167
კლაინი ნაომი 7, 188
კლარკი რიჩარდ 187
კლარკი უესლი 175
კლინტონი უილიამ (ბილ) 160, 186, 265
კლინტონი ჯ. 173
კლინტონი ჰილარი 194
კოლუმბი ქრისტეფორე 19, 72
კოსაჩოვი კონსტანტინე 260
კონსტანტინე II მუჰამედ-ყულიხანი 34
კოტკინი სტივენ 244
კრისტოლი უილიამ 186, 282

ლ

ლა გუარდია ფიორელო 45
ლადარია ნოდარ 270
ლასკი ჰაროლდ 164
ლაფლენდი ჯონ 215
ლენინი ვ. ი. 78-82, 242
ლიბი ლუის 185-186
ლიპმანი მ. 162
ლიპსეტი სეიმურ მარტინ 110-111, 113, 182
ლომაია კახა 264
ლუთერი მარტინ 131

მ

მაინეკე ფრიდრიხ 119
მაკარიოსი 254
მაკარტი ჯოზეფ რეიმონდი 104
მაკ-კეინი ჯონ 88, 134, 194-195
მარიამ დედოფალი 36
მარქსი კარლ 81, 208, 240, 281
მარშალი ჯონ 220
მაღრაძე გუგული 214
მაჭავარიანი მიხეილ 213
მაჰატჰირი მოჰამად 267
მგალობლიშვილი ნოდარ 47
მედისონი ჯეიმს 155, 172-173
მერანტო ფილიპ 162
მერდოკი რუპერტ 72-73, 278
მერფი უოლტერ ფ. 157
მიგრანიანი ანდრანიკ 73
მილერი უილ 163
მილოშევიჩი სლობოდან 175-176, 260
მირცხულავა დავით 159
მკალავიშვილი ბასილ 105, 107
მოზესი რობერტ 45
მოლაშვილი სულხან 159
მორჩილაძე აკა (გიორგი ახვლედიანის ფსეევდონიმი) 252
მოსე 20, 147, 152
მოცარტი ვოლფგანგ ამადეუს 47, 80
მური მაიკლ 168-169
მუსოლინი ბენიტო 130
მუჰამედი 20, 270

ნ

ნადირ-შაჰი 37
ნინოშვილი ეგნატე 48-49
ნიცშე ფრიდრიხ 140, 170
ნოდია გია 16-17, 24-25, 123-126, 236

ო

ობამა ბარაქ 194
ოლბრაიტი მადლენ 175, 228
ომარ ხაიამი 129
ორბელიანი სულხან-საბა 142
ორველაშვილი ნიკო 75
ორუელი ჯორჯ 239
ო'სალივანი ჯონ 134
ოქრუაშვილი ირაკლი 71, 160, 213

პ

პავლე I 252
პავლე VIII 138
პაპავა ლადო 57

პარენტი მაიკლ 43, 73, 95, 163, 191, 231
პატარკაციშვილი ბადრი 62
პაუელი კოლინ 100, 187
პერეს რევერტე არტურო 42-43, 122
პერლი რიჩარდ 186
პეტრასი ჯეიმს 58-59, 69
პინტერი ჰაროლდ 7, 257
პიუს XI 130
პრინციპი გავრილო 178

ჟ
ჟვანია ზურაბ 57-59, 159, 211, 213-214
ჟორჟოლიანი ნანუკა 75

რ
რაისი კონდოლიზა 62, 178, 194
რაიტი რობ 162
რაიტ მილზი სტიუარტ 163
რამსფელდი დონალდ 186, 192
რეიგანი რონალდ 132-133, 284
როკფელერები (როგენფელდერები) 224
რომანოვი ვლადიმირ კირილოვიჩი 251-252
რომანოვა მარია ვლადიმიროვნა 250
როსტომი 34-36
რუზველტი ფრანკლინ დელანო 111
რულოვსი სანდრა ელისაბედ 270-271
რურუა ნიკა 55-56

ს
სააკაშვილი მიხეილ 11, 29, 68, 76, 178, 212, 214, 217-218, 234-235, 270
საიდი ყურბან 129, 179-180
სამხარაული ლევან 159
სარიშვილი ირინა 152
სარდარი ზიაუდდინ 7, 100, 196
სარკოზი ნიკოლა 160, 225
სარნოვი დევიდ 103-104
სატონი ენტონი 60, 227
სიმსი ენდრიუ 198
სკოუკროფტი ბრენტ 194
სმითი ენტონი 42, 119
სოლომონი 21
სოროსი ჯორჯ 87, 154, 195
სტალინი იოსებ 219, 230, 282
სურგულაძე ივანე 36, 272, 285

ტ
ტებიტი ნორმან 122
ტეტჩერი მარგარეტ 52, 54
ტიხონი (არქიმანდრიტი) 256
ტოლსტოი ლევ 249
ტრიუდო პიერ 111
ტრუმენი ჰარი 134, 220

უ
უატი მელ 167
უელსი ჰერბერტ 183
უიტმენი კრისტინა ტოდ 194
უკლება მიხეილ 70
უორბურგი ჯეიმს 219
უორნერი ჯონ 155

ფ
ფირდოუსი აბულყასიმ 242
ფოცხიშვილი მორის 172
ფრეიზერი საბინა 215
ფროიდი ზიგმუნდ 65
ფუკუიამა ფრენსის 103, 112-113, 123-128, 186, 281-282, 287

ქ
ქიტოშვილი დიმიტრი 161

შ
შალიკაშვილი ჯონ მალხაზ 243
შევარდნაძე ედუარდ 11, 15, 19, 28-29, 68, 214-215, 217, 236, 259, 290

შეიხი განუში 182
შოხინი ალექსანდრ 236
შრინივასი ტულასი 105
შუშანიკი 31

ჩ

ჩაპეკი კარელ 188
ჩერჩილი უინსტონ 164, 232
ჩომსკი (ხომსკი) ნოამ 227
ჩხეიძე კონსტანტინე 76

ნ

წერეთელი გიგი 213
წიქარიშვილი გიორგი (დათო გამცემ-ლიძის ფსევდონიმი) 247-248

ჭ

ჭავჭავაძე ილია 38, 49, 63-64, 126, 144-147, 281, 288

ხ

ხაინდრავა გოგა (გიორგი) 74
ხიდაშელი თამაზ 213
ხურციძე ბეჟან 213

ჯ

ჯავახიშვილი ივანე 35, 37
ჯანაშია სიმონ 35, 37
ჯეკობსი ჯეინ 44, 51
ჯექსონი მაიკლ 177
ჯუღელი ბესო 62, 133, 213

ჰ

ჰაგერი ნიკოლას 157, 177, 194
ჰაველი ვაცლავ 71-72, 75-76
ჰაიდერი იორგ 165-166
ჰანტერი ჯეიმს დევისონ 41
ჰანტინგტონი სამუელ 80, 151, 183, 227, 234-235, 245, 264
ჰეივუდი ენდრიუ 80-81, 121
ჰერდერი იოჰან გოტფრიდ 118
ჰიმლერი ჰენრიხ 224
ჰიტკოკ-ემორი დევიდ 192
ჰიტლერი ადოლფ 125, 165, 224
ჰობსბაუმი ერიკ 120
ჰოკოსავა მორიხირო 265
ჰომეროსი 21
ჰუსეინი სადამ 172, 185

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

ადრიატიკა 177
ავსტრალია 170, 183, 273
ავსტრია 132, 221
ავღანეთი 47, 129, 187, 225
ათენი 256
ალბანეთი 177-178, 273
ალასკა 229, 275
ალჟირი 258, 268
არაბეთის გაერთიანებული საემიროები 184, 193
აფრიკა 22, 81, 88, 188, 225, 237, 266, 268, 271-272
აფხაზეთი 9, 66, 220, 248, 290
აღმოსავლეთ ტიმორი 191
ახალი ზელანდია 273
აშშ 9, 13, 41, 44-45, 51, 53-54, 59, 71, 75-76, 82, 84, 88, 94-96, 100-101, 103-104, 106, 108, 115, 120-121, 128, 132-135, 149, 154-157, 162, 165-167, 169-170, 172-179, 181-200, 210, 217-222, 225, 227, 230, 233, 235, 242-243, 245-247, 257, 259-260, 264-266, 269, 272, 287, 291

ბ
ბავარია 132, 251
ბათუმი 181
ბაქო 177, 181
ბელგია 78, 93, 165, 221, 250
ბელორუსია 234, 271
ბოლივია 170
ბოსნია 170, 175
ბრაზილია 170, 191
ბულგარეთი 170, 178, 225
ბურგასი 177

გ
გერმანია 48, 88, 93, 129, 132, 147-149, 160, 165, 181, 186, 219-224, 227, 229-230, 237, 243, 269-271, 283
გვატემალა 170, 191
გვიანა 170
გუანტანამო 154, 182

დ
დანია 93, 221, 250
დიდგორი 178
დიდი ბრიტანეთი 51, 54, 83-85, 91-94, 110, 120, 122, 157, 166, 180-181, 206, 210, 219-220, 258, 268, 284
დიუვალი 168
დომინიკის რესპუბლიკა 170, 191
დრეზდენი 283
დურბანი 272

ე
ეგვიპტე 19, 181, 183
ევროპა 7, 44, 48, 58, 65, 69, 79, 91-94, 103, 105, 112, 119, 123-124, 127-130, 140, 142, 148-149, 158-161, 164-166, 175-177, 180, 182, 218-222, 226-227, 229, 232, 234, 237, 254, 259, 269-273
ევფრატი 85
ერაყი 41, 47, 85, 129, 155, 161, 181, 185-191, 193-194, 196, 225, 262
ესპანეთი 42-43, 93, 122, 181, 250-251
ესტონეთი 149

ვ
ვენესუელა 157, 193
ვერე 46
ვერმონტი 163
ვიეტნამი 170, 191
ვლორი 177

თ
თბილისი 11, 32, 34, 44, 46-47, 55-56, 67, 70, 242, 252-253, 259, 268, 274, 290

ი
იამაიკა 170
იაპონია 59, 66, 88, 170, 186, 188, 229, 264-266, 276, 281, 283, 289
იემენი 258
იმერეთი 147
ინგლისი 133, 148-149, 162, 180, 239-240
ინდოეთი 53, 83-84, 88, 105, 107, 181, 186, 266, 281, 287
ინდონეზია 170, 181, 191
ინდოჩინეთი 225
ირანი 35-37, 79, 179-181, 191, 193, 291
ირლანდია 93, 221
ისლანდია 221
ისრაელი 149, 181, 184-185, 193, 246, 258, 271
იტალია 17, 129, 165, 170, 220-221, 229

კ
კავკასია 7, 75, 78, 179-180, 246, 278, 290-291
კანადა 19-20, 51, 110-111, 149, 166, 193, 269
კანზასი 166

კელნი 224
კვინზი 163
კოლორადო 194
კონსტანტინოპოლი 150, 234, 254
კოსოვო 149, 174-178, 228, 238
კოსოვოს ველი 178
კუბა 192

ლ

ლაოსი 170, 191
ლიბანი 170
ლუქსემბურგი 93

მ

მადათოვის კუნძული 46
მაკედონია 177-179
მალაიზია 267, 281
მამადავითი 46
მასაჩუსეტსი 166, 246
მაუნტ-ვერნონი 174
მერილენდი 181
მექსიკა 192-193, 235
მოლდოვა 245, 260
მონღოლეთი 22, 170
მტკვარი 46

ნ

ნებრასკა 166
ნეპალი 170
ნიგერია 193
ნიდერლანდები 93-94, 149, 231
ნიკარაგუა 170, 191
ნიუ-აკრი 157
ნიუ-იორკი 45, 167, 173, 194, 274, 283
ნიუ-მექსიკო 189
ნიუ-ჯერსი 246
ნორვეგია 93, 193, 221

ო

ოკლაჰომა 166
ოტავა 47, 51
ოჰაიო 44, 174

პ

პაკისტანი 181
პანამა 170, 192
პარიზი 76
პეკინი 277
პოლონეთი 133, 149, 256
პორტუგალია 170, 221
პრაღა 47, 242
პრინსტონი 157, 244

ჟ

ჟენევა 273

რ

რუანდა 258
რუმინეთი 50, 225, 234
რუსეთი 8-9, 11, 13, 37, 39, 43, 49-50, 79-80, 91, 105-106, 127, 150, 172, 178, 183, 188, 195, 222, 227-231, 236, 238-240, 244-254, 257-262, 272-273, 277, 289, 293

ს

საბერიო 67
სალვადორი 191
სამაჩაბლო 220, 228
სამეგრელო 147
სამტრედია 77
სამხრეთ აფრიკა 53, 272
სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა 228
სამხრეთ კავკასია 179, 259
სან-მარინო 17
საფრანგეთი 48, 93-94, 120, 129, 135, 149-150, 160, 165, 181, 220-221, 225, 237, 246, 265,268-269

საუდის არაბეთი 193
სემინოლი 168
სერბეთი 149, 175-177, 260
სკანდინავია 148
სლოვაკია 149
სოლოლაკი 46
სომალი 258
სოხუმი 41, 66
სპარსეთის ყურე 193
სტამბოლი 150, 272
სტრასბურგი 44, 139, 150, 158-159, 168
სუფსა 177

ტ
ტაილანდი 191, 196, 197
ტალაპასი 168
ტაჯიკეთი 245
ტეხასი 194
ტიგროსი 85
ტიროლი 132
ტორონტო 52

ფ
ფილადელფია 167
ფილიპინები 95, 191
ფლორიდა 168
ფულტონი 164, 241

ქ
ქუვეიტი 193
ქუთაისის გუბერნია 147

ყ
ყირგიზეთი 170, 214, 245

შ
შვაბია 132
შვეიცარია 221, 223, 245, 270

ჩ
ჩეხეთი 47, 132, 149, 225
ჩილე 170, 191
ჩინეთი 53, 66, 115, 181, 186, 191, 193, 229, 265-266
ჩრდილოეთ ამერიკა 273
ჩრდილოეთ კაროლინა 167
ჩრდილოეთ კორეა 181

ც
ციმბირი 19, 228-229

ჰ
ჰაიტი 170, 191-192
ჰამბურგი 103, 105, 283
ჰონდურასი 192

ორგანიზაციები

აგიპი (Agip) 177
აგ ფორდი 224
„ალ-ქაიდა" 187
ამბო (AMBO) 177
ამერიკის რადიოკორპორაცია (ARC) 103
ამერიკის ხმა 103-104
ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო დახმარების სააგენტო (USAID) 167, 221
ამოკო (AMOCO) 177
ახალი მემარჯვენეები 206
ბიპი – ბრიტიშ პეტროლეუმი (BP) 177

ბრიტანული ერთა თანამეგობრობა 258
გაერო 84, 87-88, 117, 132, 154-155, 184, 189, 192, 207, 271
გაეროს მოსახლეობის ფონდი 273
გაეროს უშიშროების საბჭო 87-88, 176, 188
„გარდიანი" (The Guardian) 155
გლობ სკანი (Globe Scan) 181
დემოკრატები 209
„დემოკრატიკ რევიუ" (Democratic Review) 134
დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ბიურო (ODIHR) 216
დისკავერი (Discovery) 31
ერთა ლიგა 76, 88
ევროკავშირი 7, 43, 85, 91-93, 157, 164-165, 188-179, 207, 229, 233-234, 237, 242, 260, 291
„ევრონიუსი" (Evro News) 83
ევროპარლამენტი 64, 159, 165-166
ევროპოლი 157
ენრონის კორპორაცია (Enron Corp.) 194
ენრონ გლობალ პაუერ ენდ პაიპლაინს (Enron Global Power & Pipelines) 194
ექსონი (Exxon) 177, 194, 224
ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია 133, 222
თავისუფლების ინსტიტუტი 56
თელასი 69-70, 73
ი. გ. ფარბენინდუსტრი 224
„იელოვას მოწმეები" 105-107
„იმედი" (ტელეკომპანია) 72, 278
„ინტერნ. ნიკლ კომპანი" 222
ისლამური აღორძინება 61
იტტ (ITT) 224
„კემპ ბოდსტილი" (Camp Bondsteel) 177
მაიკროსოფტი (Microsoft) 277
მობილი (Mobil) 177
მიუმხრობელი ქვეყნების კონფერენცია 233
მოქალაქეთა კავშირი 152, 209
მსოფლიო ბანკი (World Bank) 53, 231-232
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) 89, 197
Moody's Investor Service 277
მხედრიონი 29
„მნვანეთა პარტია" 208
ნატო 43, 75, 152, 156, 174-175, 178, 180-181, 219-220, 222, 225-228, 233-234, 237-228, 241-242, 260
ნაციონალები 28-29, 214
ნიუ-იორკ სიტი ბანკი (New York City Bank) 222
ნიუ-იორკ ტაიმსი (New York Times) 155, 230
„ობზერვერი" (Observer) 157
ოპეკი (OPEC) 199
ოპელი (OPEL) 224
„პენზოილ კვაკერ სტეიტ კომპანი" Pennzoil-Quaker State Co. 194
რადიო „თავისუფალი ევროპა" 103
რადიო „თავისუფლება" 103-104
რეფორმატორები 30, 44, 69, 74, 131, 264
როკფელერის ფონდი 222
რუსთავი-2 18, 56, 167
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Foundation) 51, 53, 196-197, 231-232
საკონსტიტუციო სასამართლო 218
„სალივან ენდ კრომუელი" 222
საქართველოს აღორძინების კავშირი 61
საქართველოს რკინიგზა 75
საბჭოთა პიონერია 75, 134
„სტანდარტ ოილ ნიუ ჯერსი "(Standart Oil New Jersey) 224

ტექსაკო (Texaco) 177
„ტოიოტა" 276-277
ტოტალ ფინა ელფი (Total Fina elf.) 177
„ფოკე-ვულფი" 224
„ფორდი" 107, 224
შევრონი (Chevron) 177, 194
ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო 192
CIFA (Counter Intelligence Field Activity) 156
ჯენერალ მოტორსი (General Motors) 44-45, 96, 224
„ჯორჯია ონლაინი" 167
ჰალიბარტონი („Halliburton") 177, 194

ტერმინები

„ადამიანის უფლებათა ბილი" 172
ავტოკეფალია 249
ამნისტია 160
ანარქიზმი 76, 208
ანტიამერიკანიზმი 81, 128, 181, 286
ანტიგლობალიზმი 82, 280
„ახალი მსოფლიო წესრიგი" 76, 80, 123, 176, 186, 236, 263
„ბოროტების იმპერია" 185
განვითარებადი ქვეყნები 83, 97, 151, 197-198, 230, 277
გენმოდიფიცირებული პროდუქტი 83-84
გენოციდი 66
გლობალიზაცია 7, 40-42, 71, 76, 81-82, 85-87, 89-91, 101-102, 105, 122-123, 128, 165, 198, 207, 262, 265, 270, 277, 280
„დაუესის" გეგმა 242-223
დეკოლონიზაცია 80, 116, 258
„დემოკრატიათა მსოფლიო ლიგა" 88
დემოკრატია 16, 24-25, 47, 58, 62, 67, 72, 74-75, 102-103, 105, 109-115, 123-124, 130, 135, 154, 158-161, 163-165, 168-172, 180, 182, 184, 188-189, 191, 193, 200, 202, 230, 233, 240, 244, 258, 264, 276, 280-281
დენომინაცია 137
დეპოპულაცია 229, 273
დეპორტაცია 244-245, 271
ეგზარქოსი 249
ევროპის „ისლამიზაცია" 270
ეთნიკური იდენტობა 117, 267
ეთნიკური უმცირესობა 124
ეკოლოგიზმი 208
ერვა 136
ერი (ნაცია) 117, 119
ექსპანსიონიზმი 256, 292
„ვარდების რევოლუცია" 9, 16, 24, 41, 120, 148, 155, 192, 212, 217, 232, 279
WASP 133
„ვაშინგტონის კონსენსუსი" 51-54, 206
ვეტო 87-88, 91, 155
„თავისუფალი ვაჭრობა" 87-88, 91, 155
თიმოსი 125-126, 288
იმპერიალიზმი 66, 79-81, 116, 258
იმპიჩმენტი 218
ინდუსტრიალიზაცია 62, 119, 244
ინვესტიციები, ინვესტორი 53, 73-74, 77, 88-89, 94-95, 221-222, 224, 230, 232-233, 243-244, 266
ინკვიზიცია 130

ინტელიგენცია 48-49, 240, 248, 280
ისლამი 20, 32-33, 110-111, 113-115, 123, 135, 142, 150, 176, 184, 187, 233-234, 270
„იუნგის“ გეგმა 222
კათოლიციზმი 33, 114, 182
კალვინიზმი 110, 131, 133
კაპიტალიზმი 11, 49, 80-82, 98-100, 103, 109-110, 112, 114, 195, 257
კარტელი 71-72, 199
კლიენტურა 71-74
კომბატანტი 155
კომუნისტი 27, 69, 72, 80, 92, 104, 115, 219, 241, 282
კონსენსუსი 53, 81, 202, 242
კონსერვატორები 44, 92, 112, 204-206, 256
კონსიუმერიზმი 90
კონსტიტუციონალიზმი 202
კონტრიდეოლოგია 280, 282
კონტრრეფორმაცია 132
კონფესია 144, 151,
კორუფცია 68, 160
კულტურა 47, 51, 59, 69, 84-86, 93, 100-102, 104, 110, 112, 114-121, 134, 144-145, 180, 182-184, 188-189, 202, 204, 235-237, 248-249, 256, 262, 265, 267, 269, 280, 285-286, 288, 290-291
კულტურათა ჰომოგენიზაცია 280
კულტურული კონტრიდენტიფიკაცია 280
„ლატერანის ხელშეკრულება“ 130
ლეიბორისტები 209
ლიბერალიზმი 24, 127, 201-204, 281
მაკარტიზმი 104
მაჟორიტარები 213
„მართლმადიდებელი გლობალისტები“ 256
მართლმადიდებლობა 7, 34, 114, 130-132, 143-144, 151-152, 203, 234, 244, 255-256
მარქსიზმი 79, 208, 242, 281-282
მარშალის გეგმა 220-222
მასონები 263, 288
„მესამე სამყარო“ 59, 69, 74, 81, 85, 112, 232, 286
მოდერნიზაცია 61, 119, 244
მონოპოლიზმი 71-72
„მსოფლიო მთავრობა“ 76, 90
ნაციზმი 118, 164, 283
ნაციონალიზმი 24-25, 86, 112, 115-119, 121-128, 151, 155
ნეიტრალიტეტი 152, 165, 219, 226, 238, 260, 291
ნეოკონსერვატორები 51-52, 127, 187, 207, 256, 282
ნეოლიბერალიზმი 54, 206-207
ნეომარქსიზმი 79, 81
ნიპონძირონი 66
ორგანიციზმი 205
პატერნალისტური კონსერვატიზმი 206
პოსტმარქსიზმი 79
პოსტმოდერნისტული პერიოდი 62
პრაგმატიზმი 51, 204
პროპორციული არჩევნები 214
პრო-ს (ПРО) ახალი სისტემა 227
პროტესტანტიზმი 101, 111-112, 114
„პროტესტანტული ეთიკა“ 109-110
პროტექტორატი 36-37, 178, 226
რამადანი 140
რასიზმი 118, 271
რატიფიკაცია 155
„რეალისტური ვილსონიანობა“ 282
რეგიონალიზაცია 89-91
რევოლუცია 10, 14-18, 24-28, 41, 44, 46, 55-58, 68, 82, 96, 120-121, 124, 131, 147-148, 159-160, 162, 170-171, 173, 187, 192, 206, 212-218, 227, 232, 253, 279
რესტრუქტურიზაცია 71, 231
რეფორმაცია 131
სინკრეტულობა 267
სოციალური დარვინიზმი 111

საბაზრო ფუნდამენტალიზმი 210
„საკლუბო კულტურა“ 101, 249
სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის პაქტი 228
საპარლამენტო რესპუბლიკა 211, 255
„სახელმწიფო-მატერიკები“ 76
სექსიზმი 63
სოციალიზმი 165, 206, 223
სოციალისტური ინტერნაციონალი 209
სოციეტალური დენაციონალიზაცია 90
სტაბილურობის პაქტი კავკასიისათვის 228
სუვერენიტეტი 85-87, 90-94, 120, 148, 156, 176, 210, 223, 225, 228, 270
ტეტჩერიზმი 51-52, 54, 206
ტოლერანტობა 109, 141, 143, 160, 202, 271, 285
ტრადიციონალიზმი 204
ტრანსნაციონალური კომპანიები 7, 59, 69, 71, 80, 82, 85, 89, 91, 197, 231
უმა 270
ურბანიზაცია 62
ფაშიზმი 22, 155, 165, 208, 241, 274
ფეოდალიზმი 148
ფილანტროპია 221
ფუნდამენტალიზმი 101, 112-113, 123
ქრისტიან-ევანგელისტები 105
„ღია ბაზარი“ 189
ცივილიზაცია 82, 123, 133, 135, 161, 173, 189, 235-236, 242, 245, 255-256, 262, 272, 284, 289, 291
„ცივი ომი“ 103, 115, 227, 234, 241
ხანგრძლივი დასაქმების წესი 276
ჯენტრიფიკაცია 43-44
ჰაგიოგრაფია 30-31, 34, 50
ჰეგემონია 131, 175, 191, 193, 265, 281, 284, 287